ამერიკა ქართული ჯარის "სპონსორობას" განაგრძობს A3

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებით A8

ევროისტორია B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 28 მაისი, 2004 წელი. №125 (674)

ფასი 50 თეთრი


# მილიონერთა დესანტი საქართველოში

ვერიკო თევზაძე

*"ამ თვითმფრინავთან ერთად რამდენიმე მილიარდი დოლარის ინვესტიცია"ჩამოფრინდა". მათგან საქართველოში რამდენი განხორციელდება, ქართულ მხარეზეა დამოკიდებული," - ამ სიტყვებით დაადგა ფეხი ქართულ მიწაზე რუს ბიზნესმენთა დელეგაციის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა, რუსეთის ეკონომიკის და განვითარების მინისტრმა გერმან გრეფმა.*

გუშინ რუსეთიდან თბილისში საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩამობრძანდა. მილიარდერ ბიზნესმენთა ჯგუფში, გრეფთან ერთად, რუსეთის განათლების, კულტურის მინისტრები იმყოფებოდნენ. იმ მასშტაბურ ეკონომიკურ ფორუმზე, რომელიც დღეს "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართება, საუბარი იქნება ეკონომიკის, კულტურის და განათლების საკითხებზე. გრეფის ინფორმაციით, მხარეები ერთობლივ საწარმოებს შექმნიან.

გაგრძელება A2 გვერდზე



*მსხვილი რუსული კაპიტალისთვის საქართველოს კარი იხსნება.*

# რუსული ბიზნესი რუსულ პოლიტიკას ხარკს უხდის

მაია ჭალაგანიძე

*წინათ ძალზე ვუფრთხოდით რუსულ კაპიტალს. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ დაახლოებით ერთი წლის წინ რუსული გაზეთისთვის მიცემულ იტერვიუში თქვა, "რუსეთს საქართველოს დაპყრობა ტანკების ნაცვლად ბანკებით სურს"-ო... ეს ერთი წლის წინ იყო. რა შეიცვალა მას შემდეგ, ასე ხელგაშლილად რომ ვეგებებით რუსულ კაპიტალს. თუკი პოლიტიკის საკითხები - არჩევნები და სხვა რამ ფართო საზოგადოების განხილვის საგანი ხდება ხოლმე, ეკონომიკური საკითხებში ექსპერტთა და პროფესიონალთა მოსაზრებებს უფრო დიდი ფასი აქვს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეებმა ძველებურად არ იცოდნენ, რას ყიდის მისი მთავრობა და რის ფასად.*

**- ყველას ესმის, რომ დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ინვესტიციები მნიშვნელოვანია. წინა ხელისუფლების დროს რუსული ბიზნესის შემოსვლა პირდაპირ ეკონომიკურ ექსპანსიად ინათლებოდა. როგორ განვითარდება მოვლენები ამ ჯერზე?**

გაგრძელება B1 გვერდზე



*რომან გოცირიძე სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.*

# ვაზიანის პოლიგონზე ნაღმები ისევ რჩება

**"ნატო-სთან" ერთობლივ პროგრამას ჩაშლის საფრთხე ემუქრება**

*ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს მიზანია ნატო-ში გაწევრიანება. თუმცა, ბიუროკრატიული პრობლემების გამო, ნატო-ს ერთ-ერთი პირველი სერიოზული პროგრამა საქართველოში, შესაძლოა, საერთოდ შეწყდეს.*

რევაზ ბახტაძე

საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ დიდ თავსატკივარს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უკონტროლოდ დატოვებული შეიარაღება - აუფეთქებელი ნაღმები და ჭურვები წარმოადგენს. პოლიგონებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობა ჯართს აგროვებს, რაც ხშირად ფატალურად მთავრდება. მკვდარი და დასახაჩირებული სამოქალაქო პირების გარდა, ამ ნაღმებმა სამხედროებიც არაერთხელ დააზარალა.

ამ საფრთხის გასანეიტრალებლად 2002 წლის შემოდგომაზე ნატო-სა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს. ამ მემორანდუმის საფუძველზე, "პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის" ფარგლებში ნატო-ს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სააგენტომ (NAMSA) სპეციალური პროექტი შეიმუშავა, რომელიც ორი - დემილიტარიზაციისა და აუფეთქებელი საარტილერიო ჭურვებისგან ვაზიანის ტერიტორიის გაწმენდის კომპონენტებისგან შედგება. ეს პროგრამა 2004 წლის იანვარში დაიწყო.

დემილიტარიზაცია ჭალადიდის, ფონიჭალისა და კოპიტნარის სამხედრო ბაზებზე არსებული S75 ("მიწა-ჰაერის") ტიპის რაკეტებისა და მათი ნაწილების შეგროვებას და დაშლას მოიცავს.

რაც შეეხება მეორე კომპონენტს, ეს პროექტი მხოლოდ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ხორციელდება და აუფეთქებელი ნაღმებისა და ჭურვების გაუვნებელყოფას ისახავს მიზნად.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პოლიტიკა

### „ფულს სიჩუმე უყვარს"

"სანამ სხვები მხოლოდ ხმაურიან განცხადებებს აკეთებენ საქართველოს მრეწველობის სხვადასხვა დარგების აღდგენაზე, ჩვენ უკვე მზა საქმიანი პროექტებით მოვდივართ. ფულს სიჩუმე უყვარს," - ამბობს სერგეი გენერალოვი

A3

## ეკონომიკა

### "რუსული რეგისტრი" ქართული საწარმოებით ინტერესდება

გუშინ, რუსი ბიზნესმენების ვიზიტამდე ერთი დღით ადრე, დედქალაქში რუსეთის სერთიფიკაციის ასოციაციის "რუსული რეგისტრის" ფილიალი გაიხსნა. "რუსულ რეგისტრს" საკუთარი წარმომადგენლობა საქართველოში თბილისამდე რამდენიმე წლით ადრე ბათუმში ჰქონდა გახსნილი. მის მიერ გაცემულ ხარისხის მართვის სერტიფიკატს უკვე 15 ქართული კომპანია ფლობს.

A4

## უცხოეთი

### ჰუგო ჩავესი - პრეზიდენტი თუ დიქტატორი?

ცოტა ხნის წინ, კარაკასის ერთ-ერთ გარეუბანში სამხედრო ფორმაში გადაცმული, თუმცა შეუიარაღებელი 90-მდე პიროვნება დააკავეს. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ისინი კოლუმბიური ბანდ-ფორმირების წევრები იყვნენ.

A5

## საზოგადოება

### იქცევა თუ არა თბილისი ტურისტულ-გასართობ ცენტრად

ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2003 წელს საქართველო 313 432 ტურისტმა მოინახულა, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტში სულ რაღაც 749,2 ათასი ლარი შევიდა. ეს ჩვენი შესაძლებლობების ქვეყნისთვის ზღვაში წვეთია.

A6

## სამართალი

### გამოძიების მიერ დაშვებული ხარვეზების გამო „ასტრა-დილომის" სამართლებრივი დავა კვლავ გრძელდება

გახმაურებული სასამართლო დავა, რომელიც წლების წინ საქართველოში კომპანია ბმვ-ს მთავარი იმპორტიორის, ფირმა "ასტრა-დილომის" დამფუძნებლებს შორის დაიწყო, ახლაც გრძელდება

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 25 |
| ქუთაისი | 26 |
| ბათუმი | 20 |
| სოხუმი | 19 |
| ფოთი | 23 |
| თელავი | 25 |
| ზუგდიდი | 24 |
| გორი | 23 |
| ახმეტა | 25 |
| ჭიათურა | 25 |
| გაგრა | 16 |
| სამტრედია | 24 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3078 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4113 |
| რუბლი | 0.0662 |

# პარიზის კლუბში რუსეთის მხარდაჭერა საქართველოს 50 მილიონი დოლარი დაუჯდება

სოფო თბილელი

*საქართველოს დახმარების ახალი პროგრამის განხილვა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გაურკვეველი ვადით გადადო. ამის მიზეზად რუსეთის მოთხოვნას - "ვნეშეკონომბანკში" ქართული წილის დათმობას ასახელებენ. გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთმა საქართველოს პარიზის კლუბში მხარდაჭერის სანაცვლოდ "ვნეშეკონომბანკში" არსებული 50-მილიონიანი აქტივი მოსთხოვა.*

გუშინ დაგეგმილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს სხდომა, რომელსაც საქართველოსთვის ფინანსური დახმარების პროგრამის აღდგენასა და პარიზის კლუბში საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციისთვის მხარდაჭერაზე უნდა ემსჯელა, გადაიდო. ერთ-ერთი არაოფიციალური ვერსიით, სსფ-ს დირექტორთა საბჭოს სხდომის გადადების მიზეზად რუსეთის მოთხოვნა - "ვნეშეკონომბანკში" არსებული ქართული წილის დათმობა სახელდება.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ორი "სიმართლე" ერთ საქმეზე

თამარ კაციტაძე

*აჭარის მოვლენების შემდეგ ყველა ფიქრობდა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში სამართალდამცველების მხრიდან "დაკანონებული" უსამართლობა არა თუ შემცირდებოდა, არამედ საბოლოოდ აღმოიფხვრებოდა. ამის იმედს იძლეოდა რევოლუციის მომდევნო დღეებშივე დაწყებული საკადრო ცვლილებებიც, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ ხელმძღვანელი თანამდებობის პირების შეცვლა სიტუაციას არსებითად ვერ ცვლის.*

**"ბათუმის პოლიციის თანამდებობის პირები შევცვალეთ და ღირსეული პიროვნებები დავნიშნეთ, მაგრამ უცვლელი დარჩნენ რიგითი პოლიციელები, სადაც საკადრო ცვლილებების გატარება ამ ეტაპზე ვერ მოვახერხეთ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანის მხრიდან კანონის დარღვევის ფაქტები დაფიქსირდება, უმკაცრეს ზომებს მივმართავთ. ნებისმიერი დამნაშავე პოლიციელის საქმე რეაგირებისთვის პროკურატურას გადაეცემა",** - ასეთი კომენტარი გააკეთა ბათუმის პოლიციის ახალმა უფროსმა ილია ჯორქმენაძემ გუშინ, ბათუმში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

გაგრძელება A7 გვერდზე

# ალ-ქაიდა: რეალური საფრთხე თუ საარჩევნო ტრიუკი?

აშშ-ს იუსტიციის მინისტრის ჯონ ეშკროფტის და გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის რობერტ მიულერის განცხადებას "ალ-ქაიდას" ახალი მუქარების შესახებ დემოკრატთა მხრიდან სკეპტიკური განცხადებები მოჰყვა. ეშკროფტის თქმით, ხელისუფლებას გააჩნია სადაზვერვო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ოსამა ბინ ლადენის ტერორისტული ქსელი შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ახალ მასშტაბურ თავდასხმებს გეგმავს. ამის მიუხედავად, უსაფრთხოების დონე შეერთებულ შტატებში კვლავ უცვლელია, რაც შესაძლოა ოპონენტების დაეჭვების მიზეზი გახდა.

გაგრძელება A5 გვერდზე


A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 კვირის TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

# მილიონერთა დესანტი საქართველოში



ვახო ხაინდრავას ფოტო

*დელეგაციაში მრავლად არიან ქართველები.*

პირველი გვერდიდან

წუხელ რუსმა ბიზნესმენებმა კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი მოიკითხეს და რამდენიმე წუთის შემდეგ კმაყოფილებმა დატოვეს მისი კაბინეტი. **"თქვენმა პრეზიდენტმა სრული მხარდაჭერა გამოგვიცხადა. სააკაშვილმა ბრძანა, რომ საქართველოს ეკონომიკა რუსულ ინვესტიციებს სულმოუთქმელად ელის,"** - განუცხადეს ქართველ ჟურნალისტებს სტუმრებმა. მათ კომენტარში ორ ქვეყანას შორის მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე იყო აქცენტი გაკეთებული: **"ქართული მხარე მზად არის, რუსეთთან გააღრმავოს როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ურთიერთობები. გვითხრეს, რომ ჩვენი მთავრობა და თქვენი პრეზიდენტი ერთ ენაზე საუბრობენ."**

რამდენიმე რუსმა ბიზნესმენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში კონკრეტული ბიზნეს-წინადადებებით ჩამოვიდა. ჩვენს თანამემამულეს ზურაბ წერეთელსაც კონკრეტული გეგმები აქვს: **"ალბათ, მივაღწევთ იმას, რომ ცალ-ცალკე არსებობდეს ფიროსმანის მუზეუმი და თანამედროვე მუზეუმი... უკვე ვამთავრებ "თანამედროვე მატიანეს" და მოვემზადებით, რომ იგი ოქტომბერში გავხსნათ."**

"შესანიშნავი განწყობის" მიუხედავად, რუსეთში მოღვაწე მილიარდერი ქართველი ბიზნესმენი კახა ბენდუქიძე აცხადებს, რომ იგი სამშობლოში **"რაიმე განსაკუთრებული გეგმებით"** არ ჩამოსულა.

პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ინფორმაციით, საქართველოს მთავრობა, რუს ბიზნესმენებთან ერთად, ათამდე პროექტის განხორციელებას აპირებს. სავარაუდოდ, ეს პროექტები ტურიზმს, რკინიგზას და ენერგეტიკის სფეროს მოიცავს. ჯერჯერობით უცნობია, რა რაოდენობის ინვესტიციების დაბანდებას აპირებენ რუსები საქართველოში, თუმცა ცხადია, რომ საქმე საკმაოდ სოლიდურ თანხას ეხება.

ქართველი პოლიტიკოსები და ბიზნესმენები დღევანდელ ფორუმს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ, მის "შორსმიმავალ შედეგებზეც" საუბრობენ და წინასწარვე ვარაუდობენ, რომ რუსეთისა და საქართველოს შორის საერთო ეკონომიკური ინტერესების ჩამოყალიბებამ, სერიოზული როლი შეიძლება ითამაშოს კონფლიქტების მოგვარებაში.

ზურაბ ჟვანიას ინფორმაციით, უახლოეს მომავალში ნავარაუდევია, რომ მსგავსი ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ფორუმი თურქ და ამერიკელ ბიზნესმენებთანაც ჩატარდება.

# გაერო-ს მისიის ახალი ხელმძღვანელი ოთხმხრივ მოლაპარაკებაში ჩაერთო

აჭარის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ე.წ. თავისუფლების დაკარგვის შიში დაიწყო, რაც მათ მხრიდან, ყველაფრისთვის ერთად, ზუგდიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, უფრო ზუსტად კი, გალის რაიონის გაძლიერებულ დაცვაში გამოიხატება. გავრცელებული ინფორმაციით, ამისათვის საზღვრისპირა რაიონში აფხაზებმა დამატებითი ძალები შეიყვანეს. ეს კი ისედაც გაჭირვებული ქართველი მოსახლეობის გაუსაძლის პირობებს უქმნის. მაგრამ, როგორც ჩანს, საშველი ჯერ კიდევ არ ჩანს. მით უმეტეს, ეს პრობლემა ქუთჯურითის ოთხმხრივი შეხვედრის დროს არ ამოიწურება, ფაქტია.

გუშინ ჭუბურხინჯში ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა კიდევ ერთხელ შედგა. შეხვედრას პირველად დაესწრო გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ახალი ხელმძღვანელი, ეგვიპტელი გენერალ-მაიორი ჰოსეინ ელ გობაში.

შეხვედრაზე ქართულმა მხარემ კატეგორიულად დააყენა ბოლო დღეების განმავლობაში გალის რაიონში აფხაზური მხარის მიერ დამატებითი ძალების შეყვანის საკითხი, რაც გალის მოსახლეობას გარკვეულ სიძნელეებს უქმნის. ქართული მხარის მტკიცებით, დამატებით ძალებში აფხაზების გვერდით არიან რუსი, ჩეჩენი და სხვა ეროვნების ადამიანებიც. ამის დასამტკიცებლად ქართულმა მხარემ შეხვედრაზე დამატებითი დამამტკიცებელი საბუთები წარმოადგინა.

მიუხედავად ამისა, აფხაზური მხარე მაინც ამტკიცებს, რომ გალის რაიონში დამატებითი ძალები შეყვანილი არ არის და სამხედრო პირების და ტექნიკური ძალის რაოდენობა გაერო-ს მიერ დადგენილ ლიმიტს არ აჭარბებს.

ქართული სამშვიდობო ძალების სარდლის ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, გუშინდელ შეხვედრას დაესწრო, აგრეთვე, გაერო-ს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის მოადგილე საქართველოში როზა ოტუმბაევა, რომელიც ქართული მხარის მოთხოვნით იქნა შეხვედრაზე მიწვეული.

ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, შეხვედრა საკმაოდ დაძაბული და ხანგრძლივი იყო. მხარეებმა, გარდა დამატებითი ძალებისა, კონფლიქტის ზონაში არსებულ მძიმე კრიმინოგენულ სიტუაციაზეც ისაუბრეს, მაგრამ საბოლოოდ კონკრეტულ შეთანხმებამდე მაინც ვერ მივიდნენ და, შესაბამისად, პრობლემის მოგვარებაც მომავალი ტრადიციული შეხვედრისთვის გადაიდო. სხვათა შორის, გუშინდელ შეხვედრაზე საკუთარი პოზიცია არც გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ახალ ხელმძღვანელს დაუფიქსირებია.

*24 საათი*

# მკალავიშვილის მრევლი გააქტიურდა

ეკლესიიდან განკვეთილი მღვდლის, ე.წ. გლდანის მართლმადიდებელი ეპარქიის წინამძღვრის ბასილ მკალავიშვილის მომხრეებმა გუშინ სახელმწიფო კანცელარიასთან საპროტესტო აქცია გამართეს და მკალავიშვილის პატიმრობიდან უპირობო გათავისუფლება მოითხოვეს.

როგორც გლდანის ეპარქიის პრესსამსახურში განაცხადეს, მშვიდობიან აქციაში, მკალავიშვილის მრევლის გარდა, მონაწილეობას მიიღებენ ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, ყოფილი დეპუტატი გურამ შარაძე და მკალავიშვილის ადვოკატები. მათი პოზიციით, ბასილ მკალავიშვილი და მისი მრევლის რამდენიმე წარმომადგენელი უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან და დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ. ბასილ მკალავიშვილი, სპეცდანიშნულების რაზმების გამოყენებით, ორი თვის წინ იელოვას მოწმეთა ლიტერატურის განადგურების ბრალდებით დააკავეს და მას სასამართლოს მიერ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

*პრაიმ-ნიუსი*

# ქუთაისში ბურჯანაძეს ელიან

31 მაისს ქუთაისში ქალაქის მაჟორიტარ დეპუტატს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ელიან. ეს ახალი პარლამენტის შეკრების დღიდან მისი პირველი ვიზიტი იქნება ამომრჩევლებთან. ბურჯანაძე ასევე შეხვდება ადგილობრივ მთავრობას და საკრებულოს გაფართოებულ სხდომას დაესწრება. გარდა ამისა, დაგეგმილია პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრა საზოგადოებრივი მოძრაობა "სამშობლო უმთავრესია"-ს ლიდერებთან, რომლებიც ერთი კვირის მანძილზე საპროტესტო აქციებს მართავენ იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის დავით მუმლაძის გადადგომის მოთხოვნით.

*ინტერ-პრესი*

# პარტიებმა აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განაცხადები წარადგინეს

*გუშინ, საღამოს ექვს საათზე ამოიწურა ვადა, რომელიც აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ პარტიებს განაცხადების წარდგენისთვის მისცა. როგორც აღმოჩნდა, პროპორციულ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ცამეტმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ გამოთქვა. რაც შეეხება მაჟორიტარულ არჩევნებს. საინიციატივო ჯგუფების მიერ განაცხადების მიღებას აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისია ექვს ივნისს დაასრულებს.*

**"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", "რესპუბლიკური პარტია", "ლეიბორისტული პარტია", "ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი", "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", "ახალი კომუნისტური პარტია", "ქრისტიან-დემოკრატიული პარტია", "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", "მწვანეთა პარტია", "ერთიანი კომუნისტური პარტია", "მერაბ კოსტავას საზოგადოება", "დემოკრატიული სიმართლის პარტია", "ქალთა დაცვის კავშირი"** – ეს იმ პოლიტიკურ ორგანიზაციათა ჩამონათვალია, რომლებმაც გუშინ აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განაცხადები შეიტანეს.

როგორც აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანმა გიზო მჭედლიძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, **"კომისიის იურიდიულმა განყოფილებამ პარტიების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ უნდა შეამოწმოს. თუკი კომისიის იურისტები ამა თუ იმ პარტიის განაცხადში დარღვევებს აღმოაჩენენ, მის წარმომადგენლებს დოკუმენტაცია უკან დაუბრუნდებათ. ეს დღეს დილით მოხდება. დღესვე, საღამოს ექვსი საათისთვის პარტიამ უმაღლეს საარჩევნო კომისიას უკვე შესწორებული დოკუმენტაცია უნდა წარუდგინოს. ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში, საარჩევნო კომისია პოლიტიკურ ორგანიზაციას რეგისტრაციაში არ გაატარებს".**

საარჩევნო რეგისტრაციის წარმატებით გავლის შემდეგ, პარტიები არჩევნებისთვის მზადების მეორე ეტაპზე გადავლენ და რვა ივნისისათვის საარჩევნო კომისიას პარტიულ სიებს წარუდგენენ. სხვათა შორის, ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად ვინ ჩაუდგება სათავეში ამა თუ იმ პარტიულ სიას. თუმცა ისიც ცხადია, რომ არჩევნებში მონაწილე თითოეული პოლიტიკური ორგანიზაცია საკუთარ "ლოკომოტივად" აჭარელი ამომრჩევლისათვის ყველაზე მისაღები პიროვნების დასახელებას შეეცდება.

უმაღლეს საბჭოში შესასვლელად პარტიებმა შვიდპროცენტიანი საარჩევნო ბარიერი უნდა დაძლიონ. თუკი ამა თუ იმ პოლიტიკურმა ორგანიზაციამ მხოლოდ ხმათა შვიდი პროცენტი მოაგროვა, მას უმაღლეს საბჭოში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ეყოლება.

დღემდე ცნობილი არ არის, რეალურად რამდენი ამომრჩეველია რეგიონში. ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში უჭირთ იმის თქმა, თუ, სავარაუდოდ, რამდენმა ამომრჩეველმა უნდა მისცეს ხმა ამა თუ იმ პარტიას, რათა მან ბარიერის დაძლევა შეძლოს. როგორც ცესკო-ში "24 საათს" განუცხადეს, შვიდპროცენტიან ბარიერს კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნებზე მისული ამომრჩევლის საერთო რაოდენობიდან აითვლიან.

რაც შეეხება ამომრჩეველთა წინასწარ რეგისტრაციას. იგი საპარლამენტო არჩევნების დროს აპრობირებული სქემით ჩატარდება. 29 მაისს დასრულდება საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება. უკვე ორშაბათიდან კი ამომრჩევლის წინასწარი რეგისტრაციის პროცესი დაიწყება. ხოლო იმ ამომრჩეველს, ვინც არ გაივლის წინასწარ რეგისტრაციას, უფლება ექნება, დამატებითი რეგისტრაცია უშუალოდ კენჭისყრის დღეს გაიაროს.

და კიდევ: გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო განკარგულება აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის 12 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის შექმნის თაობაზე. ამ განკარგულების თანახმად, ავტონომიის ექვსი რაიონი ორ-ორ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქად დაიყოფა. შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თორმეტი მაჟორიტარი დეპუტატი ეყოლება.

*თამარ მჭედლიშვილი*

# გიორგი ისაკაძე "გადამხდელთა კავშირს" უხელმძღვანელებს

"გადამხდელთა კავშირს" ახალი გენერალური დირექტორი ჰყავს. ეს გიორგი ისაკაძეა, რომელიც "ვარდების რევოლუციის" შემდეგ დიდი პოლიტიკიდან წავიდა და არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლა. დღემდე ის ბიზნეს-საკონსულტაციო ჯგუფს ხელმძღვანელობდა. ახლა კი ყოფილი სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის ყოფილი მოადგილე და ანტიკორუფციული საბჭოს ყოფილი წევრი აცხადებს, რომ ის საქართველოში ლეგალური ბიზნესის ლობირებას აპირებს. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული საგადასახადო კოდექსის ღირსება-ნაკლოვანებებით დაინტერესდება.

ისაკაძის თქმით, უახლოესი მომავლისთვის გადამხდელთა კავშირის პრიორიტეტი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობა იქნება. გარდა ამისა, ის კავშირთან სათანამშრომლოდ ახალი სახეების და ექსპერტების მოწვევას გეგმავს. **"ისინი ქართული ბიზნესის პრობლემების გადაწყვეტაში ჩაერთვებიან. მოხდება კავშირის სტრუქტურისა და წესდების კორექტირება,"** – აცხადებს ისაკაძე.

გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარედ რამდენიმე ხნის წინ ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი დაინიშნა.

*24 საათი*

# "კანონიერი ქურდის" გოგი ჩიქოვანის საქმე კვლავ სასამართლოშია

ე.წ. "კანონიერი ქურდის", 79 წლის გოგი ჩიქოვანის ადვოკატი დაკავებულის გათავისუფლებას ამჯერად საოლქო სასამართლოს ძალით ითხოვს. ჩიქოვანის პროცესი დღეს არის დაგეგმილი.

როგორც დაკავებულის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ განაცხადა, გოგი ჩიქოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად კრიტიკულია, ამიტომ იგი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ჩიქოვანის მიმართ შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიების გაუქმებას მოითხოვს.

საოლქო სასამართლოში ვაკე-საბურთალოს რაიონის 25 მაისის გადაწყვეტილებაა გასაჩივრებული, რომლითაც ჩიქოვანს, ახალი გარემოებების მიუხედავად, წინასწარი პატიმრობა ძალაში დაუტოვეს.

გოგი ჩიქოვანი დაკავების პირველივე დღიდან შიმშილობდა და წამლების მიღებაზე უარს აცხადებდა. ის თვლის, რომ უკანონო პატიმარია.

ე.წ. "კანონიერი ქურდი" გოგი ჩიქოვანი 9 მაისს სოლოლაკში, საკუთარ სახლში დააკავეს. მისი ბინის ჩხრეკისას კი სხვადასხვა დასახელების ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

*ინტერ-პრესი*

# სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აფრთხილებს

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახლად დანიშნული თავმჯდომარე გიორგი მელაძე რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გაფრთხილებას აძლევს. მელაძის განცხადებით, 2004 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში თითქმის არც ერთი რეგიონის შესაბამის სამსახურს არ წარუდგენიათ. **"ყველა რაიონში გავგზავნეთ გამაფრთხილებელი წერილები და შესაბამის პირებს ანგარიშების ჩვენთან გამოგზავნა ვთხოვეთ. კვარტალში ერთხელ მსგავსი ანგარიშის წარდგენას მათ კანონი ავალდებულებს. პრეზიდენტის რწმუნებულებსაც მივმართეთ თხოვნით, რათა მათ რაიონის შესაბამისი სამსახურებს თვალყური ადევნონ და ჩვენი მოთხოვნა რაც შეიძლება უმოკლეს დროში შესრულდეს",** - აღნიშნა გიორგი მელაძემ "24 საათთან" საუბრის დროს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე რაიონულ სამსახურებს მიცემული დავალების შესასრულებლად ორი კვირის ვადას აძლევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მელაძის რწმუნებით, თითოეული მათგანის მიმართ გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები, რაც, დაახლოებით, 600 ლარს ითვალისწინებს.

**24 საათი**

# აჭარის უშიშროების იზოლატორი აღარ არსებობს

ბათუმში ხუთშაბათს აჭარის უშიშროების იზოლატორი ოფიციალურად გაუქმდება.

აღნიშნულ იზოლატორში წლების განმავლობაში აჭარის ავტონომიის ყოფილი მეთაური ასლან აბაშიძე მისთვის არასასურველ მსჯავრდებულებს ამყოფებდა.

აღნიშნულ იზოლატორში 12 წელი ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის ყოფილმა დირექტორმა თენგიზ ასანიძემაც გაატარა, რომელსაც ასლან აბაშიძე, პრეზიდენტის შეწყალების აქტის მიუხედავად, არ ათავისუფლებდა. თენგიზ ასანიძე აჭარის ყოფილმა მეთაურმა პატიმრობიდან ბათუმის რევოლუციამდე რამდენიმე დღით ადრე, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაუშვა.

თენგიზ ასანიძის ინფორმაციით, აჭარის უშიშროების იზოლატორი 11-საკნიანია და იგი 23 პატიმარზე იყო გათვლილი. მის გარდა, უშიშროების იზოლატორში ასლან აბაშიძეს დავით ასანიძე და მისი ცნობილი კრიმინალური დაჯგუფების წევრები ჰყავდა გამოკეტილი. თუმცა, ეს ჯგუფი მაშინ აბაშიძეს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად სჭირდებოდა და ამ მიზეზით არ გადაჰყავდა სასჯელის აღსრულების სხვა დაწესებულებებში. თენგიზ ასანიძის განცხადებით, სწორედ დავით ასანიძეს მიაცემინა აბაშიძემ მისი საწინააღმდეგო ჩვენება, მას შემდეგ, რაც იგი 1999 წელს პრეზიდენტმა შეიწყალა.

მისივე ინფორმაციით, ბათუმის რევოლუციის შემდეგ, ბათუმის იზოლატორში მყოფი პატიმრების ნაწილი ბათუმში, ე.წ. "ურეკის" ციხეში, ხოლო ნაწილი თბილისში გადმოიყვანეს.

*პრაიმ-ნიუსი*

# დააკავეს ლიმონათის ფალსიფიკატორები

ფინანსური პოლიციის კახეთის განყოფილებამ ჯანმრთელობისთვის საშიში ლიმონათის დამზადების ფაქტებზე სისხლის სამართლის სამი საქმე აღძრა.

ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში მცხოვრები ხვიჩა ახმედოვი, ყოფილი მასწავლებელი მაჰამედ ბადალოვი და ყვარელში მცხოვრები ჯუმბერ გაგოშვილი ლიმონათს ასხამდნენ, რომელიც ჯანმრთელობისთვის საშიში აღმოჩნდა.

ლიმონათი ყოველგვარი ნებართვის გარეშე, საკუთარ სახლებში, დაბინძურებულ გარემოში მზადდებოდა. პროდუქცია ყვარელსა და თელავში საკმაოდ დაბალ ფასებში იყიდებოდა და მას, ძირითადად, მშობლები ბავშვებისთვის ყიდულობდნენ.

ხვიჩა ახმედოვი ლიმონათებს სასმელად უვარგისი წყლისგან ამზადებდა.

ფალსიფიცირებული ლიმონათის სამივე დამამზადებელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა.

ამის გარდა, ფინანსური პოლიციის კახეთის განყოფილებამ დააჯარიმა ზესტაფონელი ბესო ფერაძე, რომელსაც სხვადასხვა სახის აღურიცხავი საქონელი გადაჰქონდა. ამასთან, გამოვლენილია საკასო-საკონტროლო აპარატების გამოუყენებლობის ათი ფაქტი. ათივე მეწარე დაჯარიმებულია.

*24 საათი*

# ფრანგული სახელმძღვანელო ღვინის სამშობლოში

*ბოლო ორი კვირაა, კახეთში ფრანგების ჯაზ-ბენდი დაიარება. მუსიკოსებმა კახეთის ყველა კუთხე-კუნჭული შემოიარეს, დინჯი კახელებიც გააოცეს და თავადაც გაოცდნენ. კონცერტები უფასოა, მუსიკალურ ნომრებს კი თან საცირკო ნომრებიც (ფოკუსები) ერთვის. ფრანგებს ქართველები უკვე უყვართ, განსაკუთრებით - კახელები. ბუნების სიმშვენიერეს და ხალხის ბუნებას ფრანგებისათვის ხაზს აქ ქართული ღვინოც უსვამს...*

შემთხვევა რომ არა, არც ეს ფრანგები ჩავიდოდნენ კახეთში და არც კახელები ეზიარებოდნენ ფრანგი "მუსიეების" წყალობით ბევრ სიახლეს. **"ბედნიერი შემთხვევა რომ არა, ჩვენ საქართველოს ვერ გადავეყრებოდით,"** - ეს იონის დეპარტამენტის გენერალური საბჭოს პრეზიდენტმა ანრი დე რენკურმა აღიარა. შემთხვევამ ქართველებს რენკური რამდენიმე წლის წინ იუნესკოს მიერ ორგანიზებულ კოლოქვიუმზე შეახვედრა. **"საქართველოს საელჩოს წარმომადგენელმა მითხრა, საქართველოში და, კერძოდ, მის ერთ-ერთ მხარეში, ისეთივე არჩევულებრივი ღვინო მოჰყავთ, როგორიც თქვენთანო და ამ მხარის ახლო გაცნობაც მირჩია,"** - განაცხადა რენკურმა.

1998 წლიდან იონის მხარემ კახეთთან მეგობრობა დაიწყო. მეგობრობა მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობაში გადაიზარდა. როგორც კახეთის გუბერნატორმა პეტრე ცისკარიშვილმა აღნიშნა, თანამშრომლობა უფრო მეტად კულტურისა და განათლების სფეროებს შეეხო. სხვადასხვა კონცერტებისა და გამოფენების გარდა, სტუდენტებისა და მეღვინეების საფრანგეთში სტაჟირებაც ხშირი იყო. ფრანგებმა კახელებს კომპიუტერებიც აჩუქეს. ახლა ურთიერთობის გაღრმავებას ფრანგები უკვე სოფლის მეურნეობის სფეროში გეგმავენ.

რენკური გუშინ ჩვენი ქვეყნის მეთაურსაც შეხვდა. სააკაშვილს მან ჟაკ შირაკისაგან მოკითხვა და აჭარის ამბების მშვიდობიანად დასრულების გამო მილოცვაც გადასცა. ამას გარდა, პრეზიდენტთან შეხვედრის დროს დე რენკურმა საქართველოში მეღვინეობით ფრანგების დაინტერესებისა და დარგის ხელშეწყობაზე ისაუბრა. ისიც აღნიშნა, რომ უახლოეს ხანში საფრანგეთიდან საქართველოში მსხვილი ინვესტიციების ჩადებას არ გამორიცხავს. გარდა ამისა, ფრანგები კახეთის დახმარებას სხვადასხვა კონკრეტული საქმეებით აპირებენ, წყლით მომარაგების თუ სანიტარული მდგომარეობის გაჯანსაღების თვალსაზრისით.

გუშინ "მეტეხი პალასში" ფრანგმა გუბერნატორმა, თავის "კახელ კოლეგა" ცისკარიშვილთან ერთად, ქართველ მეღვინეებს ენოლოგიის (მეღვინეობის) ფრანგულიდან ქართულად ნათარგმნი სახელმძღვანელო უსაჩუქრა. **"ვაზი პირველად საქართველოში, კახეთში დაიბადა,"** - პირველობა უპრეტენზიოდ დაგვითმო ფრანგმა სტუმარმა. ენოლოგიის სახელმძღვანელო კი, "შერატონში" სტუმრებმა და მასპინძლებმა ფრანგული ღვინით "დაასველეს".

*ლენა მიქაძე*

# გოცირიძეს 2005 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების კორექტირება სურს

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრების კორექტირებას აუცილებლად მიიჩნევს.

როგორც დღეს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე გოცირიძემ განაცხადა, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ზუსტად არ ასახავს.

"2005 წლის ბიუჯეტის პარამეტრები მაშინ დაიგეგმა, როდესაც ჯერ კიდევ 2004 წლის ბიუჯეტი არ იყო მიღებული და აჭარის პრობლემა არ იყო გადაწყვეტილი. ამის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ პარამეტრების სერიოზული კორექტირება უნდა განხორციელდეს," - განაცხადა გოცირიძემ.

მისივე თქმით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი არ არის გამჭვირვალე და მასში ბევრი საჭირო ცვლილებაა განსახორციელებელი.

"ფინანსთა სამინისტრომ აქტიურად უნდა იმუშაოს, რათა პარამეტრები დახვეწოს. 1 ოქტომბრამდე ბიუჯეტის პროექტი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სრულყოფილი სახით უნდა შემოვიდეს," - განაცხადა გოცირიძემ.

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები პარლამენტში აპრილში შევიდა და 1 ივლისამდე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა პარამეტრების შესახებ დასკვნა მთავრობას უნდა გაუგზავნოს. უკვე დასკვნის საფუძველზე მთავრობა 1 ოქტომბრამდე ბიუჯეტის პროექტს მოამზადებს და კვლავ პარლამენტს წარუდგენს.

*ინტერ-პრესი*

# საჯარო სამსახურის შესახებ კანონის პროექტში ცვლილებებია

საქართველოს მთავრობამ პარლამენტის შენიშვნები გაითვალისწინა და "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებათა ახალი პროექტი წარადგინა, რომლითაც საპენსიო ასაკის საჯარო მოხელეები სამსახურიდან ავტომატურად ვეღარ გათავისუფლდებიან. იუსტიციის სამინისტროს ავტორობით მომზადებული "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონპროექტის ცვლილებები გუშინ საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა განიხილა და მთავრობის მხრიდან შენიშვნების გათვალისწინებას კონსტრუქციული თანამშრომლობა უწოდა. მთავრობამ წინა კვირას კომიტეტის შენიშვნების გამო მიბრუნებული კანონპროექტი პარლამენტში ხელახლა შეიტანა. მთავრობა მხოლოდ იმ ცვლილებების დამტკიცებას მოითხოვს, რომლითაც საჯარო სამსახურის საბჭოების შექმნაა განსაზღვრული. კანონპროექტის მიხედვით, საჯარო სამსახურის საბჭო პრეზიდენტის სათათბირო ორგანოდ უნდა ჩამოყალიბდეს, რომელსაც თავად პრეზიდენტი უხელმძღვანელებს, თუმცა მისი წევრი არ იქნება. საჯარო სამსახურის საბჭოს დაქვემდებარებაში იქნება საჯარო სამსახურის ბიუროები, თავად საბჭო კი საჯარო სამსახურში არსებული დაწესებულებებისა და მასში მომუშავე მოხელეთა საქმიანობის კოორდინირებას მოახდენს.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თემურ მჟავიას განცხადებით, პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართვა აფხაზი და ოსი ხალხებისადმი სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლებებისთვის არ იყო განკუთვნილი და მას უახლოეს მომავალში "აუცილებლად მოჰყვება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მცხოვრები, რეალურად მოაზროვნე პოლიტიკოსების რეაქცია". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალ კვირას საქართველოს აშშ-ს სამთავრობო დელეგაცია ეწვევა.

როგორც პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართული შეხვედრის შემდეგ აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა ჟურნალისტებს განუცხადა, დელეგაცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იქნება და მისი ვიზიტის ერთ-ერთ მიზანს საქართველოსა და ამერიკას შორის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება-განმტკიცება წარმოადგენს. მაილსის თქმით, სააკაშვილთან შეხვედრაზე ის საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მოსკოვში გამართული ამასწინანდელი ვიზიტით დაინტერესდა და, გარდა ამისა, ზაფხულში ბათუმში დაგეგმილ სუუამ-ის სამიტზე ისაუბრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელ განცხადებას აფხაზებისთვის მეგობრული ხელის გაწვდის შესახებ, გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ქიშმარიამ შემდეგი კომენტარით უპასუხა: "აფხაზი ხალხი მუდამ მზად იყო მეგობრობისთვის, მაგრამ აფხაზმა ხალხმა უკვე გააკეთა თავისი არჩევანი, მას მიღებული აქვს საკუთარი კონსტიტუცია, არჩეული ჰყავს საკუთარი პრეზიდენტი და საუბარი შეიძლება შეეხოს მხოლოდ ორი თანაბარუფლებიანი სახელმწიფოს ურთიერთობას და არა აფხაზეთს, როგორც საქართველოს შემადგენლობაში შემავალ სუბიექტს". კითხვაზე, როგორ შეაფასებს მიხეილ სააკაშვილის გუშინდელ აფხაზურენოვან მიმართვას, რუსლან ქიშმარიამ უპასუხა: "როგორც ვიცი, სააკაშვილი ძალიან ბევრ ენაზე საუბრობს, ასე რომ, შექების გარდა, სხვა არაფერი მეთქმის". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდში გუშინ პოლიტიკური გაერთიანება "თავისუფლების" ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟი კონსტანტინე გამსახურდია ჩავიდა. მან ზუგდიდის ცენტრში ზვიად გამსახურდიას ძეგლი ყვავილებით შეამკო, რის შემდეგ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე "საქართველო და გეორგიანობა".

კოკო გამსახურდიას მტკიცებით, 26 მაისი არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, არამედ პირველი რესპუბლიკის გამოცხადების დღეა, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღედ კი მას 9 აპრილი მიაჩნია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს გუშინ გერმანელმა სტუმრებმა საქართველოს კონტროლის პალატის მხარდასაჭერი პროექტი წარუდგინეს, რომელიც კონტროლის პალატის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ითვალისწინებს. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, კონტროლის პალატის არარსებობა საბიუჯეტო დანაკარგების გაზრდას უწყობს ხელს, რადგანაც პალატის თავმჯდომარის არყოფნის გამო, იანვრიდან არც ერთი რევიზია-შემოწმება არ ჩატარებულა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთში არსებული ვითარების რეალურად შეფასებისაკენ და სოხუმის ხელისუფლების წინააღმდეგ საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული ძალის დემონსტრირებისა და ეკონომიკური ბერკეტების სრულად ამოქმედებისაკენ მოუწოდებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარ კობა დავითაშვილის განცხადებით, პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა 2001 წელს საქართველოს მიმართ რუსეთის ვალების ჩამოწერით (ე. წ. ნულოვანი ვარიანტი) პარლამენტი შეცდომაში შეიყვანეს. დავითაშვილის თქმით, პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი პარლამენტში ნულოვანი ვარიანტის რატიფიცირებისას დეპუტატებს არწმუნებდნენ, რომ ნულოვანი ვარიანტის მიღება მხოლოდ საქართველოს რუსეთის მიმართ არსებული ვალების რესტრუქტურიზაციისთვის კეთდებოდა. „აგვიხსნან, რატომ ითხოვს რუსეთი დამატებით 50 მლნ აშშ დოლარის ჩამოწერას, ან ახსნან, რატომ მოატყუეს მაშინ საზოგადოება“, — აცხადებს დავითაშვილი. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი ისტორიკოსები აბსურდულს უწოდებენ სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებას, თითქოს იგი ბაგრატიონების სამეფო ოჯახის ერთ-ერთი დამფუძნებლის — ბაგრატ შამბას შთამომავალია და საქართველოს ხელისუფლება "ვიდრე სახელმწიფოს გერბად სახეშეცვლილ ბაგრატოვანთა საგვარეულო გერბს დაამტკიცებს, ქართულმა მხარემ თანხმობა მისგან უნდა მიიღოს.„შამბა ბაგრატიონების შთამომავალი ვერ იქნება“, — აცხადებს ისტორიკოსი, თსუ პროფესორი დავით ნინიძე და დასძენს, რომ მისთვის აღნიშნული ინფორმაცია ვერსიის სახითაც კი უცნობია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** უკვე მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, საპარლამენტო მდივანი მთავრობასაც ეყოლება. საპარლამენტო მდივნებს შორის უფლებამოსილებათა გასამიჯნად საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტში "საპარლამენტო მდივნის შესახებ" ახალი კანონპროექტი შევიდა, რომელიც დღეს საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა განიხილა. კომიტეტის მოთხოვნით, საპარლამენტო მდივნის ხელფასის განსაზღვრა არ უნდა იყოს მიბმული პარლამენტარის ხელფასზე. დღეს საპარლამენტო მდივნების ხელფასი დეპუტატის ხელფასის მიხედვით განისაზღვრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აფხაზებისა და ოსებისადმი მათ მშობლიურ ენაზე მიმართვით იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ იგი დაპირისპირებულ მხარედ აღარ ფიგურებს. ერთ-ერთი პირველი, ვინც აფხაზებს მათ მშობლიურ ენაზე მიმართა, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო, ამჟამად კი სააკაშვილმა გადაწყვიტა, რომ აფხაზებისა და ოსების ინტერესების მატარებელ ადამიანად წარდგენილიყო საქართველოს წინაშე, განაცხადა პოლიტოლოგმა. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# „ფულს სიჩუმე უყვარს"

## რუსი ინვესტორები საქართველოში მოდიან

გუშინ რუსეთის ბიზნეს-ელიტის წარმომადგენლობითი დელეგაცია რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრის გერმან გრეფისა და საქართველო-რუსეთის საქმიანი წრეების ასოციაციის სამეურვეო საბჭოსა და რუსეთის კომპანია "სამრეწველო ინვესტორების" პრეზიდენტის სერგეი გენერალოვის ხელმძღვანელობით თბილისს ეწვია. ამ ვიზიტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, რუსეთ-საქართველოს საქმიანი წრეების საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ნუგზარ ფიფიამ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ საქართველოს ეკონომიკაში მსხვილი კაპიტალის მოზიდვა მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში მომუშავე ქართველი ბიზნესმენების სურვილიც იყო. **"საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის დროს ჩვენთან შეხვედრაზე ბატონმა მიხეილმა დიდი დაინტერესება გამოთქვა რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენებისადმი. სერგეი გენერალოვთან საუბარში სააკაშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ კარგი იქნებოდა, თუკი რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები საქართველოსთვისაც გაირჯებიან,"** – დასძინა ნუგზარ ფიფიამ.

საქართველო-რუსეთის საქმიანი წრეების ასოციაცია 16 აპრილს დაფუძნდა მოსკოვში და მის რიგებს პერიოდულად ემატებიან რუსეთის ბიზნეს წრეების აქტიური წარმომადგენლები, ფინანსური და სამრეწველო კომპანიები.

**"რუსეთის სამრეწველო-სავაჭრო პალატის თავმჯდომარესთან, ევგენი პრიმაკოვთან შეხვედრისას რუსმა ბიზნესმენებმა გამოთქვეს მზადყოფნა, სიტყვიდან პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ. ვფიქრობთ, რომ რუსი ბიზნესმენების საქართველოში პირველი ოფიციალური, წარმომადგენლობითი ვიზიტით საფუძველი ჩაეყრება ორ ქვეყანას შორის ცივილიზებულ, ურთიერთგაგებაზე დამყარებულ ურთიერთობებს,"** - აცხადებს ნუგზარ ფიფია.

რუსი ბიზნესმენები რომ დაყოვნებას არ აპირებენ, ამაზე მეტყველებს ერთი ასეთი მაგალითი - კომპანია "ინტერხიმპრომის" პრეზიდენტის ბორის ტიტოვის მიერ საქართველოს პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილი წერილი, აფხაზეთში გაზის გამათხევადებელი ქარხნის მშენებლობის იდეაზე, რომლის პროდუქციაც ზღვით რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში გაიგზავნება.

"24 საათთან" საუბარში კომპანია "სამრეწველო ინვესტორების" პრეზიდენტმა სერგეი გენერალოვმა განაცხადა: **"სანამ შორს მყოფი უცხოელი ინვესტორები ფიქრობენ და ბჭობენ, დააბანდონ თუ არა საქართველოში, რუსები საქმეს აკეთებენ. სანამ ამერიკა ან ევროპა კაპიტალდაბანდებებზე ყოყმანობს, ჩვენ თამამად მოვდივართ საქართველოს ეკონომიკაში. ჩვენ არ გვაფრთხობს პოლიტიკური სტაბილურობის პრობლემა, რადგანაც საქართველოს ხელისუფლება დღეს ყველაფერს აკეთებს ქვეყანაში სახარბიელო საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად, წესრიგის აღსადგენად, საქართველოში ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. სანამ სხვები მხოლოდ ხმაურიან განცხადებებს აკეთებენ საქართველოს მრეწველობის სხვადასხვა დარგების აღდგენაზე, ჩვენ უკვე მზა საქმიანი პროექტებით მოვდივართ. ფულს სიჩუმე უყვარს".**


მიხეილ სააკაშვილი, სერგეი გენერალოვი და ნუგზარ ფიფია.

აი, იმ რუსული კომპანიებისა და ფინანსური ჯგუფების მოკლე სია, ვინც თბილისის პირველ ბიზნესფორუმში მონაწილეობას აპირებს: ალექსანდრ შოხინის "რენესანს კაპიტალი", დავით იაკობაშვილის "ვიმ ბილ დამი", "იტერა" და თეიმურაზ ხიზანიშვილის "რუსინვესტვოსტოკი", ტიმურ ტიმურბულატოვის სამშენებლო კომპანია "კონტი", ზაურ შეროზიას "მრავალპროფილიანი სამშენებლო საწარმო", რომან ფიფიას "ოლიმპინვესტი", ბორის ტიტოვის "ინტერხიმპრომი", თამაზ სომხიშვილის "როსნეფტექსპორტი"(ლუკოილი) და სხვები. საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული ასოციაციის დამფუძნებლებიდან 20 ქართველი ბიზნესმენია.

# ამერიკა ქართული ჯარის "სპონსორობას" განაგრძობს

*საქართველოში ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი აცხადებს, რომ სამხედრო სფეროში საქართველოსთვის დახმარების გაწევა "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" დასრულების შემდეგაც გაგრძელდება. საელჩოში ჟურნალისტებთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე ამერიკელმა დიპლომატმა, "თავდაცვის თანამშრომლობის საქართველოს ოფისის" ხელმძღვანელ დაგ პეტერსონთან ერთად, იმ კონკრეტულ პროგრამებზე ისაუბრა, რომლის განხორციელებაც ამჟამად მიმდინარეობს ან ახლო მომავალში დაიწყება.*

გიორგი ასანიშვილი

ამერიკელების დახმარება, ძირითადად, "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" ფარგლებში მომზადებულ სამხედრო ძალების შემდგომ სრულყოფას ისახავს მიზნად. ასევე ნავარაუდევია დახმარების გაწევა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეფორმირებისა და რესტრუქტურიზაციის განხორციელებაში, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ამერიკული და დასავლური სტანდარტების, სისტემებისა და დოქტრინის დანერგვის გზაზე.

უსაფრთხოების სფეროში საქართველოსთვის დახმარების პროგრამა - ასე ჰქვია პირობითად იმ "ქოლგას", რომლის ქვეშაც რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაა ნავარაუდევი. ეს პროექტებია: "საგარეო სამხედრო უწყების დაფინანსება"; "საერთაშორისო სამხედრო განათლება და მომზადება"; "სამშვიდობო ოპერაციების ფონდი"; "მრავალდანიშნულებიან ვერტმფრენ "UH-1"-ის პროგრამა"; "ჰუმანიტარული დახმარება" და სხვა.

ამ პროექტებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია "საგარეო სამხედრო უწყების დაფინანსების" პროგრამა, რომელსაც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აფინანსებს და პენტაგონის პატრონაჟით განხორციელდება. ეს პროგრამა 12 მილიონი დოლარის "ღირებულებისაა" და გულისხმობს სამხედრო აპარატურის შეძენას, ტრენინგებს და ა.შ. გარდა ამისა, 2004 წელს, ამ პროგრამის ფარგლებში, რვა მობილური ჯგუფი მე-11 ბრიგადის შტაბსა და დამხმარე დანაყოფებს მოამზადებს.

"საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და მომზადების პროგრამამ" კი (1,3 მილიონი დოლარი) უნდა უზრუნველყოს აშშ-ს სამხედრო ბაზებში საქართველოს სამხედრო პერსონალისთვის პროფესიული კურსების მოწყობა და წვრთნების ჩატარება. ამასთან დაკავშირებით, რიჩარდ მაილსი და დაგ პეტერსონი აღნიშნავენ, რომ შეერთებული შტატების დახმარებით, ოკეანისგაღმა დღემდე უკვე მომზადდა 120-ზე მეტი სამხედრო და სამოქალაქო პირი, როგორც ინგლისური ენის, ასევე პროფესიულ სამხედრო კურსებზე. "საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და მომზადების პროგრამა" ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ ქართული პერსონალის ადგილზე (საქართველოში) მომზადებასაც ითვალისწინებს.

"სამშვიდობო ოპერაციების ფონდი" (სამი მილიონი დოლარი) ერაყისა და კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე ქართული დანაყოფების ტექნიკურ უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ ერაყის სამხედრო ოპერაციაში მონაწილე ქართული დანაყოფებისთვის აშშ-ს საელჩოს "თავდაცვის თანამშრომლობის ოფისმა" 2003 წლის აგვისტოში შეიძინა 320 ათასი დოლარის ღირებულების სამხედრო ფორმები, საველე აღჭურვილობა, ჩაფხუტები და ჯავშანჟილეტები, მიმდინარე წელს კი "სამშვიდობო ოპერაციების ფონდი" ორ მილიონ დოლარს გამოყოფს ერაყში მყოფი ორი ქართული ბატალიონის აღჭურვისთვის, აგრეთვე, სამხედრო ტექნიკისა და ფორმების განახლებისთვის.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

რიჩარდ მაილსი ამერიკა-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის გაგრძელებას უეჭველად მიიჩნევს.

სამხედრო ხასიათის დახმარების პარალელურად, ამერიკელები საქართველოში ჰუმანიტარული "განხრითაც მუშაობენ". მასმედიის წარმომადგენლებთან გუშინდელი შეხვედრის დროს ამერიკის ელჩმა აღნიშნა, რომ მიმდინარე პროექტები ითვალისწინებს თბილისში, დიღმის მიუსაფარ ბავშვთა სახლისთვის დამატებითი საერთო საცხოვრებლისა და საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობას, ასევე გათვალისწინებულია სათემო სახლის მშენებლობა გრემში.

რიჩარდ მაილსი ადასტურებს, რომ ამერიკის მიერ გაწეული სამხედრო დახმარების მოცულობით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის საქართველო პირველ ადგილზეა და ოფიციალური ვაშინგტონის მხრიდან ჩვენი ქვეყნის მიმართ გამოხატული რეგიონული პრიორიტეტი მომავალშიც შენარჩუნდება.

# ვაზიანის პოლიგონზე ნაღმები ისევ რჩება

პირველი გვერდიდან

"24 საათმა" თავდაცვის სამინისტროსთან დაახლოებული წყაროსაგან შეიტყო, რომ ვაზიანის პოლიგონის გაწმენდის პროგრამა, ფაქტობრივად, არ დაწყებულა და, შესაძლოა, აღარც განხორციელდეს. საქმე ისაა, რომ "პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის" ფარგლებში განხორციელებული ყველა პროექტი ორ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: პირველი, მისი მეშვეობით არ უნდა მოხდეს პარტნიორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების გაზრდა და მეორე, შეიარაღების უტილიზაციის შემთხვევაში, ის არეალი ან შენობა-ნაგებობი, სადაც პროექტი განხორციელდა, მომავალში მხოლოდ სამოქალაქო მიზნებით უნდა იქნეს გამოყენებული.

ვაზიანში ნატო-ს გაწმენდის პროგრამის რეალიზება იმას ნიშნავს, რომ საქართველოს იქ არსებული სამხედრო პოლიგონის გაუქმება მოუწევს. სამწუხაროდ, ქართულ მხარეს ნატო-სთან ხელშეკრულების გაფორმებისას ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი მხედველობიდან "გამორჩა". საქართველოს ხელისუფლებასა და ექსპერტებს შორის, ფაქტობრივად, კონსენსუსი არსებობს იმის თაობაზე, რომ ვაზიანის პოლიგონს ჩვენი შეიარაღებული ძალებისთვის უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს და მისი გაუქმება არ შეიძლება. სწორედ ამ ბაზაზე განხორციელდა ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის" ნაწილი და ცოტა ხნის წინ იქ ამერიკელმა და ბრიტანელმა ინსტრუქტორებმა ახალი პროგრამები დაიწყეს.

საქართველოს წინა ხელისუფლება ისე დათანხმდა ვაზიანის გაწმენდის პროექტის გახორციელებას (ინიციატივა ვაზიანის გაწმენდის შესახებ სწორედ ქართული მხარისგან მოდიოდა), რომ პირობებს სათანადოდ არც გასცნობია. თუმცა, ვითარება დიდად არც მას შემდეგ შეცვლილა, რაც გაირკვა, რომ საქართველოს მიერ ნატო-სთან გაფორმებული და პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულება, ნატო-ს "პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის" მოქმედების ძირეულ პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოდის.

ლუქსემბურგის დელეგაცია ნატო-ში (იგი პროექტის კურატორია) და საქართველოს პროექტის ყველა დონორი ქვეყანა სპეციალური შეხვედრის გამართვასაც აპირებს ივნისის დასაწყისში, რათა აღნიშნული საკითხი განიხილონ.

აღსანიშნავია, რომ უტილიზაციისა და დემილიტარიზაციის პროგრამა ნატო-სთვის ამ ტიპის პირველი პროექტია საქართველოში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მათ კარგად უწყიან ამ პრობლემის შესახებ. განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის სამმართველოს უფროსმა ალექსანდრე მაისურაძემ აღნიშნა, რომ **"ალტერნატივები მზადდება და, სავარაუდოდ, დონორებს წარედგინება"**, თუმცა დანამდვილებით ვერ თქვა, როდის.

ვაზიანის გაწმენდა 1 აპრილიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ წარმოქმნილი პრობლემების გამო, დროებით შეჩერებულია. სამაგიეროდ, პროექტის მეორე, დემილიტარიზაციის ნაწილი საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს.

გარდა იმისა, რომ ამ პროექტის ჩავარდნა ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტს არაფერს შემატებს, ვაზიანის პოლიგონზე და მის გარშემო უპატრონოდ მიტოვებული ნაღმების პრობლემა კვლავ მოუგვარებელი დარჩება, რაც ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია.

ალექსანდრე მაისურაძის თქმით, **"ნატო-სა და საქართველოს ურთიერთობებში არანაირი ბზარი არ არის"** და თუ ეს პროექტი გაუქმდა, მაშინ საქართველო სხვა პარტნიორი ორგანიზაციების და ცალკეული სახელმწიფოების მოძებნას შეეცდება, რათა ვაზიანის ბაზა გაიწმინდოს. მან ამ პოლიგონის საქართველოს ძალებით გაწმენდის შესაძლებლობაც არ გამორიცხა, **"თუ შესაბამისი დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიძებნება"**.

პარტნიორები კი, სავარაუდოდ, იგივე სახელმწიფოები უნდა იყვნენ, რომლებიც ნატო-ს პროგრამას აფინანსებენ. მათ ხელახლა დარწმუნებას გარკვეული დრო დასჭირდება, ჩვენი ძალებით ვაზიანის ბაზის გაწმენდას კი - მნიშვნელოვანი ფინანსები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შესაბამისი კვალიფიკაციისა და რაოდენობის სპეციალისტები, რაც ასევე დროში გაწელილი პროცესია. სანამ საქართველო ბიუროკრატიული "გაუგებრობის" გამო, ვითარების გარკვევას შეძლებს, მანამ ვაზიანის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასა და პოლიგონზე მომსახურე სამხედროებს ისევ ღმერთის იმედად მოუწევთ ყოფნა.




# "თეც"-ში გაფიცვაა

ნიკა მარიამიძე

"თეც"-ში გაფიცვაა – სადგურის თანამშრომლები სახელფასო დავალიანების დაფარვას და სადგურის ამოქმედებას მოითხოვენ. "მეორე წელია, სადგურის 60 თანამშრომელი უხელფასო შვებულებაშია, ახლა კი გვითხრეს, რომ სადგურის სხვა თანამშრომლებსაც დაითხოვენ. კიდევ 50 კვალიფიციური ადამიანი სამსახურის გარეშე დარჩება. "იტერა-ჯორჯიას" მათთვის 9 თვეა, ხელფასი არ გადაუხდია. არადა, ეს ვალდებულება მას ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი," – აცხადებს "თეც"-ის პროფკავშირების თავმჯდომარე ოთარ ხარაზიშვილი.

როგორც ირკვევა, სადგურის პერსონალის ხელფასებთან ერთად, "იტერა-ჯორჯიას" "თეც"-ის ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი კიდევ ერთი ვალდებულების – სადგურის ინვესტირების პირობის შესრულებაც "დაავიწყდა". დღეს "საქგაზში" აცხადებენ, რომ მათ ეს ვალდებულება არც არასოდეს ჰქონიათ.

"თეცი", იგივე თბილისის თბოელექტროცენტრალი, რომელსაც ერთ დროს დედაქალაქის ცხელი წყლით მომარაგებისა და გათბობის საქმე "ებარა", ახლა "იტერა-ჯორჯიას" საკუთრებაა. ეს უკანასკნელი სადგურს თავის 100-პროცენტიანი შვილობილის - "საქგაზის" მეშვეობით ფლობს.

მას შემდეგ, რაც "იტერას" შვილობილის საკუთრება გახდა, "თეც"-ს აღარ უმუშავია. "საქგაზის" განზრახვა იყო, აემუშავებინა "თეც"-ი და ცხელი წყლითა და გათბობით უზრუნველეყო თბილის "სიტი" – დედაქალაქის ცენტრში განლაგებული სახელმწიფო უწყებები (რის ხარჯებსაც ბიუჯეტიდან მიიღებდა) და შეძლებული კერძო მომხმარებლები, რომლებიც კარგად დავიწყებული კომფორტის გახსენებისთვის თანხას არ დაიშურებდნენ.

სქემა, ერთი შეხედვით, კარგად იყო შედგენილი: "იტერა" საკუთარი გაზით აამუშავებდა "თეც"-ის მოძველებულ, არარენტაბელურ ენერგობლოკებს (საერთო სიმძლავრით – 18 მეგავატი), გამომუშავებული ენერგიით გაათბობდა წყალს, ხოლო გათბობისა და ცხელი წყლის საფასურით დანახარჯებსაც გადაფარავდა და მოგებაში დარჩებოდა.

მიუხედავად ამ გათვლებისა, სქემამ არ იმუშავა. "იტერას" "წილში" ჯერ გაზის ტრანსპორტირების კომპანია "ჩაუჯდა", რომელსაც რუსეთის საზღვრიდან დედაქალაქამდე გაზის ტრანსპორტირების საფასური უნდა მიეღო, მერე კი – "თბილგაზი", რომელსაც თავისი მილებით გაზის "თეც"-ამდე მიტანა უნდა უზრუნველეყო. კანცელარიამ, პარლამენტმა და სხვა საბიუჯეტო დაწესებულებებმა, ტრადიციულად, ცხელი წყლისა და გათბობის საფასურის გადახდა დააგვიანეს. "სიტიში" განლაგებული კომერციული ორგანიზაციების მიერ კომფორტისთვის გაღებული თანხები კი სადგურის რენტაბელობის "ამოსაქაჩად" საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომაც, "თბილგაზმა" სადგური დაივიწყა თავისი თანამშრომლებიანად, რომელთა ხელფასებიც დღემდე გაუსტუმრებელია.

დავიწყებულ სადგურს ერთი ფუნქცია მაინც შერჩა – საქმე ისაა, რომ ის, პარალელურად, "თელასის" ქვესადგურის ფუნქციასაც ასრულებს და ჩუღურეთის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიით ამარაგებს.

სწორედ ამ ფუნქციის მოშლით იმუქრებიან ახლა "თეც"-ის განაწყენებული თანამშრომლები, რომლებიც გუშინ გაიფიცნენ. გაფიცვა მანამდე გასტანს, სანამ ისინი "თბილგაზის" ხელმძღვანელობისგან საკუთარ ხელფასთან დაკავშირებით "კონკრეტულ პასუხებს" არ მიიღებენ. არადა, მათი თქმით, "საქგაზი" იტყუება: **"მათ შეგნებულად გააქრეს ოქმი, რომელიც ადასტურებდა, რომ "თეც"-ის თანამშრომლების ხელფასი არ უნდა დაბეგრილიყო. ახლა "თბილგაზის" ხელმძღვანელები გვეუბნებიან, რომ რადგან ოქმი დაკარგულია, 9 თვის დავალიანება დაუბეგრავი ხელფასების ოდენობაში უნდა გაიქვითოს,"** – აცხადებს ხარაზიშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს კიდევ ერთი „მევალე" გამოუჩნდა — ადგილობრივი პროფკავშირები. როგორც მეტალურგიისა და სამთო მრეწველობის დარგობრივი პროფკავშირების თავმჯდომარე მერაბ ჟურული აცხადებს, კომბინატს მათი ორგანიზაციის 53 ათასი დოლარი მართებს. ეს ის თანხაა, რომელსაც საწარმოს მუშა-მოსამსახურეები საწევროს სახით იხდიდნენ, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე არ მიდიოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის ინფორმაციით, სასტუმრო "ივერიით" თურქი ინვესტორები დაინტერესდნენ. ისინი სასტუმროდან დევნილთა გაყვანას და "ივერიისთვის" სასტუმროს ფუნქციის დაბრუნებას აპირებენ. დედაქალაქის მერის თქმით, ინვესტორებს "ივერია" მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაეცემა, თუკი ისინი იქ შესახლებულ დევნილებს საცხოვრებელი ფართით დააკმაყოფილებენ. პოტენციურ ინვესტორებს, ჯერჯერობით, კონკრეტული პროექტი არ წარმოუდგენიათ. სასტუმრო "ივერიისთვის" თავდაპირველი ფუნქციის დაბრუნების შესახებ განცხადება პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა. **მედია-ნიუსი**

# "რუსული რეგისტრი" ქართული საწარმოებით ინტერესდება

*გუშინ, რუსი ბიზნესმენების ვიზიტამდე ერთი დღით ადრე, დედქალაქში რუსეთის სერთიფიკაციის ასოციაციის "რუსული რეგისტრის" ფილიალი გაიხსნა. "რუსულ რეგისტრს" საკუთარი წარმომადგენლობა საქართველოში თბილისამდე რამდენიმე წლით ადრე ბათუმში ჰქონდა გახსნილი. მის მიერ გაცემულ ხარისხის მართვის სერტიფიკატს უკვე 15 ქართული კომპანია ფლობს.*

ფოთის პორტი, საზღვაო აკადემია, საქართველოს საზღვაო-სანაოსნო კომპანია, ბათუმის პორტი, შპს "ნორმა" - ეს ის საწარმოებია, რომლებმაც "რუსული რეგისტრის" სერტიფიკატი საქართველოში ერთ-ერთმა პირველებმა მიიღეს. როგორც "რუსული რეგისტრის " წარმომადგენლებმა განაცხადეს, მათ უკვე 20-მდე პოტენციური კლიენტი ჰყავთ, მათ შორის - "თელასი", "კოკა-კოლა", "თბილღვინო" და სხვები.

სერთიფიკაციის ასოციაციაში ირწმუნებიან, რომ მათ მიერ გაცემული სერთიფიკატი ნებისმიერ საწარმოს საერთაშორისო ბაზარზე გასვლისათვის ხელფეხს უხსნის და ამ ბაზარზე ადგილის დამკვიდრებაში ეხმარება.

რუსულ კომპანიაში აცხადებენ, რომ მათი მომსახურება ნებაყოფლობითია და არც ერთ საწარმოს "რუსული რეგისტრის" სერტიფიკატის ქონას არ ავალდებულებს, თუმცა მათ მიერ შემოთავაზებული წინადადებები საწარმოებისთვის ერთობ "მაცდურია". **"იმ საწარმოს, რომელიც ჩვენს სერტიფიკატს მიიღებს, აქვს სერიოზული შანსები, რომ უცხოური ინვესტიციები მოიზიდოს და მისი პროდუქციის გასაღების ბაზარი ბევრი ევროპული ქვეყანა გახდეს. ამის გარდა, იგი საერთაშორისო რეესტრში მოხვდება, რაც ხელს შეუწყობს ამ საწარმოს საერთაშორისო აუდიტორიისთვის გაცნობას,"** - განაცხადა ასოციაციის თავმჯდომარემ არკადი ვლადიმირცევმა.

ასოციაციის ქართული ფილიალი ამიერკავკასიის საწარმოებისთვის, ძირითადად, 3 მიმართულებით იმუშავებს: შეამოწმებს საწარმოს მართვის სისტემებს, გაუწევს კონსულტაციებს და მოამზადებს მის თანამშრომლებს. **"ჩვენი მომსახურება ნებაყოფლობითი და, ამავე დროს, საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაცაა,"** - განაცხადეს ასოციაციაში.



*"რუსული რეგისტრის" წინადადებები საწარმოებისთვის ერთობ "მაცდურია".*

როგორც თბილისის ოფისის ხელმძღვანელმა გურამ ფერიშვილმა თბილისის ფილიალის პრეზენტაციაზე აღნიშნა, ხსენებული პროექტი ინვესტიციების მოზიდვას და უცხოეთის ბაზარზე პოზიციების დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. **"ასეთი სერთიფიკატის არსებობის შემთხვევაში თქვენ, როგორც პარტნიორს, უფრო გენდობიან. იქიდან გამომდინარე, რომ ეს მსოფლიოში აღიარებული ორგანიზაციაა, მის მიერ გაცემული სერთიფიკატი საწარმოების კომპეტენტურობას და პერსპექტიულობას ადასტურებს,"** – განაცხადა ფერიშვილმა.

ცნობისათვის, ასოციაციამ, რომელიც 1913 წლიდან ფუნქციონირებს, რუსეთში, დსთ-ს ქვეყნებში, ახლო თუ შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში, მრეწველობისა და ეკონომიკის სხვა დარგების წარმოების ხარისხის მართვა-ორგანიზაციის სფეროში, უკვე შვიდასზე მეტი საწარმოს სერთიფიკაცია ჩაატარა.

*24 საათი*

# პარიზის კლუბში რუსეთის მხარდაჭერა საქართველოს 50 მილიონი დოლარი დაუჯდება

პირველი გვერდიდან

ოფიციალური ინფორმაციით კი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს სხდომა იმის გამო გადაიდო, რომ რუსეთმა სავალუტო ფონდში ე.წ. ფინანსური რწმუნებულებები არ წარადგინა. ფინანსური რწმუნებულებების გადაცემით რუსეთი აღიარებდა, რომ საქართველოსთან ყველაფერი გარკვეულია და "პარიზის კლუბში" საქართველოს რუსეთისგან პრობლემები არ შეექმნება.

ფაქტი სახეზეა, სსფ-ს დირექტორთა საბჭოს დაგეგმილი სხდომა არ გაიმართა, რამაც საქართველოს დახმარების ახალი პროგრამის განხილვის გაურკვეველი დროით გადადება გამოიწვია. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე სხდომის გადადების მიზეზად რუსეთთან შეუთანხმებლობას ასახელებს. ამიტომ, მისი მტკიცებით, პარიზის კლუბში საქართველოს საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის რუსეთთან გარკვეული შეთანხმებების მიღწევა აუცილებელია. "გარკვეული შეთანხმებების" მიღწევის საფასური რუსეთმა საქართველოს უკვე განუსაზღვრა. საქმე ისაა, რომ რუსეთი საქართველოს "ვნეშეკონომბანკში" 50 მლნ დოლარის აქტივის დათმობას სთხოვს, სანაცვლოდ კი პარიზის კლუბში მხარდაჭერას ჰპირდება. პარლამენტარ ლადო პაპავას განცხადებით, 3 წლის წინ "ნულოვანი ვარიანტის" რატიფიცირებისას, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რჩევითა და გარკვეული ზეწოლით მოხდა, "ალმასის ფონდისა" და "ვნეშნეკონომბანკის" საკითხი დღის წესრიგში არ იდგა. პაპავას თქმით, ქართულმა მხარემ დადო პირობა, რომ რუსეთს "ვნეშეკონომბანკში" არსებულ 50 მილიონ დოლარზე არავინ გამოედავება. მისივე განმარტებით, ის იურიდიული პირები, რომლებსაც "ვნეშეკონომბანკში" კაპიტალი ჰქონდათ, დღეს აღარ არსებობენ. ასეთი იურიდიული პირების არსებობის შემთხვევაში კი, საქართველოს ხელისუფლებას აღნიშნული თანხის გადახდა მათთვის თავად მოუწევდა. პაპავას თქმით, ამჯერად რუსეთმა საკუთარი გარანტიების დაცვა დამატებით მოითხოვა. მისი მტკიცებით, რუსეთს "ვნეშეკონომბანკში" ქართული წილის მოთხოვნის სამართლებრივი უფლება გააჩნია.

შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე საქართველოს საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით, რასაც პროგრამის აღდგენა და პარიზის კლუბში ქვეყნის ვალების რესტრუქტურიზაციისთვის ფონდის მხარდაჭერა უნდა მოჰყოლოდა, პარლამენტმა დაჩქარებულ რეჟიმში დაამტკიცა 2004 წლის ბიუჯეტი. როგორც მთავრობა ირწმუნებოდა, პროგრამის აღდგენისთვის ბიუჯეტის დამტკიცება საკმარისი პირობა იქნებოდა. ახლა ირკვევა, რომ პროგრამის აღდგენა რუსეთზეცაა დამოკიდებული. გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტში მზადდება დოკუმენტი ახალ "ნულოვან ვარიანტზე", რომლის მიხედვითაც, საქართველო აღნიშნულ წილზე უარს განაცხადებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარიზის კლუბში რუსეთი საქართველოს ვალების გადავადებას მხარს არ დაუჭერს.



# ალ-ქაიდა: რეალური საფრთხე თუ საარჩევნო ტრიუკი?

პირველი გვერდიდან

ჯონ ეშკროფტის აღნიშნულ გამოსვლასთან დაკავშირებით, პირველი სკეპტიკური განცხადება ჯორჯ ბუშის მეტოქემ და საპრეზიდენტო არჩევნებზე დემოკრატების ფავორიტმა ჯონ კერიმ გააკეთა. კერის თქმით, ეროვნული უსაფრთხოების საკითხები წინასაარჩევნო რიტორიკის თემად არ უნდა გადაიქცეს.

**"ჩვენ ვიმსახურებთ ისეთ პრეზიდენტს, რომელიც არ შეეცდება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებით ისარგებლოს, რათა მისი სახელი გაზეთებში მოხვდეს. ჩვენ ვიმსახურებთ პრეზიდენტს, რომელიც აშშ-ს უსაფრთხო ქვეყნად აქცევს,"** - განაცხადა ჯონ კერიმ.

კერის მხარი დაუჭირა სენატის დაზვერვის კომიტეტის წევრმა, დემოკრატმა დიკ დურბინმა. მისი თქმით, ბუშის ადმინისტრაციის აღნიშნული განცხადება დაეჭვებას იმსახურებს.

**"ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, გააჩნია თუ არა ადმინისტრაციას გადამოწმებული და დაზუსტებული ინფორმაცია ასეთი გაფრთხილებების გასაკეთებლად,"** - განაცხადა დიკ დურბინმა.

დემოკრატთა ასეთ დაეჭვებას კი თეთრი სახლის წარმომადგენელმა სკოტ მაკლელანმა გასცა პასუხი. მან ადმინისტრაციის გაფრთხილება დაადასტურა და აღნიშნა, რომ ხელისუფლება საფრთხეს არ აზვიადებს.

ჯონ ეშკროფტი კი საზოგადოების წინაშე საკმაოდ კონკრეტული გაფრთხილებით და დეტალური ინფორმაციით წარსდგა. მან დააკონკრეტა, რომ "ალ-ქაიდა" უახლოეს თვეებში ტერაქტების სერიას გეგმავს. გარდა ამისა, მან ტერაქტების მომწყობი პიროვნებებიც დაასახელა. საუბარია შვიდ ადამიანზე, რომლებიც "ალ-ქიადასთან" კავშირში არიან მხილებულნი. მათი ფოტოები უკვე გამოქვეყნებულია და დაგზავნილია მსოფლიოს მასშტაბით.

იუსტიციის მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ "ალ-ქაიდამ" ტაქტიკა შეცვალა და მისი წევრები ამჟერად თავს ევროპელებად ასაღებენ, რათა თავდასხმების განხორციელება გაიადვილონ.



გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფი მიულერი ახალ საფრთხეზე საუბრობს.

იუსტიციის მინისტრთან ერთად, "ალ-ქაიდას"-გან მომავალი საფრთხე გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა რობერტ მიულერმაც დაადასტურა. მათ ამის თაობაზე ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

ეშკროფტის განცხადებამდე კი მთელმა რიგმა ამერიკული მედიის საშუალებებმა, სადაზვერვო ინფორმაციაზე დაყრდნობით, მასალები გამოაქვეყნა. მასში ნათქვამია, რომ ბინ ლადენის ტერორისტების არმია გრანდიოზული დარტყმის საშუალებით აპირებს, ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე გავლენა მოახდინოს.

პირველმა ასეთი ცნობა საინფორმაციო სააგენტო "ასოშეიტედ პრესმა" გაავრცელა. სააგენტო სადაზვერვო თანამეგობრობის ანონიმი წარმომადგენლის სიტყვებს დაეყრდნო. ინკოგნიტო მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ ბოლოდროინდელ სადაზვერვო ინფორმაციებს პროფესიონალი მზვერავები და ანალიტიკოსები საკმაოდ სარწმუნოდ მიიჩნევენ.

შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის შეფი ტომ რიჯი კი ასეთ გაფრთხილებას ჯერ კიდევ აპრილში იძლეოდა. დღესდღეობით არსებული სადაზვერვო ინფორმაციები ტერორისტული საფრთხის შესახებ შემდეგნაირად გამოიყურება: "ალ-ქაიდას" სამიზნედ შესაძლოა იქცეს ვაშინგტონში მდებარე მეორე მსოფლიო ომის მუზეუმი, ამ კვირის ბოლოს ჯორჯიის შტატში დაგეგმილი "დიდი რვიანის" შეხვედრა, 4 ივლისის დამოუკიდებლობის დღის საზეიმო ცერემონიალი, დემოკრატიული პარტიის ყრილობა ბოსტონში და რესპუბლიკელების კონგრესი ნიუ-იორკში.

არავინ იცის, რეალური გახდება თუ არა "ალ-ქაიდა"-სგან მომავალი საფრთხე. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ჯორჯ ბუშის იმიჯმეიკერების საარჩევნო ტრიუკი იყოს.

# ჰუგო ჩავესი - პრეზიდენტი თუ დიქტატორი?

ლაშა გიორგიძე

ვენესუელაში განვითარებული მოვლენები როგორც ქვეყნის მოსახლეობაში, ისე საერთაშორისო საზოგადოებაში გაუგებრობას იწვევს. ცოტა ხნის წინ, კარაკასის ერთ-ერთ გარეუბანში სამხედრო ფორმაში გადაცმული, თუმცა შეუიარაღებელი 90-მდე პიროვნება დააკავეს. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ისინი კოლუმბიური ბანდ-ფორმირების წევრები იყვნენ. არავინ იცის, რისთვის იყო გამიზნული მათი გამოყენება: ვენესუელას პრეზიდენტის ჰუგო ჩავესის ჩამოსაგდებად, თუ თვით ქვეყნის პირველი პირის მიერ, რათა ქვეყანაში რეფერენდუმის ჩატარება ჩაეშალა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ფაქტი ბევრ პრობლემას შეუქმნის ოპოზიციას, რომელიც კარგა ხანია, რადიკალური ლოზუნგებით გამოდის ჰუგო ჩავესის წინააღმდეგ. ქვეყნის პრეზიდენტი კი დღეს ისეთ პოზიციაში იმყოფება, როცა ადვილი შესაძლებელია, მან ვენესუელაში აბსოლუტური ძალაუფლება მოიპოვოს. ოპოზიციის კონსტიტუციური მოთხოვნა, რაც რეფერენდუმის გზით პრეზიდენტის გადარჩევას ითვალისწინებს, ასეთ პირობებში არ განხორციელდება. უფრო მეტიც, ახლადმიღებული კანონი პრეზიდენტს უფლებას აძლევს, უზენაეს სასამართლოზე გავლენა მოიპოვოს. ის ინციდენტი კი, რაც ბანდის წევრების დაკავებამ გამოიწვია, კიდევ ერთ საბაბს აძლევს ისევ ხელისუფლებას, რათა მკაცრი ზომები გაატაროს ოპოზიციის წინააღმდეგ. **"ეს არის ქვეყანა, სადაც კანონიერების მიღწევის უკანასკნელი შანსიც დაიკარგა,"** - განაცხადა საკანონმდებლო ხელისუფლების წევრმა და ოპოზიციის წარმომადგენელმა რაფაელ მარინმა, მას შემდეგ, რაც მის სახლში სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩხრეკა ჩატარდა.

მას შემდეგ, რაც ოპოზიციის წინააღმდეგობის გამო, ხმის მიცემის პროცედურა რამდენჯერმე გადაიდო, ეროვნულმა ასამბლეამ დაამტკიცა კანონი, რის მიხედვითაც, უზენაესი სასამართლოს 20-კაციან შემადგენლობას კიდევ 12 ადამიანი დაემატება. ეს პროცედურა იმის გამო გაიწელა, რომ სასამართლო სფეროში პიროვნებების დანიშვნასა და გათავისუფლებას ასამბლეის 2/3-ის თანხმობა სჭირდება, რაც ჰუგო ჩავესს არ გააჩნია. ახალი კანონის თანახმად, რომელიც ძალაში ამ თვეში უნდა შევიდეს, მსგავსი გადაწყვეტილების მისაღებად უბრალო უმრავლესობაც საკმარისი იქნება. ასე რომ, პრეზიდენტს ადვილად შეეძლება შეავსოს ან თუნდაც დაითხოვოს უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა. იმის გამო, რომ უზენაესი სასამართლო აკონტროლებს სასამართლო ხელისუფლების სხვა ორგანოებს, ვენესუელაში მომუშავე ყველა მოსამართლე იძულებული იქნება, მთავრობის მიერ შეთავაზებულ კანონებს დაემორჩილოს.

ქვეყნის ოპოზიციას საფუძვლიანი შიში აქვს, რომ ახალი კანონი მნიშვნელოვნად შეზღუდავს პოლიტიკურ თავისუფლებას, რაც მანამდე, ასე თუ ისე, არსებობდა. **"ის, ვინც გაბედავს, წინააღმდეგობა გაუწიოს არსებულ რეჟიმს, დაისჯება,"** - განაცხადა ოპოზიციონერმა კონგრესმენმა, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ ჟერარდო ბლაიდმა. მისი პარტიის წარმომადგენელი რამდენიმე დღის წინ დააპატიმრეს, როგორც აცხადებენ, შეთითხნილი ბრალდებით.

რეფერენდუმის მოთხოვნა ოპოზიციისათვის უკანასკნელი შანსია. ექვსი თვის წინ მათ 3 მილიონი ხელმოწერა შეაგროვეს, ბევრად მეტი, ვიდრე ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად იყო საჭირო . თუმცა, მაშინ მთავრობის მიერ დამტკიცებულმა საარჩევნო საბჭომ 1,2 მილიონი ხელმოწერა სხვადასხვა მიზეზის გამო ბათილად ცნო. დღესაც, თუკი ასეთი რაოდენობის ხელმოწერები იქნება შეგროვებული, საქმე მაინც პრეზიდენტის მიერ კონტროლირებად უზენაეს სასამართლოში გადაიგზავნება. თუკი რეფერენდუმი 19 აგვისტოს გაიმართება, რაც ჰუგო ჩავესის საპრეზიდენტო ვადის ნახევარია, კონსტიტუციის თანახმად, ჩატარდება არა განმეორებითი არჩევნები, არამედ მის პოსტს ვენესუელას ვიცე-პრეზიდენტი დაიკავებს. ეს კი იმავე წესების დაცვას ნიშნავს, რაც მანამდე იყო.

ვენესუელას იმ მოქალაქეებს შორის, რომელთაც რეფერენდუმის ჩატარებას ხელი მოაწერეს, როგორც ჩანს, ხელისუფლება სამაგიეროს უხდის: მათზე, შესაძლოა, არ გაიცეს პასპორტები და საბანკო სესხები, უარი უთხრან კონტრაქტის გაფორმებაზე და, შესაძლოა, დოლარებიც კი არ გადაუხურდაონ ოფიციალური კურსით.

ამჟამად, სხვადასხვა შეფასებებით პრეზიდენტს მხარს ამომრჩეველთა მესამედი უჭერს. ჰუგო ჩავესი აკონტროლებს შეიარაღებულ ძალებს და უმნიშვნელოვანეს ნავთობის ინდუსტრიას, რასაც მისი ხელისუფლებისათვის უზარმაზარი შემოსავალი მოაქვს.

ერთი შეხედვით ჩანს, რომ პრეზიდენტი ადვილად მიაღწევს 2007 წლის იანვრამდე, როდესაც ახალი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. რაც შეეხება ოპოზიციას, იგი საკმაოდ ჭრელი


ჰუგო ჩავესი პოზიციების დათმობას არ აპირებს.

პოლიტიკური პარტიებისა და სოციალური ჯგუფებისგან შედგება. ერთადერთი, რაც მათ აერთიანებთ, პრეზიდენტ ჩავესის თავიდან მოშორების სურვილია. ის პოლიტიკოსები, რომლებიც შეძლებისდაგვარად ინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს, საბოლოო ჯამში მაინც მოექცევიან მთავრობის გავლენის ქვეშ, რაც მათი გადარჩენის საშუალებაც იქნება, ხოლო ბატონი ჩავესისათვის - დემოკრატიის ნიღაბი. ჯერჯერობით, ჰუგო ჩავესი უმკლავდება მტრებს, რომელთაც არა მარტო ვენესუელაში, არამედ კოლუმბიასა და აშშ-შიც ხედავს. პრეზიდენტის "მიკროფონის დიპლომატია" კიდევ უფრო დაძაბავს ვენესუელას ურთიერთობებს ორივე ზემოთხსენებულ სახელმწიფოსთან. ბევრი მოელოდა, რომ აშშ სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყნის საქმეებში უფრო აქტიურად ჩაერეოდა, რათა მასში დემოკრატიის რაღაც ნიშნები მაინც გადაერჩინა. სინამდვილეში, ბუშის ადმინისტრაციას ნამდვილად არ სურს ურთიერთობების ისე გამწვავება, რამაც შესაძლოა შეაფერხოს ვენესუელას ნავთობის იმპორტი აშშ-ში ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ.

ვენესუელას ურთიერთობები კოლუმბიასთან შედარებით უფრო რთულია. ამ ორ ქვეყანას შორის სადავო საზღვრის გაკონტროლება და უსაფრთხოების დაცვა მათ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს. კოლუმბიის პრეზიდენტმა ალვარო ურიბემ სინანული გამოთქვა თანამშრომლობის დეფიციტზე მეზობელ სახელმწიფოებს შორის, რათა ერთად გაუმკლავდნენ შეიარაღებული ბანდების თარეშს რეგიონში. ვენესუელას ვიცე-პრეზიდენტმა კოლუმბიის არმიის მეთაური, გენერალი მარტინ კარენიო კარაკასში აყვანილ პიროვნებებთან კავშირში დაადანაშაულა, რასაც კოლუმბიის მხარე და თავად გენერალი კარენიო კატეგორიულად უარყოფს.

ჰუგო ჩავესის ბიოგრაფიაში ხშირია ხალხთან დაპირისპირების მაგალითები. თავადაც პოლიტიკაში მსგავსი მოქმედებებით მოვიდა. მისი ხელმძღვანელობით მოხდა 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ვენესუელაში. პატიმრობის შემდეგ, 1998 წელს კი პრეზიდენტობის კანდიდატად მოგვევლინა და არჩევნებში დამაჯერებლადაც გაიმარჯვა. მისივე ინიციატივით შექმნილმა, ქვეყნის ახალმა კონსტიტუციამ ჰუგო ჩავესს საშუალება მისცა, 2000 წელს დანიშნულ არჩევნებშიც გამარჯვება მოეპოვებინა. ვენესუელაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ბატონმა ჩავესმა ძალაუფლების შენარჩუნება მოახერხა.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დიდი გამოცდილება ქვეყნის პრეზიდენტს ოპოზიციასთან ურთიერთობაში გააჩნია, რასაც განვლილი წლებიც ადასტურებს. დემონსტრაციების ახალი ტალღა აგორდა 2001 წლის დეკემბერში, როდესაც საკანონმდებლო ცვლილებებით გაღიზიანებულმა მოსახლეობამ პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართა. ურთიერთობების დაძაბვისა და გაფიცვების კიდევ ერთი სეზონი დაიწყო 2002 წელს. ამ დროს დემონსტრანტებმა ვენესუელას ნავთობის ინდუსტრია და კერძო სექტორის თითქმის ყველა საწარმო დახურეს. ჰუგო ჩავესი იძულებული გახდა, დაეტოვებინა პრეზიდენტის პოსტი. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ 48 საათით, რადგან მისმა მხარდამჭერებმაც დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია. ახალი საპროტესტო ტალღა რამდენიმე კვირის წინ აგორდა, რასაც კიდევ ერთხელ უნდა გადაეწყვიტა ჰუგო ჩავესის, როგორც პრეზიდენტის ბედი. თუმცა, როგორც ჩანს, ქვეყნის მმართველობის ყველა შტოზე მოპოვებული გავლენის წყალობით, სახელმწიფოს პირველი პირი ადვილად ბლოკავს ხალხის ამ მოთხოვნას და ხელმოწერების უმრავლესობას ბათილად ცნობს.

პრეზიდენტმა ჩავესმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ კარაკასის გარეუბანში მომხდარი დაპატიმრებების შემდეგ ამ საქმესთან დაკავშირებული 100-ზე მეტი ადამიანია დაკავებული. ვენესუელას სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას, მან კოლუმბიური ნახევრადგასამხედროებული ნაწილები თავის ქვეყანაში შეჭრაში დაადანაშაულა. როგორც ბატონმა ჩავესმა აღნიშნა, ვენესუელას ტერიტორიაზე შეჭრა დაგეგმილი და მართული იყო უცხო ქვეყნების მიერ, უფრო ზუსტად, აშშ-სა და კოლუმბიის მიერ. მან იქვე განაცხადა, რომ ძლიერი ოპოზიციური ჯგუფები ქვეყნის შიგნითაც კონსპირაციულად ფლობდნენ ინფორმაციას პრეზიდენტის ძალით გადაყენების შესახებ. ვენესუელას მთავრობამ უკვე გასცა 10 დაპატიმრების სიგელი ყოფილ სამხედრო ოფიცრებზე და რამდენიმე ათეული ადამიანი ძებნილად გამოაცხადა, რომელთა შორისაც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები არიან. როგორც პოლიტიკური პარტიების, ისე კოლუმბიისა და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ასეთი სახის მონაწილეობაზე ქვეყნის საშინაო საქმეებში. აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვენესუელაში საჯაროდ უარყო ცნობა იმის შესახებ, რომ აშშ-ს რაიმე ინფორმაცია ჰქონდა პრეზიდენტ ჩავესის გადაყენების მცდელობის შესახებ. მან იქვე დასძინა, რომ რამდენიმე დღის წინ ვენესუელამ თავად ითხოვა კოლუმბიასთან საზღვარზე აშშ-ს სამშვიდობო ჯარების გაყვანა.

განვითარებული მოვლენების შემდეგ, ჰუგო ჩავესმა მირაფლორის საპრეზიდენტო რეზიდენციაში თავის ქვეყანაში აკრედიტებული ელჩები მიიწვია, სადაც კიდევ ერთხელ დაგმო აშშ-ს მთავრობა. **"სიმართლის სახელით, მე უნდა მივმართო ვაშინგტონის მთავრობას, რათა ხელები შორს წაიღოს ვენესუელასაგან... ამ გიჟურ ოპოზიციას ბუშის მთავრობა აფინანსებს,"** - განაცხადა მან და აღნიშნა, რომ ამის დამადასტურებელი ფაქტებიც ჰქონდა.

არსებული სიტუაციის შესახებ განცხადება გააკეთა ევროკავშირმა: **"არც ერთი საშუალება არ უნდა გავუშვათ ხელიდან, რათა ქვეყანამ მონახოს კონსტიტუციური, დემოკრატიული, მშვიდობიანი გადაწყვეტილება ამ კრიზისიდან გამოსასვლელად,"** - ნათქვამი იყო ევროკავშირის განცხადებაში. ევროპის პოზიცია გაიზიარა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმაც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვენესუელაში არსებულ ოპოზიციას ნაკლებად შეიძლება ერთიანი ეწოდოს. მასში ერთიანდებიან ბიზნესმენები, მუშათა კავშირები, პოლიტიკური პარტიები, სხვადასხვა ასოციაციები და მედიის ის ნაწილი, რომელიც ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკას არ იზიარებს და ეწინააღმდეგება. მათი საბოლოო მიზნები და ამ მიზნების მიღწევის გზებიც განსხვავებული იქნება. თუკი მოვლენები ოპოზიციის მოთხოვნების შესაბამისად განვითარდა, ანუ რეფერენდუმი ჩატარდა და ჰუგო ჩავესი გადაირჩიეს, ვინ შეძლებს, გააერთიანოს დღევანდელი ოპოზიცია და ჩამოაყალიბოს საერთო მიზნები? ანალიტიკოსებისა და საზოგადოების არჩევანი შეჩერებულია ხუთ პოტენციურ კანდიდატზე, რომლებიც "ხუთეულის ჯგუფის" სახელით არიან ცნობილი. ისინი ერთად ქმნიან დემოკრატიულ საკოორდინაციო საბჭოს, თუმცა მათ ჯერ კიდევ არა აქვთ გადაწყვეტილი მთავარი - რომელი მათგანი გახდება პრეზიდენტობის კანდიდატი?


## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს

მოგახსენებთ, რომ იაპონიის მთვრობამ 2005 აკადემიური წლისათვის ქართველი სტუდენტებისათვის გამოყო ერთი სტიპენდია ბაკალავრებისა და ერთი სტიპენდია მაძიებლებისათვის.

სწავლების სრული კურსი (ბაკალავრია)

აუცილებელი მოთხოვნები:

- საქართველოს მოქალაქეობა;
- ასაკი 17-დან 21 წლამდე;
- სკოლის ატესტატი

პირობები:

- სწავლების ხანგრძლიობაა 5 (ხუთი) წელი;
- ჯანდაცვის სფეროში სწავლის ხანგრძლივობაა 7 (შვიდი) წელი;
- გამარჯვებული კანდიდატი სტიპენდიის სახით მიიღებს თვეში 135,000 იენს საერთო საცხოვრებელს, გამოცდების ხარჯებს მთავრობა იღებს თავის თავზე;
- მგზავრობის ხარჯებს ფარავს გამგზავნი მხარე.

მაძიებლებისათვის აუცილებელი მოთხოვნები:

- ასაკი 35 წლამდე;
- უმაღლესი განათლების დიპლომი;

პირობები:

- სასურველია იაპონური ენის ცოდნა;
- სწავლის ხანგრძლივობაა 2 (ორი) წელი 2005-2007;
- გამარჯვებული კანდიდატი სტიპენდიის სახით მიიღებს თვეში 175,000 იენს, საერთო საცხოვრებელის, გამოცდების, მატრიკულის ხარჯს იაპონიის მთავრობა იღებს თავის თავზე;
- მგზავრობის ხარჯებს ფარავს გამგზავნი მხარე;
- აუცილებელია წარმოადგინოთ გეგმა კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად.

საბუთების მიღების ვადა იწურება 15 ივნისს.

დამატებითი ინფორმაციისათვის უნდა მიმართოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სამმართველოს მისამართზე:

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
**უზნაძის ქუჩა №52**
**ტელ. 95-48-69**


## ორი სიტყვით

**ერაყი.** გუშინ ამბოხებულ შიიტთა ლიდერმა მოქთარ ალ-სადრმა წმინდა ქალაქ ნეჯეფიდან შეიარაღებული რაზმების ნაწილის გაყვანის შესახებ გააკეთა განცხადება. თუმცა ამასთანავე დასძინა, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ქალაქს ამერიკელებიც დატოვებენ. "ბი-ბი-სი"-ს ბაღდადელი კორესპონდენტის ცნობით, ამგვარი განცხადებები სადრს მანამდეც გაუკეთებია, მაგრამ ამერიკელი სამხედროები რადიკალ ისლამისტთან მოლაპარაკებების წარმოებას ჯიუტად არ აპირებენ. უკანასკნელი ინფორმაციით, სადრმა ქალაქის მისადგომებთან მყოფ თავის მებრძოლებს უკვე უბრძანა, პოზიციები დაეტოვებინათ, ხოლო ქალაქში მყოფებს - ბრძოლა შეეწყვიტათ. ზოგიერთი ცნობით, "მეჰდის არმია" მზადაა, ქალაქზე კონტროლი ერაყულ პოლიციას გადააბაროს. გავრცელებული ინფორმაციით, მოქთარ ალ-სადრი განცხადებული დათმობების სანაცვლოდ, არა მხოლოდ ნეჯეფიდან ამერიკელების წასვლას, არამედ მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის ბრალდებების მოხსნასაც მოითხოვს. აქამდე ვაშინგტონი აუცილებელ პირობად მეამბოხეთა რაზმების დაშლასა და თავად სადრის ერაყის სასამართლოს წინაშე წარდგომას ასახელებდა.

■ ■ ■

**დიდი ბრიტანეთი.** ბრიტანეთის მთავრობა ერაყში სამხედროთა რაოდენობის გაზრდას აპირებს. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაერთიანებული სამეფო ერაყში კიდევ 800 ჯარისკაცს გაგზავნის. პრემიერ-მინისტრის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, დიდი ბრიტანეთის მთავრობა ერაყში სამხედრო კონტინგენტის გაზრდის საკითხებს მოკავშირეებთან ერთად განიხილავს. ბრიტანული მთავრობის გუშინდელმა განცხადებამ ნათელი გახადა, რომ ბლერის კაბინეტის პოლიტიკური კურსი ერაყთან დაკავშირებით, რომელმაც ლეიბორისტული პარტია განხეთქილების პირას მიიყვანა და ბლერს თანამდებობიდან წასვლასაც უქადის, კვლავაც უცვლელი რჩება და სამხედროთა კიდევ უფრო მეტი ოდენობით ერაყში გაგზავნა სერიოზულად განიხილება. ესპანეთის მიერ ერაყიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ ბრიტანულ პრესაში ხშირად ისმის ეჭვები იმის შესახებ, რომ მთავრობა ერაყში დისლოცირებული სამეფო ჯარების რამდენიმე ათასით გაზრდას აპირებს, რათა ბრიტანულმა შენაერთებმა ესპანელთა წასვლის შემდეგ გაჩენილი ძალის ვაკუუმი შეავსონ.

■ ■ ■

**კორეა.** ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის სამხედრო მაღალჩინოსანთა შორის მოლაპარაკებები დაიწყო. სამხრეთ კორეის ხუთკაციანი დელეგაცია სარდალ პარკ იუნ-ხვასა და ჩრდილოეთ კორეის დელეგაცია ბრიგადის გენერალ ან იკ-სანის მეთაურობით ერთმანეთს შეხვდნენ, რათა ყვითელ ზღვაში ორი ქვეყნის სამხედროთა დაპირისპირებები მომავალში თავიდან აიცილონ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, თევზჭერის უფლებების გამო, ორ ქვეყანას შორის მცირე სასაზღვრო შეტაკებები არცთუ ისე იშვიათია. ბოლო სერიოზული ინციდენტი 2002 წლის ივნისში მოხდა, როდესაც ექვსი სამხრეთ-კორეელი მეზღვაური მოკვდა და 10-ზე მეტი დაიჭრა, ჩრდილოეთის მხრიდან კი, დაახლოებით, 30 კაცი დაიღუპა.

აღსანიშნავია, რომ ორივე კორეას ძალზე დიდი და ძლიერი არმიები ჰყავთ: ჩრდილოეთ კორეის განკარგულებაშია 1.1 მილიონი მოქმედი სამხედრო, ხოლო სამხრეთ კორეის – 690 000. მათი არმიები რიცხოვნებით, შესაბამისად, მეხუთე და მეექვსე ადგილზეა.

მოლაპარაკებები საზოგადოებისთვის უცნობ ადგილას მიმდინარეობდა. ექსპერტები და მაღალჩინოსნები იმედოვნებენ, რომ ეს მოლაპარაკებები ორ მხარეს შორის შერიგების პროცესს შეუწყობს ხელს.

# იქცევა თუ არა თბილისი ტურისტულ-გასართობ ცენტრად

*იტალიის სახელმწიფო შემოსავლების 85 პროცენტს ტურიზმი შეადგენს. შვეიცარია ხომ, საერთოდ, ბანკებისა და ტურიზმის ქვეყანაა. მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ ამბობს უარს შემოსავლის ამ არაჩვეულებრივი წყაროს გამოყენებაზე, თუ, რა თქმა უნდა, ლანდშაფტი ამის საშუალებას აძლევს. საქართველოს შესაძლებლობები, ამ კუთხით, ძალიან თავმდაბლები რომ ვიყოთ, დამაკმაყოფილებელია. ჩვენი სმენისთვის უკვე კარგად ნაჩვევი "აბრეშუმის გზა", "აზია-ევროპის დერეფანი" და სხვა, ამ მიმართულების განვითარებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, გვაიძულებს. ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით კი, 2003 წელს საქართველო 313 432 ტურისტმა მოინახულა, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტში სულ რაღაც 749,2 ათასი ლარი შევიდა. ეს ჩვენი შესაძლებლობების ქვეყნისთვის ზღვაში წვეთია.*

მაკა ჯაიანი
ნინო ბერელიძე

არსებობს იდეა, თბილისში გასართობი ტურისტული ცენტრი გაკეთდეს. საუბარია ფუნიკულიორსა და წყნეთს შორის პარკის გაშენებაზე, სადაც გასართობი ცენტრი მოეწყობა. ეს იდეა აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის საპატიო წევრს, საქართველოს დამსახურებულ არქიტექტორს გიოგი ჩახავას ეკუთვნის. 60-იან წლებში იგი მთავარი არქიტექტორი გახლდათ, თუმცა მკითხველისთვის უფრო საინტერესო, ალბათ, ის იქნება, რომ მარშალ გელოვანის გამზირზე მდებარე საგზაო სამინისტროს შენობის ავტორი სწორედ გიორგი ჩახავა გახლავთ. ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ ამ შენობის არქიტექტურამ მსოფლიოს ყურადღება დაიმსახურა და ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის 1981 წლის კატალოგში ჰაერში დაკიდებული ურბანიზაციის სახელით შევიდა.

**"თბილისის ტურისტულ ცენტრად ქცევის იდეა გამიმტკიცდა იალტაში სამუშაოდ მიწვევის შემდეგ, სადაც 1995 წელს ვიმყოფებოდი,** - მოგვითხრობს ბატონი გიორგი, - **უკრაინასთან ჩემს ურთიერთობას დიდი ისტორია აქვს, გახსენება ცოტა შორიდან მომიწევს. "გეპეი" ახალი დამთავრებული მქონდა, როდესაც მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო პროექტების კონკურსში. იალტაში შენდებოდა სატრანსპორტო კვანძი, გაიმარჯვა ჩემმა პროექტმა და მევე დამევალა მშენებლობა. იმდენად მოეწონათ ჩემი ნამუშევარი, რომ საკავშირო პრემიაზეც წარმადგინეს. კონკურსი გამოცხადებული იყო იალტაში გასართობი ტურისტული ცენტრის მშენებლობისათვის. იალტა ცნობილი საკურორტო ქალაქია, მაგრამ ტურისტი ცოტა ჰყავს, რადგან იქ არ არსებობს გასართობი ადგილები. დავუკავშირდით ლას-ვეგასს და გამოცდილების გაზიარება ვთხოვეთ. მათი ინფორმაციით, პარიზთან გაკეთდა ტურისტული გასართობი ცენტრი, მაგრამ ამან არ გაამართლა, რადგან დასავლეთ ევროპის ხალხები საამისოდ ცოტანი აღმოჩნდნენ. ამიტომ, გვირჩიეს, აგვეწერა შავი ზღვის აუზის ხალხები - ღირდა თუ არა ამის გაკეთება. სავარაუდოდ, ვიანგარიშეთ და მივედით გადაწყვეტილებამდე, რომ იალტაში ეს ცენტრი გაამართლებდა. შავი ზღვის აუზის ხალხებს საქართველოს მოსახლეობაც მივათვალეთ. ეს კი აღარ მესიამოვნა - მე ხომ ჩემს ქვეყნის ტურიზმის ცენტრად ქცევის პერსპექტივას ვუსპობდი და სამუშაოზე უარი ვთქვი".**

პროექტი, რომელიც გიორგი ჩახავამ ამ მიმართულებით დაამუშავა, ფაქტობრივად, ყველა წვრილმანს მოიცავს. **"ყველაფერი აწონილ-დაწონილი და მოფიქრებული მაქვს,** - ამბობს იგი, - **ფუნიკულიორსა და წყნეთს შორის გაშენებული, თანამედროვე მოთხოვნებით დაპროექტებული, სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მქონე ტურისტულ-გასართობი პარკი წყლით თრიალეთის წყალსაცავიდან მომარაგდება, იქვე აიგება ჰიდროელექტროსადგური ელექტროენერგიით მუდმივი მომარაგებისთვის. ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მონაკვეთის აშენების შედეგ შეიქმნება ახალი მაგისტრალი - ევროპა-აზია და ახალქალაქი - სამხრეთ საქართველოს ეს ულამაზესი ტბებით მოფენილი კუთხე ქართულ ტურიზმში ჩაერთვება. გარდა ამისა, ტრასა თბილისის მეორე იარუსსაც გაივლის, რაც ტურისტულ ცენტრს საშუალებას მისცემს, ევროპიდან და აზიიდან ტურისტები რკინიგზითაც მიიღოს".**

ტურიზმის განვითარების ასეთი მასშტაბური იდეის განხორციელება, არქიტექტორის აზრით, დააინტერესებს როგორც დასავლეთ ევროპის, ისე ამერიკის, იაპონიის, კორეის, ჩინეთის, რუსეთისა და შუა აზიის ქვეყნების სპეციალისტებს. გიორგი ჩახავა ვარაუდობს, რომ ისინი აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას იდეის განხორციელების კონკურსში, რომელში გამარჯვებულსაც სპეციალური კომისია, საქართველოს პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად გამოავლენს. საინტერესო დეტალი: იდეის ავტორი ვარაუდობს, რომ შესაძლებელია, ეს კონკურსი ისე ჩატარდეს, საქართველოს ბიუჯეტს ერთი თეთრის დახარჯვაც არ მოუწიოს: **"სულ 100 000 ლარია საჭირო, რომ შეიქმნას, სავარაუდოდ, 400 აშშ დოლარის ღირებულების, დახლოებით, 1500 ცალი წიგნი-კატალოგი, რომელშიც შევა ინფორმაცია საქართველოს შესახებ თითქმის ყველა სფეროდან, იქნება ეს ისტორიული, გეოგრაფიული, ეკოლოგიური, სახელოვნებო თუ არქიტექტული. საქართველოდან უცხოეთში იფორმაცია წერილობით გაიგზავნება. ამას გამოხმაურება აუცილებლად მოჰყვება, თითქმის, ყველა დიდი ქვეყნიდან. მინიმუმ, 1000 ეგზემპლარს მაინც შეიძენს ის, ვინც პროექტის შემოტანას გადაწყვეტს. აქედან შემოსული 400 000 დოლარი კონკურსისთვის გაწეულ ყველა ხარჯს ყოფნის. პირველი პრემია იქნება 150 000 დოლარი, მეორე - 100 000, მესამე - 50 000 დოლარი და დანარჩენი ფარავს წიგნების გამოცემისათვის გაწეულ ხარჯს. ტურისტული გასართობი ცენტრის პროექტზე კონკურსი თბილისში ჩატარდება. შეირჩევა სამი პროექტი და შეავსებს ერთმანეთს. ინვესტორი და ფინანსები იმდენი გამოჩნდება, რამდენიც გვინდა. ამიტომ, თქვენი საშუალებით, ვთხოვ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, დაინტერესდეს ამ იდეით".**

გიორგი ჩახავა იალტიდან თბილისში 1999 წელს ჩამოვიდა და თბილისის ტურისტული გასართობი ცენტრის მშენებლობის იდეა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს გააცნო. იდეა მოწონებულ იქნა, თუმცა მისი რეალურად განხორციელების იმედი გიორგი ჩახავას "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მიეცა. **"ბატონო პრეზიდენტო, 1500 წლის წინათ ვახტანგ გორგასალმა დააარსა საქართველოს ახალი დედაქალაქი - თბილისი. თქვენ კი გაქვთ ყველა პირობა - როგორც პირადული, ისე გეოპოლიტიკური და, რაც მთავარია, ეს იქნება ეროვნული საქმე, შექმნათ მსოფლიო ტურიზმის მნიშვნელოვანი ცენტრი აბრეშუმის გზის კვანძზე,** - წერს იგი პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში, - **ასეთი კომპლექსის მშენებლობა თბილისში გამოაცოცხლებს და აამოქმედებს ყველა ღირსშესანიშნავ ადგილს საქართველოში. ეს მიმზიდველი აღმოჩენა იქნება მსოფლიო ტურიზმისთვის - საქართველო ხომ უძველესი მითებისა და ლეგენდების ქვეყანაა – თუნდაც, კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე ან მედეა და არგონავტები რად ღირს"?!**

# ჭვავის ყანაში გადარჩენილები

*"ისინი ჭვავის ყანაში თამაშისას გადაარჩინეს; ისინი აღარ არიან მიტოვებულნი; ოჯახს ვერაფერი შეცვლის",- ამ სიტყვებით მთავრდება ნათია ზამბახიძისა და ზურაბ ალავერდიშვილის დოკუმენტური ფილმი "არც ერთი ბავშვი ოჯახის გარეშე", რომელიც ოჯახის დაგეგმვისა და დეინსტიტუციონალიზაციის თემაზე შეიქმნა. ფილმის პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო Marriott-ში გაიმართა, სატელევიზიო ჩვენება კი "რუსთავი-2 "ის ეთერში პირველ ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს გაიმართება.*

თამარ ჯაჯანიძე

ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროექტი 2002 წლის ოქტომბრიდან ხორციელდება. მას Worid Vision Internetional, Every Child, UNISEF, საქართველოს განათლების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები ახორციელებენ. პროექტის ამოცანაა ბავშვის ძირითადი უფლების დაცვა, ანუ - მისი ოჯახურ გარემოში აღზრდა და ხელშეწყობა. პროექტი ჩვილ ბავშვთა სახლში მყოფი ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდის ალტერნატიულ ფორმებზეც ზრუნავს; კერძოდ, ეს არის რეინტეგრაცია, შვილობა და შვილობილობა. პროექტის მიზანი მარტოხელა დედების პრაქტიკული დახმარებაცაა, იმ სოციალური, მატრიალური და ფსიქოლოგიური პრობლემების დასაძლევად, რომლთა გამოც, ისინი შვილებს ტოვებენ.



ფილმის პრეზენტაციაზე.

კონკურსი ამ თემაზე დოკუმენტური ფილმის გადასაღებად 2003 წელს გამოცხადდა. გაიმარჯვა ჟურნალისტ ნათია ზამბახიძის სცენარმა. ფილმის გადაღებები ნოემბრის მიწურულს დაიწყო და გაზაფხულზე გიორგი ლომსაძის მიერ დამონტაჟდა.

ეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც გაერო-ს მოსახლეობის ფონდის დაფინანსებით შეიქმნა, დედათა და ჩვილ ბავშვთა იმ თავშესაფრის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც 2003 წლის 18 აპრილს გაიხსნა. ფილმი ინფორმაციას გვაწვდის თავშესაფრის შესახებ. ამ პროექტის დახმარებით, მიტოვებას გადაურა 48 ახალშობილი, რვა ბავშვი უკვე რეინტეგრირებულია ბიოლოგიურ ოჯახში, 37 პოტენციური ოჯახი შეირჩა მინდობითი აღზრდისთვის, 14 ბავშვი მოსიყვარულე და მზრუნველმა ოჯახებმა მიიბარეს. ფილმში მოთხრობლია სოციალური მუშაკების მუშაობის შესახებ. მათი ვალდებულებაა, შეფასების საფუძველზე, ბავშვთა რეინტეგრაცია (ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება) და მინდობით აღმზრდელ ოჯახში განთავსება. აღწერილია მარტოხელა დედის ცხოვრებაც, რომელსაც თავშესაფრიდან გასვლის შემდეგ ხელი შეუწყვეს დაბინავებასა და საკუთარი მცირე ბიზნესის წამოწყებაში.

გრანტი მცირე ბიზნესის დასაწყებად (ვაჭრობა, საცხობი საამქრო, ეროვნულ-ეთნოგრაფიული პროდუქციის წარმოება, კოსმეტოლოგია, ეპილაცია, და საპარიკმახერო მომსახურება), დასაქმებისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ცენტრის საშუალებით, დეინსტიტუცითნალიზმისა და ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციის პროექტში მონაწილე 19 მარტოხელა დედას მიუღია. ხუთმა მარტოხელა დედამ გაიარა გადამზადების კურსი სხვადასხვა პროფესიის დასაუფლებლად. 14 დედა დასაქმებულია და წარმატებით აგრძელებს მუშაობას. აღნიშნული მიმართულებით განხორციელებულმა საქმიანობამ საფუძველი ჩაუყარა პროექტში მონაწილე დედათა ფინანსურ დამოუკიდებლობას.

გაერო-ს მოსახლეობის ფონდის მოღვაწეობის ძირითადი სფეროებია: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ოჯახის დაგეგმვა და სქესობრივი ჯანმრთელობა, ინფორმაცია, განათლება და კომუნიკაცია, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, მოზარდები, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა პროფილაქტიკა. **"ბავშვის მიტოვება და მარტოხელა დედების არსებობა ხომ, უპირველესად, არასასურველ ფეხმძიმობას უკავშირდება. არასასურველი ფეხმძიმობა იწვევს სწორედ ოჯახის მიერ პოტენციური დედის უარყოფას. საბოლოოდ ეს იწვევს ინსტიტუციონალურ დაწესებულებაში მოხვედრილი ბავშვის ფსიქიკის არასწორ ჩამოყალიბებას. რეზიდენტული ტიპის დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის სრულფასოვან განვითარებას",-** აღნიშნა თავის გამოსვლაში ორგანიზაციის სახელით გამოსულმა ქალბატონმა თამარ ხომასურიძემ. ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა კი განაცხადა: **"ჩვილების მიტოვება, მართლაც, ყველაზე ტრაგიკული საკითხია. ეს პროექტი ძალიან კარგად დაწყებული საქმეა, რომელსაც შეიძლება კარგი შედეგები ჰქონდეს. აუცილებელია ამ სფეროში სახელმწიფოს როლის გაზრდა. უმნიშვნელოვანესია სოციალური მუშაკების კორპუსის ჩამოყალიბება. აუცილებელია ამ საკითხის ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე გამიჯვნა. ჩვენი კომიტეტი აქტიურად იმუშავებს საკანონმდებლო ბაზის ჩამოსაყალიბებლად".**

პრეზენტაციაზე, ასევე, წარმოდგენილი იყო ერთ-ერთი მარტოხელა დედის მილენა ბერიტაშვილის მიერ მოქარგული ქისები და აქსესუარები.

# პირველი ბრიფინგი - ერიდეთ თევზს

*თბილისის მერიის სანიტარიული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ახალმა უფროსმა დავით მესხიშვილმა გუშინ პირველი ბრიფინგი გამართა. მსჯელობის საგანი ქალაქის სარეალიზაციო ქსელში არსებული შებოლილი, დამარილებული და გამოყვანილი თევზის სახეობები და ჯანმრთელობისთვის მათი საზიანობა იყო.*

ნინო ბერელიძე

**"სანიტარიული სამსახურის ინიციატივით ჩატარებული შემოწმებისას გამოვავლინეთ სავაჭრო ქსელში კუსტარულად დამზადებული და, შესაბამისად, სერთიფიკატის გარეშე რეალიზებადი შებოლილი და გამოყვანილი თევზეული. ჩვენს მიერ ს/ს "საქცივპროდუქტი"-ს 29-ე საკნიდან ამოღებული და განადგურებულია ერთი ტონა და სამასი კილოგრამი უხარისხო თევზი. განსაკუთრებით საშიში სამი სახეობაა: ტარანი, ჩიხონი და ჩერბაკი. მე შემიძლია ხმამაღლა გავაცხადო, რომ თევზის ყველა სახეობა, რომელსაც მოსახლეობა მოიხმარს, მომწამლავია. მხოლოდ უთავო სკუმბრიას აქვს შესაბამისი დამღა და სერთიფიკატი, მაგრამ სერთიფიკატი ცალკეულ პარტიებზე გაიცემა და ვარგისიანობის შემოწმება იქაც ჭირს",** – აფრთხილებს მოსახლეობას მესხიშვილი. ქალაქის სანიტარიული სამსახური განაგრძობს რეიდებს დედაქალაქის მასშტაბით და გვპირდება, რომ გამოვლენილი იქნება ყველა ის ფირმა და რეალიზატორი, რომელსაც ამ პროდუქციასთან აქვთ შეხება. **"ადრე ამ ადამიანებს ლობირებას უწევდნენ,** - აცხადებს სამსახურის უფროსი, - **ამიერიდან კი სისტემაში კორუმპირებული ჩინოვნიკები აღარ იარსებებენ".**

ამ ფაქტს თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი არჩილ გედენიძეც გამოეხმაურა: **"ახალი ხელისუფლების დევიზია "სიმართლე და გამჭვირვალობა". ამიტომ, მკაცრად დაისჯება ყველა ის პირი, რომელიც მხილებული იქნება კორუფციაში ან ლობირებას გაუწევს უხარისხო პროდუქციას. რამდენიმე დღის წინათ გვქონდა ბოტულიზმის რამდენიმე შემთხვევა, რომელიც კინაღამ სიკვდილით დასრულდა. შემთხვევა თევზის მოხმარებამ გამოიწვია. ამიტომ, მოსახლეობას მოვუწოდებ, ნუ იყიდის უხარისხო პროდუქტს, რომელსაც არ ექნება სათანადო სერთიფიკატი".**

შემდეგ ეტაპზე შემოწმდება ლუდის ბარები და მათი მიმდებარე ტერიტორია, რადგან იქ მასობრივად ხდება უვარგისი თევზის რეალიზაცია. აღინიშნა, რომ ძნელია, ებრძოლო სარეალიზაციო ქსელში გასულ პროდუქციას, როდესაც საბაჟოებზე არა ხდება შესაბამისი კონტროლი. დიდ დაბრკოლებას ისიც ქმნის, რომ "საქსტანდარტი"-ს მიერ პროდუქტზე გაცემული სერთიფიკატების უმეტესობა ყალბია და ყოველგვარი შემოწმების გარეშეა გაცემული. მოსახლეობისათვის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურში მუშაობს ცხელი ხაზი (25-22-03). რამდენიმე დღეში ფუნქციონირებას დაიწყებს თბილისის მერიის სანიტარიული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ცხელი ხაზიც (37-78-70). დედაქალაქიდან დაწყებულმა სანიტარულმა შემოწმებებმა საქართველოს ყველა დიდი ქალაქი უნდა მოიცვას, რადგან ქუთაისში, ბათუმში, გორში, ფოთში და კიდევ ბევრგან ანალოგიური მდგომარეობაა.




# გერმანული დიპლომები ქართველ მოსწავლეებს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიწების კულტურის მინისტრთა მუდმივი კონფერენციის (KMK) გერმანული ენის მეორე საფეხურის სახელმწიფო დიპლომის მოსაპოვებელი პროგრამა ხელს უწყობს გერმანული ენის სწავლებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. პროგრამა შესაძლებლობას აძლევს საზღვარგარეთ გერმანული სკოლების და გერმანიაში რამდენიმე სპეციალურად შერჩეული სკოლის მოსწავლეებს, ჩააბარონ გამოცდები, რათა მოიპოვონ დიპლომი. გამოცდა ტარდება სკოლაში, ხოლო შეფასება ხდება გერმანიაში. ეს ერთადერთი სახელმწიფო გამოცდაა გერმანულ ენაში, რომლის ჩაბარება შესაძლებელია საზღვარგარეთ. ჩაბარების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია გერმანული ენის კარგი ცოდნა. დიპლომის მფლობელს საშუალება ეძლევა, უგამოცდოდ გააგრძელოს სწავლა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში. პროგრამა საქართველოში 1994 წლიდან არსებობს და მას ახორციელებს გერმანული ენის კოორდინატორ-კონსულტანტი და საქართველოში მოღვაწე ოთხი გერმანელი მასწავლებელი. მათი მუშაობის საფუძველს წარმოადგენს "შეთანხმება საქართველოს მთავრობისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის გერმანელ მასწავლებელთა ქართულ სკოლებში მივლინების შესახებ".

გამოცდის ჩაბარება პირველად მოხდა 1999 წელს. 1999-2003 წლებში გამოცდაზე 100-ზე მეტი მოსწავლე დაიშვა. მიმდინარე წელს 37-მა მოსწავლემ გაიარა გამოცდა, რომლებმაც უმაღლესი შეფასებები მიიღეს.

გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენობაში მინისტრის პირველმა მოადგილემ ბატონმა ალექსანდრე დიდებულიძემ, გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მისმა აღმატებულება ბატონმა უვე შრამმა და გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული უწყების საზღვარგარეთის სკოლებში სწავლების ცენტრალური სამსახურის გერმანული ენის კონსულტანტ-კოორდინატორმა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში, ბატონმა იორგ კასნერმა გერმანული ენის მეორე საფეხურის დიპლომები გადასცეს სამხრეთ კავკასიის 37 მოსწავლეს. კერძოდ, გურამ რამიშვილის და კოტე გაბაშვილის სახელობის მე-6 ქართულ-გერმანული საავტორო სკოლის, საქართველო ს.ს.ი.პ. თბილისის გურამ რამიშვილის მე-6 საავტორო საშუალო სკოლის, საავტორო-საგანმანათლებლო "კომპლექსი ქართული სასწავლებლის",რუსთავის მე-17 საშუალო სკოლის, ერევნის მე-5 საშუალო სკოლის, ერევნის მესროფ-მაშტოცის სახელობის სკოლის მოსწავლეებს.

*24საათი*

# ორი „სიმართლე" ერთ საქმეზე

პირველი გვერდიდან

გაერთიანება "ჩვენი აჭარის" აქტივისტების ზაზა ტუღუშის და ლაშა ბერძენიშვილის მტკიცებით, მათ ბათუმის პოლიციის განყოფილებაში მთელი ღამის განმავლობაში დაუნდობლად სცემდნენ. აქტივისტების თქმით, მეგობრებს ღამით, ერთ-ერთ მოქალაქესთან სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდათ. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა კი ბერძენიშვილი და ტუღუში პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ.

**"ორი პოლიციელი მთელი ღამის განმავლობაში დაუნდობლად გვირტყამდა და იმის საშუალებასაც არ გვაძლევდნენ, რომ ახლობლებთან დაგვერეკა, რათა ჩვენი ადგილ-სამყოფელი შეგვეტყობინებინა",** - იხსენებს ახლობლების ჩარევის შემდეგ გათავისუფლებული ლაშა ბერძენიშვილი, რომელიც დეპუტატ დავით ბერძენიშვილის ნათესავია.

დაზარალებულებმა პოლიციელების გვარებიც დაასახელეს. მათი თქმით, ისინი უშუალოდ ჯემალ მახარაძემ და ემზარ პაპიძემ სცემეს.

"ჩვენი აჭარის" აქტივისტებისგან განსხვავებული ინფორმაცია მოგვაწოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს სამინისტროს პრესცენტრმა.



"ჩვენი აჭარის" აქტივისტების მტკიცებით, მათ ბათუმის პოლიციის განყოფილებაში დაუნდობლად სცემდნენ.

ოფიციალური ინფორმაციით, გუშინწინ ბათუმში, გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე კაფე-ბარ "ოაზისის" მიმდებარე ტერიტორიაზე ბარის მეპატრონეებს - დავით და ვახტანგ სულაძეებს სამი ნასვამი პიროვნება თავს დაესხა და დანის მუქარით მათი კუთვნილი მანქანის გატაცებას ცდილობდა. ძმებსა და თავდამსხმელებს შორის ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. ბარის მეპატრონეებს თავდაპირველად "ოაზისის" დაცვის თანამშრომლები მიეშველნენ, მოგვიანებით კი, შემთხვევის ადგილზე პოლიციელებიც გამოჩნდნენ და ნასვამი მეგობრები პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს.

პოლიციის ინფორმაციით, თავდამსხმელები - ლაშა ბერძენიშვილი, ზაზა ტუღუში და ზაზა იმნაიშვილი იყვნენ, რომელთაც იმავე ღამეს ჩაუტარდათ შემოწმება, იყვნენ თუ არა ნასვამები. აჭარის შს სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია თავდამსხმელთა კუთვნილი დანაც.

დასახელებული ფაქტებიდან რომელია სიმართლე, ძნელი სათქმელია. ერთი კი ფაქტია, მომხდართან დაკავშირებით ბათუმის პოლიციამ გუშინვე დაიწყო მოკვლევა.

**"შეკრებილია სათანადო მასალები, რომელიც შემდგომი გამოძიების მიზნით პროკურატურას გადაეგზავნება",** - განაცხადა ილია ჯორქმენაძემ.

გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს პოლიციელებმა ჯემალ მახარაძემ და ემზარ პაპიძემ უკვე დატოვეს თანამდებობები და მათ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ჩვენი ინფორმაციით, სიმართლეს არ შეესაბამება.

აჭარელი სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ ლაშა ბერძენიშვილმა, ზაზა იმნაიშვილმა და ზაზა ტუღუშმა დაზიანებები "ოაზისთან" ჩხუბის დროს მიიღეს და პოლიციელებს მათ ცემაში ბრალი არ მიუძღვით.

ერთი სიტყვით, გამოძიება მიმდინარეობს და სიმართლე ცოტა ხანში გახდება ცნობილი. იმ შემთხვევაში, თუ ბათუმელ პოლიციელებს "ჩვენი აჭარის" აქტივისტების ცემის ფაქტი დაუმტკიცდებათ, მათ თანამდებობის დატოვებასთან ერთად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც დაეკისრებათ. მაგრამ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ აჭარელი სამართალდამცველების მიერ გავრცელებული ინფორმაცია დადასტურდება?

პრესინგი

## გამოძიების ხარვეზების გამო „ასტრა-დილომის" სამართლებრივი დავა კვლავ გრძელდება

*გახმაურებული სასამართლო დავა, რომელიც წლების წინ საქართველოში კომპანია ბმვ-ს მთავარი იმპორტიორის, ფირმა "ასტრა-დილომის" დამფუძნებლებს შორის დაიწყო, ახლაც გრძელდება. საქმე ისაა, რომ "ასტრა-დილომის" ერთ-ერთი დამფუძნებელი თამაზ შაფათავა, რომელიც წლების წინ, ბმვ-ს ფირმის მანქანების კონტრაბანდის ბრალდებით, უშიშროების სამინისტრომ დააკავა, ახლა თავის ყოფილ პარტნიორებს უჩივის და "ასტრა-დილომის" საწყობიდან დიდი რაოდენობით ქონების დატაცებაში ადანაშაულებს.*

ნათია აბაშიძე

თუმცა, ფირმის დამფუძნებელს გია კიკაბიძესა და ყოფილ ინვესტორს თამაზ შაფათავას პარტნიორები პირობითად შეიძლება ეწოდოთ, რადგან შაფათავას, რომელიც ფირმაში ინვესტორის სტატუსით სარგებლობდა, კონტროლის პალატამ ჩატარებული დეტალური რევიზიისა და აღმოჩენილი საინვესტიციო დარღვევების შემდეგ ინვესტორის სტატუსი ჩამოართვა. **"რუსეთის მოქალაქე თამაზ შაფათავას მიერ შპს "ასტრა-დილომში" ინვესტიციების განხორციელება არ დასტურდება და მასზე ინვესტორის ლიცენზია არ უნდა გაცემულიყო,"** – ასეთი დასკვნა გააკეთა კონტროლის პალატამ. გარდა ამისა, საინვესტიციო საქმიანობის შესწავლის შემდეგ, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა წერილობითი კომენტარი გააკეთა: **"იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი პირი შეიძენს ან სხვა გზით გახდება საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს საწესდებო კაპიტალის 20 პროცენტზე მეტი აქციების მესაკუთრე, რომელთა ნომინალური ღირებულება 100 ათას დოლარზე მეტს შეადგენს, აღნიშნულ საწარმოზე არ გავრცელდება "უცხოური ინვესტიციების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათები, რადგან უცხოელი პირის მიერ საქართველოს საწარმოს აქციებზე საკუთრების უფლების შეძენა, მათი ყიდვის ან სხვა გზით, არ შეიძლება განხილული იქნეს ინვესტიციის განსახორციელებლად, ხოლო აღნიშნული პირი კი – ინვესტორად".**

სხვათა შორის, "ასტრა-დილომის" დამფუძნებლებს შორის დაწყებული დავის მიზეზი, თავდაპირველად, სწორედ ინვესტორის - თამაზ შაფათავას მიერ პირობების შეუსრულებლობა გახდა. პატიმრობიდან გათავისუფლებულმა ყოფილმა ინვესტორმა ყოფილ პარტნიორს, "ასტრა-დილომის" დამფუძნებელს გია კიკაბიძეს და მის მეუღლეს მარინე ჯინჭარაძეს, რომელიც სასამართლოში მისი ქმრის წარმომადგენელი იყო, პროკურატურაში უჩივლა. თუმცა, პროკურატურამ საქმის შესწავლის შემდეგ შაფათავას სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა და საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა. მოგვიანებით, შაფათავამ სახალხო დამცველს ნანა დევდარიანს მიმართა და სწორედ მისი შუამდგომლობით თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო დეპარტამენტში ყოფილი პარტნიორების მიერ ქონების დატაცების გამო საქმე აღიძრა. თუმცა, აღსანიშნავია ერთი მომენტი. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, გია კიკაბიძე, მით უმეტეს, მისი წარმომადგენელი სასამართლოში მარინე ჯინჭარაძე "ასტრა-დილომში" მატერიალური პასუხისმგებლები არასდროს ყოფილან.

თბილისის პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიება ძალზე სერიოზული სამართლებრივი ხარვეზებით ჩატარდა. ამის დასტური ის საქმე გახლავთ, რომელიც გამომძიებელმა ამბროსი დალაქიშვილმა შეადგინა და რომელთა შესახებაც "24 საათი" უკვე წერდა.

გამოძიების მიერ დაშვებული კიდევ ერთი დარღვევა, რომელზეც, ფაქტობრივად, მთელი საქმეა აგებული, დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში ახლახან გამოვლინდა. საქმე ისაა, რომ "ასტრა-დილომის" საქმის განხილვა ამჟამად დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში მიმდინარეობს. მარინე ჯინჭარაძის ადვოკატის ალეკო ალადაშვილის შუამდგომლობა, საქმეში არსებული ყველა აქტის ხელმეორედ გადამოწმებისა და მათთვის საბუღალტრო კომისიური ექსპერტიზის განმეორებით ჩატარების შესახებ, მოსამართლე ჯემალ გვაგვალიამ დააკმაყოფილა და მათი ექსპერტიზა მოსამართლის დადგენილებით, იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს დაევალა "ასტრა-დილომის" საბუღალტრო დოკუმენტაციისთვის ხელმეორე ექსპერტიზის ჩატარება, უფრო კონკრეტულად, ფირმის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა საინვენტარიზაციო აღწერების იმ აქტებისთვის, ანუ, იმ მასალებისთვის, რომლის საფუძველზეც, შაფათავას ყოფილი პარტნიორებისთვის ბრალის წაყენებაც მოხდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მასალები, რომლებიც გამომძიებელმა, ფაქტობრივად, მტკიცებულებად გამოიყენა, ორიგინალი არ გახლავთ. ისინი საბუღალტრო დოკუმენტის ასლებია და, როგორც მოსამართლისთვის გაგზავნილ წერილში უფროსი გამომძიებელი დალაქიშვილი წერს, საბუთების დედნები საქმის მასალებში არც მოიპოვება. არადა, გამომძიებელმა დალაქიშვილმა, გარდა იმისა, რომ ამ ქსეროასლებზე დაყრდნობით, რაც არსებული კანონმდებლობით დაუშვებელი მტკიცებულებაა, შაფათავას ყოფილ პარტნიორებს ბრალი წაუყენა, ვაკე-საბურთალოს სასამართლოს შუამდგომლობითაც მიმართა და მათთვის აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეფარდებასაც ითხოვდა. თუმცა, სასამართლომ მისი ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან მიიჩნია, რომ ამის საფუძველი არ არსებობდა.

მოკლედ, მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ 19 მარტს დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს მიერ ექსპერტიზის ბიუროში დოკუმენტების ასლები იყო გადაგზავნილი, რის გამოც ბიურომ ექსპერტიზის ჩატარება შეაჩერა და შემკვეთს დედნები მოსთხოვა, მოსამართლემ ექსპერტს, რომელიც საბუღალტრო დოკუმენტების ორიგინალს ითხოვდა, მისწერა: "გთხოვთ, მოგვცეთ დასკვნა არსებული მასალების მიხედვით". "ასტრა-დილომის" საბუღალტრო დოკუმენტაციის ექსპერტიზა დღეს დაიწყება და ის ორიგინალების გარეშე, ქსეროასლებს ჩაუტარდება, ვინაიდან დამკვეთი, ამ შემთხვევაში - მოსამართლე, საქმეში არსებულ მასალებზე დასკვნის გაკეთებას ითხოვს.

**"ბრალდებულთა ადვოკატმა მოითხოვა, საქმეში არსებულ საბუღალტრო მასალებს ხელმეორე ექსპერტიზა ჩატარებოდა. პირველად დაყენებულ შუამდგომლობაზე უარი განვაცხადე, რადგან ყველა ის პირი უნდა დაკითხულიყო, ვინც ამ დოკუმენტების გაცემა-შედგენასთან იყო დაკავშირებული. მართლაც დაიკითხა ყველა მათგანი და აღმოჩნდა, რომ არსებობდა სერიოზული წინააღმდეგობები, რის შემდეგაც, ადვოკატმა ალადაშვილმა განმეორებით მოითხოვა დოკუმენტაციისთვის ექსპერტიზის ჩატარება და მისი შუამდგომლობა დავაკმაყოფილე. იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს მივმართე, საქმეში არსებული მასალები შეესწავლა. მას შემდეგ, რაც ექსპერტი დაწერს დასკვნას, რომ ეს მასალები ასლებია, ანუ, არასაკმარისი მასალა, ის სასამართლოს ხელმეორედ განხილვის საკითხი გახდება. ექსპერტის დასკვნით, როცა დადგინდება, რომ არსებული მასალა ასლია, მაშინ მათი ფასი ნული აღმოჩნდება, რადგან ასლები დაუშვებელი მტკიცებულებაა. თუმცა, საკვირველი ისაა, რომ ამ ასლებს გამოძიების მიმდინარეობისას სამი ექსპერტიზა ჩაუტარდა. არადა, როგორც წესი, ექსპერტიზა ორიგინალებს უტარდებათ. მე მოსამართლე ვარ და კანონის სრული დამცველი, ვიცი, რომ ასლებისთვის, როგორც დაუშვებელი მტკიცებულებისთვის, ექსპერტიზის ჩატარება არ შეიძლება, ამიტომაც მე ასეთი დავალება ექსპერტიზისთვის არ მიმიცია. მე დავაკმაყოფილე შუამდგომლობა და ექსპერტიზას მივუთითე, საქმეში არსებული მასალები შეესწავლათ,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა "ასტრა-დილომის" საქმის მოსამართლემ ჯემალ გვაგვალიამ.

ჯერჯერობით, კომენტარის გაკეთება არ ისურვა იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტმა ვახტანგ ასპანიძემ. **"კომენტარს ვერ გაგიკეთებთ, რადგან ჯერ ექსპერტიზა არ ჩაგვიტარებია და პასუხს ვერ გაგცემთ,** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა მან, - **ჩვენ ვალდებული ვართ, მოსამართლის მითითება შევასრულოთ. ჩავატარებთ ექსპერტიზას, წარმოდგენილ მასალებს შევისწავლით და, თუ ისინი ასლები აღმოჩნდება, დაიწერება შესაბამისი დასკვნა, გადაეგზავნება მოსამართლეს, რომელიც იმსჯელებს მასზე. საბოლოო დასკვნის გამოტანა სასამართლოს კომპეტენციაა, ჩვენ მხოლოდ არსებულ მასალებს შევისწავლით და გავაკეთებთ დასკვნას,"** – განაცხადა ვახტანგ ასპანიძემ.

ერთი სიტყვით, "ასტრა-დილომის" საქმის ობიექტურად დასრულება ახლა ექსპერტიზის დასკვნაზეა დამოკიდებული. ამ დასკვნის საფუძველზე, იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიურომ ის სერიოზული ხარვეზი უნდა გაასწოროს, რომელიც გამოძიების მიმდინარეობისას უკვე სამჯერ დაუშვეს, მაშინ, როცა დაუშვებელ მტკიცებულებას ექსპერტიზა რამდენჯერმე ჩაუტარდა და ისინი უკანონო მტკიცებულებად გამოცხადდა. სხვათა შორის, გამოძიების მიერ მოკვლეული მასალები, ანუ, ექსპერტიზისთვის გადაგზავნილი მასალები იმ დოკუმენტთა ასლებია, რომლებიც შაფათავას ყოფილ პარტნიორთა საქმიანობის პერიოდს საერთოდ არ ეხება, მათში "ასტრა-დილომის" სხვა პასუხისმგებელ პირთა მოღვაწეობაზეა საუბარი.

ორი სიტყვით

**თბილისი.** კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, ჯერჯერობით, დუმილის უფლებას იყენებს, თუმცა ახლო მომავალში ჩვენების მიცემას აპირებს, - განაცხადა მოლაშვილის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ.

თბილისის პროკურატურაში თავისი ნებით მისული მოლაშვილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით 23 აპრილს დააკავეს. მას გამოძიება პროკურატურაში შემოწმების მასალების გაუგზავნელობას, კერძო ორგანიზაციების შემოწმებასა და შემოწმებულ უწყებებზე დაკისრებული თანხის 30 პროცენტის კონტროლის პალატის ანგარიშზე პირდაპირ, სახელმწიფო ბიუჯეტის გვერდის ავლით ჩარიცხვის გამო ედავება. კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე თავს პოლიტპატიმრად მიიჩნევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სასწავლო ცენტრი სამართლის სფეროში მომუშავე ჟურნალისტებისთვის 29-30 მაისს ბაკურიანში სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში სასწავლო სემინარს გამართავს. სწავლება, ძირითადად, ჟურნალისტურ საქმიანობასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლებრივ საკითხებს მოიცავს, მათ შორის - ჟურნალისტის უფლებებსა და ვალდებულებებს საქმის წარმოების გაშუქებისას.

სემინარს უხელმძღვანელებენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნინო გვენეტაძე და გენერალური პროკურატურის კრიმინალისტიკური სამსახურის უფროსი ირაკლი კობალაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების პატიმრებს გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია "ფალავანისგან" სხვადასხვა დასახელების საჩუქრები გადაეცათ.

როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტში განაცხადეს, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა არასრულწლოვან პატიმრებს ფეხბურთის ბურთები, საკანცელარიო ნივთები, მუსიკალური პლეერები, სპორტული მაისურები, წინდები, ხილი და ტკბილეული გადასცეს.

ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში ამჟამად სასჯელს 19 პატიმარი იხდის, რომელთა ასაკი 16-დან 18 წლამდე მერყეობს. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლანჩხუთელი, ნასამართლევი, 36 წლის თემურ ბლაგიძე და ბათუმელი, მრავალჯერ ნასამართლები, 27 წლის რამაზ ასლანიშვილი პოლიციელებმა ყაჩაღობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ბლაგიძე და ასლანიშვილი 25 მაისს თბილისში თავს დაესხნენ შპს "თიკოს" ტაქსის მძღოლს არჩილ ზურაბაშვილს და მუქარით წაართვეს 140 ლარი და მობილური ტელეფონის აპარატი.

პოლიციელებმა ეჭვმიტანილებისაგან ნივთმტკიცებები ამოიღეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მეტროპოლიტენის სადგურ " ვარკეთილში" ჩადენილი ხულიგნობის ბრალდებით მეტროპოლიტენის პოლიციელებმა 26 წლის ზურაბ დურგლიშვილი და კახა ღვინჯილია დააკავეს.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს განცხადებით, ღვინჯილიამ და დურგლიშვილმა, რომლებიც ნასვამები იყვნენ, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ზურაბ ლომიძეს. საქმეში პოლიციელი ზურაბ დალაქიშვილი ჩაერთო და სიტუაციის განმუხტვა სცადა, მაგრამ ნასვამმა მეგობრებმა სამართალდამცველიც სცემეს. დაკავებულთა მიმართ საქმე ხულიგნობის მუხლით არის აღძრული და საქმეს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის ტრანსპორტის განყოფილება იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ შარაბიძეების მკვიდრი, 44 წლის აბდულ ზოიძე. იგი ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შენახვაშია ბრალდებული. ზოიძის სახლიდან სამართალდამცველებმა ხელყუმბარა "რგდ-5" ამოიღეს. პოლიციის თანამშრომლებმა ამავე სოფელში დააკავეს 45 წლის რევაზ თაბაქიძე, რომლის სახლიდან ამოიღეს ავტომატ "აკმ" 8 მჭიდითა და 266 საბრძოლო ვაზნით, ასევე ხელყუმბარა "რგდ-5".

ზოიძისა და თაბაქიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა. მათ სამ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ავტომანქანის ყაჩაღური გზით გატაცებაში ეჭვმიტანილები, გარდაბნელი, ნიკოლოზ მამნიაშვილი და სიღნაღელი მამუკა გურაშვილი საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა გურჯაანის რაიონში დააკავეს.

შს სამინისტროს ცნობით, ამნიაშვილმა და გურაშვილმა 25 მაისს, გარდაბნის რაიონის სოფელ კაჭრეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, საავტომობილო ტრასაზე გელა კოპალეიშვილს დანის მუქარით წაართვეს ავტომანქანა "ვაზ 2106", რომლითაც კახეთის მიმართულებით გაემართნენ.

მამნიაშვილისა და გურაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობის მუხლით შსს საგამოძიებო დეპარტამენტის გურჯაანის განყოფილებამ აღძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქურდული ტრადიციების მატარებელი, 22 წლის დავით ხიზანიშვილი ვარკეთილის მე-3 მიკრორაიონში ისანი-სამგორის რაიონის პოლიციელებმა იარაღის უკანონო ტარების გამო დააკავეს. შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ხიზანიშვილისაგან ამოღებულია პისტოლეტი "მაკაროვი" 7 საბრძოლო ვაზნით. ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, ხიზანიშვილს ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრება. **მედია-ნიუსი**


გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
საქართველოს გაეროს ასოციაცია

UNHCR

## ღია კონკურსი ლტოლვილ და დევნილ ხელოვანთათვის

ლტოლვილთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 2004 წლის 20 ივნისს აღინიშნება, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და საქართველოს გაეროს ასოციაცია მართავენ გამოფენა-კონკურსს ლტოლვილ და დევნილ ხელოვანთათვის. წლევანდელი ღონისძიების თემატიკიდან გამომდინარე, ხელოვანთა მიერ წარდგენილ ნამუშევრებში უნდა აისახებოდეს მათი წარმოდგენა "სახლის" შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 16 წელს ზევით ასაკის ლტოლვილ და დევნილ ხელოვანებს. ნამუშევართა ფორმა შეზღუდული არ არის - კონკურსისათვის შეიძლება წარდგენილ იქნეს ფერწერული, გრაფიკული, ფოტო ნამუშევრები, ქანდაკება და ხელით ნაკეთობანი.

ყველა ნამუშევარი განხილული და შეფასებული იქნება გაეროსა და დიპლომატთა კორპუსის წარმომადგენელთა და პროფესიონალ ხელოვანთაგან შემდგარი ჟიურის მიერ. საუკეთესო 25 ნამუშევარი ლტოლვილთა საერთაშორისო კვირეულის განმავლობაში გამოიფინება საჯაროდ ავტორთა თანხმობის საფუძველზე მათი შემდგომი გაყიდვის შესაძლებლობით.

25-დან ერთი საუკეთესო ნამუშევრის ავტორი დაჯილდოვდება ფულადი პრიზით, რომელიც საშუალებას მისცემს საკუთარი სამხატვრო შესაძლებლობები განავითაროს. თითოეულ წარდგენილ ნამუშევარს თან უნდა ახლდეს მოკლე ესსე, რომელშიც ასახული იქნება, თუ როგორ გამოიყენებს ავტორი მოგებულ თანხას კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში.

ნამუშევართა წარდგინების ბოლო ვადაა 2004 წლის 7 ივნისი.

ნამუშევრები და მოკლე ესსე შეგიძლიათ წარადგინოთ შემდეგ მისამართებზე: გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა საქართველოში - თბილისი, ყაზბეგის გამზირი N2ა, მე-4 სართული, ან საქართველოს გაეროს ასოციაცია, თბილისი, დოლიძის N2, მე-4 სართული.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: (995 32) 25-00-81 ან 33-25-16.**

# საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებით

*საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის მოსახლეობის ერთი ნაწილი ხშირად აპროტესტებს. პროტესტის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ნავთობსადენის პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა არაერთი პრობლემა, რომლის მოგვარებაც, ამ ადამიანებს, ხშირ შემთხვევაში, სასამართლო პროცესებით უწევთ. ასევე, ხშირია საპროტესტო აქციები და უკმაყოფილო განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ ნავთობსადენის მშენებლობის კომპანია მათ უფლებებს უხეშად არღვევს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" დახმარებისთვის უკვე არაერთმა დაზარალებულმა მიმართა. მოსახლეობასა და კომპანიას შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების მოგვარების რამოდენიმე გზა არსებობს. ქვემოთ გთავაზობთ იმ მექანიზმებს, რისი გამოყენებითაც თქვენ საკუთარი უფლებების დაცვა შეგიძლიათ.*
*თუ თქვენ თვლით, რომ საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებისას დაირღვა თქვენი უფლებები, სადავო საკითხის მოსაგვარებლად შეგიძლიათ, პირდაპირ მიმართოთ სასამართლოს წინამდებარე სტატიაში განხილული მექანიზმის გამოუყენებლად. ანდა, ჯერ გამოიყენოთ ეს მექანიზმი და დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მიმართოთ სასამართლოს.*

თუ თქვენ თვლით, რომ საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებისას დაირღვა თქვენი უფლებები, შეგიძლიათ კონსულტაციისა და დახმარებისთვის მოგვმართოთ:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ტელ: 93-61-01 ან 822 95 23 53; ფაქსი: 92-32-11
მისამართი: ქ. თბილისი, კრილოვის ქ. N15 ბესო აბაშიძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რუსთავის ფილიალი
ტელ: (824) 15-53-37 ან (824) 15-71-81
მისამართი: ქ.რუსთავი, მერაბ კოსტავას N13
ბინა 1 ვასილ ტიტვინიძე

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
ტელ: 22-38-74 ან 99-04-72 - ფაქსი: 93-24-03
მისამართი: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზირი N1, I სადარბაზო,
მე-4 სართული ქეთი კვინიკაძე

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) ნავთობსადენის მშენებლობა საქართველოში 2003 წელს დაიწყო. მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში შესვლა დაგეგმილია 2005 წლისთვის. ნავთობსადენის მშენებლობასა და ექსპლუატაციას უძღვება ბთჯ მილსადენის კომპანია (BTC Co), უშუალოდ სამშენებლო სამუშაოებს კი ანხორციელებენ ბთჯ მილსადენის კომპანიის სამშენებლო კონტრაქტორები: ფრანგული კომპანია "სპი კაპაგი" (Spie Capag) და ამერიკული კომპანია "პეტროფაგი" (Petrofac).**

**ქვემოთ დაწვრილებით განვიხილოთ საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებით:**

**რა მიზანი აქვს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმს?**

ბთჯ მილსადენის კომპანიის საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმის მთავარი მიზანია, მარტივად და დაუყოვნებლივ მოგვარდეს მთელი რიგი პრობლემები და სადავო საკითხები, რომელიც, შესაძლოა, წარმოიქმნას ნავთობსადენის პროექტის განხორციელების პროცესში. "განსახლების სამოქმედო გეგმის" თანახმად (რომელიც ბთჯ მილსადენის კომპანიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო დოკუმენტია), საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმის კონკრეტული მიზნებია:

**პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის უზრუნველყოფა საჩივრის წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მარტივი და ხელმისაწვდომი მექანიზმით;**

**საჩივარში წამოჭრილი საკითხის მოსაგვარებლად საჭირო, სათანადო და ორივე მხარისთვის მისაღები გამოსასწორებელი ღონისძიებების დადგენა და განხორციელება;**

**შემოწმება იმისა, თუ რამდენად არიან კმაყოფილნი მომჩივანები გამოსასწორებელი ღონისძიებების შედეგებით;**

**თავიდან იქნეს აცილებული მომჩივანის მიერ სასამართლოსთვის მიმართვა.**

ბთჯ მილსადენის კომპანია თვლის, რომ საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმის საშუალებით, ბთჯ ნავთობსადენის პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ხარისხს შეამოწმებს. ამდენად, საჩივრების რაოდენობის მატების შემთხვევაში, ბთჯ მილსადენის კომპანიამ და მისმა სამშენებლო კონტრაქტორმა, შესაძლოა, განიხილონ მათი მუშაობის პრაქტიკის ან პროცედურების შეცვლის შესაძლებლობა, რათა შემცირდეს უარყოფითი ზემოქმედება და კონფლიქტები ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ ცალკეულ ოჯახებთან და მოსახლეობასთან.

*- ვინ განიხილება ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობად?*

ნავთობსადენი საქართველოში გადაკვეთს შვიდ რაიონს: გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის, აგრეთვე, ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციული საზღვრის ნაწილს. მილსადენი 72-მდე დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე გადის და კვეთს კერძო საკუთრებასა თუ სარგებლობაში არსებულ 4000-ზე მეტ მიწის ნაკვეთს.

ბთჯ მილსადენის კომპანია ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობად მიიჩნევს:

**პირებს, რომლებიც ფლობენ ნაკვეთებს ან სარგებლობენ მიწით, რომელიც მდებარეობს ნავთობსადენის დერეფნის ცენტრიდან ორივე მხარეს 2 კმ-ის ფარგლებში;**

**პირებს, რომლებიც ფლობენ ნაკვეთებს ან სარგებლობენ მიწით, რომელიც მდებარეობს ნავთობსადენის მიწისზედა ნაგებობისა (მაგ: საქაჩი სადგურების, ჩამკეტი სარქველების სადგურების) და მუშათა ბანაკების 5 კმ-ის რადიუსში;**

**პირებს, რომლებიც ფლობენ ნაკვეთებს ან სარგებლობენ მიწით, რომელიც მდებარეობს ნავთობსადენის მილსაწყობების 2 კმ-ის რადიუსში;**

**გზისპირას მცხოვრებ პირებს, რომლებიც ნავთობსადენის პროექტის განხორციელების გამო, განიცდიან საგზაო ტრანსპორტის რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის ზემოქმედებას.**

- *რა საკითხებზე შეიძლება საჩივრის შეტანა?*

საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნეს ბთჯ ნავთობსადენის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემური საკითხის თაობაზე. თუმცა, არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, უკვე აწუხებს ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას. ესენია:

**მიწისა და მასზე განლაგებული ნარგავების არასწორი ინვენტარიზაცია (აღწერა);**

**დავა საკომპენსაციო თანხაზე;**

**"ნარჩენ" თუ "დარჩენილ" მიწაზე კომპენსაციის მიღების საკითხი;**

**გზების დაზიანება და მძიმე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებით გამოწვეული ხმაური, ვიბრაცია და მტვერი;**

**გზისპირა მდებარე სახლების დაზიანება;**

**გენერატორების მუშაობით გამოწვეული ხმაური და სხვა.**

დროთა განმავლობაში, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარდა, ბთჯ ნავთობსადენის პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, შესაძლოა, თავი იჩინოს სხვა სახის პრობლემებმაც. მაგალითად:

**ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში სამშენებლო დერეფნის მიმდებარე მიწის სხვა ნაკვეთების დაზიანება, მათზე სამშენებლო ნარჩენების განთავსება;**

**საირიგაციო არხების ან წყალმომარაგების სისტემის დაზიანება;**

**ნაკვეთებთან მისასვლელი გზების არარსებობის გამო, მოსახლეობისთვის მიწის ნაკვეთებით სარგებლობის შესაძლებლობის შეზღუდვა;**

**სამშენებლო სამუშაოების გამო საქონლის დაზიანება ან დაღუპვა;**

**მშენებლობის დამთავრების შემდეგ მიწის გაუვარგისება მისი ზედა ფენის არასათანადო აღდგენის გამო და სხვა.**

**ყველა ზემოაღნიშნული თუ ნავთობსადენის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის პრობლემის წამოჭრისას, თქვენ შეგიძლიათ, გამოიყენოთ სტატიაში განხილული საჩივრების წარდგენისა და სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმი და საჩივრით მიმართოთ შესაბამის თანამდებობის პირს.**

*- ვის უნდა მიმართოთ საჩივრით და რა ფორმით?*

ნავთობსადენის მშენებლობის პერიოდში საჩივრების შეგროვებაზე, პრობლემების გამოკვლევასა და მომჩივანისთვის პასუხის გაცემაზე პასუხისმგებლები არიან ბთჯ მილსადენის კომპანიის სამშენებლო კონტრაქტორის ***საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები***. ამასთან, დაშვებულია საჩივრით მიმართვა ბთჯ მილსადენის კომპანიის და სამშენებლო კონტრაქტორის ნებისმიერი თანამშრომლისადმი, რომელიც საჩივრის მიღების შემდეგ ვალდებულია, გადასცეს ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერს. "განსახლების სამოქმედო გეგმა", ასევე, ითვალისწინებს საჩივრით სოფლების, რაიონებისა და ქალაქების ხელისუფლების ორგანოებისთვის მიმართვის შესაძლებლობას, რათა მათ საჩივრები დაუყოვნებლივ გადაუგზავნონ შესაბამის პირებს.

იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო კონტრაქტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები ვერ უზრუნველყოფენ საჩივარზე დამაკმაყოფილებლად რეაგირებას, მომჩივანს შეუძლია, საჩივრით მიმართოს ბთჯ მილსადენის კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერს. კომპანია ვალდებულია, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის საკონტაქტო მონაცემები ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობაში გაავრცელოს.

***ამგვარად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ აიღო ვალდებულება, განიხილოს ნავთობსადენის პროექტის განხორციელების წინასამშენებლო და ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი საჩივრები, ხოლო რაც შეეხება მშენებლობის პერიოდში წარმოქმნილ საჩივრებს, მათზე რეაგირების ვალდებულება ეკისრება ბთჯ მილსადენის კომპანიის მიერ დანიშნულ სამშენებლო კონტრაქტორს. თუმცა, ბთჯ მილსადენის კომპანია განახორციელებს სამშენებლო კონტრაქტორის მიერ საჩივრებზე რეაგირებისა და მომჩივანთათვის დამაკმაყოფილებელი შედეგების მისაღწევად გაწეული სამუშაოს მუდმივ ზედამხედველობას.***

**გ ა ხ ს ო ვ დ ე თ!**

**ნავთობსადენის მშენებლობის ეტაპზე წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად უნდა მიმართოთ სამშენებლო კონტრაქტორის (სპი-კაპაგ-პეტროფაგის) საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებს;**

**საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში წამოჭრილი საკითხების შესახებ უნდა მიმართოთ საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციების შესაბამის თანამდებობის პირებს;**

**დასაქმებასთან წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით უნდა მიმართოთ დასაქმების საინფორმაციო ცენტრებს.**

*ბთჯ მილსადენის კომპანიის, მისი სამშენებლო კონტრაქტორისა და საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებისა და, ასევე, დასაქმების საინფორმაციო ცენტრების საკონტაქტო დეტალები იხილეთ სტატიის ბოლოს.*

**მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა ფორმით,** ანუ როგორ მიმართავთ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებს. "განსახლების სამოქმედო გეგმის" თანახმად, მომჩივანმა საჩივარი შეიძლება წარადგინოს როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი ფორმით. ასევე, გათვალისწინებულია საჩივრის მიღება ტელეფონის საშუალებითაც. სამუშაო საათების განმავლობაში მომჩივანს შეუძლია, თავისი საჩივრის თაობაზე ტელეფონის საშუალებით პირდაპირ გაესაუბროს სამშენებლო კონტრაქტორის თანამშრომელს. სამუშაო საათების შემდეგ კი, საჩივარი მიიღება ტელეფონი-ჩამწერის საშუალებით. თუმცა, ითვალისწინებს რა საქართველოში სატელეფონო ხაზების გაუმართაობას, სამშენებლო კონტრაქტორი იღებს ვალდებულებას, ფართოდ გაავრცელოს ინფორმაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ადგილსამყოფელის შესახებ.

**ამრიგად, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ჯგუფმა მშენებლობის ადგილების, სამშენებლო ბანაკებისა და იმ გზების სიახლოვეს განლაგებულ დასახლებულ პუნქტებში, სადაც მნიშვნელოვნად მოიმატებს ტრანსპორტის მოძრაობა, მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრებისა და პლაკატების საშუალებით უნდა უზრუნველყოს საკონტაქტო ტელეფონის ნომრების, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ადგილსამყოფელისა და საჩივრების წარდგენის მექანიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.**

**გ ა ხ ს ო ვ დ ე თ!**

**მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულის თანახმად, დაშვებულია საჩივრის სიტყვიერად წარდგენა, ყოველთვის უფრო მიზანშეწონილია, რომ საჩივარი წერილობითი სახით უშუალოდ წარადგინოთ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერთან.**

**ამასთან, სასურველია, რომ საჩივარი მოამზადოთ ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცით საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერს, ხოლო მეორე ეგზემპლარზე სთხოვეთ, რომ დაგიმოწმოთ საჩივრის ჩაბარების ფაქტი (მოაწეროს ხელი და მიუთითოს საჩივრის ჩაბარების თარიღი). დამოწმებული ეგზემპლარი დაიტოვეთ თქვენ.**

*- როგორია საჩივრის განხილვის მექანიზმი და ვადები?*

"განსახლების სამოქმედო გეგმის" თანახმად, საჩივრის განხილვის პროცესი შეიძლება პირობითად ექვს ეტაპად დაიყოს. მოკლედ მიმოვიხილოთ ეს ეტაპები:

*I ეტაპი - საჩივრის მიღება*

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერმა ყველა საჩივარი უნდა შეიტანოს ***საჩივრის ჟურნალში***. საჩივრის შესახებ საწყისი ჩანაწერი უნდა მოიცავდეს: საჩივრის აღწერას, მომჩივანის მონაცემებსა და საჩივრის შესვლის თარიღს.

*II ეტაპი - გამოსასწორებელი ქმედების განსაზღვრა*

ბთჯ მილსადენის კომპანიის სამშენებლო კონტრაქტორი განიხილავს საჩივარს და განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება გაკეთდეს საჩივარში წამოჭრილი საკითხის მოსაგვარებლად, ანუ განსაზღვრავს შესაბამის გამოსასწორებელ ქმედებას. საჭიროების შემთხვევაში, გამოსასწორებელი ქმედების განსაზღვრის დროს, გათვალისწინებულია მომჩივანთან კონსულტაციაც.

ამ ეტაპზე საჩივრის ჟურნალში ჩაიწერება შემდეგი სახის მონაცემები: რა სახის გამოსასწორებელი ქმედება უნდა გატარდეს, დროის მონაკვეთი, რომელშიც უნდა შესრულდეს ეს ქმედება და ვინ არის პასუხისმგებელი ქმედების შესრულებაზე. ამასთან, იმისათვის, რომ მომავალში თავიდან იქნეს აცილებული ანალოგიური უარყოფითი ზემოქმედება ან კონფლიქტი, საჩივრის განხილვასთან ერთად, სამშენებლო კონტრაქტორი განსაზღვრავს, რამდენად გამართლებულია მის სამუშაო პრაქტიკაში რაიმე ცვლილების შეტანა.

*III ეტაპი - მომჩივანთან ერთად განხილვა*

საჩივრის მიღებიდან ***15 დღის ვადაში,*** საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი ვალდებულია, წერილობით აცნობოს მომჩივანს დაგეგმილი გამოსასწორებელი ქმედება და მისი შესრულების ვადები და განიხილოს ის მომჩივანთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში, გამოსასწორებელი ქმედების შესრულების დაწყება შეთანხმდება მომჩივანთან.

*IV ეტაპი - გამოსასწორებელი ქმედების შესრულება*

გამოსასწორებელი ქმედება უნდა შესრულდეს წინა ეტაპზე შეთანხმებულ დროში და მისი დასრულების თარიღი ჩაიწეროს საჩივრის ჟურნალში.

*V ეტაპი - გამოსასწორებელი ქმედების დამოწმება მომჩივანის მიერ*

გამოსასწორებელი ქმედების დასრულების შემდეგ, მისი შედეგი მომჩივანთან ერთად უნდა დამოწმდეს ბთჯ მილსადენის კომპანიის ან სამშენებლო კონტრაქტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ. თუ მომჩივანი შედეგით კმაყოფილია, მან ეს ხელის მოწერით უნდა დაადასტუროს. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი უკმაყოფილოა შედეგით, შესაძლებელია მიღწეულ იქნეს შეთანხმება სამშენებლო კონტრაქტორის მიერ დამატებითი გამოსასწორებელი ქმედების განხორციელებაზე.

*VI ეტაპი - საჩივრის დაკმაყოფილების სხვა შესაძლებლობები*

იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი კვლავ არ არის კმაყოფილი შედეგით და მხარეები ვერ თანხმდებიან, სადავო საკითხის მოგვარების მიზნით, მომჩივანს შეუძლია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

***- აქვთ თუ არა საზოგადოებასთან ურთიერთობების ოფიცრებს ზემოთ განხილული ვალდებულებების გარდა სხვა ვალდებულებაც?***

გარდა იმისა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები ვალდებულნი არიან, შეაგროვონ საჩივრები და მოახდინონ მათზე სათანადო რეაგირება, რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებამდე, სულ მცირე, ორი თვით ადრე, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ჯგუფი უკვე ადგილზე უნდა იყოს, რათა მათ დაამყარონ კავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამ პერიოდში კი, მათ გააჩნიათ შემდეგი ვალდებულებები:

**სამშენებლო ბრიგადების ჩამოსვლამდე შეხვდნენ ადგილობრივ თემთა წარმომადგენლებს, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებისას მიაწოდონ მათ ინფორმაცია კონკრეტულ ადგილზე ჩასატარებელი სამუშაოების ხასიათსა და ხანგრძლივობაზე;**

**იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ კონკრეტულ ტერიტორიაზე იმყოფებიან სამშენებლო ბრიგადები, ორ კვირაში ერთხელ (ან საჭიროებისდა მიხედვით) ჩაატარონ შეხვედრები ადგილობრივ თემებთან და მათ წარმომადგენლებთან;**

**ადგილობრივი თემების საჩივრების არსებობის შემთხვევაში, სადავო საკითხების მოგვარების მექანიზმის გამოყენებით, ხელი შეუწყონ საჩივრებზე მოლაპარაკებების გამართვასა და მათ მოგვარებას.**

მშენებელთა ბანაკებზე მიმაგრებული საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები, ასევე, ადგილზე უნდა იყვნენ ბანაკების მშენებლობის დაწყებამდე, სულ მცირე, ორი თვით ადრე. ამ პერიოდში მათ შემდეგი ვალდებულებები გააჩნიათ:

**მშენებელთა ბანაკების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში მოაწყონ რეგულარული შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან;**

**ყოველთვიურად შეხვდნენ მცირე სამშენებლო ბანაკებისა და ნავთობსადენის მიწისზედა ნაგებობების სიახლოვეს მცხოვრებ ადგილობრივ თემებს და სამშენებლო კონტრაქტორის ხელმძღვანელობას მიაწოდონ რჩევები შეხვედრებისას წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით.**

*სამშენებლო კონტრაქტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა, ასევე, ის, რომ მათ ნავთობსადენის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას უნდა მიაწოდონ ინფორმაცია გზებზე, უშუალოდ მშენებელთა ბანაკებისა და სამშენებლო მოედნების ტერიტორიაზე, ასევე, მათ მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების შესახებ.*

**მოცემული მონაცემები საზოგადოებასთან ურთიერთობების ოფიცრების შესახებ, წარმოდგენილია მიმდინარე წლის მაისის მდგომარეობით.**

**ბთჯ მილსადენის კომპანია**

| | |
|---|---|
| გარდაბნის საქაჩი სადგურის სამშენებლო სამუშაოები | გიორგი ობოლაძე<br>ტელ: (899) 21 06 04 |
| თეთრიწყაროს საქაჩი სადგურის სამშენებლო სამუშაოები | ოთარ ლომიძე<br>ტელ: (899) 21 30 04 |
| გარდაბანსა და მარნეულში ნავთობსადენის სამშენებლო სამუშაოები | ანა პეტრიაშვილი<br>ტელ: (899) 21 06 02 |
| თეთრიწყაროსა და წალკაში ნავთობსადენის სამშენებლო სამუშაოები | ზურაბ მღვდლიაშვილი<br>ტელ: (899) 96 33 17 |
| ბორჯომსა და ახალციხეში ნავთობსადენის სამშენებლო სამუშაოები | ხავიერ ოლმედო<br>ტელ: (899) 21 40 11 |

**სამშენებლო კონტრაქტორი სპი-პეტროფაკი**

| | |
|---|---|
| გარდაბნის საქაჩი სადგურის სამშენებლო სამუშაოები | გიგა ხვიჩია<br>ტელ: (899) 72 30 04 |
| თეთრიწყაროს საქაჩი სადგურის სამშენებლო სამუშაოები | შოთა მაჭავარიანი<br>ტელ: (899) 29 71 21<br>ალეკო მამაცაშვილი<br>ტელ: (899) 72 18 49 |
| წალკაში ნავთობსადენის სამშენებლო სამუშაოები | დავით გაბისკირია<br>ტელ: (899) 72 18 63<br>დავით სუჯაშვილი<br>ტელ: (899) 72 18 61 |
| წალკა, მუშათა ბანაკი | გოჩა მღებრიშვილი<br>ტელ: (899) 21 61 67 |
| ბორჯომი, ახალციხე, ბაკურიანი - ნებისმიერი სახის სამუშაოები | გიორგი ოქრომჭედლიშვილი<br>ტელ: (899) 72 18 71 |

**სამშენებლო კონტრაქტორი სპი-პეტროფაკი დასაქმების საინფორმაციო ცენტრები**

| | |
|---|---|
| გარდაბანი | მისამართი: სტალინის ქ. N54 |
| თეთრიწყარო | მისამართი: ჯავახიშვილის ქ. N21 |
| წალკა | მისამართი: რუსთაველის ქ. N61 |

**ბთჯ მილსადენის კომპანიის საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა (სიპ)**

| | |
|---|---|
| გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამების მენეჯერი (სიპ-ის მართვაზე პასუხისმგებელი პირი) | Mმარია ეიქრიგი<br>მისამართი: საბურთალოს ქ. N38<br>ტელ: 59 34 00<br>ფაქსი: 59 34 80 |
| საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის კოორდინატორი | ეთერ კვირიკაშვილი<br>მისამართი: საბურტალოს ქ. N38<br>ტელ: 59 34 00<br>ფაქსი: 59 34 80 |
| სიპ-აღმოსავლეთი (გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო) | Nანა თოფურიძე<br>თელ: 25 24 71, 25 24 73<br>Eელ/ფოსტა: ntofuridze@mercycorps.ge |
| სიპ-დასავლეთი (წალკა, ბორჯომი, ახალციხე, ადიგენი) | Gგია ღლონტი<br>ტელ: 29 15 31, 29 13 78<br>ელ/ფოსტა: george-dlonti@care.org.ge |

www.24hours.ge
24
B

ნომრის სტუმარი

# რუსული ბიზნესი რუსულ პოლიტიკას ხარკს უხდის

პირველი გვერდიდან


რომან გოცირიძე სტუმრად "24 საათის" რედაქციაში

რუსი ინვესტორები არც შეღავათებით უნდა გავანებივროთ და არც განსაკუთრებული შეზღუდვებით უნდა გამოვარჩიოთ.

დიახ, ქვეყანამ უნდა იცოდეს, სად შეიძლება უცხოური კაპიტალის მოზიდვა და ხელშეწყობა და სად - არა.

რუსეთიდან კაპიტალის გატანა რუსული ბიზნესის თავდაცვის ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს. მით უმეტეს, ქართული წარმოშობის რუსი ბიზნესმენებისთვის ეს არის სათადარიგო აეროდრომის შექმნის ერთ-ერთი კარგი გზა.

- წინა ხელისუფლების კორუმპირებულად მოხსენიება ძალზე რბილი ეპითეტი იქნება. ჩვენთან, ფაქტობრივად, არსებობდა ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის ინტერესებს ყოველ ნაბიჯზე ყიდდა, საკუთარი გამორჩენისთვის ქვეყნის ნებისმიერ ინტერესს თმობდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქართული საზოგადოება ეჭვის თვალით უყურებდა რუსულ კაპიტალს, რომელიც მართლაც იყო ასოცირებული ექსპანსიასთან.

**- "რუსეთს საქართველოს მსგავსი ქვეყნების დაპყრობა ტანკების ნაცვლად ბანკებით სურს..." ერთი წლის წინანდელმა თქვენმა ამ გამონათქვამმა დღეს აქტუალობა დაკარგა?**

- ჯერ ერთი, შეიცვალა საქართველოს ხელისუფლება. ქვეყანაში მოვიდა ძალა, რომელსაც სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების დაცვა მართლა სურს. მაგრამ, ამისთვის მხოლოდ სურვილი საკმარისი არ არის. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ისეთი დამცავი მექანიზმები, რომლითაც ამ პატრიოტული შემართების ფონზე ქვეყანას ვიღაცის კაბალაში არ აღმოაჩენს. გარდა ამისა, აშკარად შესამჩნევია ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური გამთლიანების პროცესის დაწყება და აჭარა ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიგნალია. ხელისუფლება პოლიტიკურად ვერ აკონტროლებდა ამ რეგიონს, ბიუჯეტი შიდა კლანური ურთიერთობებით იყო დანაწევრებული და სახელმწიფო ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლს ვერ ახორციელებდა. დღეს ქვეყანას პროცესების მართვა უკვე შეუძლია და, ბუნებრივია, მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილება შესაძლებელი ხდება.

**- ჩვენთან - გასაგებია, მაგრამ რა შეიცვალა რუსეთში?**

- ვერ ვიტყვი, რომ რუსეთში რაიმე შეიცვალა. თუმცა, დეკლარირების დონეზე რაღაც ჩანს. ჩემი აზრით, ეს უფრო მეტად პოლიტიკური რევერანსებია, კეთილგანწყობილი ჟესტები, რომელიც შეიძლება, მხოლოდ სიტყვით გამოიხატებოდეს და არა საქმით. თუმცა, გარკვეულ ეტაპზე, სიტყვაც მატერიალურ ძალად გადაიქცევა ხოლმე. მუდმივი მუქარა ან ერთმანეთის ლანძღვა საბოლოო ჯამში სიტყვიდან საქმეზე გადადის და რუსეთის მხრიდან ეს ძალიან ხშირად ჩვენი ტერიტორიების დაბომბვით გამოვლინდა. ასევე, ხშირი კეთილგანწყობაც შეიძლება მატერიალურ თვისობრიობაში გადაიზარდოს. დღეს ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ცივი ომი არ იგრძნობა. არ ვამბობ, რომ რუსეთი საქართველოსადმი შეიცვალა - ტენდენციები იცვლება.

**- არსებობს გარკვეული სეგმენტები, სადაც დაუშვებელია რომელიმე უცხოური კაპიტალის დაბანდება. კონკრეტულად რომელი დარგები არ ექვემდებარება ინვესტირებას?**

- დიახ, ქვეყანამ უნდა იცოდეს, სად შეიძლება უცხოური კაპიტალის მოზიდვა და ხელშეწყობა და სად - არა. მით უფრო, ამის მწარე გამოცდილება გვაქვს - გვეგონა, რომ თელასი ამერიკელებს მივყიდეთ და ის რუსების ხელში აღმოჩნდა. გახსოვთ, ალბათ, რა შოკი იყო ეს. არსებობს ობიექტები, რომლებიც უახლოეს პერსპექტივაში მაინც არ ექვემდებარება რაიმე ფორმით უცხოური კაპიტალის დაბანდებას. ეს არის ბათუმის და ფოთის ნავსადგურები, ენგურის ჰიდროელექტროსადგური, სადაც სახელმწიფომ საკონტროლო პაკეტი არ უნდა გაუშვას ხელიდან. აგრეთვე - გაზის სექტორი და, პირველ რიგში, მაგისტრალური მილსადენები, აეროპორტები და სხვა. დანარჩენ შემთხვევებში უცხოური კაპიტალის შემოსვლა მისასალმებელი იქნება.

**- როგორ ხვდება და რას ახვედრებს რუს ინვესტორებს საქართველო?**

- რა თქმა უნდა, რუსი მეწარმეებისთვის დსთ-ს სივრცეში და, მათ შორის, საქართველოსთან ურთიერთობა უფრო ადვილია, ვიდრე მათთვის უცხო მენტალიტეტის მქონე ქვეყნებთან, სადაც მრავალი ბარიერი და ურთიერთობის ტრადიციების არარსებობაა. საქართველოში რუსეთისთვის უფრო ადვილია კაპიტალის წარმოება, ვიდრე, დავუშვათ, თურქეთისთვის. ბოლოს და ბოლოს, ეს ერთი ქვეყანა იყო და ის ადამიანები, ვინც დღეს საქართველოში ჩამოდიან, ერთსა და იმავე სახელმძღვანელოზე გაიზარდნენ, ერთსა და იმავე სიმღერებს მღეროდნენ. ეს ის თაობაა, რომელიც უსიტყვოდ უგებს ერთმანეთს. მეორეა - გეოგრაფიული სიახლოვე. ეს ნიშნავს, რომ ნაკლები ხარჯებია და მეტი ეკონომიკური ეფექტი.

ეს არის ისეთი ეკონომიკა, რომელზეც, ტრადიციულად, რუსულ ბაზარზე მოთხოვნა არსებობს - ვთქვათ, ქართული ღვინოები. დარწმუნებული ვარ, რუსული კაპიტალი სერიოზულად შემოვა არა მარტო გადამამუშავებელ მრეწველობაში, არამედ მთლიანად სოფლის მეურნეობაში.

მათ აგრეთვე აინტერესებთ ტურიზმი და განსაკუთრებით, აჭარაში. აინტერესებთ მეტალურგია - რუსებს ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის 25 პროცენტი აქვთ ნაყიდი. კიდევ უამრავი სხვა სფერო არსებობს...

**- თქვენ დარგები ჩამოთვალეთ. რამდენად მიმზიდველია საინვესტიციო ბიზნესისთვის ბიუროკრატიული პროცედურები? რამდენად მომზადებული ხვდება ფართო საინვესტიციო შტურმს ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა?**

- ჩვენი საკანონმდებლო ბაზა უცხოურ ინვესტიციებს ხელს არ უშლის. ზოგს ჰგონია, რომ უცხოური ინვესტორებისთვის შეღავათებია საჭირო. მაგრამ, ეს ასე არ არის, უცხოური ინვესტორი, სულ მინიმუმ, ქართველ მეწარმეებთან თანაბარ პირობებში ყოფნას ითხოვს.

საქართველოს რამდენიმე თვეში რუსეთში არსებულზე ბევრად უკეთესი საკანონმდებლო რეჟიმი ექნება. გარდა ამისა, საქართველო უკვე არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი და რუსეთი ჯერ არა. საქართველოში წარმოებულ პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე ბარიერები არ ხვდება. რუსეთი მალე გახდება ამ ორგანიზაციის წევრი, რისთვისაც ის საკუთარი ბაზრის განსაკუთრებულ დაცვას ითხოვს. გარდა ამისა, საქართველო მსო-ში რუსეთზე ხუთი წლით ადრე შევიდა და ამ ორგანიზაციის რეჟიმი ჩვენთვის უფრო ლმობიერი იქნება, ვიდრე რუსეთისთვის.

**- რამდენად შესაძლებელია ამ ინვესტიციების ქართული სახელმწიფოს ადმინისტრაციული კონტროლის ქვეშ მოქცევა?**

- ინვესტიციების კონტროლი საჭირო არ არის. თუ ინვესტორი დაინტერესებულ სეგმენტს ნახავს, არავითარი ლიცენზია ან სხვა ტიპის შეზღუდვა არ უნდა არსებობდეს. რუსი ინვესტორები არც შეღავათებით უნდა გავანებივროთ და არც განსაკუთრებული შეზღუდვებით უნდა გამოვარჩიოთ.

**- საკმარისია თუ არა რუსი, ან ნებისმიერი სხვა ინვესტორისთვის სახელმწიფო გარანტიები? კერძო სექტორის გარანტიები საჭირო არ არის?**

- რა თქმა უნდა, სახელმწიფო საკუთარ თავზე ვერავითარ ფინანსურ გარანტიას ვერ აიღებს. ჩვენი გარანტია იქნება ის, რომ მათი ბიზნესი იქნება დაცული, შეექმნებათ თანასწორი კონკურენტული გარემო, არ იქნება ლობირება, საქართველოში იქნება სასამართლო სისტემა, რომელიც დავების სამართლიანად გადაწყვეტას უზრუნველყოფს. ხელისუფლება ყველანაირად გაუფრთხილდება ინვესტორს და ნებისმიერი ზემოქმედებისგან დაიცავს - პოლიტიკური იქნება ეს თუ კრიმინალური. ჩვენ მათ პოლიტიკურ გარანტიებს ვაძლევთ და არა ფინანსურს.

**- ვინ და როგორ უნდა უზრუნველყოს ბიზნეს-გარიგებების გამჭვირვალობა და საზოგადოებრივი კონტროლი?**

- ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი ხელს არ უნდა უწყობდეს შავი ბიზნესის განვითარებას და ბიზნესის ჩრდილში მოქცევას. სულ მალე საქართველოში ლეგალიზების პროცესი დაიწყება. გარდა ამისა, რუსულ თუ უცხოურ ბიზნესს ადგილზე კლანები არ ხვდებიან.

**- დარწმუნებული ხართ?**

- არ დახვდებაო, ამის თქმა რთულია, მაგრამ ვხედავთ კლანური ბიზნესის შეზღუდვის ტენდენციებს. ჩვენთან ყველა ბიზნესი პოლიტიკური იყო, რადგან სერიოზული ბიზნესი ან დეპუტატის საკუთრება იყო, ან მინისტრის. აქეთკენ მიმართული დაპატიმრებების სერია და სანქციები სამომავლოდაც ხელს შეუშლის ახალი კლანების წარმოქმნას.

**- ხელისუფლება ფიქრობს, რომ მისი გოროზი იმიჯის მიუხედავად, ახალი ბიზნესკლანების წარმოქმნის შესაძლებლობა არსებობს?**

- მთავარი საშიშროება და პოლიტიკური პრობლემაა ის, რომ კორუმპირებული ძველი კლანები ახალმა რევოლუციურმა კლანებმა არ შეცვალოს. როდესაც ქონების გადანაწილება ხდება, საშიშროება თავისთავად არსებობს. იმიტომ, რომ ძალაუფლება ყოველთვის ქონების ხელში ჩაგდებისკენ ისწრაფვის. ეს პროცესი, თუნდაც, უცხოური ინვესტიციების ჭარბი რაოდენობით შემოსვლამ უნდა შეაჩეროს.

**- უცხოელი ინვესტორის მიერ ჩადებული ფული ხომ შეიძლება პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტად იქცეს?**

- შეიძლება და ყოველთვის აქვს შიდა პოლიტიკაზე ზემოქმედების საშუალება, რადგან უცხოელი ინვესტორი საკუთარი მთავრობით არის ზურგგამაგრებული. როდესაც საქართველოში რომელიმე უცხოურ ბიზნესს შეექმნება საშიშროება, მომენტალურად ჩაერთვება საელჩო. დაცული კაპიტალი ადგილობრივ ჩინოვნიკებს გარკვეულწილად უკარგავს თვითნებობის მადას.

**- რამდენად სწავლობს ქართული მხარე, პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩევლები ან ეკონომიკის სამინისტრო შემოსასვლელი რუსული კაპიტალის წარმომავლობას - რა ფული შემოდის, რა კომპანიები? ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ საქართველო შავი ფულის გათეთრების პოლიგონად იქცეს?**

- ამ ეტაპზე თვითონ რუსეთშიც რთულია შავი და თეთრი ბიზნესის გარჩევა. რუსეთი სულ ორიოდე წელია, რაც ფულის გათეთრების საწინააღმდეგო საერთაშორისო კონვენციას შეუერთდა. რუსეთსა და იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების სტადიაში არიან, არსებობს შავი ფულის პრობლემა. დღეს ძალიან რთულია, მიუდგე რუსულ კაპიტალს, რომც გვინდოდეს, ამას ვერასოდეს გავაკეთებთ.

**- მოკლედ, ეს საშიშროება არსებობს?**

- ამას გათეთრებას ვერ ვუწოდებ. თუკი საქართველოში შემოსვლით რუსული კაპიტალი გარკვეულწილად თავს აარიდებს საკუთარი ქვეყნის შიდა პრობლემებს, ეს რუსული კაპიტალის პრობლემა იქნება. რომც მოვინდომოთ, ამისთვის არც ბერკეტები გაგვაჩნია და არც აქვს აზრი.

**- ეკონომიკური ექსპერტების აზრით, რუსეთში მოსალოდნელია პუტინის შეტევა მსხვილ ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფებზე. ამ კამპანიის მიზნად სახელდება ახალი - პუტინისა და ძველი, ელცინისეული ბიზნესელიტას შორის ბრძოლა. რამდენად ვიგრძნობთ ამას საქართველოში?**

- ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ბრძოლა ამ უკანასკნელის განვითარებაზე აისახება. "იუკოსის" მაგალითი ამას მოწმობს. მეორე მხრივ, არის ბიზნესი, რომელიც ე.წ. ფავორიტიზმით სარგებლობს. თუ დავაკვირდებით, ის ბიზნესმენები, რომლებიც საქართველოში შემოდიან, ყველა პუტინთან ახლოს არის. ეს, შეიძლება, სულაც არ იყოს ცალსახად დადებითი მოვლენა, რადგან ხვალ რომ ხელისუფლება შეიცვალოს, ფავორიტულ ბიზნესსაც შეექმნება პრობლემა. თუმცა, ეს სხვა თემაა და არა მგონია, რომ ამან რაიმე არსებითი გავლენა მოახდინოს საქართველოში განხორციელებულ რუსულ ინვესტიციებზე. შეიძლება, პირიქითაც მოხდეს - რუსეთის საზღვრებს გარეთ ბიზნესის გატანა შეიძლება რუსული პოლიტიკური ზემოქმედებისაგან თავის დასაცავი ერთ-ერთი ბერკეტი იყოს. აბრამოვიჩს საშინლად ლანძღავდნენ ინგლისური გუნდის შეძენისთვის. ეს გუნდი რომ არ შეეძინა, აბრამოვიჩი დღეს ხადარკოვსკისთან ერთად ციხეში იქნებოდა. მან "ჩელსიში" იმდენად წარმატებული ბიზნესპროექტი განახორციელა, რომ მისი დაპატიმრება დიდ ბრიტანეთში ანტირუსულ გამოსვლებს გამოიწვევდა. ამიტომ, რუსეთიდან კაპიტალის გატანა რუსული ბიზნესის თავდაცვის ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს. მით უმეტეს, ქართული წარმოშობის რუსი ბიზნესმენებისთვის ეს არის სათადარიგო აეროდრომის შექმნის ერთ-ერთი კარგი გზა.

**- როგორ მიიღებს რუსულ ბიზნესს საქართველოს მეორე პარტნიორი ქვეყანა - ამერიკა?**

- არა მგონია, დიდი ეჭვიანობა იყოს. ბიზნესი მაინც კონსერვატიული სფეროა. ის რომ, დღეს 100 ბიზნესმენი ჩამოვიდა, არ ნიშნავს, რომ აქ ასივე ჩადებს თითო-თითო მილიონს. გეგმიდან რეალობამდე გადასვლას ყოველთვის წლები სჭირდება და ეს არ არის ერთი, ორი და ხუთი წლის საქმე. დღევანდელთან შედარებით რომც გახუთმაგდეს და გაათმაგდეს, არა მგონია, რუსული კაპიტალი არსებითი საფრთხის შემქმნელი იყოს სხვა ქვეყნის კაპიტალისთვის.

**- შეგიძლიათ ცალსახად თქვათ, რომ რუსეთის ამგვარი დაინტერესება მხოლოდ საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს უკავშირდება?**

- რა თქმა უნდა. ეს არ არის რუსული ბიზნეს პროექტი. ეს არის ბიზნესის მხრიდან რუსული პოლიტიკისადმი ხარკის გაღება. არა მგონია, რომ ეს ბიზნესმენები დიდი სიხარულით მოდიოდნენ აქ, მაგრამ ეს პუტინის ხელისუფლებისთვის კარგი ტონია. ამ კარგ ტონს ბიძგს აძლევს რუსეთის მასმედიაც. ახლა საქართველოს აღარ ლანძღავენ და სააკაშვილი, ლამის HTB-ზე უფრო ხშირად ჩანს, ვიდრე "რუსთავი 2"-ში.

ეს რუსული პოლიტიკის ნაწილია. რუსეთს, შეიძლება, საქართველოში ბევრი რამ არ მოსწონდეს და განსაკუთრებით ის, რაც აჭარაში მოხდა, მაგრამ რუსეთი ხედავს, რომ შევარდნაძის წასვლის შემდეგ ვინც არ უნდა მოსულიყო საქართველოს ხელისუფლებაში, ის აუცილებლად შეეცდებოდა რაიმე ახალი პოლიტიკის დაწყებას. როგორც ჩანს, რუსეთი ხვდება, რომ საქართველოში მოსული ხელისუფლების ჩანაცვლება სხვა ძალებით უკვე შეუძლებელია. ეს არის რეალობა, რომელსაც რუსეთი ანგარიშს უწევს, რადგანაც ეს ხელისუფლება სამუდამოდ თუ არა, ძალიან დიდხანს იქნება.

**- ისე, გინდათ სამუდამოდ ხელისუფლებაში ყოფნა?**

- სამუდამოდ არც ერთი ხელისუფლება არ უნდა იყოს.



# აფიშა

## კონცერტები

კონსერვატორიის დიდი დარბაზი
საგუნდო მუსიკის კონცერტი
(ხელმძღვანელი ნ. ხუნდაძე)
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
ვოლფგანგ ბორჰერტი
"რეკვიემი კარს მიღმა"
რეჟისორი: ალეკო ესვანჯია
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი:ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
პრემიერა
"ივანოვი"
(ჩეხოვის მიხედვით)
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
რევაზ კლდიაშვილი
"მარტოობის ბინადარი"
კითხულობს სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ

**პანტომიმის თეატრი**
დონ-ჟუანი
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"დღე ხვალის შემდეგ"
დას: 12:00; 17:30; 19:30 სთ.

"ჩემი ძმა დრუნჩა"
დას: 14:15; 16:00 სთ.

**ამირანი**
"ტროა"
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.
ფასი: 5-11 ლარი

## გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ნატურმორტი ქართულ ხელოვნებაში"

**გალერეა "კოპალა"**
ესმა ონიანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**"ორიენტი"**
ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების
ნიმუშთა გამოფენა

## პრეზენტაციები

**მაღაზია "პარნასი"**
აკა მორჩილაძის წიგნის – "მოგზაურობა ყარაბაღში"
პრეზენტაცია 17 საათზე

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

**6 ივნისს**

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - "Превращения в Лукоморье"
დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი
კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.
დას: 13:00; 15:00 სთ.

# ბიორკმა ტრადიცია დაარღვია

ბიორკი ზედიზედ ორი ახალი ალბომის გამოშვებას აპირებს. ამჟამად მუსიკოსმა დაასრულა სტუდიაში პირველ ალბომზე მუშაობა. ჩანაწერი გაყიდვაში 2005 წლის დასაწყისში გამოვა და მისი სავარაუდო სახელწოდება იქნება - The Lake Experience. მუსიკოსებს შორის, ვინც ალბომის ჩაწერაში მონაწილეობა მიიღო, არიან: ისლანდიელ მომღერალთა გუნდი, მარკ ბელი, დოკაკა Matmos და ა.შ.

ერთ-ერთ ინტერვიუში ბიორკმა განაცხადა: "რადგანაც ორი ტურნე – Vespertine და Greatest Hits ზედიზედ მოვაწყვე, გადავწყვიტე, საკუთარი თავი დავაჯილდოვო ერთდროულად ორი ალბომით. ადრე ყოველთვის ასე ვაკეთებდი: ჩავწერდი ალბომს, მერე ვაწყობდი ტურნეს და ყოველთვის ვეკითხებოდი საკუთარ თავს: რა იქნებოდა დავრჩენილიყავი სახლში ერთი თვით? ახლა სხვაგვარად მინდა ვცადო და თანაც, საუკეთესო იდეები უფრო ხშირად ალბომზე მუშაობის დასრულების შემდეგ მომდის.



# ლიტერატურული ალუზიები ჯოისისა და ბრიტანული მუსიკის გარშემო

## დავით-დეფი გოგიბედაშვილი - "ახალი განზომილების" რეკორდსმენი

ვერა ნეფარიძე

*გუშინ "წიგნის სახლში" ზაალ სამადაშვილის ციკლზე დასწრების სურვილი იმიტომ არ გამიჩენია, რომ მისი სტუმარი "ახალი განზომილების" რეკორდსმენი დავით-დეფი გოგიბედაშვილი იყო. სიმართლე გითხრათ, სტუმრის წარდგენისას მასპინძელ მწერალს რომ არაფერი ეთქვა, ამ დეტალს ჩემით ვერც კი აღმოვაჩენდი. უბრალოდ, გუშინდელი "ახალი განზომილების" თემა იმდენად საინტერესოდ მეჩვენა, რომ მაშინვე მივხვდი, რატომ გარისკა ციკლის ავტორმა და რატომ დაუთმო დროის მცირე ინტერვალში "რევოლუციონერ" მეგობარს "წიგნის სახლის" ტრიბუნა მეორედ.*

მართალია "წიგნის სახლის" "ხუთშაბათობების" ხშირი სტუმარი არ ვარ, მაგრამ რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, ზაალ სამადაშვილის ამ ლიტერატურული ციკლის შესახებ გარკვეული შთაბეჭდილება უკვე ჩამომიყალიბდა. ორიოდე შეხვედრაზე დასწრების შემდეგ, გამოვიტანე დასკვნა: აქ არ იკრიბებიან საკუთარი "მკითხველის იმიჯის" განსამტკიცებლად; არც ერთი და იგივე საზოგადოება გამოირჩევა აქტიურობით; "ახალი განზომილების" სტუმრები უფრო თემის მიხედვით იცვლებიან, რაც სავსებით ნორმალურია; არც ისეთი ხალხმრავლობაა, რომ მოსმენა შეუძლებელი გახდეს. ასე რომ, აუდიტორია გუშინაც საკმარისი იყო. და, რაც მთავარია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველას ჯოისადმი ინტერესი აერთიანებდა. თუმცა, ერთი კია, როდესაც სტუმარმა საუბრის დასაწყისში აუდიტორიას გადახედა, ერთი დეტალი განსაკუთრებით თვალში მოხვდა და თქვა: "არც ერთი მამაკაცი არაა - Куда мир катиться?"



*დავით-დეფი გოგიბედაშვილი*

ფოტო: მარიკა ამირეჯიბი

ახლახანს მწერალის მეორე რომანის – "დილა სასწაულების წინ" პრეზენტაციაც ჰქონდა; მაგრამ, ახალგაზრდა მწერლის გუშინდელი ამპლუა ისეთი იყო, ამ შემთხვევაში, გამოცემული წიგნების რაოდენობას ნაკლებად აქვს მნიშვნელობა. ასეთი ლიტერატურული ციკლებისთვის მთავარია შეირჩეს საინტერესო თემა, რომელზეც, ასევე, საინტერესოდ კომპეტენტური ადამიანი ისაუბრებს. ჯერჯერობით "ახალი განზომილების" მიმზიდველობაც ამაშია და გუშინდელი შეხვედრაც ამასვე ადასტურებდა.

დავით-დეფი გოგიბედაშვილი "წიგნის სახლის" სტუმარი ახლახანს იყო. წინა ჯერზე მწერალმა ედგარ პოს პოეზიაზე ისაუბრა. გუშინდელი მონოლოგი კი იმით დაიწყო, რომ ზალიკო სამადაშვილმა სტუმარს სთხოვა, საჯაროდ განემარტა წინა ლექციაზე გამოთქმული ბორხესისადმი დამოკიდებულება. მოწვეულმა სტუმარმაც საუბრის შესავლად სწორედ ეს თემა გამოიყენა. "პელემ რომ მარადონაზე თქვას, ცუდი ფეხბურთელიაო – მეწყინება; მაგრამ, იგივე რომ ვიღაცამ თქვას, ყურადღებას არ მივაქცევ. პრობლემა სახელებსა და გვარებში არაა. უბრალოდ, ერთმა დიდმა ადამიანმა მეორე დიდზე ცუდი არ უნდა თქვას. ეს ადამიანის სისუსტეებია; ცოდვისადმი მიდრეკილებებზე უფრო საუბრის მომდევნო ნაწილში გავამახვილებ ყურადღებას", - შეამზადა აუდიტორია მწერალმა.

ჩემი აზრით, ზოგადად, ჯოისისადმი დამოკიდებულება ორგვარია. მის შესახებ, ძირითადად, "ულისესგან" მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე საუბრობენ. ერთი კატეგორია აღტაცებულია ჯოისით, მეორე კი – პირდაპირ აღიარებს, რომ ვერ გაიგო. რასაკვირველია, "წიგნის სახლის" გუშინდელი სტუმარი პირველ კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ ერთია გაგება და მეორე ამ შთაბეჭდილებებისა თუ ჩაწვდომის სხვებისთვის გაზიარება. "ძალიან გთხოვთ, ნუ ჩამომართმევთ ამ ლექციას მენტორის ტონში. მე, უბრალოდ, მინდა გაგიზიაროთ საკუთარი შთაბეჭდილებები, რისთვისაც ეს შეხვედრა, საუკეთესო ფორმაა", - ითხოვა გუშინდელი მსმენელისგან დავით-დეფი გოგიბედაშვილმა.

"ჯეიმს ჯოისი – ეს მხოლოდ დიდი მწერლის სახელი და გვარი არაა; ესაა ლიტერატურული მდგომარეობა, რომელიც ადამიანშია დავანებული", - დაიწყო ჯოისის შესახებ მწერალმა და როგორც მოსალოდნელი იყო, გააგრძელა ჰომეროსით, მითოლოგიით, დოჩანაშვილით. ამ ყველაფრის მოსმენა, რასაკვირველია, სასარგებლო იყო, მაგრამ ყველაზე მეტად ის მაინტერესებდა, როდის დაუკავშირებდა ქართველი მწერალი ერთმანეთს ჯეიმს ჯოისსა და ბრიტანულ მუსიკას. როგორც შეხვედრის გახსნისას, მასპინძელმა ზაალ სამადაშვილმა თქვა, მასაც ჰქონდა ადრე აღმოჩენილი ჯოისისა (ოღონდ "ულისემდე" შექმნილი ნაწარმოებების მიხედვით) და ბრიტანული მუსიკის კავშირი და ამიტომ, ძალიან აინტერესებდა გოგიბედაშვილისეული ვერსია. "ულისე" მომავლის ნაწარმოები იყო; ამერიკაში ტირაჟი შეაჩერეს; ირლანდიელებმა წაიკითხეს, ვერ გაიგეს და თაროზე შემოდეს. ეს იგივე მდგომარეობა იყო, როდესაც ჰენდრიქსმა გიტარა დაწვა; რამ დააყრუა ბეთჰოვენი? – განგებამ, იმისათვის, რომ მას მხოლოდ განგების ბგერებისთვის ესმინა", - და კიდევ ერთი საერთო ჯოისსა და ბრიტანულ მუსიკას შორის: "შეუძლებელია ის ნეტარება გადმოსცე ენით, რასაც "ულისეს" (განსაკუთრებით დედანის) კითხვისას განიცდი; იგივეს მიმახვედრა ბრიტანულმა მუსიკამაც", - "ახალი განზომილების" გუშინდელმა სტუმარმა ბრიტანელ მუსიკოსებს შორის სულ რამდენიმე ჯგუფი: "კინგ ქრიმსონი", "ლედ ზეპელინი" და "პინქ ფლოიდის" ლეგენდარული ჩანაწერი – The Dark Side Of The Moon გამოარჩია.

# ნადია აუერმანი, არა მარტო მშვენიერი

ანა კორძაია-სამადაშვილი



გავრცელებული აზრის თანახმად, მოდელი, მით უმეტეს, თუ ქერაა, ლამაზი, სულელი არსება უნდა იყოს, რომელიც ტანსაცმლის საკიდად ან ეროტიკული ფანტაზიების გასაღვივებლად თუ გამოდგება. მაგრამ საზოგადოება დიდადაც არ ცდება: რამდენიმე ხნის წინათ ამ პროფესიის ქალბატონების შესანიშნავი გამონათქვამები წავიკითხე და ძალიან ვისიამოვნე - მოგეხსენებათ, სხვისი სისულელე ადამიანს გულს უხარებს. მაგრამ რამდენიმე სახელგანთქმული მოდელი, უნაკლო გარეგნობასთან ერთად, ნიჭითა და ინტელექტითაც დაჯილდოებულია და ნადია აუერმანი სწორედ მათ რიცხვს განეკუთვნება.

გარდა იმისა, რომ უდავოდ ლამაზია, ამ ქალბატონის მიმართ განსაკუთრებული სიმპათიით ვარ განწყობილი, - მას შემდეგ, რაც ჰელმუტ ნიუტონის შესახებ მისი მოგონებები წავიკითხე, ადამიანური და მარტივი. ახლა კი ჟურნალ "შტერნში" მასთან ინტერვიუსაც გადავხედე და საბოლოოდ მოვიხიბლე – ალბათ, იმის გამო, რომ მშვენიერი ნადია სწორედ იმას ჰყვება, რაც მეც არაერთგზის მიფიქრია, მაგრამ თქმით ვერ მითქვამს, რადგან არც გერმანელი ვარ და არც ტოპმოდელი.

ამჟამად პოტსდამში მცხოვრებ ნადია აუერმანის მიმართ მედიის გაცხოველებული ინტერესის მიზეზი ის გახლავთ, რომ კვირადღეს, ტელეარხ ZDF-ის მაყურებელი მას პირველ დიდ როლში იხილავს: ფილმში "მძინარე მზეთუნახავის ჩუმი სიკვდილი" ის საკუთარი ქალიშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილ დედას თამაშობს (მსახიობის ამპლუაში ნადია საზოგადოებას პირველად გასულ წელს მოევლინა, ამერიკაში გადაღებულ მოკლემეტრაჟიან ფილმში, რომელიც არ მინახავს და ამიტომ მის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ).

მაშ, ასე: ნადია აუერმანი, ტოპმოდელი, რომელიც მოდის სამყარომ 1990 წელს, ბერლინის ერთ კაფეში აღმოაჩინა და კარლ ლაგერფელდმა "ახალ მარლენ დიტრიხად" შერაცხა, მრავალი თავისი კოლეგის კვალდაკვალ, მსახიობი გახდა. რატომ?

"ისე ვცხოვრობ, როგორც მომიხდება," ამბობს მშვიდად აუერმანი. მისი თქმით, მოდელობა მისი მთავარი პროფესია არასოდეს ყოფილა, და საერთოდ, თავს არც ერთ პროფესიასთან არ აიგივებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ნადიას წერა ეხერხება, "შტერნის" კორესპონდენტმა ჰკითხა, წიგნის დაწერას ხომ არ აპირებთო. "ო, არა!" გაიცინა ნადიამ. "60 წლის როცა ვიქნები, მაშინ ვნახოთ. ახლა საწყენიც კი იქნება, რამე რომ დავწერო". ნადია იხსენებს, რომ ბავშვობაში სულ ავადმყოფობდა და დარწმუნებული იყო, რომ ოცდაათ წლამდეც ვერ მიაღწევდა. "დღეს 33 წლისა ვარ და ვხვდები, რომ სინამდვილეში ყველაფერი ახლა იწყება".

უფრო სწორად, გრძელდება, რადგან, მოდელობის გარდა, ნადიას საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფია აქვს, სხვათა შორის, სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობისთვის მებრძოლისაც. თურმე, დემონსტრაციაში პირველად ცხრა წლისამ მიიღო მონაწილეობა. ხანდახან კომუნიზმის მედროშედაც თვლიდნენ, მაგრამ თავად ნადიას საკუთარი თავი უმალ "მწვანედ" მიაჩნია და არა "წითლად". ანტისაომარ გამოსვლებში გამოწრთობილი ნადია დღეს სიხარულს ვერ ფარავს, რომ გერმანია ერაყის წინააღმდეგ ომში არ ჩაერთო. ამასთან დაკავშირებით გერმანელი ტოპ-მოდელი მოჰყვა: "როცა ჩემსავით თორმეტი წლის განმავლობაში საზღვარგარეთ მოგიწევთ ცხოვრება, მიხვდებით, რომ პატრიოტიზმი ყველა ქვეყნის ხალხს ახასიათებს. მე მგონი, არაჯანმრთელი ამბავია, როცა ადამიანს ეროვნული თვითშეგნება არ გააჩნია... ჩვენი ისტორიის ბნელი მხარის დავიწყება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მაგრამ ჩვენი კულტურა მშვენიერია, და თუნდაც მის გამო ღირს, საკუთარი წარმოშობით იამაყო. "მოხუცმა ფრიცმა" ხომ ყველაზე თანამედროვე მონარქია შექმნა. ყველა სხვა მონარქს თავი ღმერთად მოჰქონდა, ფრიდრიხმა კი თქვა: მე ჩემი ქვეყნის პირველი მსახური ვარ. განა ეს არაფერს ნიშნავს? კი, სხვა მონარქების მსგავსად ისიც სასაკლაოზე გზავნიდა თავის ჯარისკაცებს, მაგრამ, ამავე დროს, ხელოვნებას მფარველობდა, მისი მეშვეობით წიგნები და დიდებული მუსიკა იწერებოდა... მაგრამ, როცა მასწავლებელიც კი გვეუბნება, თქვენი წინაპრები დამნაშავეები, ბოროტები და ცუდები იყვნენო და როცა სხვა ქვეყანაში იმის თქმისას, რომ გერმანელი ხარ, უნდა გრცხვენოდეს და ბოდიშს იხდიდე, მე ჩემს თაობას ვურჩევდი, მეტი თავდაჯერება იქონიონ. მე ვფიქრობ, რომ ვერცერთი ადამიანი ვერ იცხოვრებს იმ შეგნებით, რომ დამნაშავის შთამომავალია".

როგორია?! ჯერ სად ხართ: "ძალიან მსიამოვნებს, რომ სექსუალური ვარ. უმოკლესი კაბით დავდივარ, ჰელმუტ ნიუტონის ფოტოები მომწონს, რადგან მათზე ლამაზი, მიმზიდველი, სექსუალური ქალია გამოსახული. მაგრამ ამასწინათ ძალიან საინტერესო რამ წავიკითხე. რელიგიასა და მისი სექსის მიმართ დამოკიდებულებაზე იყო საუბარი. ერთ მუსულმან ქალს ჰკითხეს, თავის სახეს და სხეულს რატომ ფარავდა. და მან უპასუხა, რომ დასავლეთში ყველა დარწმუნებულია, რომ მისი ხილვა მხოლოდ მეუღლეს შეეძლო, სინამდვილეში კი ის თავისი სილამაზის გაიაფებისგან იზღვევდა თავს. მე ეს ძალიან მომწონს. ეს თავადაც გამომიცდია: როცა ვამჩნევდი, რომ განსაკუთრებით კარგად გამოვიყურებოდი, მთლიანად ვიბურებოდი, დიდ პალტოებს ვიცვამდი, თავს ვიფარავდი, არ მინდოდა, რომ მომჩერებოდნენ და ჩემი სექსუალობა გაუფასურებულიყო".

თრილერი, რომელსაც გერმანელი მაყურებელი კვირიდან ნახავს, დეტექტივისთვის საჭირო ყველა ატრიბუტს შეიცავს: მკვლელობა, უნდობლობა, მოტყუებული მეუღლე, მოხუცი კომისარი და მისი თავხედი ახალგაზრდა თანაშემწე... რეჟისორმა მარკუს ო. როზენმიულერმა ფილმი კატარინა ჰაიოსისა და კონსტანც ფიშერის წიგნის მიხედვით გადაიღო. ნადია, რომლისთვისაც კამერის წინ დგომა თითქოს არავითარ სირთულესთან აღარ უნდა იყოს დაკავშირებული, მოჰყვა, რომ საცდელი გადაღებების დროს ძალიან ღელავდა – ჟურნალების გარეკანის ქერათმიანი ლამაზმანის ნაცვლად რეჟისორს მასში მსახიობი უნდა აღმოეჩინა. ის როლისთვის ორი თვის განმავლობაში ემზადებოდა.

"სცენარი ძალიან საინტერესოდ მეჩვენა, მით უმეტეს, რომ ეს ტიპური დეტექტივი არაა," ჰყვება აუერმანი. ამ სატელევიზიო პროექტისა და თავისი ორი შვილის შესახებ ის სიამოვნებით ლაპარაკობს, მაგრამ როცა მეუღლესთან ურთიერთობის შესახებ ეკითხებიან ხოლმე (ჭორი დაირხა, პრობლემები აქვთო), დუმილს ამჯობინებს: "როცა მსახიობი ხდები, ხალხმა შენი პირადი ცხოვრების შესახებ ბევრი არ უნდა იცოდეს; შეიძლება მაყურებელმა შენ მიერ შესრულებული როლი არადამაჯერებლად ჩათვალოს".

ნადიას კარგად ესმის იმ მსახიობებისა, რომელთაც საკუთარი ფილმის ცქერა არ სიამოვნებთ: "საკუთარ თავს ტელევიზორში როცა ვხედავ ხოლმე, ინტერვიუების დროს, მეც იგივე მემართება. სულ ვფიქრობ: კარგი, რა, გოგო, რას წრიალებ!"

როგორც ჩანს, ნადია აუერმანი საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნია და სულ არ იზიარებს იმ აზრს, რომ ლამაზ ქალს ყველაფერი ეპატიება და უხდება, სისულელეც კი.

# ახალი ძველი ევროპა

## პოლონური შთაბეჭდილებები

**ნაწილი პირველი**

თამარ ბაბუაძე

*"პოლონეთს ასეთი მასშტაბური აღორძინების ხანა იაგელონების დინასტიის შემდეგ არ ახსოვს. ოციოდე წლის წინ ოცნებაც არ შეიძლებოდა იმაზე, რასაც ბოლო 15 წლის განმავლობაში მივაღწიეთ. და მაინც, მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანაში დღეს კრიზისი სუფევს, დიდი კულტურული კრიზისი. ხალხი, თითქოს, თავისუფლებას გაურბის".*

### საერთო შთაბეჭდილებების აბდაუბდა

ამ შოკურ დასკვნას შოკური თერაპიის ქვეყანაში ერთი მაღალი, ჭაღარა და სიმპათიური პოლონელი აკეთებს.

"ფრომს აქვს ასეთი ფრაზა - თავისუფლებისგან გაქცევა და მეჩვენება, რომ ნელ-ნელა ჩვენც გავრბივართ თავისუფლებისგან... კულტურული კრიზისის მომასწავებელია ის, რომ პოპულისტი პოლიტიკოსი, არაფრისმთქმელი ლოზუნგებით, სოციოლოგიურ გამოკითხვებში თითქმის პირველ ადგილზე ლიდერობს", - აგრძელებს პოლონელი და თან ისე ომახიანად და არტისტულად საუბრობს, რომ წარმოსახვაში ორატორს ამფითეატრის სცენაზე ვაყენებ, თან გასუსულ პუბლიკასაც წარმოვიდგენ. თუმცა, ეს მხოლოდ ალგზნებული ტვინის ფანტაზია არ გახლავთ. სინამდვილეში ამ საინტერესოდ მოსაუბრე მამაკაცს სცენასთან კავშირი მართლაც აქვს - ის ქშიშტოფ პესევიჩია, კისლევსკის "სამი ფერის" ტრილოგიის, "დეკალოგის" და კიდევ ათზე მეტი სხვა ფილმის სცენარის ავტორი, ამერიკის კინოაკადემიის წევრი, დღეს კი, პოლონეთის პარლამენტის მეხუთე ვადით არჩეული სენატორი ვარშავიდან.

თუმცა, რამდენად ბრამადაც არ უნდა ვენდობოდე კინოხელოვანს, მის რადიკალურ დასკვნებს უყოყმანოდ მაინც ვერ ვიღებ. უკვე ერთი კვირაა, პოლონეთში ვარ და უკულტურობას, ნიჰილზმს და დეკადანსს ვერავის ვამჩნევ. მეტიც, მეჩვენება, რომ 1 მაისიდან მოყოლებული პოლონეთი ევროკავშირში გაწევრიანებით ხარობს. სამეფო ბაღებითა და სასახლეებით, ტაძრებით (ამ მხრივ ვარშავა თბილისსაც კი შეედრება), განკრიალებული ქუჩებით და ლამაზი და თავაზიანი გამვლელებით – პოლონეთის დედაქალაქი ნამდვილი ევროპაა და რომ არა უაზროდ დაყოფილი ცხოვრება – 1 მაისამდე და 1 მაისის შემდეგ – ვერაფრით წარმოვიდგენ, პოლონეთი დანარჩენ ევროპას ევროპელობით ოდესმე თუ ჩამოუვარდებოდა.

ამ ქვეყანაში მავნე ფენომენმა – "საბჭოთა ნაციონალურმა ხასიათმა" ფესვები ისე ღრმად ვერ გაიდგა, როგორც, თუნდაც საქართველოში. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ვფიქრობ, მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობა და კარგი "სამეზობლოა"; ერთ-ერთი მთავარი შედეგი კი – 50-წლიანი საბჭოური ბანაკის ბობოქრობის მიუხედავად ჩამოყალიბებული, აქტიური და ინტელექტუალური სამოქალაქო საზოგადოება – დახვეწილი ყოფითი კულტურით, თვითკრიტიკის და მთავრობის სალად კრიტიკის უნარით დაჯილდოებული, მომავლის შესახებ გაბედულად მოაზროვნე (იქ სიღრმისეულად მსჯელობენ ყველა აქტუალურ ევროპულ პრობლემაზე, მაგალითად, რუსეთის ფაქტორი; ამერიკანიზაცია; ანტისემიტიზმი; საერთო ევროპული ნაცია და ნაციონალური რესპუბლიკის იდეა...).

ერთი სიტყვით, ვერაფრით ვეთანხმები პოლიტკორექტულ ტერმინს - "ახალი ძველი ევროპა", რომელშიც დანარჩენ ცხრა ქვეყანასთან ერთად, ცხადია, პოლონეთსაც მოიაზრებენ და ვერც დევიზად ქცეულ წინადადებას ვიღებ გაუპროტესტებლად – პოლონეთს ოცნება აუხდა. პოლონეთი სწორი მიმართულებით მიდის.

როგორც გული მკარნახობს, ეს ორმხრივი ოცნებების ახდენის პროცესი უფრო უნდა იყოს. ანუ, "არნახულად მჭიდრო კავშირის" შექმნა ევროკავშირის ძველი წევრების ოცნების ახდენასაც უნდა ნიშნავდეს, ახლებთან ერთად. პოლონეთის პირველი არაკომუნისტი პრემიერ-მინისტრი თადეუშ მაზოვეცკი და თუ დღეს გერმანელებს გულები უსკდებათ, რომ მათ მილიონობით არალეგალურ თურქთან ერთად ამიერიდან სამუშაო ადგილებს "ახალი და ძველი" ევროპელები წაართმევენ (გადახედეთ პრესას, "ნიუ იორკ ტაიმსმა" ამ პრობლემას საკმაოდ საინტერესო წერილები მიუძღვნა), ეს მხოლოდ დროებითი ისტერიკა მგონია. ირლანდიამ და ესპანეთმა ხომ ამოქაჩეს (მეტ-ნაკლებად). ბოლო 15 წლის მანძილზე მიღწეული წარმატებები და სწრაფად ფორმირებადი სამოქალაქო საზოგადოება კი იმის გარანტად მეგულება, რომ ევროკავშირის ტემპებს პოლონეთიც იოლად აჰყვება...

თუმცა, ვმსჯელობ, ვფიქრობ და ყურში მაინც პესევიჩის ემოციური მონოლოგი ჩამესმის: "კულტურული კრიზისი", "პოპულისტი ლეპერი", "დედაჩემის თაობას ძალიან უჭირდა, მაგრამ როგორიც არ უნდა ყოფილიყო დაპირებები, ათასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ის ჰიტლერს ხმას არაფრით მისცემდა. დღეს კი, ნახეთ, რა თემები სჭარბობს ფილმებში. ნახეთ, როგორ პასიურობს ახალგაზრდობა. ნახეთ, ვინ ლიდერობს სოციოლოგიურ გამოკითხვებში. რა როლს თამაშობს ამ ყველაფერში მედია".

ერთი სიტყვით, რაც არ უნდა შეუთავსებელი იყოს ასოციაციები, პესევიჩის მოსმენისას, მე მაინც ჩემი, ნათელაშვილებით გაჯერებული ქართული რეალობა მახსენდება. განკრიალებულ-აღდგენილ-დავარცხნილ ვარშავაში ცოტა კი მეხამუშება მშობლიური ტერმინების მოსმენა მშობლიური ლექსიკონიდან - "კორუფცია", "ოლიგარქი", მაგრამ რას ვიზამ, ვერ წავუყრუებ, ნამდვილად მესმის.

ამიტომაც, იძულებული ვარ, გავიხსენო პოპულარული ტერმინი უძრაობის დროინდელი უახლესი ქართული ისტორიიდან და ვიკითხო – რა ხდება? იყო თუ არა, ბოლობოლო, პოლონეთი ევროკავშირში მიღების ღირსი? იგრძნობა თუ არა ეს გრანდიოზული სიახლე რიგითი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში? როგორ ვითარდება ყოველივე ამის ფონზე დამოუკიდებელი მედია? ანუ სად მიაკვლია კულტურულ კრიზისს აღორძინების ხანაში მახვილი მზერისა და ენის პატრონმა სენატორმა პესევიჩმა?

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი ბოდიში შთაბეჭდილებების ამ აბდაუბდის გამო. ახლა კი ერთად ვეწვიოთ პოლონეთს და იქნებ გზად რამდენიმე პასუხსაც მივაგნოთ.

### იაგელონებიდან დღემდე

იაგელონები პოლონეთის სამეფო დინასტიებიდან თითქმის ყველაზე ძლიერები და სახელგანთქმულები არიან. ამ გვარის მეფეების მოღვაწეობა 15-16-ე საუკუნეებში უკავშირდება პოლონეთის ოქროს ხანას:

დედაქალაქი – ულამაზესი კრაკოვი.

საზღვრები – ბალტიის ზღვიდან შავი ზღვის სანაპირომდე.

უნივერსიტეტი – პირველად კრაკოვში 1364 წელს გახსნილი, 1400 წლის ივლისიდან კი უკვე იაგელონების სახელით მოქმედი; ადგილი, სადაც კოპერნიკი სწავლობდა და სადაც ინახება ე.წ. იაგელონების გლობუსი – კარტოგრაფიის ისტორიაში პირველი გლობუსი, რომელზეც ამერიკაა დატანილი.

იაგელონების დინასტიის დასუსტებას უმნიშვნელოვანესი ცვლილება მოჰყვა. ლიტვა-პოლონეთის სამეფო ე.წ. არჩევითი მონარქია გახდა – მეფეებს წარჩინებული პირები ირჩევდნენ, რითაც საგრძნობლად სუსტდებოდა ხელმწიფის უფლებები. ბოლოს ეს უდიდესი ევროპული სიახლე 1791 წლის 3 მაისს კონსტიტუციის მიღებით დაგვირგვინდა. ეს კი გახლავთ პირველი ევროპული კონსტიტუცია (საფრანგეთმა თავისი მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მიიღო) და მეორე მსოფლიოში ამერიკის შემდეგ (1787 წლის 17 სექტემბერი).

ასე რომ, თუ დღევანდელი ევროპელები ისტორიას რჩევას ჰკითხავენ, პასუხიც ყურადღებით უნდა მოისმინონ – პოლონეთი ის ქვეყანაა, რომელმაც მათ მიწაზე ახლებური პოლიტიკური კულტურა საუკუნეების წინ დაამკვიდრა. და "დამაჩქარებლის" როლი გასული საუკუნის 80-90-იან წლებშიც იტვირთა: ათმილიონიანი მოძრაობა "სოლიდარობა" ლეხ ვალენსას მეთაურობით; ჯერ კიდევ კომუნისტურ რეჟიმში, 1987 წელს, ამოქმედებული სამოქალაქო ომბუდსმენის ინსტიტუტი; ისტორიული მრგვალი მაგიდა 1989 წელს, რომლის შედეგადაც აირჩიეს პირველი არაკომუნისტი პრემიერი – თადეუშ მაზოვეცკი და ლეცეკ ბალცეროვიჩთან ერთად განხორციელებული შოკური თერაპია; შემდეგ უკვე ნატოს ფართოდ გაღებული კარი, 50 მილიარდ დოლარს გადაჭარბებული უცხოური ინვესტიცია და ბოლოს – ევროკავშირი.

### პირველხარისხოვანი როლის შემსრულებელი

**თადეუშ მაზოვეცკი და შუმანის ფონდი:** დღეს პოლონეთის პირველი არაკომუნისტი პრემიერ-მინისტრი პატარა კაბინეტში ზის, მაგრამ ეს კაბინეტი დიდ ორგანიზაციას – პოლონეთის რობერტ შუმანის ფონდს ეკუთვნის. ყოფილი პრემიერი ფონდის დამფუძნებელი საბჭოს თავმჯდომარეა. როგორც სახელწოდებიდან მიხვდებოდით, ორგანიზაცია დაარსების დღიდან (1991 წ.) პოლონეთის ევროკავშირში ინტეგრირებაზე და ამ მხრივ საზოგადოების ინფორმირება-მომზადებაზეა ორიენტირებული. მეტიც, ხშირად ამბობენ, რომ თუ დღეს პოლონეთი ევროკავშირის წევრია, უდიდესი დამსახურება ამაში სწორედ შუმანის ფონდს მიუძღვის.

ოფისი სავსეა მოფუსფუსე თინეიჯერებით, გონებამახვილური პოლიტიკური პლაკატებით (დიდ ქაღალდზე დახატულია თევზი, რომელსაც ევროკავშირის სიმბოლიკიანი ჰალსტუხი უკეთია. ქვევით კი ვკითხულობთ: **"აირჩიე თევზზე უფრო აქტიური კანდიდატი. არ გააფუჭო ხმა. 13 ივლისი – ევროპარლამენტის არჩევნების დღე"**), ერთმანეთზე აწყობილი ბროშურებით და კანფეტებით, რომელთაც ისევ პოლიტიკური რეკლამისთვის იყენებენ – შესაფუთი ქაღალდი ევროკავშირის დროშის ფერია, იქვეა მისი სიმბოლო - E და წარწერა – 13 ივნისი. ხმა მიეცი!

ერთი სიტყვით, 1 მაისს პოლონეთის ცხოვრებაში დიდი ეტაპი კი დასრულდა, მაგრამ შუმანის ფონდს საქმე არ გამოლევია – ევროპული ეპოპეა გრძელდება. ახლა ისინი საზოგადოებას თავს დამტყდარი დიდი სიკეთის – ევროკავშირში გაწევრიანების ლოგიკურად გათავისება-გაცნობიერებაში ეხმარებიან; და პროცესებში საზოგადოებასაც აქტიურად რთავენ. ერთი სიტყვით, თვითონაც გამუდმებით ფიქრობენ, მსჯელობენ და ცდილობენ, არც მოქალაქეებს მისცენ თვლემის საშუალება.

მაზოვეცკიმ საქართველოს შესახებ ბევრი რამ იცის, ისევე, როგორც ბევრმა სხვა პოლონელმა ინტელექტუალმა (ვარშავაში ამბობენ, რომ არ იციან, რატომ, მაგრამ ქართველები განსაკუთრებულად უყვართ). იცის რევოლუციების ამბავი და გულითადად გვილოცავს. "საოცარია, როდესაც ამხელა ცვლილება უსისხლოდ ხდება", - ამბობს ის და მახსენდება, რომ ეს არის კაცი, რომელსაც, პრემიერ-მინისტრის რანგში პირველი სიტყვის წარმოთქმისას, მღელვარებისგან გული წაუვიდა. ახლა მაზოვეცკი წარსულზე გვესაუბრება და შუმანის ფონდში მოფუსფუსე პოლონელი ბიჭების ფონზე ნამდვილად ჰგავს ისტორიულ რელიქვიას, რომლის ყოველი სიტყვაც საგულდაგულოდ უნდა ჩაინიშნო, რადგან – ისტორიაა.

1 მაისიდან სულ ორიოდე კვირაა გასული, მაგრამ პოლონეთის ინტელექტუალური ელიტის მთელი ყურადღება ახალი ეტაპისკენ არის მიპყრობილი და ამას მაზოვეცკის სიტყვებიდანაც ვგრძნობ: "თავისუფლების გარეშე ცხოვრება უჟანგბადო სივრცეში ყოფნას ჰგავს, ჰაერის უკმარისობას გრძნობ და იხუთები. მაგრამ თავისუფლების მიღწევაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ბრძნულად განკარგვა. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ, რადიკალური ეკონომიკური რეფორმები უმტკივნეულოდ გაგვეტარებინა. პროცესი გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა. თუმცა, ახლა თუ სხვა ქვეყნებს, იგივე ბელორუსს, ან რუმინეთს გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ პოლონეთის მიერ არჩეული გზა უფრო სწორი იყო. მართალია, სოციალური პრობლემები არ აღმოფხვრილა – უმუშევრობის მაჩვენებლი კვლავაც მაღალია, მაგრამ სამაგიეროდ, დემოკრატიული ინსტიტუტები ავაშენეთ. იმთავითვე ჩამოყალიბდა პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი საკონსტიტუციო სასამართლოც".

შუმანის ფონდიდან გამოსული კი მაზოვეცკის ფიქრებს ჩემებურად ვაგრძელებ: მიღწეულით ტკბობა დამღუპველია. მოცემულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღების, მომავლის რაციონალურად დაგეგმვის და თვითკრიტიკის უნარი – ეს ის თვისებაა, რომელიც პროგრესის წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ და, როგორც ჩანს, ეს ის თვისებაა, რომელიც პოლონელებს აღმოაჩნდათ; თანაც აღმოაჩნდათ სხვადასხვა დონეზე – თუ რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში მთავრობა უშვებს შეცდომას, ყოველთვის აქტიურობს საზოგადოება და არგუმენტირებულ კრიტიკასთან ერთად გამოსავალსაც ეძებს.



*პოლონეთის პირველი არაკომუნისტი პრემიერი*



*ევროკავშირი პოლონეთში შევიდა.*

---

*ნინია კაკაბაძის სვეტი*

## დავიბრუნოთ თუ?



ძლიერი ემოციური ფონი ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ გამქრალა. ვგულისხმობ ნოემბრის და მაისის აჯანყება - რევოლუციებს. მეგონა, ამდენი ხნის დაგროვებულ ენერგიას თუ დავხარჯავდით, შემდეგ ისევ იმ პასიურ, ზომბირებულ მდგომარეობას დავუბრუნდებოდით, რომელშიც უკანასკნელი წლების მანძილზე ან თავად ვიმყოფებოდით, ან კი გვაიძულებდნენ, რომ ვყოფილიყავით. ერთი სიტყვით ემოციური ფონი კიდევ და კიდევ უფრო ფართოვდება და ფერადდება. თუკი შევარდნაძის გასტუმრებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, აბაშიძის შემთხვევაში მათი რიცხვი უფრო შემცირდა და დღეს ისეთი ერთსულოვნებაა, რომ ნებისმიერ ერს შეშურდებოდა. და ამას თავისი მიზეზიც აქვს. შერვარდნაძე და აბაშიძე ვილაცას მაინც ხომ უყვარდა - ზოგს ანგარებიანი ლტოლვები ჰქონდა მათ მიმართ, რამდენიმე ერთეულს უანგაროც კი. აი რაც შეეხება არძინბას თუ კოკოითს - მათ მიმართ მგონი არავისა აქვს საკუთარი სუბიექტური გრძნობები თუ მიზანსწრაფვები, და გინდაც ჰქონდეთ, მათი მხრიდან იმდენად გულგრილი დამოკიდებულება მოჩანს, რომ ისინი, ვფიქრობ, ვერაფერს გახდებიან. არადა საქართველოს მხრიდან, როგორც უკვე ავღნიშნეთ, სანიმუშო ერთსულოვნებაა. განსაკუთრებით აფხაზეთთან მიმართებაში. დღეს უკვე შევარდნაძის, აბაშიძის თუ სააკაშვილის გულშემატკივარი ყველა ერთად გაიძახის: "აფხაზეთსაც დავიბრუნებთ". და რატომ ჯერ აფხაზეთი და ვთქვათ, არა სამხრეთ ოსეთი?1

ბუნებრივია, აფხაზეთის სანაპიროზე კოტრიალი უფრო მომხიბვლელია, ვიდრე ცხინვალში რომელიმე კერძო სახლის ეზოში თუ ჰამაკში მოსვენება. თუმცა არც ეს უკანასკნელი გამოიყურება ცუდად. მაგრამ სად ბიჭვინთა, სოხუმი, გაგრა ან ლიძავა?! უაფხაზეთობას განსაკუთრებით, წარსულში იქ დამსვენებელთა ჯგუფი განიცდის. ლეგენდები დადიოდა ბიჭვინთაში ეგრეთ წოდებულ "დომ ტვორჩესტვას" სასადილოში "სვეცკი" ქალბატონების მოდური ტანისამოსის შესახებ, იმასაც ამბობდნენ, არც ერთი კვება ერთამნეთს არ გავდაო. მრავალფეროვნება იყო, როგორც საკვების ასორტიმენტის, ასევე ტანისამოსის ნაირსახეობის. ვაი, რომ აჭარამ ასეთი ბუდე ქართულ ელიტას ვერ შეუქმნა, თუმცა მიზეზი ჯერაც ვერ გავარკვიე. ერთი სიტყვით, გარდა "სვეცკი" ტუსოვკებისა, მართლაც ენით აუწერელი ბუნებისა და შავი ზღვის საუკეთესო ტერიტორიისა, ქართულ საზოგადოებას სახელმწიფოც უფრო აქტიურად ახსენებს აფხაზეთს, ვიდრე ოსეთს. მაგალითად მთელ საქართველოში მიმობნეული მკაცრი და "პატრიოტული" წარწერები: "გახსოვდეს აფხაზეთი". თუმცა ვერავინ იტყვის, რომ სამხრეთ ოსეთი ნაკლებად მნიშვნელოვანი მხარე იყოს საქართველოს სახელმწიფოსთვის.

თუკი სახელმწიფოებრივ მთლიანობაზე ვსაუბრობთ, შესაძლებელია ოსეთი კიდევ უფრო სტრატეგიულ ტერიტორიად მივიჩნიოთ, ვიდრე თუნდაც აფხაზეთი. მაგრამ დღეს ჩვენ აფხაზეთი მეტად გვახსოვს, ვიდრე ოსეთი. და ხალხიც სულმოუთქმელი ელის იმ დღეს, როდესაც აფხაზეთში შევა და რომელიმე სანაპიროზე ისევ, ძველებურად გაკოტრიალდება. არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობ იმას, თითქოს მე არ ველოდებოდე ამ წუთს და მე არ მინდოდეს იქ ჭყუმპალაობა თუ კოტრიალი, მიუხედავათ იმისა, რომ იქაურ დამსვენებელთა ჯგუფის წევრი არასდროს ვყოფილვარ რიგი და რიგი მიზეზების გამო. მაგრამ ეს არაფერ შუაშია, მე ცოტა ეს ეგზალტირებული ხალხი მაშინებს, რომელიც ყოველ წუთს ელის სიახლეს აფხაზეთის საკითხში. განწყობა, როგორც ხალხის, ასევე ხელისუფლების, ასეთია (თუ რამდენიმე გამონაკლისს არ ჩავთვლით) - დავიბურნოთ აფხაზეთი. ამ შემთხვევაში მგონი აუცილებელია ემოციის გარდა, ცოტა გონებასაც მოვუხმოთ და სიტყვა - "დავიბრუნოთ", სიტყვა - "შერიგებით" შევცვალოთ.

აფხაზეთი მხოლოდ ტერიტორია არ არის, იქ ხალხია. და პირველ რიგში ხალხს უნდა შევურიგდეთ და არა დავიბურნოთ. თუკი სახელმწიფოებრივ ინტერესებში მხოლოდ ტერიტორია შედის, ჩვენი, ანუ საზოგადოების მოთხოვნა პირველ რიგში ადამიანები უნდა იყვენენ. ადამინები, რომელთაც ბევრი ტკივილი მივაყენეთ ისევე, როგორც მათ მოგვაყენეს და ამიტომ, ჯერ ჩვენ უნდა შევეცადოთ საერთო ენა გამოვნახოთ მათთან და შემდეგ ჩვენმა ხელისუფლებმა. მსგავსი ქმედება გვჭირდება ოსეთის შემთხვევაშიც, ასე უმნიშვნელოდ რომ მივაყოლებთ ხოლმე აფხაზეთს. იქაც ადამიანებთან გვესაჭიროება შერიგება პირველ რიგში. აქედან გამომდინარე, როგორც პირად საუბრებში ასევე მედიის ყველა საშულებით შევცვალოთ ტერმინოლოგია და კონკრეტულად კი, სიტყვა "დავიბრუნოთ", სიტყვა "შევურიგდეთი". და გავიაზროთ, რომ ის ტერიტორია არა მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის, არამედ იმ ადამიანებსაც, რომელნიც იქ ცხოვრობენ და ჩვენი მიზანი უნდა იყოს მომავალში ერთად, ერთ მიწაზე თანაარსებობა და თანაცხოვრება; აქ მყოფი ადამიანებისა, რომელნიც საკუთარ სახლს მოწყდნენ და იქ დარჩენილებისა. როდესაც შერიგება შედგება, აღარც ჩვენ თბილისელებს, ქუთაისლებს თუ თელაველებს დაგვიშლიან იქ კოტრიალს თუ ჰამაკში ნებივრობას. ამიტომ ყველამ ერთად ვცადოთ და ქართულ აზროვნებაში შემრიგებლური პოლიტიკა ვარჩიოთ დამპყრობლურს. მე არ მინდა ისე გამომივიდეს თითქოს, ვინმეს ჭკუას ვასწავლი. ყველა შენიშვნა შესაძლებელია მეც მეკუთვნოდეს, ვინაიდან მეც ამ საზოგადოების ერთ-ერთი რიგითი წევრი ვარ და შეიძლება ეს პოპულარული სიტყვა "დავიბრუნოთ" პირად საუბრებში ერთხელ მეც წამომცდენია. თუმცა საჯარო გამოსვლებზე თუ წერილებზე სრულ პასუხს ვაგებ, რომ არაფერი მსგავსი არ გამპარვია. ამიტომ, გავაგრძელებ საუბრის თემას.

ქართულმა აჟიტირებულმა საზოგადოებამ, რომელიც სულმოუთქმელი ელის საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენას და პირველ რიგში სამოთხესავით ლამაზ სანაპიროზე სეირნობას, უნდა გააცნობიეროს, რომ ეს არ არის ნოემბრისა თუ მაისის შემთხვევა, აქ ერთ ადამიანში არ არის პრობლემა, იქ ხალხია და ადამიანები არიან, რომელთან შერიგებასაც დიდი ძალიასხმევა სჭირდება ორივე მხარეს მდგომთ. ეს პირველ რიგში, მიუხედავად აქტიური საზოგადოებისა, მაინც პირველ რიგში, ტერმინოლოგიისა და ცნობიერების შეცვლა პოლიტიკოსებს და მედიის წარმომადგენლებს ესაჭიროებათ, ვინაიდან თუკი ჩვენი ტრადიციული საუბრები სამზარეულოში აფხაზეთამდე არ აღწევს, მათი საუბრები, დაბეჯითებით ვიცი, რომ აფხაზების ყურადრების ცენტრშია. ამიტომ სვეტის დასასრულს პასუხს სათაურში დასმულ კითხვას გავცემ, **შევურიგდეთ და არა დავიბრუნოთ**, ვინაიდან ადამიანებს არ იბრუნებენ, ეს ტერიტორია და ზღვის სანაპირო არ არის, ეს ადამიანები არიან, რომელიც არავის საკუთრება არ არის. და თუ მაინცდამაინც დაბრუნებაზე ვისაუბრებთ, თუკი ოდესმე ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, ის სიყვარული დავიბრუნოთ.

ფეხბურთი

## ახალგაზრდებმა მოიგეს

### საქართველო - ისრაელი 3:1



ქართველი ახალგაზრდები მთელი მატჩის განმავლობაში უტევდნენ

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოსა და ისრაელის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების გუშინდელ ამხანაგურ მატჩს, რომელიც ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა, ყველაფერი შეიძლება ეწოდოს, ამხანაგურის გარდა. ბრძოლა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იმდენად დაძაბულად წარიმართა, რომ არბიტრს, ალექსანდრე შილაკაძეს 8-ჯერ ყვითელი და ერთხელაც წითელი ბარათის აფრიალება მოუხდა. თანაც, ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ შილაკაძემ საკმაოდ ლოიალურად იმსაჯა და ხშირ შემთხვევაში აშკარად დაინდო ფეხბურთელები (ეს უფრო საქართველოს ნაკრებს ეხება).

ისრაელის ნაკრების, პრინციპში, არავის გაჰკვირვებია. ეს ქვეყანა თავისი არსებობის მანძილზე სულ საომარ მდგომარეობაშია და მისი შვილები ომს შეჩვეულები არიან. სამაგიეროდ, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ქართველი ახალგაზრდებისგან ასეთი თავგანწირული თამაში. ვერც ვიხსენებ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებს ასეთი მონდომება და მიზანსწრაფვა ჩაექსოვოთ თამაშში. თანაც, მაშინ, როდესაც მეტოქეც მატჩის სადავეებზე კონტროლის დასამყარებლად თავადაც არაფერს ერიდებოდა.

გუშინდელი შეხვედრით თუ ვიმსჯელებთ, ქართველ გულშემატკივრებს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების იმედი, მართლაც, უნდა ჰქონდეს. ჯერ ერთი, ახლახან დანიშნულ მთავარ მწვრთნელს, გოჩა ტყებუჩავას ნამდვილად ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების დიდი არჩევანი აქვს (სხვადასხვა მიზეზთა გამო გუშინ მხოლოდ მცირე ნაწილი ჰყავდა). ამას გარდა, ამ ფეხბურთელებს არც სპორტული ამბიცია ჰკლებიათ. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ, მცირეხნიანი მოსამზადებელი პერიოდის მიუხედავად, საკმაოდ კვალიფიციური მწვრთნელის მუშაობაც გამოჩნდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ გუნდს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში აშკარად აქვს მომავალი.

ანგარიში ჩვენმა ახალგაზრდებმა მე-2 წუთზე გახსნეს: ხოჯავამ ჯარიმა გაითამაშა გაგუასთან, რომელმაც დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა.

გოლს მასპინძლებზე დამამშვიდებლად არ უმოქმედია და საქართველოს ახალგაზრდულმა ისევ აქტიურად განაგრძო თამაში. რამდენიმე სახიფათო ეპიზოდის შემდეგ დადგა 22-ე წუთი, როდესაც მოდებაძე მეტოქის საჯარიმოში ცრუმოძრაობით გაცდა ერთ ებრაელ მცველს და, რომ არ მოეცელათ, დასარტყმელ პოზიციაზეც გავიდოდა. შილაკაძემ უყოყმანოდ და სამართლიანად დანიშნა პენალტი, რომელიც თავად მოდებაძემ ზუსტად შეასრულა.

ქართველ ახალგაზრდებს არც ამის შემდეგ შეუნელებიათ დაწოლა მოწინააღმდეგის კარზე და 45-ე წუთისთვის, პრაქტიკულად, დაამთავრეს კიდეც საქმე: ალადაშვილმა და ჭელიძემ გაითამაშეს სწრაფი "თბილისური" კომბინაცია (ორივე ეს ფეხბურთელი საფეხბურთო კლუბს "თბილისის" ღირსებას იცავს), რომელიც ჭელიძის ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა - 3:0.

მატჩის მეორე ნახევარში მხოლოდ ერთი გოლი გავიდა, რომელიც სტუმრებმა ჩაიწერეს აქტივში. უნდა აღინიშნოს, რომ იმ ეპიზოდში კარგად ვერ გაისარჯა ნაკრების მეკარე თოთლაძე, რომელმაც საკმაოდ შორიდან დარტყმულ ბურთს ალღო ვერ აუღო და წინ დაუვარდა. ყველას სარსურმა დაასწრო, დაამატა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა: 3:1 ახალგაზრდული ნაკრების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის 25-ე წუთზე შილაკაძემ უხეშობისთვის ანზორ კალაძეს მოედანი დაატოვებინა, თუმცა, არც რიცხობრივმა სიმცირემ იმოქმედა მასპინძლებზე, რომლებმაც გამუდმებული შეტევებით დაასრულეს მატჩი. ვულოცავთ ქართველ ახალგაზრდებს და მათ მწვრთნელს ამ გამარჯვებას და ერთ მეგობრულ რჩევასაც მივცემ: ოფიციალურ შესარჩევ მატჩებში მეტი სიფრთხილე იქნება საჭირო, რადგან უცხოტომელი მსაჯი ისეთივე ლმობიერი არ იქნება, როგორც შილაკაძე.

## შალომ, მუსიე ჟირეს

მიხეილ აბაიშვილი

"ლოკომოტივის" სტადიონი ერთგვარად გაორებული გრძნობით დავტოვე. ერთი მხრივ, არ შეიძლება, არ დაინახო ის მონდომება და სპორტული ჟინი, საქართველოს ნაკრებმა რომ გამოავლინა გუშინდელ მატჩში. მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის უპირველესი გუნდის თამაშში ძალიან ბევრი ხარვეზი შეიმჩნევა, რომელთა გამოუსწორებლადაც შესარჩევ ციკლში გამოსვლა ისევ ფუჭი საქმე გამოდგება და ის ფულიც წყალში გადაყრილი აღმოჩნდება, ჟირესის ხელფასზე რომ იხარჯება. ეს თანხა კი მცირე ნამდვილად არ არის და წელიწადში რამდენიმე ასეულ ათას დოლარს შეადგენს.

თამაში წავაგეთ, რაც დიდი უბედურება ნამდვილად არ არის. ამხანაგური მატჩები სწორედ იმისთვის არსებობს, რომ საკუთარ თამაშში სუსტი ადგილები გამოავლინო და შემდგომ მათ აღმოფხვრაზე იზრუნო. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ნაკრების ფრანგ მწვრთნელს, მართლაც, ხელებდასაკაპიწებელი სამუშაო ელის. შეუთანხმებელი მოძრაობები დაცვის ხაზში (რამაც მიგვიყვანა კიდეც ამ მატჩში და ჩვენი ნაკრების კარში გატანილ ერთადერთ გოლამდე), ნახევარდაცვის მიერ ხშირ შემთხვევაში თამაშის ზედმეტად გაჭიანურება და ინდივიდუალიზმით გართობა, სწორხაზოვანი და ერთფეროვანი შეტევები... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ყველა სათამაშო რგოლის მოქმედებები დახვეწას მოითხოვს. იყო პოზიტიური მომენტებიც, მაგრამ არა იმდენად საკმარისი, რომ შეხვედრის თუნდაც ფრედ დასრულება შეგვძლებოდა.

ერთადერთი, ვის მიმართაც სასაყვედურო ნამდვილად არავის არაფერი ეთქმის, ალექსანდრე იაშვილია, რომელმაც საქართველოს ნაკრების ყველა სახიფათო შეტევის ერთ-ერთი მთავარი წამომწყები და შემოქმედი იყო.

შეიძლება ჩვენი გუნდის ერთგვარი შებოჭილობა გარკვეულწილად იმასაც დაბრალდეს, რომ ფეხბურთელების დიდ ნაწილს სულ 3-4 დღის წინ დაუსრულდა მომქანცველი სეზონი და უაღრესად გადაღლილია. ამის გამო ნაკრებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დააკლდა კიდეც (ხიზანიშვილი, აშვეთია). რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმის გამო გამოგვაკლდა, ზოგი კი კლუბებმა არ გამოუშვეს. ასე რომ, ამ მომენტების გათვალისწინებით, არც ისე უსაშველოდ გვაქვს საქმე, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს.



ერთადერთი, ვის მიმართაც სასაყვედურო ნამდვილად არავის არაფერი ეთქმის, ალექსანდრე იაშვილი იყო

რაც შეეხება ჩვენს გუშინდელ მეტოქეს, ისრაელის ნაკრებიც თაობათა ცვლას განიცდის და პრაქტიკულად, ახალი გუნდის ჩამოყალიბების პროცესშია. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით, ებრაელებს ჩვენთან შედარებით გაცილებით ბევრი ნაბიჯი აქვთ წინ გადადგმული. თუმცა, აქ ჟირესთან ნაკლებად გვაქვს სასაყვედურო. გუშინ მუსიე ალენს პირველად მიეცა მეტ-ნაკლებად სერიოზული შემადგენლობის შეკრების და მეტ-ნაკლებად სერიოზულ მეტოქესთან ამხანაგური დაპირისპირების საშუალება. ანალოგიურ პერიოდში ისრაელის ნაკრებმა 4 სრულფასოვანი საწვრთნელი შეკრება და ამხანაგური მატჩი გამართა და შედეგსაც ადეკვატურს იმკის.

მცირედით ისტორიასაც გადავხედოთ. გუშინდლამდე საქართველოს და ისრაელის ნაკრები 3-ჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს და სრული პარიტეტი სუფევდა. ერთხელ ისრაელის ნაკრებმა გაიმარჯვა (2:0), ერთხელ ქართველ ფეხბურთელებს დარჩათ მოგება (3:2), ხოლო ერთი მატჩი ფრედ დასრულდა (1:1). გუშინდელი მარცხის შემდეგ ამ სტატისტიკით მეტოქეს ჩამოვრჩით, თუმცა ამას ჟირესი მაინცადამაინც არ დაუმწუხრებია.

"რასაკვირველია, არ ვარ კმაყოფილი შედეგით. ძალიან კარგია, როცა გამარჯვებულის პოზიციიდან საუბრობ. ასეთ დროს პოზიტიურ მომენტებზე ყურადღების გამახვილება იოლია. დღეს ასე არ მოხდა, თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ გარკვეული კმაყოფილების გრძნობა მაინც მაქვს. თამაშმა ნათლად დამანახა ის პროგრესი, რომელიც ჩემმა გუნდმა განიცადა. სამწუხაროდ, ეს გოლში და დადებით შედეგში არ გადაიზარდა, თუმცა, იმედი მაინც დატოვა, რომ ეს ყველაფერი გამოსწორდება," - მარცხს არ ეპუება ჟირესი.

და კიდევ: როდესაც საქართველოს ახალი ჰიმნი აჟღერდა, ბევრი ქართველისგან განსხვავებით, ჟირესი ამღერდა. ეს, მართლაც, არის იმის მანიშნებელი, რომ ამ კაცს მართლა ძალიან უნდა საქართველოს ნაკრებთან ერთად სერიოზული წარმატების მიღწევა. ღმერთმა ხელი მოუმართოს.

## შანსი

### პორტუგალიამ შეიძლება ნარინჯისფერთა მიღწევა გაიმეოროს

პორტუგალიას შანსი აქვს, გაიმეოროს ჰოლანდიელთა მიღწევა და ერთ წელიწადს მოიგოს ევროპის ჩემპიონატი როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე. მანამდე კი პორტუგალიაში ყველა ზეიმობს ჩემპიონთა ლიგაში "პორტუს" გამარჯვებას.

წლევანდელ სეზონს პორტუგალიაში დიდხანს დაიმახსოვრებენ. წლის უმთავრესი ღონიძიების - ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის წინ, ევროკავშირის ულარიბესმა ქვეყანამ უზარმაზარი სიურპრიზი მიიღო და ამ სიურპრიზის მოლოდინში ბოლო ორი თვე გაატარა. "პორტუ" უძველესი კონტინენტის საუკეთესო კლუბი გახდა. ამ გამარჯვების თავმდაბლური იმედი პორტუგალიელებს მარტის დასაწყისში ჩაესახათ, როცა "გველეშაპებმა" ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მერვედფინალში სენსაციურად დაამარცხეს ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედი". თამაშიდან თამაშამდე მოურინიოს გუნდისა და მისი გულშემატკივრების რწმენა იზრდებოდა და ოთხშაბათს, გრინვიჩის დროით (პორტუგალიის დროითაც), ათს უკლდა თხუთმეტი წუთი, როცა გამარჯვების დიდი სიხარული პორტუგალიის ქალაქებს მოეფინა. ზეიმმა მარტო პორტუ როდი მოიცვა. თანამემამულეთა სადღეგრძელოს "პორტუს" მოსისხლე "ბენფიკასა" და "სპორტინგის" ლისაბონიც სვამდა.

თუმცა, მთავარი მოვლენები, რასაკვირველია, პორტუში განვითარდა. მატჩის დამთავრებიდან რამდენიმე წამის შემდეგ ძველი საპორტო ქალაქის ვიწრო ქუჩები "პორტუს" თეთრ-ლურჯმაისურიანი გულშემატკივრებით აივსო. ამას ავტომობილების გამაყრუებელი სიგნალები დაემატა და საყოველთაო ზეიმიც გაჩაღდა.

საზეიმო ცერემონიალის ცენტრი გახდა პორტუს ცენტრალური მოედანი უმბერტო დელგადუ პლაზა, აგრეთვე, ამ მოედნიდან დაწყებული მოკავშირეთა ქუჩა, რომელიც ერთ-ერთი მთავარია პორტუგალიის მეორე დედაქალაქში. შეძახილები კი, რა თქმა უნდა, ორიგინალობით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ზუსტად ასახავდა იმას, რაც რამდენიმე წუთის წინ მოხდა - "პორტუ" ჩემპიონი!" ამასთან, ღამით, პორტუს მონუსხულ ცაზე, თანდათან იფანტებოდა დევიზი, რომელსაც უკვე არაერთი თაობა იმეორებს - "პორტუ", შენ პორტუგალიას სახელი დაუმკვიდრე".

"ჩვენ დავამტკიცეთ, რომ საუკეთესონი ვართ. ჩვენი კლუბისთვის ეს დიდების ღამეა" - ფანების საერთო განწყობილება გადმოსცა "პორტუს" ერთერთმა გულშემატკივარმა. ზოგიერთი ფანი უკვე ღამით გაემართა "დრაგაოს" სტადიონის ტრიბუნებისკენ, სადაც "პორტუს" ჩემპიონთა ლიგის თასი უნდა ჩაეტანა.

ამბობენ, რომ ასეთივე ზეიმი გაიმართა 1987 წელს, როცა "პორტუ", პირველად თავისი არსებობის ისტორიაში, დაეუფლა ჩემპიონთა თასს. თუ 17 წლის წინათ გუნდის შემადგენლობაში მხოლოდ ერთმა ბრაზილიელმა (ჟუარი) გამოიჩინა თავი, ოთხშაბათს გელზანკირხენში "გოლნახევარი" სწორედ ბრაზილიელთა ანგარიშზეა. 19 წლის კარლოს ალბერტო ასპროცენტიანი ბრაზილიელია, ხოლო დეკუ, მიუხედავად იმისა, რომ პელეს ქვეყანაში დაიბადა, პორტუგალიის მოქალაქეა. პორტუგალიაში ბევრი ბრაზილიელი ცხოვრობს, რომლებმაც ახალი სამყაროდან წინაპრების სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტეს. ამიტომ, "პორტუს" პატრიოტულ ჰიმნსა და სიმღერებში ხშირად ჟღერს ცეცხლოვანი ბრაზილიური სამბას მოტივები.



"პორტუს" ფეხბურთელებს სამშობლოში ისე შეეგებნენ, როგორც გმირებს

ეს ღამე ნამდვილად არ დაავიწყდებათ სარდინების, სენდვიჩისა და ლუდის გამყიდველებს. ფინალის დღეს მათ თავიანთი ბარები არ დახურეს და ერთ ღამეში მთელი თვის შემოსავალი გამოიმუშავეს. ზეიმის მიღმა არ დარჩა არც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჟოზე მანუელ დურაო ბაროზუ, რომელმაც ნაციონალურ რადიოს RDP-ს მატჩის შემდეგ განუცხადა: "ეს იყო დიდი თამაში და დიდი გამარჯვება მთელი პორტუგალიისთვის. ამისთვის მადლობა უნდა გადავუხადოთ ჩვენს ფეხბურთელებს, რომლებიც უაღრესად მოწესრიგებულნი იყვნენ და ერთი წამითაც არ მოადუნეს ყურადღება".

არადა, თამაშამდე ერთი დღით ადრე პორტუგალიურმა პრესამ პრემიერი საჯაროდ გააკრიტიკა მექსიკაში ოფიციალური ვიზიტის გადადების გამო. მეხიკოს ნაცვლად პრემიერ-მინისტრმა გელზენკირხენი მოინახულა, რათა პირადად დასწრებოდა თამაშს. თუმცა, მექსიკაში ვიზიტი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო პორტუგალიისთვის, რომელმაც, მექსიკასთან სავაჭრო კონტაქტების გაძლიერების წყალობით, ახლახან დაძლია ეკონომიკური კრიზისი. ერისადმი მისალოცი სიტყვით გამოვიდა პორტუგალიის პრეზიდენტი ჟორჟე სამპაიო, რომელმაც "პორტუს" გამარჯვებას უწოდა "ბედნიერების მომენტი ყველა პორტუგალიელისთვის და შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ითამაშოს ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიის ეროვნულმა ნაკრებმა".

ახლა კი ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ თვენახევრის შემდეგ პორტუგალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. მაშინ რაღა მოხდება ფეხბურთით დაავადებულ ამ ქვეყანაში? სხვათა შორის, ფეხბურთის ისტორიას ახსოვს ფაქტი, როცა ერთი ქვეყნის გუნდმა ჯერ ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა, შემდეგ კი ამავე ქვეყნის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. ეს მოხდა1988 წელს, როცა ჰოლანდიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. ერთი თვით ადრე კი ჩემპიონთა თასი "პსვ ეინდჰოვენმა" მოიპოვა. ფინალში ჰოლანდიელებმა სწორედ პორტუგალიის მაშინდელი ჩემპიონი "ბენფიკა" დაამარცხეს.

1960 - "რეალი" (ესპანეთი) და სსრკ ნაკრები
1964 - "ინტერი" (იტალია) და ესპანეთის ნაკრები
1968 - "მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) და იტალიის ნაკრები
1972 - "აიაქსი" (ჰოლანდია) და გფრ-ის ნაკრები
1976 - "ბაიერნი" (გერმანია) და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები
1980 - "ნოტინგემ ფორესტი" (ინგლისი) და გფრ-ის ნაკრები
1984 - "ლივერპული" (ინგლისი) და საფრანგეთის ნაკრები
**1988 - "პსვ ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) და ჰოლანდიის ნაკრები**
1992 - "ბარსელონა" (ესპანეთი) და დანიის ნაკრები
1996 - "იუვენტუსი" (იტალია) და გერმანიის ნაკრები
2000 - "რეალი" (ესპანეთი) და საფრანგეთის ნაკრები
2004 - "პორტუ" (პორტუგალია) და???

## TV-სპორტი

### პარასკევი. 28 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

08:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
09:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ჯეიმს უორტი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. "ონსე კალდასი" (კოლუმბია) – "სანტოსი" (ბრაზილია)
14:55 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. სერბეთი და მონტენეგრო - ხორვატია
16:40 თავისუფალი დარტყმა
16:55 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. იტალია - ბელორუსი
18:35 "ექსპერტიზა"
19:05 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. "ონსე კალდასი" (კოლუმბია) – "სანტოსი" (ბრაზილია)
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. გერმანია - შვეიცარია
23:05 "დარტყმა გოლისთვის"
23:25 თავისუფალი დარტყმა
23:40 ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებთა შორის გერმანიაში. შვედეთი – პორტუგალია. პირდაპირი ტრანსლაცია
01:40 ამხანაგური მატჩი. ფინეთი – შვედეთი
03:25 03:25-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. დღიური
05:00 NBA TV. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "DETROIT PISTONS" - "INDIANA PACERS". მე-4 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:00, 16:45, 20:30 პრესცენტრი
11:20, 20:45 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. "როლან გაროსი"
14:30 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. "TAMPA BAY LIGHTNING" - "CALGARY FLAMES". მე-2 მატჩი
17:05 ჭადრაკი. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ელისტაში
17:35 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
18:05 "სპორტის აკვატორია"
18:50 ტაილანდური კრივი
19:45 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა იაპონიიდან
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 წყალბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი" უნგრეთში. "შტურმი 2002" (რუსეთი) – "იადრანი" (სერბეთი და მონტენეგრო). პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
22:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
23:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. "TAMPA BAY LIGHTNING" - "CALGARY FLAMES". მე-2 მატჩი
01:15 ახალი ამბები
01:30 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
02:00 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport"

**EUROSPORT**

11:30 "სუპერბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
12:30 ველოსპორტი. სატრეკო მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრალიაში
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
17:30 ველორბოლა. იტალიის ტური
20:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
00:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ევრო-2004 – ამხანაგური მატჩი
02:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
03:00 ახალი ამბები
03:15 ველოსპორტი. სატრეკო მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრალიაში
04:15 ახალი ამბები

### ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ჰოლანდიელ მცველს იაპ სტამს ევრო 2004-ის შემდეგ ნაკრებიდან წასვლა განუზრახავს. "როიტერის" ცნობით, სტამს მილანის "მილანში" კარიერაზე აქვს აღებული აქცენტი. "მილანში ყოფნით ძალზე შორს ვიქნები საკუთარი სახლიდან. ამასთან, მინდა, მეტი დრო გავატარო ოჯახის წევრებთან".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ვალენსიის" მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი აცხადებს, რომ კვლავაც კლუბში დარჩენა სურს. იმავდროულად, ბენიტესი უარყოფს ხმებს, თითქოს "ლივერპულში" გადადიოდეს: "მინდა, "ვალენსიაში" დავრჩე, რადგან მიმაჩნია, რომ ჩემი კლუბი უდიდესია. თუმცა, კლუბის მომავალი მის ხელმძღვანელობასთანაა განსახილველი".

რაც შეეხება "ლივერპულში" გადასვლას, ესპანეთის ჩემპიონი კლუბის მწვრთნელი ამბობს: "ყოველთვის ასეა. როდესაც გუნდი რაღაცას იგებს, უმალ ვრცელდება სხვადასხვა მოსაზრება. ამასთან დაკავშირებით საკუთარ აგენტს დავავალე, ვითარებაში გარკვეულიყო".

თავის მხრივ, "ვალენსიის" პრეზიდენტი ხაიმე ორტი აცხადებს, რომ ახლო მომავალში კლუბი ბენიტესთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რიგი მიზეზების გამო პორტუგალიის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა შენგენის შეთანხმებიდან დროებით გამოსვლის თაობაზე. კერძოდ, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებმა პორტუგალიის საზღვრის გადაკვეთისას უნდა წარადგინონ პასპორტები. რაც შეეხება არაევროკავშირელებს, მათ შემთხვევაში ყველაფერი ძველებურად იქნება. ანუ, აუცილებელია მათ ჰქონდეთ თავიანთი ქვეყნების საკონსულოების მიერ გაცემული ვიზა. "ესაა პრევენციული ზომა "მონაწილეთა და მაყურებელთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და იგი იმოქმედებს 4 ივლისამდე, ანუ ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** ჩეხეთის მთავრობა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ქიმიური თავდასხმის თავიდან აცილებისა თუ საკუთარი მოქალაქეების დასაცავად აპირებს, საბერძნეთში გაგზავნოს ნატოში შემავალი ბატალიონი. ამჟამად ბატალიონი ლიბერეცშია დისლოცირებული.

ჩეხ სპეციალისტებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდათ 1991 წელს სპარსეთის ყურესა და შარშან ერაყში შეჭრისას ატომურ-ბიოლოგიურ-ქიმიურ თავდასხმათა მოსაგერიებელ ქვედანაყოფთა კოალიციაში. ახლა ბატალიონი თანხმობის მოლოდინშია, რომელიც რესპუბლიკის პარლამენტმა უნდა მიიღოს. სხვათა შორის, ჩეხ სპეციალისტებს ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მარტის შუა რიცხვებში ევროპის ნატოს ჯარების სამეთაუროდან მიმართეს. მოსალოდნელია, რომ ამ ოპერაციისთვის საჭირო ხარჯებს საკუთარ თავზე აიღებს საბერძნეთის მთავრობა ან ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. ზოგადად კი, ოლიმპიადის უსაფრთხოებისთვის 50 ათასი ადამიანი, მათ შორის 16 ათასი სამხედრო პირი იქნება მობილიზებული. თამაშების უსაფრთხოებისთვის ერთი მილიარდი ევროა გამოყოფილი.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** 68 წლის ფრანგ ველოსიპედისტს ზეფ ჟეგარს განზრახული აქვს, დიდი მატერიკის ევრაზიის ორი უკიდურესი ქალაქი – ბრესტი და ვლადივოსტოკი ერთმანეთთან დააკავშიროს. 1 მაისს ჟეგარი ბრესტიდან გაემართა შორეულ მოგზაურობაში და, სავარაუდოდ, ორთვენახევარს დაყოფს გზაში, რაც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ტრანსევრაზიული რეკორდი დაამყაროს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პილოტთა უმრავლესობას "BMW-უილიამსის" კოკპიტში მოკალათების სურვილი ამოძრავებს. მორიგი სენსაციის ავტორებად მოგვევლინა გერმანული ჟურნალი "auto, motor und sport"-ი და რიგი ფინური საინფორმაციო საშუალებები, რომლებიც სამეფო რბოლებში მიკა ჰაკინენის შესაძლო დაბრუნებაზე იუწყებიან. "auto, motor und sport"-ი ამტკიცებს, რომ ლაპარაკია არა ჭორებზე, არამედ კონკრეტულ მოლაპარაკებაზე, რომელსაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თითქოს "უილიამსთან" აწარმოებდეს. იმავე ჟურნალზე დაყრდნობით, მიკას ტესტები "უილიამსში" ზაფხულში შედგება. ერთადერთ წინაღობად მიიჩნევენ ფინელი მრბოლის "მაკლარენ-მერსედესთან" კონტრაქტს, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოს იწურება.

საგულისხმოა, რომ ამ შაბათ-კვირას ჰაკინენი ფინეთში, "პორშეს" სუპერთასზე იასპარეზებს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** სადრაფტო ლატარეის გათამაშების შემდეგ "ორლანდო მეჯიქმა", რომელმაც 2003-2004 წლების ლიგის რეგულარული სეზონი საშინელი შედეგით დაასრულა, მოახლოებულ დრაფტზე პირველი არჩევანის უფლება მიიღო. ანალიტიკოსები თვლიან, რომ "მეჯიქი" დრაფტზე ყურადღებას გაამახვილებს NCAA საუკეთესო მოთამაშეზე, კონექტიკუტის უნივერსიტეტის ცენტრ-ფორვარდ ემეკუ ოკაფორაზე. ოკაფორას გარდა, პირველ ნომრად მოხვედრის შანსი აქვთ სკოლის მოსწავლე დუაიტ ჰოვარდსა, შონ ლივინგსტონსა და დიუკის უნივერსიტეტის ახალბედას ლუოლ დენგს.

### ჩოგბურთი

# პარიზში ამერიკელები აღარ დარჩნენ

მეორე წრიდან საფრანგეთის ღია ჩემპიონატს გამოეთიშა ჩვენი თანამემამულე ირაკლი ლაბაძე. მან ტურნირის მასპინძელს, ფაბრის სანტოროს დაუთმო გზა. "ლაბაძე კარგი ჩოგბურთელია, მაგრამ მეოთხე და მეხუთე სეტებში აშკარად დაიღალა", - მატჩის შემდეგ თქვა ფაბრის სანტორომ, რომელმაც პირველ სეტშიც 5-სეტიანი, მომქანცველი ბრძოლა გადაიხადა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ლაბაძის ჯერი "დიდი სლემის" ტურნირებზე ჯერ არ დამდგარა.

ტურნირის მთავარი სენსაცია კი მსოფლიოს პირველი ჩოგნის, ბელგიელი ჟიუსტინ ენინ-არდენისა და ტურნირის მეორე ნომრის, ამერიკელი ენდი როდიკის დამარცხება იყო. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ჟიუსტინ ენინი იძულებული იყო, კორტებზე არ გამოსულიყო. სერიოზული ინფექციური დაავადების შემდეგ მსოფლიოს პირველი ჩოგანი ჯერაც არ მოშუშებულა. ოთხშაბათს სიუზან ლანდლანის სახელობის კორტზე მაყურებელმა მხოლოდ ენინის აჩრდილი იხილა. თუმცა, ფიზიკურად დასუსტებულმა, მაინც მოახერხა, იტალიელი ტატიანა გარბინისთვის სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია და ორ სეტში - 5:7, 4:6 დამარცხდა.

26 წლის იტალიელისთვის ეს მატჩი კარიერის უდიდეს მიღწევად იქცა. "დაჯერება მიჭირს, - ესღა ამოილუღლუღა გახარებულმა იტალიელმა, - ძალიან მიხარია, რომ მსოფლიოს პირველ ჩოგანს მოვუგე".

"დღეს ჩემმა მეტოქემ ძალიან კარგი მატჩი ჩაატარა, - განაცხადა ენინმა, - ფიზიკურად თავს არც ისე კარგად ვგრძნობდი. არ ვიცი, ავადმყოფობის შედეგია თუ ნერვიულობის. როცა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კორტზე გამოდიხარ, უფრო მეტ ზეწოლას გრძნობ, ვიდრე ჩვეულებრივ".

თუმცა, დამარცხების მიუხედავად, ბელგიელი არ ნანობს, რომ პარიზის ტურნირზე იასპარეზა: "მე ეს მხოლოდ ჩემთვის გავაკეთე და არა სხვისთვის. სრულებითაც არ მრცხვენია დღევანდელი მატჩის გამო. ყველაფერი ისე უნდა მიიღო, როგორც არის. მე აღსადგენად და ვარჯიშის დასაწყებად ცოტა მეტი დრო დამჭირდება. მაგრამ ახლა სამომავლო კალენდარში ცვლილებების შეტანას არ ვაპირებ", - განაცხადა ჟიუსტინ ენინ-არდენმა.

პარიზის კორტებზე ენინის დამარცხება ერთადერთი სენსაცია არ იყო. ტურნირს ამერიკელი ენდი როდიკიც გამოეთიშა. ხუთი სეტის შემდეგ მან გზა დაუთმო ფრანგ ოლივიე მუტის, რომელიც პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში 153-ე ადგილზეა და წლევანდელ სეზონში არც ერთი მატჩი არ ჰქონდა მოგებული. მეტოქეები თანმიმდევრობით იგებდნენ სეტებს და ბოლოს ფრანგის სასარგებლოდ დასრულდა - 3:6, 6:3, 6:7 (5:7), 6:3, 6:2.

როდიკის დამარცხების შემდეგ საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ვაჟთა ნაწილში ამერიკელები აღარ დარჩნენ.



ოლივიე მუტიმ ენდი როდიკი ტურნირიდან დაითხოვა

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| როჟე ფედერერი (შვეიცარია, 1) - ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 6:3, 6:4, 7:6 |
| გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 28) - გილს ელსენერი (ბელგია) | 6:2, 6:0, 6:3 |
| ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი, 23) - კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) | 6:7, 6:3, 6:4, 6:4 |
| ჰუნგ-ტაიკ ლი (ს. კორეა) - ოლივიე პატიენსე (საფრანგეთი) | 6:4, 6:4, 6:3 |
| ჟიულიენ ბენეტი (საფრანგეთი) - დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 6:3, 1:6, 6:2, 7:5 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 12) - იურგენ მელცერი (ავსტრია) | 6:4, 6:4, 4:6, 6:2 |
| ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 26) - კრისტოფ როხუსი (ბელგია) | 6:1, 6:2, 7:5 |
| ხავიერ მალისე (ბელგია) - დანიელ ელსნერი (გერმანია) | 6:3, 4:0 |

ელსნერმა თამაში შეწყვიტა.

**ქალები:**

| | |
|---|---|
| ფრანჩესკა სკიავონე (იტალია, 17) - ვირჯინი რაზანო (საფრანგეთი) | 6:1, 4:6, 6:3 |
| ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 7) - კვეტა პეშკე (ჩეხეთი) | 7:5, 6:3 |
| მირიამ კაზანოვა (შვეიცარია) - მარია ვენტო-კაბჩი (ვენესუელა) | 6:4, 2:6, 6:3 |
| ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) - აი სუგიამა (იაპონია, 12) | 6:7, 6:2, 6:1 |
| შინობუ ასაგო (იაპონია) - პეტი შნაიდერი (შვეიცარია, 16) | 7:5, 3:6, 6:4 |
| კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) - შენეი პერი (აშშ) | 6:4, 6:3 |
| დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) - პეტრა მანდულა (უნგრეთი, 29) | 6:2, 6:3 |
| მარი პირსი (საფრანგეთი) - გალა ლეონ-გარსია (ესპანეთი) | 6:1, 6:1 |
| სილვია ტალაია (ხორვატია) - სტეფანი ფორეტცი (საფრანგეთი) | 2:6, 7:6, 6:2 |

### ფორმულა 1

# სამი ფორმულის ისტორია



კორა შუმახერი რალფის გზას დაადგა

ბიგა ბურასაშვილი

ქმრის შემხედვარეს, სხვა რა უნდა ექნა. ადგა და ესეც საჭეს მიუჯდა. შუმახერიანთ ოჯახის რძალმა, რალფ შუმახერის თანამეცხედრე კორამ, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა, რაღაცით მაინც შეეგრძნო ის, რასაც მისი მეუღლე, "უილიამსის" კოკპიტში მოკალათებული რალფი განიცდიდა. ერთი სიტყვით, კორამ ახალ სარბოლო სერია Mini-Challenge-ში მოისურვა საკუთარი ძალების მოსინჯვა. დებიუტი ლაუზიტცრინგში Mini-Challeng-ს ეტაპზე 4-6 ივნისს შედგება. სარბოლად კი მოვერცხლისფრო-მოცისფრო BMW Mini Cooper შეუგულებიათ.

ივნის-სექტემბერში Mini-Challeng-ის შვიდი რბოლა შედგება და მასში 30 მრბოლი მიიღებს მონაწილეობას, ამასთან, Mini Cooper S-ის საფუძველზეა აგებული.

ტოპ-მოდელ ჰაიდი კლუმს კი სხვა საზრუნავი გასჩენია. ცნობილ მოდელს ბოლიდებზე მეტად სასიყვარულო თავგადასავლები იზიდავს. სულ ცოტა ხნის წინათ ყვითელი პრესა "რენოს" იტალიელი ბოსის ფლავიო ბრიატორესა და ჰაიდი კლუმის მგზნებარე სიყვარულზე ნაირგვარ ამბებს გვიყვებოდა. ბრიატორესა და კლუმს შორის ურთიერთობა, მართლაც, ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი იყო პაპარაცებისა თუ სკანდალებზე მონადირეთათვის. მას შემდეგ, რაც მათი კავშირი შეწყდა, თითქოს სიმშვიდეს უნდა დაესადგურებინა, დროებით მაინც, მაგრამ... ბრიატორესგან ქალიშვილის, ლენის შეძენიდან ერთი თვის თავზე ტოპმოდელმა დაივიწყა იტალიელთან სიყვარული და ახალი მეგობარი გაიჩინა.

კლუმის რჩეულია შოუბიზნესის ცნობილი წარმომადგენელი, მომღერალი სილი. ამბობენ, სილი ჩვილის მიმართაც საოცრად მზრუნველი და ყურადღებიანიაო. ცოტა ხნის წინათ მომღერალს ჰაიდის მშობლები - ერნი და გიუნტერიც გაუცნია, ანუ, ჩვენს სერიოზულ ურთიერთობაში ეჭვი არ შეგეპაროთო.

მესამე ისტორია დანარჩენი ორისგან იმით განსხვავდება, რომ მას სამეფო რბოლის ბინადარ "იაგუართან" და ბრილიანტებთან მივყავართ.

ვიუწყებოდით კიდეც, კვირას, მონაკოს დიდ პრიზზე, კომპანია "Steinmetz"-მა "იაგუარის" ბოლიდები როგორ მოჭედა ბრილიანტებით. იმაზეც ვწერდით, თუ როგორ განვითარდა შემდგომ მოვლენები. მოვლენები კი არცთუ სახარბიელოდ განვითარდა. კრისტიან კლეინის ავარიას შეეწირა სპონსორის მრავალმილიონიანი ბრილიანტები, რომელიც "იაგუარის" ცხვირზე საგულდაგულოდ იყო დამაგრებული. დიდი პრიზის შემდეგ მონაკოს ქუჩებს შეფენილი რამდენიმე ათეული მოსამსახურე პირი ამაოდ ეძებდა "Steinmetz"-ის ბრილიანტებს, მაგრამ ფაქტია, ის ძვირფასი ქვები დღემდე დაკარგულად ითვლება. მართალია, კომპანიას ბრილიანტების სარეკლამო აქცია წინდაწინვე ჰქონდა დაზღვეული ამგვარი შემთხვევისგან, მაგრამ ძვირფასეულობის ასე ქუჩაში მიმობნევა მაინც არ არის სასიამოვნო. როდესაც საქმე მილიონებსა და დაზღვევას ეხება, როგორც წესი, მასთან დაკავშირებით უამრავი ვერსია ვრცელდება. ამბობენ, ბრილიანტების დაკარგვის ისტორია მხოლოდ და მხოლოდ პიარ-აქციააო. რა თქმა უნდა, "იაგუარმა" გავრცელებული ხმები უარყო. ეგ კი არა, ძვირფასი ქვის დაბრუნებისთვის 50-ათასდოლარიანი პრემიაც დააწესა. საქმე ისაა, რომ "იაგუარში" ეჭვი აქვთ, ბრილიანტის ძებნისას ძვირფასი ქვა, ალბათ, ვიღაცამ ჩაიჯიბაო. და მაინც, საჯინიბოში მპოვნელის დასაჩუქრება გადაუწყვეტიათ. სჯერათ, რომ ბრილიანტის მპოვნელი კეთილსინდისიერად მოიქცევა და კუთვნილ ქვას კანონიერ პატრონს დაუბრუნებს.

### მოკლედ

# ღალატმა ვიქტორია ოჯახში დააბრუნა

ჯეიმი რედნაპი კი ყველაზე ლამაზი ქალის ქმარია



ვიქტორია კვლავ ოჯახის ერთგულია

დევიდ ბექჰემთან დაკავშირებული მრავალფეროვანი სასიყვარულო ისტორიების სიუხვის მიუხედავად, ვიქტორია ბექჰემმა მაინც ვერ გადაწყვიტა, ქმრისთვის ულტიმატუმი წაეყენებინა. როგორც ჩანს, მან ქალებში პოპულარული მეუღლისთვის ბრძოლის ახალი სტრატეგია აირჩია – ამიერიდან, მისი თქმით, ის დროის უმეტეს ნაწილს ოჯახთან გაატარებს.

ამ დღეებში ვიქტორია შვილებთან, ბრუკლინთან და რომეოსთან ერთად ეწვია სარდინიას, სადაც ინგლისის ნაკრები გადის წვრთნას ევროპის ჩემპიონატის წინ. ინგლისელთა დამრიგებელმა სვენ გორან ერიკსონმა ფეხბურთელებს ნება დართო, რამდენიმე დღე ოჯახის წევრებთან გაეტარებინათ და ვიქტორიაც უმალ იქ გაჩნდა.

ვიქტორიას ერთ-ერთი მენეჯერის თქმით, სულ მალე პოში ახალი სინგლის გამოშვებას აპირებს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მისი ბოლო ნამუშევარი თითქმის შეუმჩნეველი დარჩა ფართო საზოგადოებას, დიდ წარმატებას არც ახლისგან უნდა ელოდოს.

ყველაფერთან ერთად, პოში ფილმშიც აპირებს გადაღებას. ერთ-ერთი ინგლისელი რეჟისორის თქმით, ვიქტორიას იუმორის არაჩვეულებრივი გრძნობა აქვს და, გამორიცხული არ არის, კომედიაში მთავარი როლიც შეასრულოს.

რაკი ფეხბურთელთა ცოლებზეა საუბარი, ერთ მნიშვნელოვან ამბავსაც გეტყვით. ჟურნალ "FHM"-ის გამოკითხვის შედეგად ათწლეულის ყველაზე სექსუალურ ქალად ლონდონის "ტოტენჰემის" ფეხბურთელის ჯეიმი რედნაპის ცოლი, ლუიზა რედნაპი აღიარეს. გამოკითხვაში მან გაუსწრო მამაკაცთა გულების ისეთ მპყრობელებს, როგორებიც არიან კაილი მინოუგი, პამელა ანდერსონი და კარმენ ელექტრა.

ძნელი სათქმელია, რამ გამოიწვია ლუიზას ესოდენ დიდი პოპულარობა. ცოტა ხნის წინათ წლის ყველაზე სექსუალური ქალის გამოკითხვაში ის მხოლოდ მე-17 იყო, თუმცა, ჩანს, მამაკაცთა შორის მოწონება დაიმსახურა იმან, რომ ის დღემდე ქმრის ერთგულად რჩება და ახლო მომავალში ბავშვსაც ელოდება.

"ვერაფერს ვიტყვი, მომხდარით გაოცებული ვარ. ბუნებრივია, მსიამოვნებს ასეთი ლამაზი ცოლი რომ მყავს, თუმცა, ეს ყველაფერი, გარკვეულწილად, მაეჭვიანებს კიდეც", - ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა ლამაზმანის ქმარმა.

# ფერგიუსონი "მანჩესტერიდან" გააგდეს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი გაეხვა დიდ სკანდალში, რომელიც ბოლო დროს ბრიტანულმა პრესამ ააგორა. აურზაურის მიზეზია სერ ალექსის შვილი ჯეისონი, რომელიც საკუთარ თავს საფეხბურთო აგენტს უწოდებს.

სპორტული სააგენტო "ელიტი", რომელსაც ჯეისონ ფერგიუსონი ხელმძღვანელობს, იმ ფეხბურთელთა ტრანსფერებთან აღმოჩნდა დაკავშირებული, რომლებიც ბოლო პერიოდში გამოჩნდნენ ინგლისურ კლუბში, ანუ უმცროსი ფერგიუსონი მამას სთავაზობდა ფეხბურთელებს, რომლებსაც ის, რაღა თქმა უნდა, ყიდულობდა. ბუნებრივია, ჯეისონს, როგორც შუამავალს და თავისი კლიენტებისთვის სამუშაოს მპოვნელს, ამ გარიგებიდან გარკვეული პროცენტი რჩებოდა.

ფერგიუსონების ტანდემის წყალობით "ოლდ ტრაფორდზე" თამაში შეძლეს კვინტონ ფორჩუნმა, როი კეროლმა, დარენ ფლეტჩერმა, მასიმო ტაიბიმ, ტომი ჰოვარდმა და დენი პიუმ. ამ სამი წლის განმავლობაში, როცა ეს ფეხბურთელები აღმოჩნდნენ კლუბში, "ელიტის" სახელით მოქმედი აგენტების შემოსავალმა 13 მილიონი გირვანქა შეადგინა.

ოთხი თვის წინათ "მანჩესტერის" მთავარმა აქციონერებმა ჯონ მენიერმა და ჯეი პი მაკმანუსმა კლუბის საქმიანობის შემოწმება მოითხოვეს. მამა-შვილ ფერგიუსონების ნამოქმედარიც მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ცნობილი. ამის საპასუხოდ კლუბმა ოფიციალურად განაცხადა, რომ "ელიტთან" ყოველგვარ თანამშრომლობაზე თავს შეიკავებს, ანუ ჯეისონ ფერგიუსონს ამიერიდან "მანჩესტერთან" არანაირი შეხება არ ექნება, გარდა იმისა, რომ იქ მამამისი მუშაობს.

რაც შეეხება ალექს ფერგიუსონს, ის ვერ ხედავს ვერაფერს ისეთს, რის გამოც შეიძლებოდა "ელიტთან" თანამშრომლობის შეწყვეტა. მისი თქმით, მთავარია, კლუბსა და სააგენტოს შორის ნორმალური თანამშრომლობა არსებობდეს და არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, კლუბში თუ სააგენტოში ვინ მუშაობს.

მომხდარზე კომენტარი გააკეთა ჯეისონმაც: "მე ვარ საფეხბურთო აგენტი და მაქვს ჩემი კომპანია. კომპანიის და ჩემი სამუშაო ისაა, რომ კლუბს კარგი ფეხბურთელები შევთავაზო. ჩვენი მომსახურებით არაერთი კლუბი სარგებლობს და რა არის იმაში ცუდი ან კრიმინალური, თუ მათ შორის "მანჩესტერიცაა"?

ამაზე პასუხს ახლო მომავალში გავიგებთ, აქციონერები ყველაფერის შემოწმებას გეგმავენ და, ბუნებრივია, ტრანსფერების საკითხს ბოლომდე გამოიკვლევენ.

# საბერძნეთი თვითმფრინავებს ჩამოაგდებს

სხვადასხვა ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლების განცხადებით, ბერძნებმა უსაფრთხოების არნახული ზომები მიიღეს. ასე რომ, მომავალი ოლიმპიადა წინამორბედთა შორის ყველაზე უსაფრთხო იქნება. საამისოდ საბერძნეთმა მილიარდ დოლარზე მეტი გაიღო.

"ჩვენ დაწვრილებით ინფორმაციას ვფლობთ, თუ როგორი იქნება უსაფრთხოების ზომები ოლიმპიადის დღეებში და ყველაფრით კმაყოფილი ვართ. ბერძნების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამის სამსახურებს გავაცანით და მათგანაც დამაკმაყოფილებელი პასუხი მივიღეთ", - ნათქვამია აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის განცხადებაში.

უსაფრთხოების ერთ-ერთი ზომა, რომელსაც საბერძნეთი მიმართავს, ყველა საეჭვო თვითმფრინავის ჩამოგდება იქნება. "ოლიმპიადის დღეებში ბერძნული ცის გარკვეული ნაწილი ყველანაირი საფრენი აპარატისთვის დაიკეტება. ვინც ამას არ დაემორჩილება, ჩამოვაგდებთ", - განაცხადა საბერძნეთის საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრმა იორგუს ვულგარაკისმა.

ოლიმპიადის დღეებში საბერძნეთის ცაში იფრენენ ამერიკული თვითმფრინავები, რომლებიც ბერძნებმა საგანგებოდ ითხოვეს. ძირითადი საოლიმპიადო ობიექტების გარშემო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა დამონტაჟდება – შორ მანძილზე უსაფრთხოებისთვის სარაკეტო კომპლექსი "პეტრიოტი" იზრუნებს, ახლო რადიუსს კი გადასატანი სარაკეტო სისტემა "სტინგერი" გააკონტროლებს.

რაც შეეხება მიწას, იქ სპორტსმენთა და ტურისტთა უსაფრთხოებაზე 70 000 პოლიციელი იზრუნებს. ამას დაუმატეთ 400 ერთეული ჯავშანტექნიკა და მიხვდებით, თუ როგორ ემზადებიან ბერძნები ოლიმპიური თამაშებისთვის.

## მართლმადიდებლობის წიაღში



თეოფანე დაყუდებული

როცა ერეტიკოსთა წამებასა და სიკვდილით დასჯაზე საუბრობენ, ჩვეულებრივ, დასავლეთის ქრისტიანობას გულისხმობენ. გავრცელებული აზრით აღმოსავლური ქრისტიანობისთვის, მართლმადიდებლობისთვის ამგვარი სისასტიკე სრულიად უცხო იყო. ახლა კი შევეხებით ბიზანტიის იმპერიის და უფრო "ევროპული" მაგალითებით შემოვიფარგლებით...

XV საუკუნის ნოვგოროდში გაჩნდა ერეტიკოსთა სექტა, ე.წ. "სტრიგოლნიკები", ანუ "მკრეჭელთა" სექტა. დანამდვილებით ცნობილია, რომ ეს ადამიანები სამღვდელოების უზნეობას ამხილებდნენ. მაგრამ ნოვგოროდის მთავარეპისკოპოსის, **გენადის** ცნობით ეს ხალხი საშიშ ერეტიკულ სექტას წარმოადგენდა. მეცნიერები დღესაც ცდილობენ ამ სექტის უცნაური და წინააღმდეგობრივი სწავლების გარკვევას. ტომას დე ტორკვემადას თანამედროვე და მის მიერ აგზნებული კოცონებით მოხიბლული მეუფე გენადი წერდა მოსკოვის მთავარს: "**აი, ესპანეთის მეფე როგორ მტკიცედ იცავს სარწმუნოებას, უკვე რამდენი მწვალებელი გაანადგურა. რატომ უნდა ჩამორჩეს რუსეთი ყველაფერში!**". გენადიმ თვითონ მიხედა საქმეს...

მაგრამ ყველაფერი არ ყოფილა ასე მარტივად: XVI საუკუნისთვის სასულიერო ასპარეზზე გამოვიდა ეპისკოპოსი წმ. **იოსებ ვოლოცკი**. მან შეიმუშავა კათოლიკური ინკვიზიციის მსგავსი თეორია, როცა ერეტიკოსთა სიკვდილით დასჯა აღსრულდება ეკლესიის საერო ხელისუფლების სახით. მეფეს იგი უწოდებდა "მწვალებელთა წინააღმდეგ ქრისტესთვის შურის მაძიებელს". მეფის განაჩენს ვერავინ შეცვლიდა და ვერავინ შეეკამათებოდა. მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად, რადგან წმ. იოსების მტკიცებით, თუ მეფე ლმობიერი იყო ერეტიკოსთა მიმართ, ღმერთი მთელ მის სახელმწიფოს სჯიდა.

ფრიად საგულისხმოა წმ. იოსების შემდეგი განმარტებები: "**მწვალებელს ხელით მოკლავ თუ ლოცვით, სულერთია**"; "**არ უნდა დაუჯერო მონანიებულ მწვალებელს. ერთნაირად სასტიკი უნდა იყო მონანიებულთა და მოუნანიებელთა მიმართ**". ეპისკოპოსი დიდი ხნის განმავლობაში ეხვეწებოდა მეფე **ვასილი III**-ს მწვალებელთა სიკვდილით დასჯას და როცა მეფე მათ სამუდამო პატიმრობაზე დათანხმდა, მემატიანის ცნობით წმ. იოსებ ვოლოცკი "ადიდებდა მამასა და ძესა და წმინდასა სულსა".

ცოტა ხნით ადრე, 1490 წლის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე სულ სხვა თვალსაზრისი გამოხატა წმ. **ნილ სორელმა**: "**არ შეგვფერის ჩვენ არც მორწმუნისა და არც ურწმუნოს დასჯა, არც მათი პატიმრობაში გაგზავნა, არამედ მხოლოდ ლოცვა მათთვის**". მოწყალე წმინდანის თვალსაზრისმა არ გაიმარჯვა.

1503 წლის საეკლესიო კრებას უკვე წმ. იოსებ ვოლოცკი ხელმძღვანელობდა. აქ დადგინდა, ერეტიკოსთა მონანიება საერთოდ არ მიეღოთ მხედველობაში. მოსკოვში მრავალი ადამიანი ჩასვეს გალიაში და ისე დაწვეს მოედანზე. ზოგს ენა ამოაგლიჯეს და კოცონზე დასაწვავად ნოვგოროდში გააგზავნეს. იოსებმა იმდენი ქნა, რომ ივანე III-ს ანანა ნოვგოროდელ მწვალებელთა მიმართ ლმობიერება. ჯოჯოხეთში წარწყმედით შეშინებული მეფე ეხვეწებოდა ეპისკოპოსს: "მეუფე, შემინდე, რადგან ნოვგოროდელთა შესახებ ვიცოდი". ეპისკოპოსი კი პასუხობდა: "თუ ახლანდელი მწვალებლების მიმართ იქნები სასტიკი, ღმერთი წინანდელსაც შეგინდობს".

მეფე ივანე III მაინც დიდხანს ეწინააღმდეგებოდა წმ. იოსებს და არ თანხმდებოდა მწვალებელთა წინააღმდეგ ძალადობის გამოყენებას. იოსები ხშირად ჩივის ამას თავის წერილებში. სისასტიკის სულმა საბოლოოდ გაიმარჯვა, როცა ტახტზე რომანოვები ავიდნენ.

ამ მოვლენას წინ მეტად დაძაბული პერიოდი უსწრებდა. რუსეთის ტახტის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იყო პოლონელი დიდგვაროვანი ქალის, **მარინა მნიშეკის** ვაჟი. მოსკოვის პატრიარქმა წმ. **გერმოგენემ** რუსეთში გაავრცელა თავისი წერილი, რომლის მთავარი დასკვნა იყო: "მარინკას ნაშიერი არ გვჭირდება". პატრიარქის ამგვარი ლოცვა-კურთხევით მარინა მნიშეკის ვაჟი ჩამოახრჩვეს. აქ ყურადღებას იპყრობს ერთი დეტალი: ტახტის პრეტენდენტი იმ დროს სულ სამი წლისა იყო. ამ ქმედების შედეგად 1613 წელს რუსეთის ტახტზე პირველი რომანოვი ავიდა. 1913 წელს კი, საიუბილეო ზეიმისას, სამეფო სახლმა დაუფასა პატრიარქს ერთგულება და გერმოგენე წმინდანად შერაცხეს.

XVII საუკუნეში რწმენის სიმტკიცისათვის ანთებული კოცონები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მართლმადიდებელი რუსეთისათვის. ამისთვის საკმაო მასალას იძლეოდა სტაროვერების, ანუ "ძველმორწმუნეთა" სქიზმა. ბევრი მათგანი თვითონ იწვავდა თავს, მაგრამ უმრავლესობას მოსკოვის პატრიარქ **ნიკონის** ბრძანებით ანადგურებდნენ. ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ეს სქიზმა არ ყოფილა გამოწვეული დოგმატური მიზეზებით: მის საფუძველში ლიტურგიული რეფორმა იდო. მრავალმა ადამიანმა მხოლოდ იმიტომ მიიღო საშინელი სიკვდილი, რომ სამი თითის მაგიერ ორი თითით იწერდა პირჯვარს.

1683 წელს მოსკოვში, წითელ მოედანზე ცოცხლად დაწვეს გერმანელი პოეტი **კვირინუს კულმანი**. ეს "ნემეცკაია სლობოდაში" მცხოვრები გერმანელი ლუთერანი პასტორების დასმენით მოხდა. ამგვარად მოქმედებდა "ეკუმენიზმი" XVII საუკუნეში: პროტესტანტების თხოვნით მართლმადიდებლები სჯიან მათ "ერეტიკოსს". განა თვით პასტორები ნაკლებად "ერეტიკოსები" იყვნენ? მაგრამ მათთან ეკონომიკური კავშირები არსებობდა და გერმანული თემის განადგურება მოსკოვის რუსეთს ძვირად დაუჯდებოდა.

**პეტრე I**-ის დროიდან რუსეთის ეკლესია თითქმის მთლიანად დაუმორჩილდა საერო ხელისუფლებას, გაუქმდა პატრიარქობა და ძალაუფლება გადაეცა წმინდა სინოდს, რომელიც პრაქტიკულად მთავრობის ერთ-ერთ დეპარტამენტს წარმოადგენდა. ამ პერიოდიდან რუსეთის სამღვდელო იერარქები თვითმპყრობელობის დამცველებად და ბურჯებად გვევლინებიან. მწვალებლებისა და ერეტიკოსების თემამ ერთგვარად დაკარგა აქტუალობა და მათი ადგილი ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ მეამბოხეებმა, რევოლუციონერებმა დაიჭირეს. XIX საუკუნის ცნობილი ღვთისმეტყველი, ეპისკოპოსი **თეოფანე დაყუდებული (ვიშენსკი)** ერთ პირად წერილში წერს, რომ "რევოლუციონერები უნდა დააპატიმრონ და ჩამოახრჩონ, ჩამოახრჩონ შეუბრალებლად".

საგულისხმოა კიდევ ერთი ნაწყვეტი ღირსი თეოფანეს სულიერი მემკვიდრეობიდან: "**რამდენი მაგალითი ვიცით მოუნანიებელი ცოდვილებისა! რა უნდა ვუყოთ ამ სატანით შეპყრობილებს? სამოთხეში მათი მიღება არ შეიძლება, გარდაქმნა კი მათ არ სურთ. არჩევანი ერთია: ან შემოქმედებითად უნდა გარდავქმნათ ისინი, ან მოვსპოთ. მათი გარდაქმნა არავის სჭირდება — ისედაც ბევრნი არიან წმინდანები. თანაც მასალა სრულიად გაფუჭებულია. ერთი რამ გვრჩება: გავანადგუროთ**".

და თუმცა რუსეთის თვითმპყრობელი ხელისუფლება დიდი ლიბერალიზმით არ გამოირჩეოდა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული სიტუაცია უკვე აღარ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ეპისკოპოსს თავისი ოცნებები დაუბრკოლებლად შეესრულებინა. ნუგეშად მას მხოლოდ უცნაური თეოლოგიური ცნებები მოეგონებინა, მაგალითად, "**საღვთო მადლის ყოვლისშემმუსვრელი ზემოქმედება**".

# ინკვიზიცია III

### დაკითხვა

ბრალის წაყენებას მოსდევდა დაკითხვა, რომლის მთავარი მიზანი აღიარების გამოძალვა იყო. ამ გარემობამ მოახდინა სამწუხარო და ხანგრძლივი გავლენა ცენტრალური ევროპის იურიდიულ სისტემაზე.

არაგონის ინკვიზიტორი ნიკოლას ეიმერიკი წერდა: "თუ სამოქალაქო საქმეებში ბრალდებულს აქვს უფლება საკუთარი თავის წინააღმდეგ არ მისცეს ჩვენებები, ამგვარი მოვალეობა არსებობს ერესის საკითხებში". ინკვიზიტორი საგულდაგულოდ ემზადებოდა დაკითხვისათვის, ეცნობოდა მის ბიოგრაფიას, ეძებდა ისეთ ფაქტებს, რომლებზე დაყრდნობითაც გასტეხდა ბრალდებულის ნებისყოფას.

ბუნებრივია, რომ დასაწყისში ყველა უარყოფდა დანაშაულს და კათოლიკურ ეკლესიის ერთგულებას იფიცებოდა. ერთნი გულწრფელნი იყვნენ, მეორენი დანაშაულს ფარავდნენ, მაგრამ ინკვიზიტორი აღიარებას ყველას ერთნაირად სთხოვდა. ბრალდებული აუცილებლად უნდა გამხდარიყო უფლის მონა, რისთვისაც მხოლოდ ერთი საშუალება არსებობდა: უნდა გაეცა თანამზრახველები. ბრალდებულს აიძულებდნენ წარმოეთქვა ფიცი და დაჰპირებოდა ინკვიზიტორებს, რომ ცხოვრების ბოლომდე მათი ინფორმატორი იქნებოდა.

ასევე ფიცით იწყებოდა დაკითხვის პროცედურა: ბრალდებულს აიძულებდნენ შეეფიცა, რომ ეკლესიის მორჩილი იქნებოდა და გულწრფელად უპასუხებდა ინკვიზიტორთა შეკითხვებს. ამგვარი ფიცის შემდეგ, თუ ინკვიზიტორს არ მოსწონდა პასუხი, თავისუფლად შეეძლო ბრალდებული ცრუ მოწმობაში დაედანაშაულებინა. ინკვიზიტორი ყოველთვის ერიდებოდა კონკრეტული ბრალის წაყენებას, რადგან მსხვერპლი მზად იყო ნებისმიერი ჩვენების მისაცემად და, შესაბამისად, მალე დააღწევდა თავს ამ ჯოჯოხეთს.

ინკვიზიტორი დაკითხვაზე სვამდა ათობით სხვადასხვა და ხშირად სრულიად შემთხვევით კითხვას, ხშირად მხოლოდ იმისთვის, რომ დაებნია ბრალდებული და შემდეგ წინააღმდეგობაში გამოეჭირა იგი. ჯერ საჭირო იყო მცირე დანაშაულებების წარმოჩენა: ღვთის სიტყვიერი გმობა, მარხვის გატეხვა, ცოლქმრული ღალატი. ამის შემდეგ იწყებოდა ამ შეცოდებათა გაბერვა და გაზვიადება, რის შედეგად უკვე ადვილი იყო საჭირო აღიარების გამოძალვაც.

რადგანაც ინკვიზიტორის უმთავრესი თვისება დაკითხვის წარმოება იყო, დროთა განმავლობაში შესაბამისი წერილობითი ინსტრუქციები და სახელმძღვანელოებიც კი შეიქმნა. ამ წიგნებში მოყვანილი იყო "სანიმუშო" დაკითხვების ოქმები სხვადასხვა შემთხვევისათვის. მაგრამ ჩვენი ძველი ნაცნობი, ბერნარ გი წერდა, რომ შეუძლებელია დაკითხვის ერთი სქემის შედგენა, რადგან ასე სექტანტები და მწვალებლები ადვილად მიეჩვევიან მას და ისწავლიან დაგებული მახეებიდან გაქცევას.

ქვემოთ მოყვანილია ბერნარ გის სახელმძღვანელოს ერთი ფრაგმენტის შემოკლებული თარგმანი:

"როცა ჩემთან ერეტიკოსი შემოჰყავთ, ის თავდაჯერებულ იერს იღებს, თითქოსდა საკუთარ უდანაშაულობაშია დარწმუნებული. მე ვეკითხები, რისთვის მოიყვანეს ის. იგი მეუბნება, რომ ამის განმარტებას ჩემგან ელის.

მე: თქვენ მწვალებლობას გაბრალებენ, ამტკიცებენ, რომ თქვენ არ ეთანხმებით წმინდა ეკლესიის მოძღვრებას.

ის: თქვენ იცით, მეუფეო, რომ მე მხოლოდ ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებას ვაღიარებ.

მე: თქვენ საკუთარ სარწმუნოებას ქრისტიანულს იმიტომ უწოდებთ, რომ ჩვენი რწმენა მცდარად მიგაჩნიათ. ეთანხმებით თუ არა რომის ეკლესიის სარწმუნოებას?

ის: მე ვეთანხმები რომის ეკლესიის სარწმუნოებასა და იმას, რასაც თქვენ ქადაგებთ.

მე: შესაძლოა, რომშიც ცხოვრობდეს თქვენი სექტის რამდენიმე წევრი, რომელთაც თქვენ რომის ეკლესიას უწოდებთ. ჩემს ქადაგებებშიც ხშირად მაგალითად მომყავს თქვენი მცდარი დებულებები.

ის: მწამს ყველაფერი, რაც ქრისტიანს უნდა სწამდეს.

მე: ეს ხრიკი ჩემთვის ცნობილია. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ქრისტიანებს თქვენი სექტის ნაზოდვარი უნდა სჯეროდეს. გწამთ თუ არა მამა, ძე და სული წმინდა?

ის: მწამს.

მე: გწამთ თუ არა იესო ქრისტე, ქალწულისაგან შობილი, ვნებული, მკვდრეთით აღმდგარი და ცად ამაღლებული?

ის: განა არ უნდა მწამდეს?

მე: მე გეკითხებით, გწამთ თუ არა?

ის: მე მწამს, რასაც თქვენ და ბრძენი და კეთილი კაცები მიბრძანებთ.

მე: ეს ბრძენი და კეთილი კაცები თქვენს სექტას ეკუთვნიან.



გოია. ინკვიზიცია

თქვენ გწამთ მხოლოდ ის, რაშიც მე მათ ვეთანხმები. გწამთ თუ არა, რომ საკურთხეველზე იესო ქრისტეს სხეულია დასვენებული?

ის: მწამს.

მე: თქვენ იცით, რომ ყველა სხეული ქრისტეს ეკუთვნის. მე გეკითხებით, საკურთხეველზე დასვენებული ქალწულისაგან შობილი, ვნებული, მკვდრეთით აღმდგარი და ცად ამაღლებული მაცხოვრის სხეული თუ გწამთ.

ის: თქვენ კი გწამთ?

მე: სრულიად.

ის: მეც მწამს?

მე: რა გწამთ, — ის რომ მე მწამს, თუ თქვენ თვითონ გწამთ ის, რაც მე?

ის: მე უბრალო ალალი კაცი ვარ, სიტყვებზე ნუ მეკიდებით.

მე: თუ ალალი ხართ, ალალადვე მიპასუხეთ: გსურთ თუ არა, დაიფიცოთ, რომ არასოდეს გიქადაგიათ და გითქვამთ ის, რაც ეწინააღმდეგება წმინდა ეკლესიის სჯულს?

ის: თუ ვალდებული ვარ, დავიფიცებ.

მე: მე გეკითხებით, გსურთ თუ არა, დაიფიცოთ. მე ვერ გიბრძანებთ, რადგან ფიცი აკრძალულია, ამიტომ თქვენ ყველაფერს მე გადამაბრალებთ. მაგრამ თუ თქვენ გსურთ დაფიცება, მე მივიღებ ამ ფიცს".

მოუხედავად ასეთი აუწერელი და გულისხმიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა, რომელსაც არა მარტო ერეტიკოსი, არამედ მართლაც ალალი კაციც დაბნევა შეეძლო, ინკვიზიცია ყოველთვის ვერ აღწევდა სასურველ შედეგს. მაშინ ინკვიზიტორი მიმართავდა სიცრუეს, მუქარას, ფაქტების გაყალბებას. ხშირად ბრალდებულის საკანში სპეციალურად განწვრთნილ პროვოკატორებს (თანამედროვე კრიმინალური ტერმინოლოგიით, "ნასედკებს") სვამდნენ. თუ ეს არ მოქმედებდა, ბრალდებულის ცოლ-შვილის ცრემლებსა და მუდარას მიმართავდნენ.

მუქარის შემდეგომ ხშირად გადადიოდნენ ალერსზე. აყროლებული ციხიდან ბრალდებული მშვენიერ ოთახში გადაჰყავდათ, კარგად კვებავდნენ და ელოდნენ, როდის გატყდებოდა მისი სული და დაკარგავდა სიფხიზლეს. ხშირად წინასწარი პატიმრობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა და ბრალდებულს ეგონა, რომ ის ცოცხლად დამარხული. ინკვიზიციას არ ეჩქარებოდა.

ვენეციაში ინკვიზიციის საკნებს მოძრავი კედლები ჰქონდათ: ისინი ყოველდღე ერთი დიუმით უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და ბრალდებულს გასრესას უქადდა. ხშირად საკანში ნელ-ნელა შეჰქონდა წყალი, ან თარეშობდნენ ვირთაგვები. ინკვიზიციის ციხეები, საზოგადოდ, საშინელ დილეგებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ყოველთვის რჩებოდა შესაძლებლობა, რომ სურვილის შემთხვევაში ისინი კიდევ უფრო საშინელი გამხდარიყო.

### წამება

ზემოქმედების ყველა ეს "ჰუმანური" ხერხი ხშირად ძალიან შედეგიანი იყო და ინკვიზიციის ტუსაღები არა მარტო ჩადენილ, არამედ გამოგონილ დანაშაულებსაც აღიარებდნენ. მაგრამ აღიარების გარდა ინკვიზიციას თანამზრახველებიც სჭირდებოდა. ეს კი საკუთარი ბრალის აღიარებაზე ძნელი იყო. ამიტომაც ინკვიზიცია მივიდა დასკვნამდე, რომ ფიზიკური ტანჯვა მორალურზე უფრო ეფექტურად ანათლებს გონებას.

საუკუნეების განმავლობაში წამების ინტენსიური გამოყენება იმის აშკარა მაგალითია, რომ ეკლესიას არ შეეძლო თავის იდეურ მოწინააღმდეგეებზე გამარჯვება მარტოოდენ თეოლოგიური მეთოდებითა და დარწმუნებით. საჭირო იყო იძულებაც. ამისთვის იყო შექმნილი მთელი თეორია: პირველყოფილი ცოდვის შემდეგ ადამიანის მთელი ცხოვრება ტანჯვაა, ამიტომაც ერეტიკოსების წინააღმდეგ გამოყენებული სისასტიკე სინამდვილეში მათი სულების მიმართ ლმობიერებაა.

ის გამართლება, რომ წამება შუა საუკუნეებში საერო სამართალწარმოებაშიც გამოიყენებოდა, უეჭველია, სუსტია, რადგან შეურაცხყოფს ეკლესიას როგორც "ქანწყულთა დედას", ქრისტეს მიერ არა ამა სოფლისთვის დაარსებული სასუფევლის მიწიერ ხატს. XVIII საუკუნეში, როცა ევროპაში უკვე ძლიერად ისმოდა ხმა წამების წინააღმდეგ, ეკლესია ამ ბარბაროსობის შეუპოვარ დამცველად გვევლინებოდა: წამების სასარგებლოდ მეტყველებს **პიუს IX**-ის ცნობილი განჩინება "სილაბუსი".

თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ წამების წინააღმდეგ პირველად სწორედ ეკლესიის წიაღში გაისმა პროტესტი და ეს XVII საუკუნის გერმანელი იეზუიტის, **ფრიდრიხ შპეეს** თხზულებაში იყო.

მართალია, ინკვიზიციის ძალიან ბევრ ოქმში წამების ხსენება არაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წამებას არ იყენებდნენ. უბრალოდ, წამების ქვეშ მიცემული ჩვენებები არ ითვლებოდა ნამდვილად, თუ ბრალდებული მეორე დღეს ნებაყოფლობით არ ადასტურებდა მათ. თუ ბრალდებული იძლეოდა დადასტურებას, წინა დღის ოქმი ისპობოდა. სასტიკი წამება უკვე თანამედროვეებშიც აღშფოთებას იწვევდა, ამიტომ ეკლესია ამ გარემოებას არ ახმაურებდა.

და მაინც, თუ ბრალდებული უარს ამბობდა თავისი ჩვენებების დადასტურებაზე, ეს ინკვიზიტორების უკიდურეს მრისხანებას იწვევდა. ასეთ ურჩს "ხელმეორედ შემცდრად" მიიჩნევდნენ და ხელახალ სასტიკ წამებას მიმართავდნენ, რათა "უარყოფის უარყოფისთვის" მიეღწიათ.

ეკლესიაც წამების გაუქმებას კი არ მოუწოდებდა, არამედ "წამებისას სამართლიანობისა და ზომიერების დაცვას" ცდილობდა. 1311 წელს ვიენის საეკლესიო კრებამ დაადგინა, რომ წამების გამოყენებისათვის საჭირო იყო ეპისკოპოსის ნებართვა. მაგრამ ეს ინკვიზიციის მსხვერპლთა ბედს არ ამსუბუქებდა, რადგან შიშის გამო ეპისკოპოსები იმთავითვე ყველაფერზე თანახმანი იყვნენ. მეორე მხრივ, ეპისკოპოსებს კარგად ესმოდათ, რომ ინკვიზიცია მათ ძალაუფლებასა და კეთილდღეობას იცავდა. ამიტომაც ინკვიზიტორებთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ. ამის გარდა, ინკვიზიტორები ამტკიცებდნენ, რომ 1311 წლის დადგენილება მხოლოდ ბრალდებულებს ეხებოდა და არა მოწმეს, მაგრამ ბრალოდებულიც ხომ შეიძლება განვიხილოთ როგორც უმთავრესი მოწმე საკუთარი დანაშაულის გამოძიებაში!

ასევე ექცეოდნენ კრების იმ დადგენილებას, რომელიც წამების მხოლოდ ერთჯერად გამოყენებას უშვებდა. ინკვიზიტორები წამებას "დაუმთავრებლად", "შეწყვეტილად" აფორმებდნენ და სასურველ დროსა და სასურველი რაოდენობით იმეორებდნენ.

თვითონ ინკვიზიტორები თავიანთ საქმიანობას საიდუმლოდ ინახავდნენ და იმავეს სთხოვდნენ ბრალდებულებს. თუ ვინმე მონანიების ფასად თავს აღწევდა დილეგს და შემდეგ აცხადებდა, რომ მისი მონანიება წამების შედეგად იყო მიღებული, მას ერეტიკოს-რეციდივისტად აცხადებდნენ. ეს კი პირდაპირი გზა იყო კოცონისკენ.

წამებამდე ბრალდებულს უკითხავდნენ დადგენილებას, რომ ყველა საშუალება ამოიწურა და ახლა საქმეში ჯალათი უნდა ჩაერთოს. დადგენილების ტექსტი შემდეგი იყო: "**ჩვენ, ღვთის წყალობით ინკვიზიტორმა (სახელი), ყურადღებით შევისწავლეთ თქვენს წინააღმდეგ აღძრული საქმის ყველა დეტალი და ვხედავთ, რომ თქვენ იბნევით თქვენს პასუხებში და რომ არსებობს თქვენი ბრალის საკმარისი მტკიცება. რათა თქვენი პირიდანვე გავიგონოთ სიმართლე და რათა თქვენს მსაჯულთა ყურები თქვენმა სიცრუემ აღარ გადაღალოს, ვადგენთ, ვაცხადებთ და გადავწყვეტთ, რომ ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე თქვენს წინააღმდეგ გამოყენებულ იქნას წამება**". ამას მოსდევდა შეშინების პროცედურა: ბრალდებულს აჩვენებდნენ საწამებელ იარაღებს და უხსნიდნენ მათ მოქმედებას. ამ დროს ინკვიზიტორებიც და ჯალათიც მსხვერპლს ხმადაბლა და უაღრესი პატივისცემით მიმართავდნენ. უხსნიდნენ მას, რომ ეს ყოველივე მისი სულის სასარგებლოდ იყო საჭირო, რომ ხორციელი ტკივილი და ტანჯვა მისი სულის სამკურნალოდ და საცხოვნებლად იყო საჭირო. ინკვიზიციის შემუშავებული თეოლოგიური თეორიით ეს შურისძიება კი არა გადარჩენის ცდა იყო. ბრალდებულის წინააღმდეგობა განიხილებოდა როგორც ეკლესიის წინაშე უკიდურესი უმადურობა.

საწამებელი იარაღების ჩამონათვალი ყოველთვის ერთნაირი იყო: ყველაზე ხშირად ხელებგადაგრეხილ და ჭერზე ჩამოკიდებულ ბრალდებულს მათრახით სცემდნენ. ხშირად აწამებდნენ წყლით: ადამიანს ხორხში უდებდნენ წვრილ ჩვარს, რომელზედაც განუწყვეტლივ ჩამოედინებოდა წყალი; სუნთქვისათვის საჭირო იყო გამუდმებული ყლაპვითი მოძრაობების შესრულება. რამდენიმე საათის შემდეგ ნაჭერი სისხლით შეღებილი ამოჰქონდათ ბრალდებულის პირიდან.



წყლით წამება

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეჟარაშვილი*

## ორშაბათი 31.05

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** დოკ. ფილმი "ბუნება" **16.20** სერიალი "მაშველები" **17.25** პერეკროსტოკი **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "უკვდავი" **23.00** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "ცხელი შუადღე". მთ. რ-ში: ალ პაჩინო, ჯონ კაზალე (18).

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **12.05** ზიგზაგ კაფე. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.25** რეპეტიცია. მხ.ფილმი. რეჟისორი კატრინ კორსინი. 2001. **19.20** TV5-ის სტუმარი. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **01.40** ლოს ოლვიდადოს. მხ.ფილმი. რეჟისორი ლუის ბუნუელი. 1950. მექსიკა.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **15.15** სერიალი "რვაფეხა-3" **16.25** დოკ. ფილმი "ევროპის ბუნებრივი დიდებულება" **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "მუს. არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით ბავშვებო" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00** მოამბე **21.00** სერიალი "სოლედადი" **22.00, 23.20** "ღამის მატარებელი" **23.00** მოამბე **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ფხიზელი ძილი" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ინდიანა ჯონსი" (15) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **20.00** მხ. ფილმი "მეტრო" (ედი მერფი) (12) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "კარტი, ფული, ორი ლულა" (18)

### მზე

**09.00** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.10, 20.50** მინისერიალი "შოკის შემდეგ" **12.00, 15.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "მაკენას ოქრო" (გ) (გრეგორი პეკი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.10** სერიალი "20000 ლიე წყლის ქვეშ" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **23.00** მხ. ფილმი "გულთამპყრობელნი" (15) (ჯინ ჰეკმანი) **01.00** მხ. ფილმი "გადამთიელი" (18) ტერი სინიზი

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** წყვილები და დუეტები **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "ეარ ამერიკა" (15)

### კავკასია

**12.00** ინდური მხ. ფილმი "კარგი ბიჭები" **15.00** მხ. ფილმი **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

### იმედი

**07.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.10, 11.20, 13.15, 17.20, 02.00** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.00** დროება **11.30** სპ. პროგრამა "ასი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.40** ტვ-მარკეტი **14.05** თამაში "უდაბნოს სამჭედლოები" **15.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია. **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.20** ქრონიკა **17.25** ლუდო "ალუფას" წამახალისებელი გათამაშება **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" 1-ლი ს. **21.30** "ვაკაფი-ნიუსი" **23.00** სპორტ. პროგრამა "გოლი" **23.30** მხ. ფილმი "ასტერიქსი და ობელიქსი-მისია კლეოპატრა" (18)

### იბერია

**08.00** კონცერტი **10.00** მხ. ფილმი "ქანდარის შვილები" 1-ლი ს. **12.00** დოკ. ფილმი **13.00** მხ. ფილმი "ქანდარის შვილები" მე-2 ს. **15.00** მულტფილმი **17.30** კონცერტი **18.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი "შიშისმომგვრელი ბალები" **22.30** კონცერტი **23.00** მხ. ფილმი "ამოგების ბაზარი" (15) (ტომ ჰენკსი)

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20** Марина Зудина в детективе **"ИСПОВЕДЬ СОДЕРЖАНКИ" 12.00** Док. детектив. "Маклеры" в погонах". Дело 2003 г. **12.40** Следствие ведет Колобков **13.20** Теория невероятности. "Загадки времени" **13.50** Кремлевский заговор в детективе **"СЕРЫЕ ВОЛКИ" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Шутка за шуткой" **19.50 Сериал "КЛОН" 20.50** "Стирка на миллион" **21.00** Жди меня **22.00** Время **22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.40** Премьера. "Острова из безмолвия". "Исповедь палача" **00.40** Искатели. "Илья Муромец" **01.10** "Фабрика звезд" **01.30** "Сканер" **02.00** "Русский экстрим" **02.30** Выход дракона в боевике **"КОРРУПЦИОНЕР" 04.10 Триллер "ПРЕДАТЕЛЬСТВО" 06.05** "Китайские монастыри"

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.50** "Женский взгляд". Николай Сличенко. **10.25** "Без рецепта". Доктор Бранд. **11.00** Сегодня утром. **11.25** "Намедни" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** "Сегодня" **13.30** Джеки Чан в боевике **"РАЗБОРКА В БРОНКСЕ" 15.25** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Моря должны жить". **19.35** Протокол. **20.40** Борис Щербаков в сериале **"СЫЩИКИ-3: Я УБИЛ СВОЮ ЖЕНУ". 21.45** Сериал **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО..." 9 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела. **23.50** Питер Гэллахер в сериале **"ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ". 1 с. 00.55** Сериал **"СЫЩИКИ-3".**

## სამშაბათი 1.06

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **19.10** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "ზღვის მბრძანებელი". მთ. რ-ში: რასელ ქროუ (15).

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.15(შვეიცარია), 03.40(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **11.30** ქრონიკები მთიდან **12.05** ზიგზაგ კაფე. **13.15** აბუნა. მხ.ფილმი. რეჟისორი მაჰამატ-სალე ჰარუნი. 2001. **20.05** სამხრეთის ანარეკლი. მალი. **24.05** რადაც არ უნდა დამიჯეს, რეპორტაჟი. **05.20** მოკლე გზა. მხ.ფილმი. რეჟისორი კატრინ ბრეილა.2001.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.20** სერიალი "რვაფეხა-3" **16.25** დოკ. სერიალი **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "ამბობენ" (განმ.) **18.00** მომავლის სარკმელი **21.00** სერიალი "სოლედადი" **22.00** სერიალი "ფსიქ-ფაქტორი" **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "მარტოსული გმირი" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე (განმ). **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "მეტრო" (12) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში" (მაიკლ ჯეი ფოქსი) (15) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **20.00** მხ. ფილმი "მონღოლები" (ჯეკ პელენსი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "ფორმულა 51" (სემუელ ლ.ჯეკსონი) (18)

### მზე

**09.00** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "შოკის შემდეგ" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "სიჩქარე" (გ) (კიანუ რივზი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "20000 ლიე წყლის ქვეშ" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "ფოლადის გათიადი" (18) (პატრიკ სუეიზი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** პალიტრა **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი "ერთადერთი გამოსავალი" (15)

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **14.30** მხ. ფილმი "ზვიგენი" (15) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.20, 13.15, 17.20, 01.45** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "იმედითა შენითა" **11.30** სპ. პროგრამა "გოლი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.15** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** მხ. ფილმი "ასტერიქსი და ობელიქსი-მისია კლეოპატრა" **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.55** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **21.30** ლარის მახე **23.00** "კანონის უზენაესობა" **23.30** მხ. ფილმი "დეტექტივთა კლუბი დაკარგული პრინცესას ძებნაში" (გ)

### იბერია

**08.00** დოკ. ფილმი **10.00** კონცერტი **13.00** მხ. ფილმი "ამაოების ბაზარი" (15) **14.10** დოკ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "შიშისმომგვრელი ბალები" **17.00** კონცერტი **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი "დიდი მანევრები" (ჟერარ ფილიპი) **21.00** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "მოიშორო კარტერი" (18) (სტალონე)

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30, 19.50 Сериал "КЛОН" 12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом" **13.20** Город женщин **14.20** Олег Басилашвили в фильме **"КУРЬЕР" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Ералаш" **20.50** "Стирка на миллион" **21.00 Сериал "ДРУГАЯ ЖИЗНЬ"**. Закл. серия **22.00** Время **23.40** Премьера. "Зита и Гита. Год спустя". Док. фильм **00.30** Ночное "Время" **00.50** "Фабрика звезд" **01.10** "Подводный мир Андрея Макаревича" **01.40** "На футболе" **02.10** "Гении и злодеи" **02.40** Элайджа Вуд в фильме **"ОЛИВЕР ТВИСТ" 04.20** Софи Лорен в фильме **"ОТВАГА"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.55 Сериал "ЛЮБОВЬ ВДОВЦА" 11.00** Сегодня утром. **11.25** "Их нравы" с Дмитрием Захаровым. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** "Сегодня" **13.30** Анатолий Котенев в фильме **"СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 1 с. 15.05** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Кошки-убийцы". **19.35** Протокол. **20.40 "СЫЩИКИ-3: ДОЛГАЯ НОЧЬ МЕРТВЕЦА". 21.45** Сериал **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО..." 10с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела. **23.50 Сериал "ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ". 2-я с. 00.55 Сериал "СЫЩИКИ-3". 02.35** Кома: это правда.

## ოთხშაბათი 2.06

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.45** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "ნათლია" **23.00** ღამის კურიერი **23.00** მხ. ფილმი "ჟანა დარკის ისტორია". მთ. რ-ში: მილა იოვოვიჩი (18).

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.15(შვეიცარია), 03.40(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **12.05** ზიგზაგ კაფე. ბაყაყის ეროტიკული ცხოვრება. მხ.ფილმი. რეჟისორი ბერტრან არტუი. 2003. **21.25** ერის დაბადება. ალჟირი (1956-1962) დოკ.ფილმი. **24.05** მადამ მაოს გმირის დიდებულება და დოკ.ფილმი. **01.40** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. ორმაგი მე. **03.00** სამხრეთის ანარეკლი. მალი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 00.40** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" **15.20** სერიალი "რვაფეხა-3" **16.20** დოკ. სერიალი **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით ბავშვებო" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი "სოლედადი" **22.00, 23.20** "ღამის მატარებელი" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ინსპექტორი ლავარდენი" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "მონღოლები" **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში-2" (15) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **20.00** მხ. ფილმი "სათამაშო" (პიერ რიშარი) (12) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "მამაცი გული" (მელ გიბსონი) (15)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მინისერიალი "შოკის შემდეგ" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "სიჩქარე-2" (გ) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "20000 ლიე წყლის ქვეშ" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.50** მინისერიალი "ნიურნბერგი" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "დანტეს პიკი" (18) (პირს ბროსნანი)

### მეორე არხი

**12.00** მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "გენერალი" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "გენერალი" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 16.45, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "ჩ-კლუზივი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.20** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** მხ. ფილმი "დეტექტივთა კლუბი დაკარგული პრინცესას ძებნაში" (გ) **17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "ტანდემი" (გ) **01.35** არტ-ბულვარი.

### იბერია

**08.00** მხ. ფილმი "მოიშორო კარტერი" (18) **10.30** ოპერა **13.00** კონცერტი **14.10** დოკ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "დიდი მანევრები" **17.00** კონცერტი **19.00** დოკ. ფილმი **21.30** მხ. ფილმი "სადილი 13 კაცზე" (12) (პიტერ უსტინოვი) **22.00** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "დღის ლამაზმანი" (18) (კატრინ დენევი)

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30, 19.50 Сериал "КЛОН" 12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом" **13.20** Город женщин **14.10** Лидия Смирнова в фильме **"ТРОЕ ВЫШЛИ ИЗ ЛЕСА" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Эстрада без парада". Док. фильм к 50-летию Московского гос. театра эстрады **20.50** "Стирка на миллион" **21.00** Алиса Фрейндлих в детективе **"ЖЕНСКАЯ ЛОГИКА". 1-я с. 22.00, 00.30** Время **23.40** Тайны века. "Брат императора. Необъявленная казнь" **00.50 Футбол.** Матч к 100-летию ФИФА. Сб. России - сб. легионеров **02.20** Военный боевик **"ЖЕЛЕЗНЫЙ КРЕСТ" 04.55** Остросюжетный фильм **"ДЭРИЛ"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.55 Сериал "ЛЮБОВЬ ВДОВЦА" 11.00** Сегодня утром. **11.25** Кулинарный поединок. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** "Сегодня" **13.30** Приключенческий фильм **"СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 2 с. 15.05** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "История лемура". **19.35** Протокол. **20.40** Детектив **"СЫЩИКИ-3: ЗНАНИЕ УМНОЖАЕТ СКОРБЬ..." 21.45 Сериал "БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО..." 11с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.50 Сериал "ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ". 3 с. 00.55 Сериал "СЫЩИКИ-3" 02.35** Ленивая ночь.

## ხუთშაბათი 3.06

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "ნათლია" **23.00** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან". მთ. რ-ში: მერილინ მონრო (გ).

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.15(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **11.30** ტელეტურიზმი. **12.05** ზიგზაგ კაფე. **21.25** აქტუალური თემა. საინფორმაციო ჟურნალი. **24.00** თვეში ერთხელ. საინფორმაციო ჟურნალი. **01.35** დაშვება ციდან. მხ.ფილმი. კომედია. რეჟისორი ფილიპ ლიორე. **03.45** ბარაკუდა. მხ.ფილმი. რეჟისორი ფილიპ ჰაიმი. 1997.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. ფილმი "პოლკოვნიკ ჯ. ქსინის საოცარი ბედი" **15.15** სერიალი "რვაფეხა-3" **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით ბავშვებო" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00, 23.20** "ღამის მატარებელი" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** კონცერტი - ჯაზ-ფესტივალი - "ინკოგნიტო" **01.15** მხ. ფილმი "ოთხთა სიყვარული" (18)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "სათამაშო" (12) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში-3" (15) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **20.00** მხ. ფილმი "შიშის ოთახი" (ჯოდი ფოსტერი) (15) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** ანიმ. ფილმი "დარდუბალა 2" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "მუმია-2" (გ)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ნიურნბერგი" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "პანამელი თერძი" (გ) (პირს ბროსნანი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "20000 ლიე წყლის ქვეშ" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.50** მინისერიალი "შოკის შემდეგ" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "დუმილის აღთქმა" (18) (ჟერარ დეპარდიე)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** "ეგვიპტოლოგიის პიონერები" **21.30** "ჩემი მშვენიერი ლედი" **22.00** მხ. ფილმი "იასამნისფერი ტაქსი" (12)

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "გაქცევა" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 02.10** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** არტ-ბულვარი **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.40** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.20** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ტანდემი" (გ) **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **21.30** საქმე ! **23.00** "ესტაფეტა" **23.30** მხ. ფილმი "მთამსვლელი" (სტალონე) (გ)

### იბერია

**08.00** დოკ. ფილმი **10.30** კონცერტი **13.00** მხ. ფილმი "სადილი 13 კაცზე" (12) **15.00** კონცერტი **17.00** მხ. ფილმი "დღის ლამაზმანი" (18) **19.00** დოკ. ფილმი **20.30** მხ. ფილმი "თვალი" (15) **22.00** კონცერტი **23.00** მხ. ფილმი "სკანდალის გარეშე" (18) (ფაბრი ლუჩინი)

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30, 19.50 Сериал "КЛОН" 12.20** Мультсериал "Кошки-мышки" **12.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь" **13.20** Город женщин **14.20** Приключенческий фильм **"КОНТРАБАНДА" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** Просто смех! **20.50** "Стирка на миллион" **21.00** Алиса Фрейндлих в детективе **"ЖЕНСКАЯ ЛОГИКА". 2-я с. 22.00, 00.30** Время **23.40** "Человек и закон" **00.50** "Фабрика звезд" **01.10** Ударная сила. "Космические снайперы" **01.40** "Идолы". Принцесса Монако - Грейс Келли **02.10** "Крылья" **02.40** Дастин Хоффман в комедии **"ИШТАР" 04.55** Холли Берри в фильме **"ПОЧЕМУ ДУРАКИ ВЛЮБЛЯЮТСЯ?"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.55 Сериал "ЛЮБОВЬ ВДОВЦА" 11.00** Сегодня утром. **11.25** Квартирный вопрос: гостиная с канарейкой. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.30** "Сегодня" **13.30** Приключенческий фильм **"СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 3 с. 15.10** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Гремучая змея". **19.35** Протокол. **20.40** Детектив на НТВ. **"СЫЩИКИ-3: ЗАПАХ ДЕНЕГ". 21.45** Сериал **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ ИЛИ ВСЕ МУЖИКИ..." 12с. закл. 23.00** "Страна и мир" **23.35** "К барьеру!" Ток-шоу **00.45** Тайны разведки: морской "крот". **01.20 Сериал "СЫЩИКИ-3". 02.55** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой.

## პარასკევი 4.06

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** კურიერი **23.50** მხ. ფილმი "ფართო დახუჭული თვალები". მთ. რ-ში: ტომ კრუზი, ნიკოლ კიდმანი (18). **03.15** მხ. ფილმი "ცუდი კომპანია". მთ. რ-ში: ენტონი ჰოპკინსი (18).

### TV5

**07.10, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.35(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **12.05** ზიგზაგ კაფე. **13.15** კრიმინალი. მხ.ფილმი. რეჟისორი ჟან-პიერ პრევო. 2001. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.05** მშობლეთა სკოლა. დოკ.ფილმი. **21.25** კულტურები და დამოკიდებულებები. **23.05** აკუსტიკა. **01.40** წარმავალი მოგონებები. მხ.ფილმი. რეჟისორი ფრანსუა მარტურე. 2000.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. ფილმი "ბაკალავრია- გამოცდების ორი საუკუნე" 1-ლი ს. **15.15** სერიალი "რვაფეხა-3" **16.20** დოკ. სერიალი "პალიტრა" **16.50** დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" **16.55** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.20** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით ბავშვებო" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00, 23.20** "ღამის მატარებელი" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** კონცერტი - ჯაზ-ფესტივალი **02.00** მხ. ფილმი "ორნი ქალაქში" (12)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ფორესტ გამპი" (15) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "მისტერ ბინი" (15) **17.00** მუსიკა **18.00** მულტფილმი **20.00** მხ. ფილმი "ტალღის ქიმზე" (კიანუ რივზი) (15) **22.00** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "კარლიტოს გზა" (ალ პაჩინო) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ნიურნბერგი" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "შინაგანი სივრცე" (გ) (მეგ რაიანი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "ბარნუმი" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "მხარეთა აზრით" (18) (ჰარვი კეიტელი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "სიმბა ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** გემრიელად მიირთვით ბავშვებო **21.40** აფხაზეთის ტვ. **22.00** მხ. ფილმი "წითელი და შავი" მე-2 ს. (15)

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "ცხელი ზაფხული" (15) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 17.50, 02.50** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **11.30** საქმე ! **12.10** სერიალი "კლონი" **13.15** ანიმ. ფილმი "ტიაპ-ლიაპ მღებავები" **13.25, 02.20** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.00** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "მთამსვლელი" (გ) **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** არჩევანი თქვენ **23.00** ჩ - კლუზივი **23.55** მხ. ფილმი "კარგი გოგონა" (ჯ. ანისტონი) (გ) **01.30** "ნზა"-ს ჟურნალი

### იბერია

**08.00** მხ. ფილმი "თვალი" (15) **08.40** დოკ. ფილმი **10.30** კონცერტი **12.00** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "სკანდალის გარეშე" (18) **17.00** კონცერტი **19.00** დოკ. ფილმი **20.30** მხ. ფილმი "მარტოსული ვარსკვლავის შტატი" (18) **22.00** კონცერტი **23.00** მხ. ფილმი "წყლის პირას" (18)

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.30 Сериал "КЛОН" 12.30** Мультсериал "Кошки-мышки" **12.40** Мультсериал "Принцесса Сиси" **13.20** Город женщин **14.15** Алексей Булдаков в боевике **"В ДВУХ ШАГАХ ОТ "РАЯ" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** Док. детектив. "Осколки красного фонаря". Дело 2001 г. **19.50** "Основной инстинкт" **20.50** "Поле чудес" **22.00** Время **22.30** "Фабрика звезд". Финал **23.50** Что? Где? Когда? Финал летних игр **01.10** Киану Ривз в комедии **"Я ЛЮБЛЮ ТЕБЯ ДО СМЕРТИ" 03.00** Брендан Фрейзер в комедии **"РАЗВЕДЧИК" 05.00 Сериал "ТЕМНЫЙ АНГЕЛ"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.55 Сериал "ЛЮБОВЬ ВДОВЦА" 11.00** Сегодня утром. **11.25** Фактор страха-II. Последний кошмар**. 12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00** "Сегодня" **13.30 "СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР".** 4-я с. закл. **15.10** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Сезон дождей". **19.35** Протокол. Расследование. **20.35** "Свобода слова" **21.55** Пирс Броснан в фильме **"И ЦЕЛОГО МИРА МАЛО" 00.45** Лучшие бои. Костя Цзю - Хуго Пинеда. **01.20** Лилли Карати в эротическом фильме **"СТРАСТЬ"** (Италия).

## შაბათი 5.06

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.15** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": მხ. ფილმი "გენერალი". რეჟ. ჯონ ბურმანი. **01.20** მხ. ფილმი "სახლი თურქულ ქუჩაზე". მთ. რ-ში: სამუელ ელ ჯეკსონი, მილა იოვოვიჩი (18).

### TV5

**07.00, 09.00,** 11.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.00,** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.00** ჩაი თუ ყავა. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.35** ღია ბარათი: გურმანი. **09.25** გადაცემა ბავშვებისათვის. **17.30** რეზისტანსი. დოკ.ფილმი. **20.05** ტემპო კაზადესუ. დოკ ფილმი. შეხვედრა ლილის ორკესტრის დირიჟორ ჟან-პოლ კაზადესუსთან. **24.00** ყველაზე გრძელი ღამე. გადაცემა ეძღვნება 1944 წლის 6 ივნისიდან მე-60 წლისთავს.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** საქართველო არის ესე **12.15** მხ. ფილმი "სახიფათო პროფესია" (გ) **14.00** სერიალი "ძვირფასი მარიანა" **15.20** სერიალი "რვაფეხა-4" 1-ლი ს. **17.00** დოკ. სერიალი "ხმელთაშუა ზღვაში ზვიგენები დათარეშობენ" **18.00** "ვესტნიკი" **18.40** იმღერე რამე **19.15** "ტელეზღაპარი" **19.30** "ისტორიანი" **20.35** ცაიტნოტი **21.50** ფორტუნა **22.30** "საღამოს საუბრები" **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.15** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.35** მხ. ფილმი "ხელი არ ახლო თეთრ ქალს" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ოცეული" (18) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ბეჭდების მბრძანებელი-2" (გ) **17.00** მუსიკა **18.00** მულტფილმი **20.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი ბოისკაუტი" (ბ. უილისი) (18) **22.00** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "სახის გარეშე" (ჯ. ტრავოლტა) (18)

### მზე

**09.00** მულტფილმი "პრინცესა შეჰერაზადა" **09.30** საბ. სერიალი "საოცარი მითები და ლეგენდები" **10.00** მულტფილმი "სპირიტი" **11.00** საბ. სერიალი "დინოტოპია" **12.30** მხ. ფილმი "ბოროტი მანქანა" (გ) (ვინი ჯონსი) **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.30** მხ. ფილმი "ეის ვენტურა" (გ) (ჯიმ კერი) **16.30** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **17.10** ვესტერნი მზეზე "განწირულთა ბილიკით" **18.05** სერიალი "სინატრას მოტაცება" **19.00** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.30** მხ. ფილმი "საუკეთესო დროება" (გ) (რობი უილიამსი) **23.00** მხ. ფილმი "მოსამსახურე ქალი" (18) (ჟან-პიერ ბაკრი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში **22.00** მხ. ფილმი "მომხიბვლელი თოვლის ქალი" (12)

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "გავარვარებული ასფალტი" (გ) **17.00** მუსიკა **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი **00.20** მხ. ფილმი "სიყვარულისა და დაშნის ისტორია" (15)

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **10.30** დილის ფოსტა **11.00** "იმედითა შენითა" **11.15, 16.50, 05.05** იმედის მელოდიები **12.00** საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) **12.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.35** არჩევანი თქვენ **15.15** მხ. ფილმი "კარგი გოგონა" (გ) **17.35** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **18.10** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** "ვაკაფი-ნიუსი" **20.00** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.00, 04.40** ქრონიკა **22.30** კლიპ-ლოტო **23.30** მხ. ფილმი "პოლონელი ლამაზმანი" (გ. ბირნი) (15) **02.10** ეროვნული საკალათ. ასოციაცია (პლეიოფი) **04.10** ტვ-მარკეტი

### იბერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.50** კონცერტი **11.00** მულტფილმი **13.00** მხ. ფილმი "მარტოსული ვარსკვლავის შტატი" (18) **14.00** დოკ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "წყლის პირას" (18) **17.00** კონცერტი **19.00** დოკ. ფილმი **20.30** ლიტ. გადაცემა - სილუეტი **22.00** კონცერტი **23.00** მხ. ფილმი "მკვლელობის ცერემონია" (15) (იზაბელ იუპერი) **00.30** კონცერტი **01.00** მხ.ფილმი "ალვარი პლუს პოლუქსი" (15) (გად ელამლე)

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Тайны Меконга" **07.40** Татьяна Пельтцер в комедии **"ТЫ - МНЕ, Я - ТЕБЕ" 09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** "Смак" **11.30** "Любовные истории". Виктор Бычков **12.00** "Я так думаю!.. Буба Кикабидзе". Фильм из цикла "Интересное кино" **13.10** История с географией. "Братья по крови: Хищники" **14.10** Дог-шоу **15.00** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" **15.30** Умницы и умники **16.10** Премьера. "Операция "Оверлорд". Док. фильм **16.50** Летающие обезьяны в прикл. фильме **"ПРОЕКТ "Х" 18.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России **19.10** "КВН - 2004". Премьер-лига. Третья игра **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.20** "Розыгрыш" **23.40** "Золотой Граммофон" **00.40** Майкл Паре в боевике **"КРАСНЫЙ ЗМЕЙ" 03.20** Джин Хэкмен в фильме **"ПОД ПОДОЗРЕНИЕМ" 04.40** Комедия **"МАКС ДЬЮГАН ВОЗВРАЩАЕТСЯ"**

### НТВ

**06.50** Пирс Броснан в фильме **"И ЦЕЛОГО МИРА МАЛО" 09.00, 13.00, 17.00** Сегодня. **09.20** "Улица Сезам". **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.00** Кулинарный поединок: Данко - Игорь Шурупов. **12.00** Квартирный вопрос. **13.20** "Дикий мир: чернобурое кино". Экспедиция Тимофея Баженова. **14.00** Вкусные истории. **14.05** Шон Эстин в прикл. фильме **"БАЛБЕСЫ" 16.30** Криминальная Россия: автосервис на крови. **17.15** "Женский взгляд". Зинаида Кириенко. **17.55 Сериал "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА: КОРОЛЕВА БЕНЗОЗАПРАВКИ". 19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00** Красная стрела. Спецвагон. **21.15** Евгений Миронов в фильме **"МУСУЛЬМАНИН". 23.40** Жан-Поль Бельмондо в детективе **"СТРАХ НАД ГОРОДОМ" 02.10** Двое в городе. **02.40** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой.

## კვირა 6.06

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **10.50** "გაზეთ 12-მდე"-ს გათამაშება **11.05** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **18.00, 21.00, 01.20** კურიერი **18.20** სერიალი "განდგომილი" **19.00** მხ. ფილმი "ქარიშხლიანი მაღლობები". მთ. რ-ში: ჟულიეტ ბინოში, რალფ ფაიანსი (12). **21.45** 60 წუთი **22.15** ჩვენი ეზო **23.30** "ჯეოსელის კინოკლუბი" - "დანტეს პიკი" 877 45-79-25 პირს ბროსნანი, ლინდა ჰემილტონი (18), "ქალი და მამაკაცი" 877 45-79-26 ანუკ ემე, ჟან ლუი ტრენტინიანი (18), "აუტანელი სისასტიკე" 877 45-79-27 ჯორჯ კლუნი, კეტრინ ზეტა-ჯონსი (12). **01.40** მხ. ფილმი "ადამიანი რომელიც არ არსებობდა". მთ. რ-ში: ბილი ბობ ტორნტონი, ფრენსის მაკდორმანდი (18).

### TV5

**09.30** გადაცემა ბავშვებისათვის. საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" 3-5 წლის ბავშვებისთვის. გადაცემის მეორე ნაწილი განკუთვნილია 6-10 წლის ბავშვებისთვის, ხოლო მესამე ნაწილი მოუხმობს ბავშვებს 10 წლის ზევით. 11.00(კანადა), **13.00, 17.00, 19.00, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.30(აფრიკა) TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** გადაცემა ბავშვებისათვის. **10.30** რეცეპტი. **12.05** მწვანე კვირა. ტელეჟურნალი. **12.30** ბურლინგერის დღიურები. **13.15** ერის დაბადება. ალჟირი (1956-1962) დოკ.ფილმი. **17.30** ექიმი სილვესტრი. თეთრი მოგონება. **21.25** აუცილებლად კვირას. **23.05** აუცილებლად მომავალ კვირას. გადაცემის სტუმარია ნანა მუხური. **24.05** საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **10.00** დილის პაემანი **10.40** "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში"- მეთ დილონი **11.30** სპა **12.15** მხ. ფილმი "გალია ბოცვრებისთვის" (გ) **14.00** სერიალი "ძვირფასი მარიანა" **15.15** სპექტაკლი "დარისპანის გასაჭირი" **17.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **17.55** "მათი შვილები" **18.40** იმღერე რამე **19.15** ჩვენი მისამართია **20.35** კონცერტი - ბ. კვერნაძე **22.00** ტვ-ლოტო **22.45** "ჩემი მშვენიერი ლედი" **23.05** ამბობენ **23.35** ქართ. ფილმი "ლომა" **00.10** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.30** მხ. ფილმი "შურისმაძიებლები - თამაში ორისათვის" (12)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ტალღის ქიმზე" (15) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "პიკის საათი-2" (15) **17.00** მუსიკა **18.00** მულტფილმი **20.00** მხ. ფილმი "შიშველი მახა" (პენელოპა კრუსი) (15) **22.00** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "დედოფალი მარგო" (იზაბელ აჯანი) (18)

### მზე

**09.00** მულტფილმი "პრინცესა შეჰერაზადა" **09.30** საბ. სერიალი "საოცარი მითები და ლეგენდები" **10.00** მულტფილმი "მაშველები" **11.00** საბ. სერიალი "დინოტოპია" **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** მხ. ფილმი "მშობლებთან შეხვედრა" (გ) (დე ნირო) **14.00, 17.00, 20.50** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.30** მხ. ფილმი "ეის ვენტურა: როცა ბუნება გიხმობს" (გ) (ჯიმ კერი) **16.30** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **17.10** ვესტერნი მზეზე "განწირულთა ბილიკით" **18.05** სერიალი "სინატრას მოტაცება" **19.00** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.30** მხ. ფილმი "გახდე ჯონ მალკოვიჩი" (გ) (ჯონ კიუსაკი) **23.00** მხ. ფილმი "სიმართლე ჩარლის შესახებ" (15) (მარკ უოლბერგი)

### მეორე არხი

**19.00** მხიარული კარუსელი **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** მრავალსახეობა **22.00** მხ. ფილმი "რისკით უნდა იცხოვრო" (15).

### კავკასია

**12.00** გადაცემა "შამარერა" **12.30** მხ. ფილმი "ჯალათები" **14.00** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **15.30** მხ. ფილმი **17.00** მუსიკა **19.00** ინდ. მხ. ფილმი "ტურის კვალი" (გ) **22.00** "ჯაზ-პარნასი" **22.30** მხ. ფილმი.

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 03.30** ქრონიკა **09.10, 12.40, 01.20, 04.20** იმედის მელოდიები **09.30** ტვ-მარკეტი **10.05** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **10.30** "დილის ფოსტა" **11.00** მხ. ფილმი "პოლონელი ლამაზმანი" (15) **13.15** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.40** "უდაბნოს სამჭედლოები" **14.30** "პირველი ნახევარი" **15.15** "რეტროსკოპი"-"ეშმაკისეული სილამაზე" (რეჟ. რენე კლერი) (გ) **17.05** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **18.00** სპ. პროგრამა "ასი" **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** ლარის მახე **20.00** სერიალი "გაუხსნელ საქმეთა განყოფილება" **22.00** დროება **23.30** მხ. ფილმი "კარგი ქუდი" (ნ. ნოლტი, ნ. კუხიანიძე) (18) **01.30** ეროვნ. საკალათბურთო ასოციაცია -პლეიოფი. **03.50** ტვ-მარკეტი

### იბერია

**08.00** კონცერტი **09.00** მხ. ფილმი "მკვლელობის ცერემონია" (15) **10.00** დოკ. ფილმი **11.00** მულტფილმი **13.00** მხ.ფილმი "ალვარი პლუს პოლუქსი" (15) **15.00** დოკ. ფილმი **17.00** ოპერა **20.00** მხ. ფილმი "ფანტაზიის დასასრული" **21.30** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "ზარი ანგელის გული" (18) (მიკი რურკი) **00.00** კონცერტი

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00** Новости **07.10** "Ералаш" **07.20** Мелодрама **"БЛАГОРОДНЫЙ РАЗБОЙНИК ВЛАДИМИР ДУБРОВСКИЙ" 09.20** Армейский магазин **09.50** Дисней-клуб: "Тимон и Пумба" **10.10** "В мире животных" **11.10** "Непутевые заметки" **11.30** Пока все дома **12.00** К 100-летию Татьяны Пельтцер. "Жила-была бабка..." **12.30** "Угадай мелодию" **13.10** Дэнни Де Вито в комедии **"СОБАЧЬЕ ДЕЛО" 15.00** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" **15.20** "Путешествия натуралиста" **15.50** "Дачники" **16.50** "Спасатели". "Экстренный вызов" **17.20** Воскресный "Ералаш" **17.50** Живая природа. "Операция "Жук", "Речной охотник" **19.00** Времена **20.00** Арнольд Шварценеггер в боевике **"ХИЩНИК" 22.00** Время **22.45** Чоу Юн-Фат в боевике **"КРАДУЩИЙСЯ ТИГР, ЗАТАИВШИЙСЯ ДРАКОН" 00.00 Бокс.** Оскар Де Ла Хойа - Феликс Штурм **01.50 Теннис. Турнир "Ролан Гаррос".** Передача из Франции **02.10** Кэтрин Зета-Джонс в триллере **"ПРИЗРАК ДОМА НА ХОЛМЕ" 04.10** Поезд не остановить в боевике **"СЕРЕБРЯНАЯ СТРЕЛА" 06.20** "Рецепты буддийских монахов"

### НТВ

**07.25** Валентин Литовский в фильме **"ЮНОСТЬ ПОЭТА". 08.45** Мультфильм "Ну, погоди!" **09.00, 13.00, 17.00** Сегодня. **09.20** Никас Сафронов в программе "Растительная жизнь" **09.50** Лотерея "Шар удачи". **10.00** "Едим дома" **10.35** Сестры Олсен в комедии **"КАК ЗДОРОВО БЫЛО НА ЗАПАДЕ" 12.25** Военное дело. **13.20** "Апельсиновый сок" **13.50** "Внимание: розыск!" "Мошенники плаща и кинжала". **14.20** Кирилл Лавров в детективе **"ИЗ ЖИЗНИ НАЧАЛЬНИКА УГОЛОВНОГО РОЗЫСКА" 16.10** "Их нравы" с Дмитрием Захаровым. **17.20** XX век. Русские тайны. Личный враг Сталина. **17.55 Сериал "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА: ТАМОЖНЯ БЕРЕТ ДОБРО" 19.00** Своя игра. **19.55** Шер, Николас Кэйдж в комедии **"ОЧАРОВАННЫЕ ЛУНОЙ" 22.00** "Намедни" **23.30** Фактор страха-II. Секретные материалы. **00.30** Роман Полански. Детектив **"НОЖ В ВОДЕ"** (Польша).

*P.S. ფილმებთან არსებული ნიშნები (12), (15), (18) აღნიშნავს მათ კატეგორიას, რაც დადგენილია მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონში.*

# "დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდი" ICKO-ის წევრი გახდა

არასამთავრობო ორგანიზაცია "დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდი" "იუნესკოსთან" არსებული მუზეუმთა საერთაშორისო გაერთიანების ICKO-ის წევრი გახდა.

წევრობის შესახებ ფონდმა ოფიციალური დოკუმენტაცია პარიზიდან 26 მაისს მიიღო. როგორც ფონდის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გვაცნობა, ფონდის ICKO-ში გაერთიანება იმით არის განპირობებული, რომ ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში მსოფლიო მნიშვნელობის საგანძური ინახება. ეს კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა "იკომის" წევრობისათვის.

ICKO-ის წევრობა მუზეუმს საშუალებას მისცემს საერთაშორისო დონის სარესტავრაციო სამუშაოებისთვის დამატებითი დაფინანსება მოიზიდოს და გარდა ამისა, შესაძლებელი გახდება დადიანების მუზეუმმა მსოფლიოს ნებისმიერ მუზეუმთან გაცვლითი სამუშაოები აწარმოოს.

ცნობისათვის: ICKO აერთიანებს მსოფლიო დონის ისეთ მუზეუმებს, როგორიცაა ლუვრი, ვერსალი, მეტროპოლიტენი და სხვა. დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდი ICKO-ის წევრი საკუთარი განაცხადის საფუძველზე გახდა.

*მედია-ნიუსი*








თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

- იურიდიული (სამართლისმცოდნეობა)
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- ფინანსები და საბანკო საქმე

მისაღები გამოცდები ჩატარდება ტესტირების წესით.

ინსტიტუტში ლექციებს კითხულობენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, პროფესორები ოთარ გამყრელიძე, იაკობ ფუტკარაძე, ნინო სავანელი, გრიგოლ თოდუა, შოთა ვეშაპიძე, მალხაზ ჩახნაშვილი, ნათია თურნავა და სხვები.

ინსტიტუტს გამოცემული აქვს შესაბამის კათედრებზე შედგენილი და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორიგინალური სასწავლო პროგრამები.

ინსტიტუტთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა აცხადებს მიღებას VII-XI კლასებში.

მისამართი: ქ. თბილისი, გრიშაშვილის 8 (46-ე საშუალო სკოლის შენობა)
ტელეფონები: 99 96 88, 8 99 51 80 84.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ღ.ჭონქაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24


## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.







# ხუთი მიზეზი კორპორაციული მართვის დასახვეწად

## რატომ უნდა ზრუნავდეს ქართული საწარმო კორპორაციული მართვის გაუმჯობესებაზე?

კორპორაციული მართვა არის სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. იგი მოიცავს ურთიერთობებს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელობას, აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის.

დღეისათვის მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტს მსჯელობენ კორპორაციული მართვის როლის შესახებ ბიზნესის განვითარებაში. მსოფლიო კორპორაციული გიგანტების ერთ ღამეში გაკოტრებამ კიდევ ერთხელ აჩვენა საზოგადოებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კორპორაციული მართვის პრინციპების დაცვა. ეს პრინციპები კი, რეალურად, თითზე ჩამოსათვლელია: აქციონერთა თანასწორუფლებიანობა, აქციონერთა უფლებების დაცვა, დაინტერესებულ პირთა ინტერესების გათვალისწინება, ინფორმაციის ღიაობა და გამჭვირვალობა, მმართველი ორგანოების კეთილსინდისიერება. საქართველოში, სადაც ნაჩქარევმა პრივატიზაციამ ასობით სააქციო საზოგადოება და ათასობით აქციონერი წარმოშვა, კორპორაციული მართვის დანერგვა ამ კომპანიების წარმატების ერთ-ერთ საფუძვლად მოიაზრება. როგორც ჩანს, საქართველოსთვის ამ თემის აქტუალობას საერთაშორისო ორგანიზაციებიც აცნობიერებენ. უკვე ერთი წელია, რაც საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ქართულ კომპანიებში კორპორაციული მართვის დახვეწაზე მუშაობს. საინტერესოა, რომ ამ ორგანიზაციამ უკვე გამოაცხადა კონკურსი ქართული საწარმოების პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის შესახებ, რომლის შედეგადაც მომდევნო თვეებში ათამდე კომპანია შეირჩევა, სადაც ექსპერტები დასავლური სტანდარტების კორპორაციულ მართვას დანერგავენ. საქმე ისაა, რომ კომპანიებს სერიოზულად ამუშავების, ან თუნდაც, საქმის გაფართოებისათვის არაფერი სჭირდებათ ისე, როგორც ინვესტიციების მოზიდვა. ეს კი მხოლოდ სწორი კორპორაციული მართვის შემთხვევაშია შესაძლებელი. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში აქციონერთა უმეტესობამ ბევრი არაფერი იცის საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ, ხოლო ხელმძღვანელ ორგანოებს ჯერ კიდევ არ გაუთვითცნობიერებიათ კორპორაციული მართვის მნიშვნელობა. შედეგად, ნაკლებია ინტერესი როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ინვესტიციების დაბანდებისადმი. და მაინც, რატომ უნდა ზრუნავდეს ორგანიზაცია კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვაზე? ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც ზრდასა და განვითარებაზე ორიენტირებული კომპანიისათვის კორპორაციული მართვის დახვეწის საკმარის საფუძველს იძლევა.




### კორპორაციული მართვა იძლევა კომპანიაში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას:

კორპორაციული მართვა აღიარებულია მთელ მსოფლიოში, როგორც საწარმოს რენტაბელურობისა და ეფექტიანობის გარანტი. ინფორმაციის გამჭვირვალობა, აქციონერების უფლებების დაცვა, მათ მიმართ თანაბარი ყურადღებით მოპყრობა, კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობა ზრდის ინვესტორთა ნდობას ასეთი კომპანიის მიმართ, რაც საბოლოოდ ინვესტიციების ჩადებაში აისახება. რასაკვირველია, ინვესტორი დაინტერესებულია, იცოდეს მაქსიმალურად ბევრი კომპანიის საქმიანობის შესახებ და ჰქონდეს გარანტია, რომ მის მიერ დაბანდებული ფული არაკეთილსინდისიერად არ იქნება გამოყენებული და სათანადო უკუგებას მისცემს. სხვათა შორის, რაც უფრო არახელსაყრელი იმიჯი აქვს სახელმწიფოს საერთაშორისო არენაზე, მით უფრო მაღალია პრემიუმი, რომელსაც ინვესტორი იხდის ამ ქვეყანაში არსებული საწარმოს კარგ კორპორაციულ მართვაში.

### კორპორაციული მართვა აყალიბებს კომპანიის ძლიერ იმიჯს:

ნებისმიერი კომპანიის წარმატება მართვიდან იწყება. არაერთმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ კომპანია, რომელიც საკუთარ კორპორაციულ მართვაზე ზრუნავს, მომხმარებლებისა და ინვესტორების თვალში ძლიერ და ლიდერ კომპანიად აღიქმება. საზოგადოება გრძნობს, რომ ასეთი კომპანია ზრდასა და განვითარებაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მის პროდუქციას/მომსახურებასაც უფრო ენდობა.

### კორპორაციული მართვა ამცირებს კომპანიაში დანახარჯებს:

გამართული კორპორაციული მართვის შემთხვევაში კომპანიის მუშაობა უფრო ეფექტური ხდება. ასეთ კომპანიაში უფრო მცირეა აქციონერთა უკმაყოფილება, ჩივილები, რასაც დროითი და ფულადი რესურსების გაფლანგვა მოსდევს. სწორი კორპორაციული მართვა, ასევე, ხელს უწყობს კომპანიის სტრუქტურაში ისეთი რგოლის ან რგოლების ჩამოყალიბებას, რომლებიც უშუალოდ პასუხისმგებელნი არიან აქციონერებთან და დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობაზე, ახორციელებენ კონტროლს კორპორაციული მართვის პრინციპებთან მიმართებაში.

სწორი კორპორაციული მართვის სისტემა აადვილებს კომპანიის გადაწყვეტილების მიღების პროცესს. იგი უფრო გამართული, მოქნილი და სწრაფია, რაც, ასევე, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რესურსების დაზოგვას.

### კორპორაციული მართვა ამცირებს ორგანიზაციის შიგნით არაკეთილსინდისიერი ქმედებების ალბათობას:

სწორი კონტროლის და მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებით კომპანია თავიდან იცილებს შემთხვევებს, როდესაც ხელმძღვანელობა კომპანიის საზიანოდ მოქმედებს (მოგების დაფარვა, გაუმართლებლად დიდი ხელფასების დანიშვნა, ინფორმაციის დამახინჯება და სხვ), რასაც საბოლოოდ ორგანიზაცია სავალალო შედეგებამდე მიჰყავს. სამეთვალყურეო საბჭო თვალყურს ადევნებს და აკონტროლებს კომპანიის დირექტორების საქმიანობას, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ კომპანია არ მიიღებს ისეთ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს, რაც კომპანიის ინტერესებისათვის არასასურველია.

### დაბოლოს, კორპორაციული მართვა ხელს უწყობს, ზოგადად, კომპანიის წარმატებას:

ორგანიზაციის შიგნით ფასეულობათა მყარი სისტემის ჩამოყალიბება, რასაც კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპები უზრუნველყოფს, კომპანიის მძლავრი იარაღია სწრაფად ცვალებად გარემოში სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის. კონტროლის სწორი მექანიზმები იცავს კომპანიას ისეთი რისკებისაგან, როგორიცაა რესურსების გაფლანგვა, არაკეთილსინდისიერი ქმედება და სხვა. აქციონერთა კმაყოფილებაზე ორიენტირებულობა კომპანიაში იაფფასიანი და გრძელვადიანი ფულადი რესურსების შემოდინებას უზრუნველყოფს. ინფორმაციის ღიაობა და გამჭვირვალობა ხელს უწყობს მას, ერთი მხრივ - ინვესტორთა, ხოლო მეორე მხრივ, დაინტერესებულ მხარეთა (ბანკი, მარეგულირებელი ორგანოები, საზოგადოება და სხვა) ნდობის მოპოვებასა და ამ ნდობის კომპანიის საკეთილდღეოდ გამოყენებაში.

---

# ექსაგრარული ქვეყნის აგრარული პოტენციალი

## USAID საქართველოში სოფლის მეურნეობას პრიორიტეტულ დარგად ასახელებს

AgVANTAGE

*ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მაქსიმალური ზრდა, საქართველოსთვის მაღალხარისხიანი პროდუქციის სანდო ექსპორტიორი ქვეყნის სტატუსის მინიჭება, ქართველი მწარმოებლების, გადამამუშავებლებისა და გამსაღებლებისათვის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლაში ხელშეწყობა - ეს არის აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა AgVANTAGE-ის მიზანი. საერთაშორისო ორგანიზაციები უკვე დიდი ხანია საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორზე აკეთებენ აქცენტს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფერო USAID-მაც პრიორიტეტულად დაასახელა და ამ სეგმენტში არსებული პოტენციალის გააქტიურების მიზნით რამდენიმე მილიონიანი ბიუჯეტის მქონე პროგრამის განხორციელება დაიწყო. პირველი შედეგები უკვე სახეზეა.*

### რუსეთის ბაზრის 80 პროცენტი ქართულ მწვანილს უკავია

რამდენიმე დღის წინ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა AgVANTAGE-ის (ქართულად გამოითქმება - ეგვენთიჯი) ფარგლებში, რომელსაც ამერიკული კერძო ორგანიზაცია ACDI/VOCA ახორციელებს, წყალტუბოს რაიონის ერთ-ერთ, წინასწარ შერჩეულ სოფელში - ქვიტირში ამერიკიდან თანამედროვე ტიპის ორი სათბური ჩაიტანეს, რომელთაგან ერთი უკვე დამონტაჟებულია და რამდენიმე დღეში სრულყოფილ ფუნქციონირებასაც დაიწყებს. პროგრამის ხელმძღვანელების განცხადებით, მათი მიზანია, შეიქმნას მაღალხარისხიანი პროდუქცია თანამადროვე შეფუთვით, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე ღირსეულ კონკურენციას გაუწევს სხვადასხვა ქვეყნების პროდუქციას. ახალი პოლიეთილენის სათბურები კი გააუმჯობესებს როგორც მწვანილების მოყვანის პირობებს, ასევევ გაზრდის წარმადობას და აამაღლებს პროდუქტის ხარისხს. აღნიშნული სათბურები ამერიკაში მზადდება და, დაახლოებით, ოთხი-ხუთი ათასი დოლარი ჯდება.

ინფორმაციისათვის - საქართველოში წარმოებული მწვანილის უმეტესობა წყალტუბოს რაიონში მოდის, სადაც 7000 ოჯახს პლასტმასისა და მინის სათბურებში მაღალი ხარისხის მწვანილი მოჰყავს. წყალტუბოს რაიონში მოყვანილი მწვანილების 90 პროცენტი რუსეთში გადის, რაც რუსეთის ბაზარზე შეტანილი მწვანილების მთლიანი რაოდენობის 80 პროცენტს შეადგენს. AgVANTAGE-ის ხელმძღვანელების განმარტებით, არსებობს ქართველი მემწვანილეების შემოსავლების გაზრდის რეალური შესაძლებლობა. ამისთვის კი საჭიროა, რომ შეუფუთავი პროდუქციის გაყიდვა დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის მაღალი დონის ბაზარზე გატანით შეიცვალოს. ამ მიზნის მისაღწევად კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადადგმულია. პირველ რიგში, AgVANTAGE დაეხმარა "წყალტუბოს მემწვანილეთა ასოციაციას" ჩამოყალიბებასა და დარეგისტრირებაში. ბოლო თვეების განმავლობაში პროგრამა აქტიურად თანამშრომლობს მემწვანილეთა სამოცკაციან ჯგუფთან წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირში და ეხმარება მათ პროდუქციის გასაღების ბაზრების გაფართოებაში მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში. ასე რომ, წყალტუბოს ზონის სოფლის მოსახლეობას, რომლებიც, ძირითადად, მემწვანილეობით არიან დაკავებულნი, ახალი, თავიანთი პროდუქციის ეფექტურად რეალიზაციის მეტად მიმზიდველი პერსპექტივა გაუჩნდათ - აღნიშნული ორგანიზაციის დახმარებით, ისინი მალე თანამედროვე ტექნოლოგიებს აითვისებენ და რუსეთის ბაზრის ახალ სეგმენტებს დაიკავებენ იქ არსებული მოთხოვნების შესაბამისი სტანდარტებით. კერძოდ, ექსპორტისთვის გამზადებული მწვანილი სპეციალურ პლასტმასის თეფშებში მოთავსდება და სავარაუდოდ, ქართული მწვანილი მოსკოვის სუპერმარკეტებში "წყალტუბოს მწვანილის" სამარკო ნიშნით გაიყიდება.

ახლახან, AgGVANTAGE-ს დახმარებით, ადგილობრივ მემწვანილეებსა და ორ მოსკოველ სოლიდურ მყიდველს შორის სამი კოტრაქტი გაფორმდა. ასევე, გაიხსნა გასაღების ახალი ბაზრები კრასნოდარსა და ვლადიკავკაზში. 30 გრამიან ერთჯერად კონტეინერში მოთავსებული და შეფუთული კამისა და ოხრახუშის 200 ცალი საცდელი ნიმუშით მოსკოვის მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა.

მომავალი სეზონისთვის AgVANTAGE მწვანილის წარმოების, რეალიზაციისა და მარკეტინგის ახლანდელი პროგრამის გაფართოებას გეგმავს.

### ექსპორტის გაზრდა პროექტის მთავარი მიზანია

USAID-მა საქართველოს სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ სფეროდ დაასახელა და 2002 წლიდან პროგრამა AgVANTAGE-ის განხორციელებაც დაიწყო. პროგრამას USAID-ის კონტრაქტორი კომპანია ACDI/VOCA (კერძო, არაკომერციული ამერიკული ორგანიზაცია) ახორციელებს. აქამდე ეს პროგრამა SAVE-ის (გადამამუშავებელ საწარმოთა მხარდამჭერი პროგრამა) სახელით იყო ცნობილი და მას საქართველოში რამოდენიმე პროექტი უკვე აქვს განხორციელებული.

ექსპერტების დასკვნით, და ამას AGVANTAGE-შიც აღნიშნავენ, საერთაშორისო ბაზარზე (განსაკუთრებით კი რუსეთში) დიდი მოთხოვნაა ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. AGVANTAGE-ის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ რუსეთის ბაზარზე წარმოდგენილი სხვადასხვა ქვეყნის მაღალი ხარისხის პროდუქციის მრავალფეროვნების მიუხედავად, სწორი მარკეტინგის წარმოებისას საქართველო ამ პროდუქციას ღირსეულ კონკურენციას გაუწევს.

AgVANTAGE-ის გენერალური დირექტორის რიჩარდ ჰურელბრინკის თქმით, პროგრამის მთავარი მიზანია ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მაქსიმალური ზრდა მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორების შერბილების გზით, რაც პროდუქციის ხარისხის ამაღლების, საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრების, შეფუთვის გაუმჯობესებისა და ბაზრის მეტი სეგმენტის ათვისების ხარჯზე უნდა განხორციელდეს. მისი ინფორმაციით, პროექტი ოთხი მიმართულებით მუშაობს: წარმოება, გადამუშავება, მარკეტინგი და ლიზინგი. თითოეულ სფეროში სხვადასხვა პრობლემები და შესაბამისად ამ პრობლემების მოგვარების განსხვავებული გზები თუ მიდგომები არსებობს.

**წარმოების განყოფილება** ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების შემოტანას, წარმოების გაუმჯობესებული მეთოდების დემონსტრირებას, მოსავლის აღების და შენახვის ტექნოლოგიების გაუმჯობესებას, მწარმოებელთა ასოციაციების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, მწარმოებელს, გადამამუშავებლებსა და გამსაღებლებს შორის კონტრაქტების გაფორმებას უზრუნველყოფს.

**გადამუშავების რგოლის** მიზანია ახალი, გაუმჯობესებული გადამამუშავებელი ტექნოლოგიების და ტექნიკის დანერგვა, HACCP-ის პროგრამების დანერგვით ხარისხის კონტროლისა და გარანტირების სტანდარტების გაუმჯობესება, საექსპლუატაციო ეფექტიანობის გაზრდა და წარმოების მეთოდებისა და შეფუთვის, ისევე როგორც პროდუქტის სასაქონლო სახის გაუმჯობესება.

**პროგრამის მესამე მიმართულების, მარკეტინგის** მიზანია საბაზრო და სავაჭრო შესაძლებლობების განსაზღვრა, ბაზრების კვლევა-შეფასება და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მარკეტინგული სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავება და დახმარება პროდუქტების პოპულარიზაციაში, აგრეთვე კონსოლიდაციისა და დისტრიბუციის სისტემების გამართვა, მყიდველების გამყიდვლებთან დაკავშირება და კომერციული სავაჭრო გარიგებების ხელშეწყობა.

**ლიზინგის კომპონენტი** კი ითვალისწინებს ქართველი ფერმერების, გადამამუშავებლებისა და დისტრიბუტორების დახმარებას ტექნიკის შესაძენად საჭირო დაფინანსების პოვნაში, ტექნიკის მიმწოდებლების დაკავშირებას საქართველოს აგრობიზნესის კომპანიებთან და იმ ქართული სალიზინგო კომპანიების დახმარებას, რომლებიც აფინანსებენ სოფლის მეურნეობის სექტორს. ლიზინგის მიზანია, აგრეთვე, დაფინანსების საერთაშორისო წყაროების დაკავშირება ქართულ სალიზინგო კომპანიებთან და ქართული სალიზინგო კომპანიების დახმარება სოფლის მეურნეობის ტექნიკის დაფინანსების მეთოდების გაუმჯობესებაში.

პროგრამა AgVANTAGE რამდენიმე ფაზისგან შედგება და მისი პირველი, კვლევის ფაზა მოიცავდა პერიოდს 2002 წლის მაისიდან 2003 წლის მაისამდე, რომლის დროსაც შეფასდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს, კერძოდ კი მრეწველობის, გადამუშავებისა და რეალიზაციის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორები. აღსანიშნავია, რომ მრეწველობის განვითარების პირობებს საქართველოში ACDI/VOCA-ს მიერ ჩამოყვანილი უცხოელ ექსპერტთა ჯგუფი შეისწავლიდა, რაც შეფასებების უტყუარობასა და სათანადო დონეზე მეტყველებს. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა მრეწველობის განვითარებისათვის ოთხი პრობლემატური სფერო - ბაზრების შესახებ ინფორმაციის ნაკ-

გაგრძელება C2 გვერდზე

# ექსაგრარული ქვეყნის აგრარული პოტენციალი

C1 გვერდიდან

ლებობა და ხელმიუწვდომლობა, გამოუცდელობა მარკეტინგსა და რეალიზაციაში, მოძველებული მანქანა-დანადგარები და ტექნოლოგიები, ფერმერებს, გადამამუშავებლებსა და გამსაღებლებს შორის ოფიციალური კავშირების არარსებობა, გრძელვადიანი კრედიტების ნაკლებობა და ხელმიუწვდომლობა.

რიჩარდ ჰურელბრინკი აცხადებს, რომ ხელშემშლელი ფაქტორების გარდა, პირველი ფაზის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა რვა სხვადასხვა საექსპორტო ბაზარი, სადაც ქართული პროდუქტების გატანის შესაძლებლობა არსებობდა. ამასთანავე, შემუშავდა სამომავლო მოქმედების სტრატეგია, განისაზღვრა არსებული დაბრკოლებების გადალახვისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების საქართველოდან წარმატებით გატანის პროგრამაც.

პირველი ფაზის დასრულების ანუ ზოგადი ტენდენციების შესწავლის შემდეგ, 2003 წლის ივნისში მეორე, დეტალური ფაზის განხორციელება დაიწყო, რომელიც 2007 წლის ნოემბრამდე გაგრძელდება. მეორე ფაზის ბიუჯეტი 18 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

AgVANTAGE-ის გენერალური დირექტორის თქმით, მეორე ფაზის ფარგლებში მოხდება პროექტის საბოლოო მიზნის განხორციელება, ანუ გაიზრდება საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი.

**"ჩვენი მიზანია საქართველოს შევუქმნათ მაღალი ხარისხის სოფლის მეურნობის პროდუქტების სანდო მიმწოდებლის რეპუტაცია. ქვეყანას შეუძლია სოფლის მეურნეობის ხარისხიანი პროდუქციის ექსპორტიორი გახდეს",** - განაცხადა რიჩარდ ჰურელბრინკმა.

### ექსპორტის წარმატება საბაზრო ურთიერთობებზეა დამოკიდებული

AgVANTAGE-ის გენერალური დირექტორის შეფასებით, ექსპორტის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელი და მნიშვნელოვანია საბაზრო ჯაჭვის სწორად შედგენა და ისიც, რომ თითოეულმა რგოლმა ეფექტურად იფუნქციონიროს. ამ ჯაჭვის პირველი რგოლი ბაზარი და მასზე არსებული მდგომარეობაა. კერძოდ, აუცილებელია გაირკვეს რა სახის და როგორი ხარისხის პროდუქციაზეა მოთხოვნა. ჯაჭვის შემდეგი რგოლებს კი პროდუქციის დისტრიბუცია, ტრანსპორტირება, შეფუთვა, გადამუშავება და, რაღა თქმა უნდა, წარმოებაა. ბაზრების შესწავლისა და მყიდველის პოვნის შემდეგ, მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, პროგრამის თანამშრომლები გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, ეძებენ პროდუქციის მწარმოებლებს ანუ მათ, ვისაც შეუძლია გახდეს კონკურენტუნარიანი მიმწოდებელი.

ბაზრების შესწავლას, მყიდველისა და მწარმოებლის პოვნას პროგრამა AgVANTAGE-ის თანამშრომლები და ქვეკონტრაქტორები ახორციელებენ.

**"ჩვენ ვპოულობთ კლიენტს, ვიგებთ, რა და როგორი სახით უნდა მას, შემდეგ ვეძებთ შესაბამის პროდუქტს და ვცდილობთ ისეთი იერსახე მივცეთ მას როგორსაც კლიენტი ითხოვს",** - აცხადებს რიჩარდ ჰურელბრინკი და მაგალითისათვის განმარტავს - თუ არსებობს მოთხოვნა ვაშლზე, პროექტის თანამშრომლები, პირველ რიგში, არკვევენ საქართველოს რომელ რეგიონში მოჰყავთ ყველაზე კარგი ვაშლი და ჩადიან ადგილზე პარტნიორების მოსაძებნად. პროექტს პარტნიორობა შეუძლია გაუწიოს როგორც საწარმომ, ასევე კერძო ფერმერმა ან ასოციაციამ. პარტნიორების მოძებნის შემდეგ, პროექტის ხელმძღვანელობა და ახლად შეძენლი პარტნიორები ერთად განსაზღვრავენ საბაზრო ჯაჭვის ამოქმედებისათვის აუცილებელ სტრატეგიას - ანუ რომელ რგოლში რა პრობლემაა მოსაგვარებელი, კონკრეტული პრობლემა როგორ უნდა გადაიჭრას ისე, რომ საბოლოო პროდუქტმა მოთხოვნის შესაბამისი სტანდარტები დააკმაყოფილოს.

და კიდევ, ქართველი მეწარმეებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო, რომელსაც პროექტის საქმიანობა მოიცავს - აღნიშნული პროცედურების გავლის შემდეგ, პროგრამა პროდუქტის დანიშნულების ადგილამდე მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებითა და კარგ მდგომარეობაში მიტანაზე ზრუნავს. პროდუქციის ხარისხის შენარჩუნების მიზნით, AgVANTAGE ტრანსპორტირებისას თანამედროვე მეთოდებს - ე.წ. მანქანა-მაცივრებს იყენებს.

პროდუქციის ხარისხის გაზრდისა და ყიდვა-გაყიდვის პროცესის გაადვილების მიზნით, პროექტი ხელს უწყობს ასოციაციების ჩამოყალიბებას. **"ასეთ შემთხვევაში მყიდველს ცალ-ცალკე კი არ მოუწევს ქართველთა ცალკეულ ჯგუფებთან სიარული, არამედ იქმნება ასოციაცია, რომელიც**



გაუმჯობესებული სასათბურე ტექნოლოგიები



ქართული პროდუქცია მოსკოვის გამოფენაზე

**საქმიან მოლაპარაკებებს აწარმოებს მყიდველებთან",** - აცხადებენ პროექტში. ამასთანავე, პროგრამისთვის პრიორიტეტული გახდა პროდუქტების კონსოლიდაციის ანუ შეგროვების ცენტრების აღდგენა.

რიჩარდ ჰურელბრინკის თქმით, გაუმჯობესებული ჯიშების დანერგვის და ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფის გარდა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამა სპეციალისტების ჩამოყვანასაც გულისხმობს. დღეისათვის პროგრამის ფარგლებში უკვე არაერთმა სპეციალიტმა გაუზიარა ქართველ ფერმერებს უახლესი ტექნოლოგიების თუ მეთოდების ცოდნა. უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები ადგილობრივ მწარმოებლებს და გადამამუშავებლებს უტარებენ შესაბამის ტრეინინგებს, რომელთა საბოლოო მიზანი წარმოების გაზრდასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა გახლავთ. მისივე განმარტებით, შედარებით მსხვილ ქართულ კომპანიებს, რომლებსაც განსაზღვრული ბაზარი უკვე ათვისებული აქვთ, პროგრამა ბაზრის გაფართოებასა და უფრო მაღალი დონის ბაზრების პოვნაში ეხმარება.

### პროგრამის ფარგლებში ქართველი ფერმერები უახლეს ტექნოლოგიებს ეცნობიან

მწვანილის სექტორის ხელშეწყობის გარდა, რამდენიმე ხნის წინ პროგრამა AgVANTAGE-ის ფარგლებში, ვაშლისა და სუფრის ყურძნის წარმოების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოში ამერიკელი ექსპერტები ჩამოვიდნენ, რომლებმაც ვაშლის მწარმოებლებს შიდა ქართლში, ყურძნის მწარმოებლებს კახეთსა და იმერეთში ახალი ჯიშების მოყვანის, დამყნობის, გასხვლისა და დარგვის თანამედროვე მეთოდები გაუზიარეს. ქართველი ფერმერები, დარწმუნებულები არიან რომ სხვა ქვეყნების პროდუქციისათვის ღირსეული კონკურენციის გასაწევად აუცილებელია ახალი უნარ-ჩვევების ათვისება და ყველანაირად ცდილობენ საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. "ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის", - აცხადებენ ქართველი მწარმოებლები და დარწმუნებულები არიან, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს ძალიან დიდი პოტენციალი გააჩნია.

ჩატარებული ღონისძიების ფარგლებში, ქარელის რაიონის სოფელ ბებნისში, კალიფორნიის უნივერსიტეტიდან მოწვეული მრჩევლის, პოლ ვოსენის ხელმძღვანელობით, საჩვენებლ ნაკვეთზე 840 ვაშლის ხე დაირგა. აქედან საქართველოსთვის ოცი ახალი ჯიშია წარმოდგენილი. ამავე პროგრამის ფარგლებში, სიღნაღის, საგარეჯოს, ბაღდათის, თერჯოლისა და ვანის რაიონებში მევენახეებს 19 სხვადასხვა ჯიშის სუფრის უწიპწო ყურძნის 350 ფესვიანი საძირე და 380 კალამი დაურიგდათ. აღსანიშნავია, რომ ასეთი ჯიშის ყურძენი საქართველოში აქამდე არასდროს არ მოუყვანიათ. AgVANTAGE-ის დახმარების შედეგად, მწარმოებლები შიდა ქართლში, იმერეთსა და კახეთში განიხილავენ ნერგების მწარმოებელთა ასოციაციების შექმნის შესაძლებლობასაც, რაც გაუადვილებს მწარმოებლებს ახალი ჯიშების შემოტანას, მანქანა-დანადგარების და მასალების შეძენას, ხარისხის სტანდარტების შემუშავებას, ახალი მეთოდებისა და ახალი ბაზრების ათვისებას.

ახლო წარსულში, თანამედროვე ტექნიკისა და დანადგარების სტანდარტების საკითხებში ცოდნის გაფართოების ხელშეწყობის მიზნით USAID-ის პროგრამა AgVANTAGE-ის მიერ კიდევ ერთი ღონისძიება დაფინანსდა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს აგრობიზნესის შვიდი წარმომადგენელი, ჩეხეთის ქალაქ ბრნოს საგამოფენო ცენტრში გამართულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მერვე საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვას (TECHAGRO) დაესწრო.

AgVANTAGE-ის მიერ შერჩეული აგრარული ასოციაციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მუშაობენ. გამოფენაზე წარმოდგენილმა მიწის დამუშავების, დათესვის, მოსავლის აღების მცენარეთა დაცვისა და მეცხოველეობის სფეროში გამოსაყენებლი ტექნიკის ნაირსახეობამ საქართველოს აგრობიზნესის წარმომადგენლები დაარწმუნა წარმოების პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობაში. გამოფენამ როგორც მოსალოდნელი იყო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგაციის წევრებზე.

AgVANTAGE-ს გენერალური დირექტორის რიჩარდ ჰურელბრინკის თქმით, აგრობიზნესის წარმომადგენლებისთვის ჩეხეთში ვიზიტი სასარგებლო აღმოჩნდა. დამყარდა კონტაქტები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დამამზადებლებთან და აგრარული კოოპერატივების წარმომადენლებთან. ასე რომ, არსებობს ბიზნეს ურთიერთობების გაფართოების რეალური შესაძლებლობები. გასულ წელს კი პროგრამის დახმარებით 9 ქართული კომპანიის პროდუქცია პირველად წარდგა მოსკოვის მსოფლიო კვების პროდუქტების გამოფენაზე, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა და ინტერესი გამოიწვია პოტენციურ მყიდველებს შორის. გარდა ამისა, პროგრამის ხელშეწყობით ორმა ქართველმა მეწარმემ მონაწილეობა მიიღო ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოსა და სტენფორდის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მე-6 ყოველწლიურ კონფერენციაში.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი - გასულ წელს AgVANTAGE-ის ფარგლებში პირველად განხორციელდა ლაგოდეხსა და იმერეთში მოყვანილი ქართული წაბლის ექსპორტი საფრანგეთში. ასევე მოხდა ახალი კარტოფილისა და მანდარინის ექსპორტი რუსეთში.

"ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ის მხარდაჭერა, რომელსაც ჩვენს საქმიანობას საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო და პირადად ბატონი მინისტრი უწევს. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სამინისტროსთან და იმედი გვაქვს რომ მომავალშიც ერთად ვიმუშავებთ, რათა გავზარდოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობა" - განაცხადა ჰურელბრინკმა.

პროგრამა კიდევ სამი წელი დაეხმარება ქართველ მწარმოებლებს. AgVANTAGE-ის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ პროგრამის დასრულებისათვის მთავარი მიზანი მიღწეული იქნება და საქართველო საერთაშორისო ბაზარზე ღირსეული ექსპორტიორი გახდება.

# გარემოს გლობალური ფონდი/მსოფლიო ბანკი - საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი - საქართველოს ბიომრავალფეროვნების დასაცავად

24 მაისი ევროპის პარკების დღეა

*უკანასკნელი საუკუნე-ნახევარია, რაც კაცობრიობამ შეიგნო, რომ საჭიროა მისი საარსებო გარემოს უგუნური ზემოქმედებისგან დაცვა, აღდგენა და მდგრადი განვითარების წანამძღვრების შექმნაზე ზრუნვა. დედამიწაზე უკვე დაწყებულია დაცული ტერიტორიების ქსელის ჩამოყალიბება, სადაც ბუნება, ბიოსამყარო და ეთნო-სოციალურ-კულტურული გარემო ხელუხლებლად უნდა შენარჩუნდეს, მინიმალური ანთროპოგენური ჩარევით. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ შერჩეულ პლანეტის 200 ეკორეგიონთაგან, სადაც უნდა განხორციელდეს გარემოს მდგრადი განვითარების აპრობირებული პროგრამები, ერთ-ერთი არის საქართველოც.*

### ახალი დაცული ტერიტორიები ევროპის პარკების დღეს

დღეს, როდესაც ასე ძნელი, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანას სასიკეთო რამ შეჰმატო, მაინც გეძლევა საშუალება ასეთი მოვლენების მოწმე გახდე... ამის ერთ-ერთი მაგალითი 2003 წლის 22 აპრილს ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ღირსშესანიშნავი ფაქტია:

საქართველოს პარლამენტმა გარემოს გლობალური ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე "დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტისა" და პროექტის განმახორციელებლი - დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის ხელშეწყობით აღმოსავლეთ საქართველოს სამ რეგიონში კანონით დააარსა რვა ახალი დაცული ტერიტორია და გააფართოვა არსებული: შეიქმნა თუშეთის ეროვნული პარკი (83453 ჰა) და დაცული ლანდშაფტი (27903 ჰა), ვაშლოვანის ეროვნული პარკი (25114 ჰა), ლაგოდეხისა (1996 ჰა) და ილტოს (5273 ჰა) აღკვეთილები, ალაზნის ჭალის (138 ჰა), ტახტითეფასა და არწივის ხეობის ბუნების ძეგლები. გაფართოვდა ვაშლოვანისა (8034-დან 8480 ჰა-მდე) და ლაგოდეხის (17932-დან 22358 ჰა-მდე) ნაკრძალები. ახმეტის (ბაწარა, ბაბანეური, თუშეთი) ნაკრძალის ბაზაზე შექმნილი დაცული ტერიტორიები გამოიყო ორი დამოუკიდებელი ადმინისტრაციის სახით: ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალი და ილტოს აღკვეთილი, და ზემოთ ნახსენები თუშეთის ნაკრძალი და ეროვნული პარკი.

სულ საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემას დაემატა 145 ათასამდე ჰექტარი. ეს თითქმის უპრეცედენტო მოვლენაა.

ასეთი რამ კიდევ ერთხელ მოხდა ევროპაში, 1909 წლის 24 მაისს, შვეციაში, როცა ევროპაში შეიქმნა პირველი ცხრა ეროვნული პარკი.

შემდეგ, ევროპარკების ფედერაციის ძალისხმევით დაარსდა ევროპის პარკების დღე - საზოგადოებისათვის დაცული ტერიტორიების გაცნობისა და მხარდაჭერის მოპოვების მიზნით.

ევროპის პარკების დღე, 24 მაისი - ეს არის ბუნებრივი მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი ზეიმი. მთელი ევროპა აღნიშნავს ამ დღეს. ევროპის ბუნების მომხიბვლელობასა და კულტურულ მემკვიდრეობას ეძღვნება მთელი რიგი მოვლენები, რაც ამ მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობას ჰფენს ნათელს.

შარშან, პირველად საქართველოც შეუერთდა ამ დღესასწაულს და მნიშვნელოვანი მონაპოვრითაც - რვა ახალი დაცული ტერიტორია.

### დაცული ტერიტორიების სისტემა საქართველოში

წინა საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში დაცულ ტერიტორიათა ქსელი არ იყო ადეკვატური საქართველოს ბიომრავალფეროვნების დასაცავად. საქართველოს დაცული ტერიტორიები, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის "ზაპოვედნიკური" სისტემის მიხედვით, შედგებოდა მცირე ზომის ერთმანეთისაგან იზოლირებული, მკაცრად დაცული ნაკრძალებისაგან. ნაკრძალთა სისტემა მოიცავდა საქართველოს ტყეების ორ პროცენტზე ნაკლებს და მისი მართვა ძირითადად ხორციელდებოდა მხოლოდ შეზღუდული დაცვით მეცნიერული კვლევებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნით. მეცნიერთა გარდა მხოლოდ "ძლიერთა ამა ქვეყნისა" ხელეწიფებოდათ სხვადასხვა მიზნებით ამ ტერიტორიების მოხილვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, როცა გაჩნდა დაცული ტერიტორიების როგორც ზომების, ასევე მმართველობითი უფლება-მოსილების გაფართოების საჭიროება, რათა უკეთ იქნას გადაწყვეტილი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პრობლემა, და ასევე, დაცული ტერიტორიების როლის ზრდა ქვეყანაში ტურისტული პოტენციალის ამაღლებაში, საქართველოს კანონით "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" (ავტორი - პაატა შანშიაშვილი) განისაზღვრა დაცული ტერიტორიების ექვსი კატეგორია და თითოეულ მათგანს გარკვეული ფუნქცია მიენიჭა. ეს კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

საქართველოში დაცული ტერიტორიები იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის - უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად.

საქართველოში დასაშვებია არსებობდეს დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართული კატეგორიები - ბიოსფერული რეზერვატი მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია.

1995 წელს საქართველოში დაარსდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ხოლო 1999 წელს - კოლხეთის დაცული ტერიტორიები (კოლხეთის ეროვნული პარკი, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი, ქობულეთის აღკვეთილი), რომელთა შექმნა და მოწყობა კვლავაც გრძელდება. 2003 წელს დაარსებული რვა ახალი ტერიტორიით კი საქართველოში უკვე დაცული ტერიტორიების ყველა კატეგორია გახდა წარმოდგენილი.

### პროექტის შესახებ

ახლადშექმნილი და გაფართოებული დაცული ტერიტორიების ამოქმედება, მათზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისთვის ზრუნვა "საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის" დანიშნულებაა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოში დაცული ტერიტორიების მოძრაობის ლიდერი და დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ კანონის ავტორი - პაატა შანშიაშვილი.

"საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი" წარმოადგენს საქართველოს უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და გონივრული გამოყენების ხელშემწყობი ღონისძიებების პაკეტს: პროექტის საშუალებით შეიქმნება ეკოლოგიური თვალსაზრისით გამართული დაცული ტერიტორიები და მათი დამაკავშირებელი ეკოლოგიური დერეფნები; მოხდება დაცულ ტერიტორიებსა და მათ შემოგარენში ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების საქმიანობების ინტეგრაცია; ინსტიტუციურად განვითარდება და გაძლიერდება დაცული ტერიტორიების მართვასა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაციაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები; ხელი შეეწყობა საფრთხეში მყოფი ფლორისა და ფაუნის მეცნიერულ კვლევასა და მასზე დაკვირვებას; გაღრმავდება საზოგადოებრივი ცოდნა საქართველოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების ფასეულობის შესახებ; შეიქმნება ახალი დასაქმების ადგილები მოსახლეობისთვის და შემოსავლების გენერირების ახალი საშუალებები; ხელი შეეწყობა სამთავრობო, კერძო და სამოქალაქო სექტორების თანამშრომლობას საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში; გაიზრდება რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა კავკასიის ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად.

### 2003 წლის 22 აპრილს მიღებული კანონის სიახლე

დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის ხელშეწყობით კატეგორია - დაცული ლანდშაფტი საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემაში პირველად იქნა დაარსებული. თუშეთის დაცული ლანდშაფტი ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ჰარმონიული შერწყმის საუკეთესო მაგალითია. მისი რეაბილიტაცია და კონსერვაცია ადეკვატურად უნდა მოხდეს მდგარდი განვითარების პრინციპების რეალური განხორცილების პირობებში და ეს ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო და გარემოსდაცვითი საქმიანობების ჰარმონიულ თანაარსებობას ისტორიული ტრადიციების ფონზე. ასეთი მიდგომა დამყარებულია ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (World Conservation Union - IUCN) რეკომენდაციებზე და მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის მოტივაციის ზრდას სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნებისათვის. ამ ტერიტორიის მართვა დამყარებულია პარტნიორულ-ინსტიტუციურ მექანიზმებზე.

დაცულ ლანდშაფტსა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე საკუთრება და საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ორიენტირებულია ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვასა და გამოყენებაზე.

მიღებული კანონის კიდევ ერთ სიახლეს წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების ჩამოყალიბება საჯარო სამართლის იურიდიულ

გაგრძელება C3 გვერდზე

C2 გვერდიდან

პირებად. მართვის ასეთი მოდელი დაცულ ტერიტორიებს მენეჯმენტის გეგმით და კანონით დაშვებული საქმიანობების შედეგად საკუთარი შემოსავლების გენერირების საშუალებასაც მისცემს, რაც იქნება პირობა, რომ რესურსების არაპირდაპირი მოხმარებიდან მიღებული შემოსავლები კვლავ რესურსების მოვლა-პატრონობას მოხმარდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოდელის ამოქმედება შესაძლებელი და აუცილებელიც გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ დაცული ტერიტორიებისთვის არსებობს საერთაშორისო დაფინანსება (გარემოს გლობალური ფონდისა და მსოფლიო ბანკის გრანტი), რაც მათ აძლევს შესაძლებლობას პროექტის განხორციელების პერიოდში (6 წელი) შეიქმნას პირობები დაცული ტერიტორიების მართვის უნივერსალური გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით (დაკანონება, დემარკაცია, საბაზისო კვლევების საფუძველზე ინვენტარიზაცია, ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ინფრასტრუქტურის მოწყობა, მაღალკვალიფიციური პერსონალის მომზადება და აღჭურვა, მცირე გრანტებით მოსახლეობასთან ორმხრივი ინტერესისა და ნდობის ატმოსფეროს შექმნა), რაც შემდგომში შექმნის საკუთარი შემოსავლების გენერირების შესაძლებლობას. მიღებული შემოსავლით, რისი პოტენციალიც უდავოდ აქვს ამ დაცულ ტერიტორიებს, შესაძლებელი გახდება მათი სრული დატვირთვით ფუნქციონირება, რაც დღევანდელ პირობებში, მწირი საბიუჯეტო დაფინანსების გამო, შეუძლებელია.

კანონის მიხედვით, ამ დაცული ტერიტორიების საკუთარი შემოსავლების 80% რჩება თავად ამ ტერიტორიას, ხოლო 20% ხმარდება საქართველოს დაცული ტერიტორიების მთელ სისტემას. ეს კი ხელს შეუწყობს იმ დაცული ტერიტორიების ფუნქციონირებას, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებობენ. მენეჯმენტის მიზნებისა და შემოსავლების პროგნოზის, აგრეთვე სახელმწიფოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ადგილზე დარჩენილი თანხები მოხმარდება ყოველწლიური ოპერატიული გეგმებით განსაზღვრულ პრიორიტეტებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმა განსაზღვრავს ექვსწლიანი მიზნობრივი დაფინანსების მოცულობას შიდა სტრუქტურული სიზუსტით, ხოლო აქედან გამომდინარე, დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია, საკოორდინაციო საბჭოსთან ერთად, ადგენს ყოველწლიურ ოპერატიულ გეგმას დაფინანსების დეტალურ-მუხლობრივი სქემით და მოცულობით, რომელსაც სათანადო წესით ამტკიცებს გარემოს დაცვის დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ადმინისტრაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსისა, დაცული ტერიტორიების მართვასა და მათზე კონტროლს ახორციელებს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი. ამასთან, დეპარტამენტის მიერ ხდება დაცული ტერიტორიების დირექტორების დანიშვნა.

### საერთაშორისო პარტნიორობა

პროექტის ხელშეწყობით მოხდება დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ინსტიტუციური გაძლიერება; დაცული ტერიტორიების დეპარტამენტმა უნდა მართოს დაცული ტერიტორიების მომცველი სისტემა, სადაც წარმოდგენილი იქნება "ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის" (IUCN) დაცული ტერიტორიების ყველა კატეგორია. ამ სისტემამ დიდი როლი უნდა ითამაშოს ქვეყნის მდგრად განვითარებაში. რეორგანიზაციის კონცეფცია წარმოიშვა დეპარტამენტისა და აშშ ეროვნული პარკების სამსახურის თანამშრომლობის ფარგლებში. პროექტის საშუალებით უნდა განხორციელდეს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის უფლება-მოსილების მოდერნიზაცია (მაკონტროლებელი, დაცვაზე ორიენტირებულიდან პარტნიორულ მართვასა და მრავალმხრივ გამოყენებაზე ორიენტირებული) და ამის მისაღწევად საჭირო პროფესიონალური უნარ-ჩვევების განვითარება - მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და აღჭურვა.

ამ ამოცანების გადასაწყვეტად პროექტის მთავარ პარტნიორს წარმოადგენს აშშ-ის შინაგანი დეპარტამენტი დაცული ტერიტორიების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი სამსახურებით. ორმხრივი სამთავრობო საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე თუშეთის ეროვნული პარკი "დაძმობილდა" აშშ-ის "როქი მაუნთინის" ეროვნულ პარკთან, ხოლო ლაგოდეხის ნაკრძალი და აღკვეთილი "გრან-ტრიტონის" ეროვნულ პარკთან, ვაშლოვანის ნაკრძალი და ეროვნული პარკი - "ბედლენდის" ეროვნულ პარკთან.

### რას ფიქრობენ ექსპერტები

საპროექტო ტერიტორია და მიმდებარე კავკასიის რეგიონი მიჩნეულია, როგორც ერთ-ერთი, გლობალური მნიშვნელობის ორას ეკორეგიონთაგანი თავისი უნიკალური ბიოლოგიური, ლანდშაფტური და კულტურული მრავალფეროვნებით, ფლორისა და ფაუნის ენდემური სახეობებით, სხვადასხვა სათუთი ჰაბიტატებითა და ეკოსისტემებით. ამ რეგიონმა თავად მოიპოვა ქართველი და უცხოელი ბუნების ქომაგების გულშემატკივრობა და საერთო ძალისხმევამ საერთაშორისო მხარდაჭერა მოიტანა, რისი დასტურიც თავად ამ პროექტის არსებობაა.


მთის არქიტექტურა. თუშეთის დაცული ლანდშაფტი


მთის მდინარე ლაგოდეხის ტყეში. ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი

მრავალფეროვანი და მაღალი ესთეტიკური ფასეულობის მქონე ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული გარემო შესაძლებლობას იძლევა შემეცნებითი ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

დაცული ტერიტორიების სრულფასოვანი დაგეგმვის, დაფუძნებისა და მართვის მიზნით მენეჯმენტის გეგმებში, სხვა აუცილებელ პროგრამებსა და ქმედებებთან ერთად, გათვალისწინებულია ეკოტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ქსელის შექმნა: ვიზიტორთა და საინფორმაციო ცენტრების მოწყობა, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ოჯახური სასტუმროების მოწყობა (დამხმარე ზონებში). დაგეგმილია სხვადასხვა დანიშნულების (ეკოლოგიური, სასწავლო, სათავგადასავლო, ორნითოლოგიური, სპორტული და სხვ.), სახეობის (საფეხმავლო, საცხენოსნო, საავტომობილო, სანაოსნო და სხვ.), ხანგრძლივობის (ერთდღიანი, ორდღიანი, მრავალდღიანი), სირთულისა (მარტივი, საშუალო, რთული) და აღჭურვის დონის (მინიმალური, მაქსიმალური) ბილიკების ქსელი; აგრეთვე, ტურისტული თავშესაფრები, საკემპინგო უბნები, ნავმისადგომები, თავლები.

### პირველი ნაბიჯები

პროექტის ფარგლებში დაარსებული დაცული ტერიტორიების განვითარებისთვის უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები:

- დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებსა და დეპარტამენტს გადაეცა ავტო სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებები, საოფისე აღჭურვილობა, აუდიო-ვიზუალური მოწყობილობა, საველე ინვენტარი;
- აშშ ეროვნული პარკების სამსახურის მონაწილეობით ჩატარდა საწყისი წვრთნა კანონიერების დაცვასა და სამაშველო საქმიანობაში, მენეჯმენტის გეგმების სრულყოფასა და წლიური გეგმების შემუშავებაში.
- დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაიარეს წვრთნა აშშ-ში დაცული ტერიტორიების და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და ინტეგრირებული მართვის მოწინავე გამოცდილების შესაძენად.
- ცენტრალურ კავკასიონზე - ამბროლაურის, ლენტეხისა და ცაგერის რაიონში მიმდინარეობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებული კვლევები, რომლის შედეგები უნდა იყოს გამოყენებული რეგიონული დაცული ტერიტორიების გეგმის მოსამზადებლად, სადაც წარმოდგენილი იქნება ცენტრალური კავკასიონის დაცული ტერიტორიების სხვადასხვა კატეგორიები. მათი შერჩევა კი დაეფუძნება საერთაშორისო კრიტერიუმებსა და საქართველოს კანონმდებლობას;
- აღმოსავლეთ კავკასიონზე დერეფნების გეგმების მომზადებისა და დანერგვის მიზნით, მიმდინარეობს სამუშაოები მდინარე ალაზნის ჭალის ტყის ეკოსისტემების მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტის მოსამზადებლად;
- აღმოსავლეთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარეობს პრაქტიკული კვლევები დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციაში არსებული "თეთრი ლაქების" შესავსებად, რაც აუცილებელია პარკების ზონირების კორექტირებისათვის, რაც განსაზღვრავს პარკის მენეჯმენტს, მართვის შედეგების შეფასებას. ამასთან, შეიქმნება მონიტორინგის განსახორციელებლად კონკრეტული პროგრამა, რომელიც საფუძვლად დაედება სტანდარტიზებულ წესებს.

### ახალი საჩუქარი

საქართველოს თითქოს დაებედა მნიშვნელოვანი მონაპოვრებით შეხვდეს 24 მაისს.

წელს აქ, ვაშლოვანის ნაკრძალსა და ეროვნულ პარკში, ზამთარში, ახლად შექმნილი პარკის ტერიტორიაზე საველე სამუშაოების დროს ნანახი იქნა დიდი ზომის კატისებრის ნაკვალევი, რომელიც, შესაბამისი შესწავლის შედეგად, დადასტურდა, რომ ნამდვილად ჯიქისა იყო. 2004 წლის აპრილში ნაკვალევის მიდამოებში ფოტოხაფანგები იქნა დაყენებული. ძალიან მალე ფოტოხაფანგის აპარატის ფირზე ჯიქი აღიბეჭდა.

გაფართოებულ და ახლად შექმნილ ტერიტორიაზე დაარსებულმა დაცვის რეჟიმმა აქ გარკვეული სიმყუდროვე შექმნა. მაგრამ პროექტის კომპეტენციის ფარგლებს სცდება დაცული ტერიტორიის პერსონალისთვის იარაღის შეძენა, მათი ხელფასით უზრუნველყოფა. ისინი შეუიარაღებლები ებრძვიან ბრაკონიერებს, მუშაობენ თითქმის ანაზღაურების გარეშე. თითქოსდა ჯილდოდ მათი ასეთი ენთუზიაზმისთვის, აქ აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი ცხოველი კავკასიაში - ჯიქი, რომელიც ოფიციალური წყაროებით, უკვე 50 წელია აღარ გამოჩენილა საქართველოს ტერიტორიაზე. სავარაუდოდ, ეს არ უნდა იყოს ერთადერთი ინდივიდი ქვეყნის ამ ნაწილში. კვლევები გრძელდება...

ვნახოთ, რით შევხვდებით შემდეგ 24 მაისს...

*ნათია კობახიძე*
*საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი*

# CERMA - მენეჯერთა კადრების სამჭედლო

*მსოფლიო ბანკის მიერ პრივატიზებულ საწარმოთა წარმატებით ამოქმედების ხელშესაწყობად დაფინანსდა პროექტი საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი - CERMA, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მენეჯერული კადრებისა და ბიზნესკონსულტანტების მომზადება. CERMA-მ წარმატებით შეძლო მის მიერ დასახული ამოცანების შესრულება, ამიტომაც საქართველოს ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ცნო ამ პროექტის საქმიანობის გაგრძელება. გაზეთ "24 საათის" სტუმარია CERMA-ს აღმასრულებელი დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი* ***ნანა ადეიშვილი****.*

**როგორ აისახა ქართველ ბიზნესმენთა საქმიანობაში CERMA-ს დახმარება? გაიზარდა თუ არა მის მომსახურებაზე მოთხოვნა? რატომ მოხდა, რომ CERMA-ში მომზადებულმა ბიზნესკონსულტანტებმა საწარმოში დაიწყეს მუშაობა მენეჯერებად?**

მართლაც, საწარმოების მხრივ, დიდი მოთხოვნაა CERMA-ს კონსულტანტებზე, როგორც მენეჯერთა კადრებზე. კონსულტანტების შერჩევის პროცესი მათი მომზადების მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩვენ კარგად გვესმის ის, რომ კონსულტანტებს საწარმოებში ეკისრებათ მეტად საპასუხისმგებლო საქმე. საწარმოს მენეჯერები მათ რჩევებს არ მოუსმენენ და, მით უმეტეს, ფულს არ გადაიხდიან, თუ სათანადო ნდობა არ დაიმსახურეს და არ გამოავლინეს თავიანთი კვალიფიკაცია. ამიტომ, სამსახურში აყვანამდე კონსულტანტები გადიან ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების ტესტირებას, თუნდაც ბიზნესსკოლებიც ჰქონდეთ დამთავრებული. შერჩევის პროცესი ამით არ მთავრდება და შერჩეულები შემდგომშიც მთელი წლის განმავლობაში გადიან მომზადებას. მიუხედავად იმისა, რომ CERMA საწარმოებს, თითქოს, მხოლოდ საკონსულტაციო დახმარებას უწევს, სინამდვილეში ეს არის კონსულტანტებისა და საწარმოს მენეჯმენტის მჭიდრო თანამშრომლობა საწარმოს მართვაში, სახელდობრ, ფინანსებისა და აღრიცხვიანობის, მარკეტინგისა და გაყიდვების მენეჯმენტში, კადრების შერჩევასა და სწავლებაში და ა.შ. CERMA-ს კონსულტანტები არა მარტო აქტიურად მონაწილეობენ საწარმოს მართვაში, არამედ ხშირად საწარმოს საქმიანობასაც კი ხელმძღვანელობენ. ბუნებრივია, მათი საქმიანობის დამთავრების შემდეგ ამ საწარმოების მფლობელებს უჩნდებათ კომპანიაში მათი დარჩენის სურვილი. ამჟამად CERMA-ს ყოფილი კონსულტანტებიდან 40-ზე მეტი მუშაობს მენეჯერულ პოზიციებზე სხვადასხვა კომპანიაში და, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ წარმატებულადაც.

**თქვენი აზრით, მენეჯერული პრობლემების გადაწყვეტა საწარმოსათვის კონკურენტუნარიანობის ამაღლების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს?**

რა თქმა უნდა, ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და ჩვენი პროექტების განხორციელების შედეგად საწარმოებმა, მხოლოდ მენეჯმენტის გაუმჯობესების გზით, გაყიდვები გაზარდეს 100 პროცენტზე მეტად, ექსპორტი - 112 პროცენტზე მეტად და ბიუჯეტში გადასახადები - 50 პროცენტით. მაგრამ ცოტა სხვა კუთხით მინდა შევეხო ამ საკითხს. საწარმო კონკურენტუნარიანია მაშინ, როდესაც მას არა მარტო თავისი ქვეყნის ბაზარზე უკავია მყარი პოზიცია, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.


ნანა ადეიშვილი

თანამედროვე ეკონომიკური კვლევების მიხედვით კომპანიის კონკურენტუნარიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული რეგიონის და ამ რეგიონში წარმოდგენილი იმ დარგებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობასთან, რაც აუცილებელია საწარმოს ფუნქციონირებისათვის. მსოფლიოში ფართოდ ცნობილი "პორტერის დაიმონდი" (რომბი) - ქვეყნის კონკურენტუნარიანობის კონცეფცია, რომელსაც უკვე მრავალი ქვეყანა იყენებს თავისი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლად, ზუსტად საწარმოს მართვის უნარს ანიჭებს თანაბარ როლს სამ დანარჩენ ფაქტორს შორის. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, რა თქმა უნდა, ქვეყანაში ფირმების ნორმალური მუშაობის წინაპირობაა, მაგრამ, თავისთავად, ის არ იწვევს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ხდება იმ საწარმოების მეშვეობით, სადაც იქმნება ღირებულება. აქედან გამომდინარე, ჩანს, რაოდენ მნიშვნელოვანია, საწარმოების მენეჯერები კარგად ერკვეოდნენ და სწორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ მათ ირგვლივ შექმნილ კონკურენტულ გარემოში.

საწარმო ტექნოლოგიურად, შეიძლება, კარგად აღჭურვილი იყოს, ჰქონდეს გამართული მენეჯმენტი, მაგრამ თუ დარგში სათანადო დონეზე არ არსებობს ბიზნესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, მომწოდებლები (მასალები, შრომის რესურსები, მათი უნარ-ჩვევები), კვლევითი ცენტრები, სერტიფიცირების ლაბორატორიები, ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანია იმყოფება არაკონკურენტუნარიან გარემოში და, ამიტომ, ის თვითონ ვერასოდეს გახდება კონკურენტუნარიანი.

**საზღვარგარეთ საკონსულტაციო მომსახურება საკმაოდ ძვირადღირებულია, ქართველ მეწარმეებს აქვთ თუ არა გათვითცნობიერებული, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის მსოფლიო ბანკის პროგრამით გათვალისწინებული ეს დახმარება და რამდენად მზად არის საწარმოო სექტორი ასეთი ძვირადღირებული კონსულტაციებისათვის?**

ჩვენ თავიდანვე ვიწვევდით უცხოელ კონსულტანტებსა და ექსპერტებს ორი მიზნით: გარდა იმისა, რომ მათ საკონსულტაციო დახმარება უნდა გაეწიათ საწარმოებისათვის, ასევე, მათი ცოდნა და გამოცდილება უნდა გადასცემოდა ქართველ სპეციალისტებს, კონსულტანტებს, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ კონსულტანტების პროფესიონალიზმის დონის ამაღლებაში. 7 წლის მუშაობის შემდეგ ჩვენ უკვე აღარ გვჭირდება ფინანსებისა და აღრიცხვის, მარკეტინგისა და გაყიდვების მენეჯმენტის, სტრატეგიული დაგეგმარების უცხოელი სპეციალისტების მოწვევა. მაგრამ, არსებობს გარკვეული ექსპერტიზის მწვავე ნაკლებობა და ასეთ ექსპერტებს, რომლებიც მუშაობენ საწარმოების ტექნოლოგიების სრულყოფის სფეროში, წარმოების პროცესების ოპტიმიზაციასა და საექსპორტო ბაზრების მოკვლევაში, ჩვენ დღესაც ვიწვევთ. პარალელურად, კონსულტანტები მათთან მუშაობის დროს მაქსიმალურად იღებენ იმ ცოდნას, რომელიც უცხოელ ე.წ. ტექნიკურ ექსპერტს აქვს. ამის შედეგად სულ უფრო და უფრო ნაკლები სფერო გვრჩება, სადაც ძვირადღირებული უცხოელი ექსპერტის მოწვევა გვჭირდება.

ეს საკითხი ორი კუთხით უნდა განვიხილოთ. საქართველოში მოთხოვნა საკონსულტაციო სერვისზე ყოველწლიურად იზრდება. შვიდი წლის წინათ, როდესაც ჩვენ მუშაობას ვიწყებდით, სანთლით საძებარი იყო ისეთი საწარმოები, რომლებიც მომსახურებისათვის ფულს გადაიხდიდნენ (არ ვგულისხმობთ აუდიტორიულ და იურიდიულს).

ახლა, ამ მხრივ, მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, მით უმეტეს, რომ საწარმოს მენეჯერები იმდენად მწვავედ გრძნობენ კვალიფიციური კადრების ნაკლებობას, რომ სიამოვნებით თანხმდებიან პროექტში თანამშრომლობაზე. სხვა საკითხია, ჩვენს ქვეყანაში თუ რამდენად გადამხდელუნარიანია საწარმოო სექტორი, რომლის 95 პროცენტზე მეტს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი შეადგენს და, როგორც წესი, არ წარმოადგენს საკონსულტაციო ბიზნესის ბაზარს (კლიენტს). განვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორიც აშშ და იაპონიაა, ეკონომიკური განვითარების პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილი სუბსიდირებულია მთავრობის მიერ და CERMA-ს ტიპის ორგანიზაციები, რომლებიც მცირე და საშუალო საწარმოებს სუბსიდირებულ მომსახურებას უწევს, მრავლად არსებობენ.

სხვა საკითხია ის, რომ საქართველოში არსებული გადასახადები მეტად აძვირებს ფასს საკონსულტაციო მომსახურებაზე. როგორც წესი, მაღალი დამატებითი ღირებულების პროდუქტი და მომსახურება მოიცავს ინტელექტუალური შრომის დიდ ნაწილს, რაც ბუღალტრულად გამოიხატება ხელფასებში და დამატებითი ღირებულების ნაწილს წარმოადგენს. ვინაიდან საკონსულტაციო ბიზნესში ხელფასების ხვედრითი წილი ძალზე მაღალია, ხშირად გამოდის, რომ ხარჯების 80% იბეგრება სოციალური გადასახადებითა და დამატებითი ღირებულების გადასახადით. ეს ნამდვილად არ აძლევს სტიმულს ქვეყანაში არც საკონსულტაციო სერვისის ზრდას და არც ნებისმიერი სხვა მაღალი დამატებითი ღირებულების პროდუქტის წარმოებას.

# მესამე ათასწლეულის კომპანია

*IBG - იბერია ბიზნესჯგუფი 1999 წლიდან ყალიბდება. 2001 წელს ის უკვე ერთიან, მძლავრ ჰოლდინგს წარმოადგენს. 2003 წლის მეოთხე კვარტალში კომპანიაში განხორციელდა სრული რესტრუქტურიზაცია; განახლებული მენეჯმენტის გუნდთან ერთად ახალი აგრესიული სტრატეგიული გეგმა შემუშავდა; დღეისთვის IBG აერთიანებს ათ იურიდიულ პირს, რომელთა საქმიანობის სფეროებია: ავტომობილების იმპორტი, საწვავის, საავტომობილო და ინდუსტრიული ზეთების, საავტომობილო ნაწილებისა და ავტომობილის საბურავების იმპორტი და დისტრიბუცია. IBG -ის პოლიტიკა აგებულია ავტომფლობელთა მოთხოვნილებების კომპლექსურ დაკმაყოფილებაზე. მისი კლიენტები არიან რიგითი მოქალაქეები, მსხვილი ფირმებიცა და ორგანიზაციებიც. კომპანია თავის პროდუქციას საქართველოს მასშტაბით ავრცელებს საკუთარი საფირმო მაღაზიების ქსელში, ასევე - გარე კონტრაქტორი ობიექტების საშუალებით. IBG -ში შემავალი ორგანიზაციები საქართველოს ბაზარზე მსოფლიოს უმსხვილეს კორპორაციებს წარმოადგენენ.*



*კომპანია IBG ევროპული სტანდარტებით მუშაობს*


*Touareg*


*Phaeton*

## პროდუქტები და მომსახურება

Mobil 1

შპს იბერმობილი ExxonMobil-ის უფლებამოსილი დისტრიბუტორი საქართველოში აწარმოებს სამრეწველო და საავტომობილო ზეთების იმპორტსა და რეალიზაციას. უკვე მეხუთე წელია, რაც მსოფლიოში აღიარებული ფრანგული წარმოების Mobil-ის ზეთები საქართველოს ბაზარზე წარმატებით (ყოველწლიური რეალიზაციის 30-35 პროცენტი ზრდის ტემპით) არის წარმოდგენილი.

Eurol Lubricants

ზეთების საერთო ბაზრის მოცულობის გასაზრდელად და დაბალფასიანი სეგმენტის ათვისების მიზნით, Mobil 1-ის ზეთებთან ერთად იბერმობილმა წარმატებით დაიწყო ჰოლანდიური Eurol Lubricants -ის დისტრიბუცია საქართველოში. კომპანიაში გეგმავენ უფრო დაბალფასიანი, ცნობილი და მაღალხარისხიანი რუსული მარკის ზეთის დამატებას.

Pirveli - Bosh - Banner Batterien - Bilstein

შპს "იბერია თრეიდინგი" წარმოადგენს Pirelli-ის (მსოფლიოში ცნობილი იტალიური საბურავები), Bocsh-ის (გერმანული სხვადასხვა სათადარიუგო ნაწილები და ფილტრები), Banner Batterien-ის (უმაღლესი ხარისხის ავსტრიული აკუმულატორები) და Bilstein-ის (გერმანული ლიდერი ამორტიზატორების წარმოებაში) ოფიციალურ დისტრიბუტორს საქართველოში. ამ ცნობილი მარკების პროდუქტების ძირითადი მომხმარებლები არიან: მსხვილი კორპორაციული კლიენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამთავრობო სტრუქტურები, ასევე, კერძო პირები, რომლებიც პროდუქტებსა და მომსახურებას საფირმო ქსელის მეშვეობით იღებენ. ამჟამად დაწყებულია მოლაპარაკება საავტომობილო კოსმეტიკის ლიდერ ამერიკულ კომპანია TurtleWax-თან.

Volkswagen

IBG წარმოადგენს Volkswagen-ის ოფიციალურ დილერს საქართველოში. ბოლო ერთი წლის გაყიდვების მოცულობით კომპანიამ საუკეთესო მაჩვენებელს მიაღწია ამიერკავკასიის რეგიონში. წარმატებულმა გაყიდვებმა განაპირობა შემოთავაზება მთლიანად Volkswagen Group-ის მარკების წარმომადგენლობაზე და შესაბამისი მარკების ავტონაწილების ამიერკავკასიის რეგიონული საწყობის შექმნაზე საქართველოში. IBG-მ წარმატებულად დაიწყო და ახორციელებს მანქანების განვადებით გაყიდვის პირველ პროექტს საქართველოში.

KIA Motors

წლის დასაწყისში IBG-სა და KIA Motors-ს შორის დამყარდა საქმიანი პარტნიორული ურთიერთობა, რითაც უმოკლეს ვადაში IBG-ს გადაეცემა საქართველოში ამ ბრენდის წარმომადგენლის სტატუსი.

Auto Service

IBG-ში შემავალი კომპანია "იბერია სერვისი" ახდენს მანქანების დიაგნოსტიკასა და სრულ საპროფილაქტიკო მომსახურებას. ცენტრები აღჭურვილია უახლესი Bosch-ის სადიაგნოსტიკო კომპიუტერებით. მათმა დახვეწილმა სერვისმა და დასავლური სტანდარტების მენეჯმენტმა განაპირობა ისეთი სოლიდური კლიენტების მოზიდვა, როგორიცაა საელჩოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და მსხვილი კომპანიები, რომელთაც გრძელვადიანი ხელშეკრულება აქვთ დადებული მათი ავტოპარკის სერვისმომსახურებაზე. იბერია სერვისის კონტრაქტორი კლიენტებიდან აღსანიშნავია: აშშ-ის საელჩო, იუსტიციის სამინისტრო, ტრანსპორტის სამინისტრო, პროკურატურა, Georgian Wines and Spirits და სხვა არასამთავრობო და კორპორაციული კლიენტები.

## როგორ კეთდება კარგი ბიზნესი

**"ჩვენსა და ჩვენს პარტნიორ კომპანიებს შორის დადებულია კონტრაქტი, რის საფუძველზეც, საქართველოს ბაზარს მათი პროდუქციის რეალიზებით ვემსახურებით,** - ამბობს IBG-ის პრეზიდენტი ტარიელ ხეჩიკაშვილი, **- მსოფლიოში ყველაზე დიდ ნავთობ კომპანიასთან ExxonMobil-თან წარმატებულმა მუშაობამ საშუალება მოგვცა, დაგვემყარებინა ურთიერთობა მსოფლიოში ცნობილ სხვა ტრანსნაციონალურ კომპანიებთან - Pirelli, Volkswagen-ი, Banner-ი, Bilstein-ი.**

ეს ისეთი კომპანიები გახლავთ, რომლებიც პარტნიორობისთვის მხოლოდ წარმატებულ კომპანიებს ირჩევენ. სხვაგვარად, მათი პროდუქციის დისტრიბუციის უფლების მოპოვება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ისინი გამოწვლილვით სწავლობენ მომავალ პარტნიორს და მასთან კონტრაქტს იმ შემთხვევაში აფორმებენ, თუ იგი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. IBG ასეთთა რიცხვში დამსახურებულად მოხვდა.

**"ერთი წლის განმავლობაში საქართველოში იმაზე მეტი მანქანა გავყიდეთ, რაც მანამდე მოქმედ რამოდენიმე დილერს ორი-სამი წლის განმავლობაში ჰქონდა გაყიდული,** - აცხადებს ტარიელ ხეჩიკაშვილი, **- გვეამაყება, რომ Volkswagen-ის უახლესი სიტყვა საავტომობილო ბაზარზე 2003 წლის საუკეთესო ჯიპად აღიარებული Touareg-ი და ლიმუზინის კლასის Phaeton-ი ამიერკავკასიაში პირველი სწორედ ჩვენ გავყიდეთ".**

**Phaeton**

ბერძნულ მითოლოგიაში ფაეტონი მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილს ერქვა. მისი სურვილი - გაესეირნა ცეცხლოვანი ეტლით, რომლის დამორჩილება მხოლოდ ზევსს შეეძლო - ადამიანის მიერ შეუცნობლისკენ სწრაფვის სიმბოლო გახდა.

თქვენ, მართლაც, შეიძლება ეზიაროთ შეუცნობელს, თუ Phaeton-ს მართავთ.

კომფორტი, უსაფრთხოება, სრულყოფილება - ეს ეპითეტები მხოლოდ ძუნწად ასახავს ამ მანქანის შესაძლებლობებს. "როდის შეგიყვარდათ ბოლოს პირველი დანახვისთანავე? - სვამენ კითხვას მისი მნახველები და ამატებენ, - ადამიანის თვალს შეუძლია გაარჩიოს შვიდი მილიონი ფერი, მათგან ყველაზე მშვენიერი Phaeton-შია".

**WWW.ibg.ge**

Phaeton-ის გარდა, IBG წარმატებით ყიდის ისეთი პოპულარულ მოდელებს, როგორიცაა Golf-ი, Bora და Passat-ი; ასევე - Polo-, Touran-ი, Sharan-ი და Touareg-ი. Volkswagen-ის ხარისხი ისე ამაღლდა, მან, ტექნიკური პარამეტრებისა და მონაცემების მიხედვით, "სახალხო მანქანის" კლასიდან უმაღლესს კლსში გადაინაცვლა.

ტარიელ ხეჩიკაშვილი: **"ჩვენი კლიენტები არიან კერძო პირებიც და კომპანიებიც. შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის მანქანა ჩამოგვყავს კომერციულიც და ლუქსის ტიპის მანქანები. ჯიპი Toureg-ი, თავის ტექნიკური მონაცემებითა და დიზაინით, აკმაყოფილებს ყველაზე პრეტენზიული მომხმარებლის მოთხოვნებსაც კი. იგი ერთდროულად სამი სხვადასხვა ფუნქციის მქონე ავტომობილია - ჯიპი უგზოობისათვის, ლუქსი კლასის სედანი კომფორტისათვის და სპორტული მანქანის შესაძლებლობების სისწრაფისა და მოქნილი მანევრირებისათვის. ძალზედ პოპულარულია Golf-4. უახლოეს მომავალში თბილისში ჩამოვა ევროპელთა უსაყვარლესი Golf-5".**

სწორი მიდგომითა და გაყიდვების სწორი პოლიტიკის შერჩევით შესაძლებელი გახდა კარგი შედეგების მიღწევა. სწორ მიდგომად უნდა ჩაითვალოს ის, რომ შეკვეთის მიცემის და მანქანის ჩამოყვანის პროცედურა მაქსიმალურად ითვალისწინებს კლიენტისათვის კომფორტის შექმნას.

ტარიელ ხეჩიკაშვილი: **"როცა ჩვენთან მოდის ადამიანი, რომელსაც არა აქვს საშუალება ერთიანად გადაიხადოს, ვთქვათ, 20 ათასი ევრო, განვადებას ვთავაზობთ. თანაც, ჩვენ მანქანის გაყიდვით არ შემოვიფარგლებით. გვაქვს გარანტია, სერვის-ცენტრი, საბურავები, ზეთი - მსოფლიოს ლიდერი კომპანიების პროდუქტები. ჩვენს კლიენტებს მათი სარგებლობისას შეღავათები აქვთ. რაც საგარანტიოა, უფასოდ კეთდება, რაც არა - შეღავათით. ყველაფერი იქითკენ მიგვყავს, რომ ავტომობილის მყიდველს მომსახურების სრული პაკეტი შევთავაზოთ. კომპლექსური მომსახურების შეთავაზების შედეგად ჩვენი კლიენტები გახდნენ სახელმწიფო სტრუქტურები. საქმემ დაგვანახა, რომ, როცა სერვისი სრულყოფილია, კლიენტიც კმაყოფილია. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ჩვენი კლიენტია. ასეთი სტრუქტურები კარგად არჩევენ პარტნიორებს. ჩვენ მათ ყველა პრობლემას კომპლექსურად ვუხსნით და, ბუნებრივია, ურჩევნიათ, ერთ ორგანიზაციასთან ჰქონდეთ საქმე. ჩვენ ვცდილობთ, ბიზნესში ახალი სიტყვა ვთქვათ, ახლებური მიდგომით შევიდეთ ბაზარზე. ესაა ჩვენი სტილი".**

## ახალი სტრატეგიული მიმართულება

კომპანიის მიზანია ავტომფლობელთათვის მომსახურების სრული პაკეტის შეთავაზება. ახალი აგრესიული პოლიტიკიდან და ზემოთ უკვე აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, IBG-მა მიზანშეწონილად ჩათვალა ბიზნესის წარმართვა ბენზოგასამართი სადგურების ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ქსელთან ყველაზე დიდი გეოგრაფიით საქართველოში.

დადებულია ხელშეკრულება IBG-სა და "იბერკომპანი ჰოლდინგს" შორის, რის საფუძველზეც, ხორციელდება ერთიანი მარკეტინგული პოლიტიკა, რაც მიზანდ ისახავს IBG-ის ყველა პროდუქტისა და მომსახურების გაფართოებული ქსელით შეთავაზებას.

მიმდინარეობს თითოეულ ბენზოგასამართ სადგურთან საფირმო მინი მარკეტებისა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სერვის-ცენტრების მოწყობა. პროექტის მიზანია, კლიენტს თითოეულ პროდუქტზე შესთავაზოს პრივილეგია, დანარჩენი მისივე პროდუქტების შეძენის შემთხვევაში, საწვავის ჩათვლით, დისკონტების სისტემის საშუალებით.

IBG უკვე წარმატებით მიდის იქითკენ, რომ იგი და მისი პარტნიორ ბენზოგასამართ კომპანიათა ქსელი ჩამოყალიბდეს ორგანიზაციად, რომელიც ავტომეპატრონეს მანქანასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პრობლემას მოუხსნის და შესთავაზებს ყველაზე მაღალხარისხიან პროდუქციას, განსაკუთრებული პრივილეგიებითა და ფასებით, IBG-ის კლუბის წევრობის შემთხვევაში.

შემდეგ ეტაპზე, იბერკომპანის ქსელის გარშემო შექმნილი ინფრასტრუქტურის ბაზაზე (რომელიც მთელ საქართველოს მოიცავს), იგეგმება ბრიტანული AA და გერმანული ADAC ტიპის სამსახურის შექმნა მობილური სერვის-ცენტრებით. სერიოზული დახმარების საჭიროების შემთხვევაში, მანქანების ევაკუაციით უახლოეს ბაზაში და მათი სრული შეკეთების შეთავაზებით.

ამ სერვისით სარგებლობის შეთავაზება მოხდება სხვადასხვა შეღავათებით კლუბის წევრ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე. ამგვარი საკლუბო-სადაზღვევო სამსახურის შექმნა უახლოეს წელიწადნახევრის განმავლობაში იგეგმება.

## ერთი გუნდი - ერთი ოჯახი

**"ჩვენთან პროფესიონალები მუშაობენ,** - ამბობს ტარიელ ხეჩიკაშვილი, **- სწორი საკადრო პოლიტიკა და კორპორაციული მართვა წარმატების საუკეთესო გარანტიაა. ვინც გაყიდვა იცის, ყიდის; ანალიზს ის აკეთებს, ვისაც ეს ხელეწიფება. კარგი თანამშრომლების წახალისების მექანიზმიც გვაქვს - ესეც წარმატების გამოცდილი საშუალებაა. მუდმივად ხდება თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში. აქცენტი, ძირითადად, ახალგაზრდების დასაქმებაზე კეთდება. გადიან სტაჟირებას, იმაღლებენ კვალიფიკაციას, ხდებიან პროფესიონალები და შემდგომ სხვებს უზიარებენ გამოცდილებას. ახალგაზრდა კადრების შერჩევა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და, ამ მხრივ, დასაქმება ჩვენი კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. კომპანიაში მუშაობის გუნდური პრინციპი გვაქვს, რაც კოორდინირებულ მუშაობას გულისხმობს და წარმატების გარანტიაა.**

**ჩვენი კიდევ ერთი პრინციპი კლიენტთან განსაკუთრებული დამოკიდებულებაა. სერვისი, რომელსაც სულ მალე შევთავაზებთ მომხმარებელს, სულ სხვა დონისა იქნება. ეს იქნება ახალი სიტყვა ამ ბიზნესში. გარდა მომსახურების ფართო სპექტრისა, იგი, შედარებით დაბალფასიანი პროდუქტების რეალიზაციის გზით, საშუალებას მისცემს ნებისმიერ ადამიანს, მოვიდეს ჩვენთან და მაღალკვალიფიციური დახმარება მიიღოს; თავი ისევე იგრძნოს, როგორც მატერიალურად უფრო შეძლებული ადამიანები გრძნობენ. ასეთი განზრახვა მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ ვართ სახალხო და ნებისმიერი კლიენტისთვის გახსნილი კომპანია.**

**IBG-ის განახლებული კომპანიის ძირითადი აქტივია მენეჯერთა ჯგუფი, რომელსაც დიდ გამოცდილებასთან ერთად განათლება მიღებული აქვს დასავლეთის ისეთ უნივერსიტეტებში, როგორიცაა: Gerogetown University, Yale University და London School of Economics**

## მსხვილი პარტნიორის შეთავაზება

IBG-მა Volkswagen-ისგან მრავლისმთქმელი შეთავაზება მიიღო - შექმნას თბილისში Volkswagen-ის ავტონაწილების ცენტრალური საწყობი მთელი ამიერკავკასიისთვის. ასეთი შეთავაზება Volkswagen-თან წარმატებული თანამშრომლობის შედეგია.

კომპანიას, რომლის დევიზიცაა - "თუ არ მივდივართ წინ, მივდივართ უკან"! - ამგვარი შეთავაზებები, როგორც ჩანს, ბლომად ექნება.